ეროვნული ბიბლიოთეკა

სარკე

12

1970

ვაშა ამ ახალ საქართველოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა



გამარჯვება

მხატვარი შ. ხოლუაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

163

გამოცემის მეთოთხმეტე წელი

115798

დეკემბერი

1970

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა პ ა რ ს ი

აუვავდი, ტურფა ქვეყანავ!

მზიური აჭარა „ცისკარში“

3. მერაბ ქაჯაია. საბჭოთა აჭარა 50 წლისაა

6. ლამარა გოლქვაძე. ახალი ცხოვრების მშენებელი

9. ზოთა ძურიძე. მამულის სამსახურში

13. ნესტორ მალაზონია. იმღერე, ბულო! ლექსი

14. ფრიდონ ნასვაური. ლექსები

16. მამია ვარშანიძე. ლექსები

17. გიორგი სალუქვაძე. გულში შენი ცეცხლი მენთოს. ლექსი

18. ზურაბ გოგრჩილაძე. გამოქვაბული. ლექსი

20. ალექსანდრე სამსონია. შეხვედრა. მოთხრობა

32. ძსენია მეფაია. ულამაზესო ზაფხულის დღეო... ლექსი

33. ჯაბალ ჯაყელი. თქვენი ხმალი და ჩემი კისერი. ლექსი

34. რევაზ ართილაყვა. ლექსები

35. ზოთა ზოიძე. ლექსები

36. ემზე დავითაძე. ლექსები

37. იური თავდუმაძე. ზორგეგ ფუწუნავა. ზღვა — ჩვენი ცხოვრება!

პ რ ო ზ ა

40. გურამ ფანჯიკიძე. თვალი პატიოსანი. რომანი

121. კაზო შარმაზანი. აკრძალული რიტუალი. ნამდვილი ამბავი

პ ო ე ზ ი ა

115. ელდარ ქერძევაძე. ლექსები

117. ვაჟა დოლბაია. ლექსები

119. ილია ბოფხარია. შენით ვიხილე. ლექსი

120. ნოდარ ხვედელიძე. ლექსები

ახალი თარგმანები

125. ალექსანდრ პუშკინი. კოლტავა. პოემა. თარგმნა ოთარ ჭილაძემ. დასასრული

ფერილები

131. დურმიშხან ცინცაძე. ოქტომბრის რევოლუციის და გოლშევიკური პრესა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საქართველოში

138. ლევან ბერაბიდ. XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა

145. ოტია პაჭკორია. ისევ „მანდილოკრელთა“ გამო

153. ყოველი მხრიდან

156. ჟურნალ „ცისკრის“ 1970 წლის ნომრების შინაარსი

მთავარი რედაქტორი
ჯ ა ნ ს უ ღ ჩ ა რ ა ქ ვ ი ა ნ ი

სარედაქციო კოლეგია:
გურამ ასათიანი,
აკაკი ბაძრაძე,
ბეჟი გეგეჭკორი,
გურამ გვეტაძდეთელი,
მერაბ ელიოზიშვილი,
კარლო კალაძე,
კონსტანტინე
ლორთქიფანიძე,
ოტია პაჭკორია
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნუგზარ ფოფხაძე,
ნოდარ ფულეისკირი,
ტარიელ ფანტურია,
სერგი ფილანია,
თამაზ ფილაძე,
ლაშა ჯანაფია.

აუცილებლად. ტურფა ქვეყანაა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბ ქაჯაია
საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი

საბჭოთა აჭარა 50 წლისაა

ორმოცდაათი წლის წინათ, 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს მშრომელთა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მოძმე ხალხების, პირველ რიგში დიდი რუსი ხალხის დახმარებით საქართველოს მიწა-წყლიდან განდევნეს ქართველი ხალხის მტრები — მენშევიკები, დაამხეს მათი ბატონობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება.

სოციალისტური რევოლუცია ფართოდ გაეცალდა მთელ საქართველოში. 18 მარტს საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა აჭარაში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან, 300 წლის მანძილზე დაბეჩავებული და ჩაბარჩენილი კეთილ ცხოვრებაში, დასაბამი მიეცა სრულიად ახალ ხანას, ბედნიერ მომავალ ისტორიის ბრწყინვალე ფურცელი და დაიწყო ნამდვილი ლორძინებისა და სოციალისტური აყვავების პერიოდი.

მთელი ქართველი ხალხის დახმარებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პირადად ვლადიმერ ილიას ძე ლენინის უშუალო ზრუნვის შედეგად აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებმა განაზორციელეს დიდი სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები. ამ გარდაქმნების შედეგად აჭარა ბედაქცევა აყვავებულ საბჭოთა რესპუბლიკად, რომელსაც აქვს განვითარებული მრეწველობა და მსხვილი მრავალდარგოვანი სუბტროპიკული სოფლის მეურნეობა.

დიდად განვითარდა აჭარის მრეწველობა. 1921 წელს აჭარაში იყო 30-მდე წვრილი სამრეწველო საწარმო, რომელთა მიერ გამოშვებული პროდუქცია მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებას. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აჭარაში ბევრი ახალი სამრეწველო საწარმო აშენდა. აჭარის სამრეწველო საწარმოები, რომელთა რიცხვი ახლა 81-ს შეადგენს, შეიარაღებულია თანამედროვე ტექნიკით და უშვებს მრავალი დასახელების პროდუქციას. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აჭარაში აშენდა მსხვილი საწარმოები: ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი, მანქანათსაშენი, გემთსაშენი, ელექტროტექნიკური, ელექტროხელსაწყოების, ელექტრომექანიკური, ტყავის, კოფეინის, ღვინის, ლუღის, ქიმიური და სხვა ქარხნები, ციტრუსკომბინატი, ხისსასამუშავებელი კომბინატი, სამკერვალო, თამბაქოს, ფეხსაცმლის, ფეიჯის, საკონდიტრო და სხვა ფაბრიკები. ჩაის კულტურის სწრაფი განვითარების გამო აჭარაში აშენდა 12 ახალი ფაბრიკა. ახლა მათი რაოდენობა 14 შეადგენს.

ყოველწლიურად იზრდება გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა და უმჯობესდება მისი ხარისხი. 1921 წლთან შედარებით 1969 წელს აჭარის სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 256-ჯერ გაიზარდა.

მრეწველობის მძლავრ განვითარებასთან ერთად წინ წავიდა აჭარის სოციალისტური სოფლის მეურნეობა. ახლა აჭარაში არის 163 კოლმეურნეობა და 18 საბჭოთა მეურნეობა, რომლებიც სამშობლოს აძლევენ დიდი რაოდენობით მაღალხარისხოვან ჩაის, ციტრუსებს, თამბაქოს, ყურძენს, მეცხოველეობისა და სხვა ძვირფას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს.

ამჟამად აჭარაში ჩაის კულტურას უკავია 6 960 ჰექტარი ფართობი, ციტრუსებს — 5 940 ჰექტარი, დფნას — 487 ჰექტარი, თამბაქოს — 1 480 ჰექტარი, ვენახს — 480 ჰექტარი. სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფართობების გადიდებასთან ერთად გაიზარდა მათი მოსავლია-

ნობა. 1970 წელს აჭარის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს. მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაუბარეს 39 ათასზე მეტი ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. დიდი წარმატებებია მოპოვებული ციტრუსოვანთა განვითარებაში. 1969 წელს აჭარის მეციტრუსეებმა ქვეყანას მისცეს 32.200 ტონაზე მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი.

განვლილი ხუთი ათეული წლის მანძილზე ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარმა ძირეულმა შეძვრებმა საფუძვლები აჭარის მშრომელთა სულიერი ცხოვრების განვითარებისა და გაფურჩქვნისათვის. ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად ლიკვიდირებულ იქნა წერა-კითხვის უცოდნელობა, სისტემატურად იზრდება სკოლების, ტექნიკუმების, სკოლა-ინტერნატების და კულტურის დაწესებულებების ქსელი.

თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აჭარაში იყო მხოლოდ ერთეული სკოლები, ამჟამად რესპუბლიკაში არის 436 ზოგადსაგანმანათლებელო სკოლა 68 472 მოსწავლით და 7 საშუალო სპეციალური სასწავლებელი 3 500-ზე მეტი მოსწავლით. იზრდება და ფართოვდება სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელი.

მარტო განათლების ხაზით მუშაობს 5 331 პედაგოგი. შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურმა ინსტიტუტმა თავისი არსებობის მანძილზე გამოუშვა 6 000-ზე მეტი სპეციალისტი. ამჟამად ინსტიტუტს დასწრებულ, დაუსწრებელ და საღამოს სწავლების განყოფილებებზე სწავლობს 2 400-მდე სტუდენტი, რომელსაც ასწავლის 114 პროფესორ-მასწავლებელი.

აჭარის მოსახლეობის განათლებულობის მაღალ დონეზე მეტყველებს ისიც, რომ ყოველწლიურად მატულობს საშუალო, უმაღლესი განათლების და სამეცნიერო ხარისხის მქონე კადრების რიცხვი ადგილობრივი ახალგაზრდობის ხარჯზე. მოსახლეობის ცხოვრებაში ფართოდ დამკვიდრდა კინო, რადიო და ტელევიზია, ახლა ყოველ ათას სულ მოსახლეზე მოდის სხვადასხვა დასახელების 1 000-ზე მეტი ეკრანული და გაზეთი.

სოციალისტური კულტურის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია მეცნიერების აყვავება, რამაც სინამდვილედ აქცია აჭარის მშრომელთა ოცნება. აჭარის ეკონომიური და კულტურული ცხოვრების კმტიერ პრობლემებზე. მისი წარსული შესწავლაზე მუშაობს სამართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალი, საკონსერვო მრეწველობის საკავშირო სამეცნერო-კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის განყოფილება, თევზის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორია, ბათუმის ბოტანიკური ბაღი, აჭარის სახელმწიფო და რეკოლეციური მეზეუმები. ამ სამეცნიერო დაწესებულებებში მრავალმხრივ კვლევით სამეცნიერო შრომას ეწევა 292 მეცნიერი მუშაკი, მათ შორის ერთი აკადემიკოსი, მეცნიერებათა 7 დოქტორი და 94 კანდიდატი.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში აჭარაში შეიქმნა მხატვრული ლიტერატურის განვითარების ფართო შესაძლებლობა, მშრომელი ხალხის წიაღიდან გამოვიდნენ მწერლები და პოეტები ახალი თვისებებით, რომელთა რიგები პეროიდულად იზრდება. მათი მხატვრული სტუდიის განვითარებისა და შემოქმედებითი დაოსტატებისათვის მნიშვნელოვანი მუშაობას ეწევა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილება, რომელიც ადრეიანებს მწერალთა კავშირის 16 წევრს. აჭარის მწერლებმა მნიშვნელოვანი, ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების პერიოდში. მათ დიდი ბელადის ხსოვნას მიუძღვნეს ლექსების კრებული „უკვდავება“ და სხვა მაღალმხატვრული და ღრმა იდეური ახალი ნაწარმოებები, გამართეს საიუბილეო ლიტერატურული შეხვედრები და მხატვრული საღამოები მრავალი ათასი მშრომელის აქტიური მონაწილეობით. უკანასკნელ წლებში კიდევ უფრო იზრდება აჭარის ლიტერატორთა იდეურ-მხატვრული დონე, შემოქმედებითი ინიციატივა საბჭოთა ადამიანების ესთეტიკური გემოვნების, კომუნისტური მშენებლობის დიადი იდეების განვითარებაში. მხცოვანი მწერლების პარმენ ლორიასა და ნესტორ მალაზონიას ბეგერდით დიდ შემოქმედებით შრომას ეწევიან მწერლები და პოეტები ფ. ხალვაში, გ. სალეკვაძე, მ. ვარშანიძე, ნ. ვეგარიშვილი, შ. როყვა, ჯ. ჯაყელი, ზ. გორგილაძე, ა. შერვაშიძე, ალ. ჩხაიძე, ა. სამსონია და სხვ. მათ შეეძლეს ბევრი ადამიანური ნაწარმოები. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გამოიცა 48 დასახელების წიგნი, რომლებშიც ღრმადაა ასახული ჩვენი ხალხის ცხოვრება, სოციალისტური წყობილების შექმნა და დამკვიდრება. ახლა ქართველი ერის დღეისასწაულს ეძღვნება საიუბილეო კრებული, რომელშიც შევა აჭარის მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებები საქართველოსა და აჭარაში უდიდესი სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში მოპოვებული წარმატებების შესახებ.

აჭარაში საკმაოდ ეროვნული წარსული აქვს ქართული ხელოვნების განვითარებას, მაგრამ მისი ნამდვილი აყვავების პირობები შეიქმნა მხოლოდ საბჭოთა წლებში. ი. ბეკეკაძის სახელობის ქ. ბათუმის დრამატული თეატრმა თავისი არსებობის მანძილზე მაყურებელს უჩ-

ვენა ბევრი შესანიშნავი და დასამახსოვრებელი სპექტაკლი, მათ შორის აღსანიშნავია „მოკვეთილი“, „ეკიკეძე“, „თიდეპოს მეფე“, „მაია წყნეთელი“, „მეფე ეროკლე“, „მინდიო“ და სხვ. უკანასკნელ წლებში კიდევ უფრო მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა თეატრის რეპერტუარის გაეროვნებებისათვის, რაც ძირითადად გინსაზღვრა თეატრის კოლექტივის შემოქმედებითმა ძიებამ და პასუხისმგებლობამ. რეპერტუარში წამყვანი ადგილი დაიკავა თანამედროვეობისა და ისტორიულ-რევოლუციური წარსული ამსახველმა თემებმა, ქართული, რუსული და მსოფლიოს კლასიკური დრამატურგიის ნაწარმოებებმა. თეატრმა ამას წინათ მაყურებელს უჩვენა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ნ. დუმბაძის ახალი პიესა „ნუ გეშინია, დედა“, რომელიც გულთბილად მიიღო მაყურებელმა.

მოსახლეობის კულტურული მომსახურებისათვის ნაყოფიერ მუშაობას ატარებს მ. კეხიანიძის სახელობის აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ენსამბლი.

ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების გზაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა გამომცემლობის „საბჭოთა აჭარის“ აღდგენა ქ. ბათუმში, ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის „ლიტერატურული აჭარის“ არსებობა, რომელიც ამჟამად „ჟორნოხის“ სახელწოდებით გამოდის და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისა და აჭარის განყოფილების ორგანოა.

აჭარაში ფართოდ განვითარდა სახვითი ხელოვნება. საქართველოს მხატვართა კავშირის აჭარის განყოფილებამ, რომელიც მხატვართა კავშირის 16 წევრს აერთიანებს, საბჭოთა ხელისუფლების წლებში მრავალჯერ მოაწყო ნახატთა ნამუშევრების გამოფენები, რომლებსაც მნახველთათვის არაერთხელ მიენიჭებია ესთეტიური სიამოვნება. მნახველის მოწონებას იმსახურებენ შ. ხოლუაშვილის, დ. იმნაიშვილის, მ. ბოლქვაძის, ტ. ჭანტურიას, ტ. მეგრელიძის, შ. ზამთარაძის, ა. ფილიპოვის, ლ. სეიდიშვილის, მ. კვერნაძის, ნ. იაკოვენკოს და სხვების მხატვრული ტილოები და ნამუშევრები.

აჭარა კულტურის დაწესებულებებით ლიერ ღარბი იყო საბჭოთა ხელისუფლებამდე. ახლა სავსებით შეიცვალა მდგომარეობა. მოსახლეობას კულტურულ მომსახურებას უწევს ორი მეზეუმი, 166 კინოთეატრი და დანადგარი, 199 კლუბი, კულტურის სახლი და სასახლე, 237 ბიბლიოთეკა, რომლებშიც ერთი მილიონ ხუთასი ათასი წიგნია.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო მოსახლეობის პოლიტიკური შეგნებულობის დონის ამაღლებას, მოისპო წარსულის ბევრი მავნე გადმონაშთი და დამკვიდრდა ახალი ყოფა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში განხორციელებულმა კულტურულმა გარდაქმნებმა მთლიანად გამოცვალა შრომელთა ცხოვრების სახე, დამკვიდრა სოციალისტური ყოფაცხოვრება, სოციალისტური ურთიერთობა ადამიანებს შორის.

წინანდელი, თურქ დამპყრობთა მიერ დაბეჩავებული აჭარის ნაცვლად ახალი, განახლებული, აღორძინებული და აყვავებული აჭარის ნახვით მოხიბლული და აღფრთოვანებული იოსებ იმედაშვილი, რომელმაც 1951 წელს შემოიარა აჭარა, ჰიდეთ ბაშიაქს სწერდა: „მოველ მოვიარე და ნამდვილი საქართველო ავა ენახე. დავრწმუნდი, რომ დიდი შოთა აქ, მესხეთში, დაბადებული, მის გმირებს თითქოს ახლაც ვხედავ, და მათ სიახლოვეს ვგრძნობ აჭარაში. ჩვენი დიდი ხნის ნატვრა ასრულდა, საქართველო გიერთიანდა, კეთხერობა იშლება და რჩება ერთი ცნება „ქართველიო“. (ჰაიდარ ბაბაშაძე, წერილები, გვ. 113).

აჭარის მშრომელები, მისი ახალგაზრდა თაობა, რომლებსაც დიდი ზეიმისათვის ემზადებიან, კვლავ და კვლავ ღრმა პატივისცემით მოიგონებენ და არასოდეს დაივიწყებენ ქართველი საზოგადო მოღვაწეების და ეროვნული კულტურის მოამაგეებისა ილია ჭავჭავაძის, ეგნატე ნინოშვილის, ნიკო ნიკოლაძის, იოსებ იმედაშვილის, ასოლარ წულაძის, ანტონ ფურცელაძისა და სხვების ხსოვნის. აჭარის მოსახლეობას ღრმად შეგნებული აქვს, თუ რა დაუღალავი შრომა და ბრძოლა გადაიტანეს მათ იმისათვის, რომ ფიზიკური მოსპობის მძიმე საფრთხის განსაცდელში მყოფი აჭარა კვლავ დაბრუნებოდა დედა-სამშობლოს, დაეცხრომელად იზრუნეს აჭარის მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებისათვის.

აჭარის სახელოვანი, დიდი რევოლუციური ტრადიციების მქონე ზეშთა კლასს, კოლმეურნე გლეხთა და ინტელიგენციისა, მისი კულტურული კადრები, მწერლები, პოეტები, ჟურნალისტები და მხატვრები იუბილესთვის ემზადებიან მტკიცე გადაწყვეტილებით — კვლავაც თავდადებით იბრძოლონ კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის ყველა წინასწარდასახულობათა შესრულებისათვის და სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ დარაზმულებმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური ხელმძღვანელობით მტკიცედ იარონ წინ — კომუნისტური მშენებლობის გზით.

ჩადრის ახდა

შ. ზამთარაძე

ლამარა ბოლქვაძე

აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი, აჭარის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე.

ახალი ცხოვრების მშენებელი

მახსოვს, ერთ-ერთ ქარხანაში უცხოელ ქალთა ტურისტული ჯგუფი მოვიდა. ქარხანაში მომუშავე ერთ შუახნის ქალს ჰკითხე: „თქვენ კომუნისტი ხართ“?

„მე პარტიის შვილი ვარ“, — უპასუხა მან. გამოირკვა, რომ ის ქალი უპარტიო იყო. შეკითხვაზე, თუ რატომ უპასუხა მან ასე, ქალმა განაცხადა: **„ჩვენ ყველანი დიადი პარტიის შვილები ვართ. მან გვგვიხსნა ჭეშ ბედნიერებისაკენ, გაგვხადა თავისუფალი და ნამდვილი ადამიანები“.**

დიახ, ასევე შეიძლება უპასუხოს ამ კითხვაზე მილიონობით საბჭოთა ქალმა.

როგორც ცნობილია, საქართველოში ქალის როლი ქვეყნის სახალხო-სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებაში ოდითგანვე ისტორიულ მოვლენათა მსვლელობით იყო გაპირობებული. ქალი პირსა და ლხინში გვერდით ედგა მამაკაცს, მასთან ერთად იღვწოდა ერის უკეთესი მომავლისათვის.

მძიმე იყო აჭარელ ქალთა ბედი. თურქ დამპყრობთა 300 წლის ბატონობამ ქართველი ქალი ჩადრით შებურა და აქცია მამაკაცის მონად.

ქართველი ქალის მაღალ ნიჭსა და შემოქმედებით უნარს, მის მორალურ ზნეობას და ვმირულ ბუნებას ფართო ასპარეზი გადაეშალა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ვ. ი. ლენინის მითითებანი და კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებანი გახდა აჭარის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების სამოქმედო პროგრამა ქალთა შორის მუშაობის და მათი ნამდვილი განთავისუფლების დარგში.

1921 წელს შეიქმნა მუშა და გლეხ ქალთა შორის მეშვაობის განყოფილება, რომლის მთავარი ამოცანა იყო ქალთა ჩაბმა სოციალიზმის შენებლობაში, აბარელ ქალთა განთავისუფლება წარსულის მავნე გადმონაშთებისაგან. ამ მიზნით შეიქმნა ჭრა-კერეის სკოლები, პოლიტიკური ცოდნის წრეები, წრა-კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელი სკოლები. ქალთა კლუბები.

ქალთა შორის მუშაობის გაუმჯობესების საქმეში დიდი როლი შეასრულა ქალთა ყრილობებმა და კონფერენციებმა. „გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება ახეთ სიტყვებს და შეაუქოთ თქვენი დაუშრეტელი ლამპარი ამ წყვდიადში“ — იწერებოდა ყრილობის დელეგატი — ქობულეთელი ქალი. „შემოფარეთ წითელ კომინტერნს, სადაც არ არიან ჩაგრული და შევიწროებულნი, სადაც არ არიან მდიდრები, სადაც ყველა თანასწორია და თანაბარია“. ამ წერილს სწერს ცოცელმორეული აბარელი მუსლიმანი ქალი. ქმარმა და მოლამ მისი ცხოვრება ჯოჯოხეთად აქციეს და ჩაღრმავდებელ, დაჩაგრულ ქალს მხსნელად ქალთა ყრილობა და მაშინდელი ახლადგამოსული ქალთა ჟურნალი „ჩვენი გზა“ ეგულება. მაგრამ მაშინ იოლი არ იყო ჩაგრული, გაბუსლმანებული აბარელ ქალს ხელში წიგნი აეღო და კომეთნიშის ანბანი შეეწყვალა.

1921 წლის აპრილში გიმმართა ბათუმის ქალთა პირველი მტინგი, რომელმაც მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ვ. ი. ლენინს: დეპეშაში ნათქვამი იყო: „ბათუმის ქალებმა მტკიცედ გადაწყვიტეს, რომ შემშეიროდნენ და ყოველი თავისუფალი წუთი საბჭოთა შენებლობის გაცნობას დაუთმონ, მონაწილეობა მიიღონ ახალი ხელისუფლების შექმნაში, იშრომონ რუსეთის ქალებთან ერთად“...

საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენდნენ და ყურადღებას აქცევდნენ აბარელ ქალებს. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ენთუზიასტი, სპეციალისტი ქალები ეხმარებოდნენ აბარელ ქალებს ცოდნისა და განათლების მიღებაში.

ქალთა შორის მუშაობის სპეციფიკამ აუცილებელი გახადა ქალთა კომიტეტის შექმნა. ეს მოხდა 1924 წ. 18 ივლისს.

ახლახან აბარის ცენტრალურ არქივში აღმოჩენილ იქნა აბარის სახკომსაბჭოს ერთ-ერთი დადგენილება, სადაც ვკითხულობთ, რომ „ამ კომიტეტის დაარსება გამოწვეულია ცხოვრების აუცილებელი პირობებით და შემდგომი მისი მუშაობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ თანამშრომლობას და თანაგრძნობას გაუწევს მას ყველა საბჭოთა დაწესებულება. აბარელი ქალი სამართლიანად მოითხოვს საზოგადოების ცხოვრებაში მისი ძალების ჩარევას, მავნე ტრადიციებისა და ცრუმორწმუნეობების უყურადღებას და სოციალური სრულფასოვნებისაკენ. ამ მხრივ არის მიმართული ქალთა მოძრაობა აბარისტანში და ამ დღე საქმეს ემსახურება ქალთა კომიტეტი“.

ეს დადგენილება მოიწონა მუშათა მოძრაობის გამოჩენილმა მოღვაწემ ალარა ცეტკინმა, რომელიც 1924 წ. ოქტომბერში სტუმრად იმყოფებოდა აბარაში.

აბარის ქალთა კომიტეტმა შესანიშნავად შეასრულა თავისი მოვალეობა და ამოცანები. სასიხარულოა, რომ ქალთა შორის მუშაობის ეტაპრანები ალიევ შაშიკაშვილი, ნაზიკო ჩიკავაძე, ალმე ქიქავა, ქეთევან თხილიშვილი, გულიკო კაკაცაშვილი და სხვები ამკამადაც ჩვეული ენერგიით, ახალგაზრდული შემართებით ემსახურებიან დიდ საამბოხოს.

ქალთა კომიტეტი ახლაც ნაყოფიერად ღაწვრა აბარაში. იგი ამკამად მუშაობს აბარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული დებულებით.

გვეამყოფა იმის აღნიშვნა, რომ დღეს აბარაში არ არის სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის არც ერთი დარგი, სადაც ქალს ღირსეული ადგილი არ ეკავოს.

აბარის მრეწველობაში 9 ათასამდე ქალი მუშაობს, ხოლო სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა შორის ქალება 55 პროცენტს შეადგენს. 98 ქალი სოციალისტური შრომის გმირია. შრომა მათი სიხარულის წყაროა. შრომამ მოუტანა სახელი და დიდება რესპუბლიკის ცნობილ მეჩაიეებს: ასმამ ჯიჯავაძეს, გული ჯინჭარაძეს, ქეთევან გოგიტიძეს და სხვებს.

ჩვენს რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის საქმე, ლიტერატურა, ხელოვნება, კულტურის ყველა დარგი ისეთ დონეზე ავიდა, რომელზედაც ოქტომბრის რევოლუციამდე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა.

ამკამად აბარაში 5 ათასზე მეტი მასწავლებელია, რომელთა შორის 3.500 ქალია; ექიმთა შორის 60 პროცენტზე მეტი ქალია. საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლები სემაეთ ვარშანიძე, ეთერ ცივაძე, თამარ მაკუტაძე, სემაეთ გოგიბერიძე და სხვები ეკითლსნდიისერად ემსახურებიან ბავშვთა სწავლა-აღზრდას. მენშევლოგანია მეცნიერი ქალის ნ. შაშიკაშვილის შრომები. აკადემიკოს ქსენია ბახტაძის მიერ შექმნილი ქართული ჩაის პირველი ჯიშები მთელ მსოფლიოშია განთქმული უხვი მოსავლიანობით, ყინვაგამძლეობით და ხარისხით. მკითხველთა შორის პოპულარობით სარგებლობს პოეტი ნანა გვარიშვილი, მაყურებელთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს

ლამარა ბოლოქავაძე
აბალი ცხოვრების მშენებელი

ნუნუ თეთრაძემ, ფატი კობალაძემ, თამარ სულ-ხანიშვილმა, ნაზი კეკენაძემ, ლამარა ყარა-საშვილმა, ნინო საკანდელიძემ.

აჭარელი ქალები სათავეში უდგანან საწარ-მოებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, კოლმე-ურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, უშუალოდ მონაწილეობენ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების — სსრ კავშირის, საქართველოს, აჭარის უმაღლესი, აღგილობრივი საბჭოებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანი-ზაციების საქმიანობაში.

აჭარიდან საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბ-ჭოს დეპუტატია 5 ქალი, საქართველოსა და-აჭარის უმაღლესი საბჭოებისა — 37 ქალი.

ჩვენი თანამემამულე ფათუშა ღუმბაძე საქა-ართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრია, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად მუშაობს ნინო ხახუტა-იშვილი, კომკავშირის აჭარის საოლქო კომი-ტეტის პირველი მდივანია რენა სარიშვილი. აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობისა და განათ-ლების მინისტრების მოადგილეებად მუშაობენ ალმე გურგენიძე და ეთერ ცივაძე, აჭარის ასსრ პროფსაბჭოს მდივანია გულიკო კიკნაძე, და კიდევ რამდენის ჩამოთვლა შეიძლება.

აჭარაში 284 გმირი დედაა, 19 ათასი კი — მრავალშვილიანი დედა. ათზე მეტ შვილს უზრდიან სამშობლოს გუგული ბერიძე, ემინე კვირიკაძე, ფატყუმე დიასამიძე და მრავალი სხვა.

ყველგან ტრიალებს გამრჯე ქალს, ყველას ყველას ვერ ჩამოთვლით — მთელი ლაშქარია. ბევრის მკერდზე მთავრობის მაღალი ჯილდოები კიაფობს.

აჭარის ქალებს გვეამაყება, რომ დღეს ჩვენს შორის ცხოვრობს და მოღვაწეობს ქართველ რევოლუციონერ ქალთა შესანიშნავი პლეადის წარმომადგენელი, აჭარაში ქალთა შორის მუ-შაობის ვეტერანი, პერსონალური პენსიონერი, პარტიის წევრი 1917 წლის აგვისტოდან ალეკ-სი თალაკვაძე. აჭარის ქალებმა თავდადებული ბრძოლით სახელოვანი ფურცელი ჩასწერეს დიდი სამამულო ომის ისტორიაში; დაბა მახინ-ჯაურის მკვიდრმა ალექსანდრა ომერიძემ უში-შარი მზვერავისა და იატაკქვეშეთელის მძიმე გზა განვლო. ჰორიე ინაიშვილი, ფადიმე ანა-ნიძე, ალექსანდრა მასხულია, დარეჯან ღლონ-ტი, დები ლუბა და თინა წერეთელები და სხვა ბრავალი ფრონტის მოწინავე ხაზზე იბრძოდნენ და იცავდნენ დედა სამშობლოს.

აჭარის ქალები, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, უდიდესი აღფრთოვანებით ეგზადებიან საქართველოსა და აჭარაში საბჭოთა ხელისუფ-ლების დამყარების 50 წლისთავის ზეიმისათვის, ცდილობენ მათზე გაპიროვნებულ უბნებზე უკეთ იშრომონ, ყველფერი გააკეთონ იმისათ-ვის, რომ მუდამ სუფევდეს მშვიდობიანი შე-მოქმედებითი შრომა, სიხარული, კაცთმოყვა-რეობა, მუდამ გუგუნებდეს ლამაზი სიმღერები გამარჯვებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა ქურციძე

მამულის სამსახურში

„ჩვენს უწინდელს განათლებისა და სწავლის აკვანი“, — ასე დაახასიათა დიდმა ილიამ ე. წ. სამუსლიმანო საქართველო. ეს მხარე მართლაც დიდხანს წარმოადგენდა ქართული კულტურის ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ კერას. აქ მოღვაწეობდა მეცნიერებისა და ლიტერატურის ბევრი თვალსაჩინო წარმომადგენელი, მათ შორის აჭარის მკვიდრი ტბელი აბუსერიძე, რომელმაც მეტად მდიდარი და საინტერესო მეცნიერული მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

შემდგომ XV—XVI საუკუნეებში სამხრეთ საქართველოს ბედი უკუღმა დატრიალდა. უცხოელმა დამპყრობლებმა თანდათან მიიტაცეს მესხეთი, აჭარა, სხვა პროვინციები. სამის წელიწადს ბატონობდნენ ისინი ჩვენს მხარეში და ცეცხლითა და მახვილით სდევნიდნენ ყოველგვარ ქართულს. მოსახლეობა ძალდატანებით გაამუსლიმანეს, ჩაკვდა კულტურა, მეცნიერება და ლიტერატურა, დაეცა სახალხო განათლება, დაქვეითდა მხარის ეკონომიკა. ხალხი არ ფრიდებებოდა უცხოელთა ბატონობას, თავდადებით იბრძოდა ეროვნული თავისუფლებისათვის, დედა საქართველოსთან შეერთებისათვის.

ბოლოს დადგა ნანატრი დღე — აჭარა კვლავ დაუბრუნდა დედა საქართველოს და ხელახლა დაიწყო ეკონომიკის, კულტურის აღორძინება. მალე დაარსდა ქართული სტამბა, დაიწყო ქართული წიგნებისა და გაზეთების ბეჭდვა. მთელ ქართველი ხალხი, რითაც შეეძლო, ეხმარებოდა ახლად განთავისუფლებულ აჭარას. ილიას, აკაკის, სხვა ქართველ მოღვაწეთა მეცადინეობით გაიხსნა ქართული სკოლები, შეიქმნა ქართული დასი. აქ სამეშაოდ წამოვიდნენ ქართული ინტელიგენციის საუკეთესო კადრები — პედაგოგები, ექიმები, ჟურნალისტები, მწერლები, მსახიობები. დიდხანს მოღვაწეობდნენ ბათუმში დაეთი კლდიაშვილი, ივანე მესხი, გრიგოლ ვოლსკი. დროდადრო ჩამოდიოდნენ ცნობილი რევოლუციონერები საშა წულუკიძე, ფილიპე მახარაძე და სხვები. ჩვენი საუკუნის ბარიკადებზე აქ მოღვაწეობდა ი. ბ. სტალინი, რომელმაც შექმნა ლენინურ-ისკრული მიმართულების ბათუმის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი.

გაწეულმა შრომამ, ქართველი ხალხის ზრუნვამ და დახმარებამ სასურველი შედეგი გამოიღო. აჭარა მართალია ნელა, მაგრამ მტკიცედ დაადგა ეკონომიური და კულტურული აღორძინების გზას. გამოჩნდნენ პირველი მუსლიმანი ქართველი ჟურნალისტები — აბდულ მოქელაძე, მემედ და ჰაიდარ აბაშიძეები, გულო კაიკაციშვილი...

ქართული მხატვრული სიტყვის ნამდვილი და სწორი აღორძინება დაიწყო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. შეიქმნა პერიოდული ლიტერატურული პრესა, გამოვიდა ერთდროული გაზეთები, ჟურნალები („კანდელი“, „ისპარი“, „პონტოსი“, „აჭარისტანი“ და სხვ.). მართალია, ისინი ერთი-ორი ნომრის გამოსვლის შემდეგ არსებობას წყვეტდნენ, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან კვალს ტოვებდნენ. მწერალთა ახალი კადრების აღზრდაში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა გაზეთმა „ფუხარამ“, რომელსაც ცნობილი პროლეტარული პოეტი ნოე ზომლეთელი რედაქტორობდა. ლიტერატურული ცხოვრების აღმავლობას ისიც უწყობდა ხელს, რომ სხვადასხვა დროს ბათუმში მოღვაწეობდნენ ვ. გაბესკირია, დ. კასხაძე, გრ. ცეცხლაძე, ვ. დარასელი, თ. სიხარულიძე, ა. ადამია.

მწერალთა ახალი კადრების აღზრდამ შესაძლებელი გახადა მათი ორგანიზაციული ჭიეი-

თიანება. 1927 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს პროლეტარიულ მწერალთა ასოციაციის აპარის განყოფილება. ეს იყო მწერალთა პირველი ორგანიზაცია ჩვენს მხარეში. ხუთი წლის შემდეგ, პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილების შესაბამისად, ასოციაცია დაიშალა და მის მაგიერად შეიქმნა საქართველოს მწერალთა კავშირის აპარის განყოფილება, რომელიც დღეს 16 კაცშრომა წევრს და ათობით ლიტერატორს ეერთიანებს.

ქართული მხატვრული სიტყვის განვითარებას აპარაში დიდი ამაგი დასდეს პარმენ ლორიძემ და უფროსი თაობის სხვა მწერლებმა.

ოციანი წლების დამდეგიდანვე პარმენ ლორია აქტიურად მონაწილეობს აპარის ლიტერატურულ ცხოვრებაში, მოთხრობებთან და ნარკვევებთან ერთად წერდა იუმორისტულ ნაწარმოებებსაც და დიდხანს ითვლებოდა „ტარტაროზ“ - „ნიანგის“ ერთ-ერთ წამყვან თანამშრომლად. წერდა იგი აგრეთვე სკეტჩებს და მსტყბეკი ფორშის პიესებს აგიტმხატვრული ბრიგადისათვის, რომლისაც თვითონვე ხელმძღვანელობდა. ოცდაათიან წლებში პ. ლორიძემ გამოიქეეყნა რომანი „ნაი“. ამ რომანის მნიშვნელოვანარ განხზომება მარტო მისი იდეურ-მხატვრული ღირსებით. იგი იყო მთელ ქართულ ლიტერატურაში პირველი რომანი, რომელიც აპარის ცხოვრებას ასახავდა და ამ კუთხის ადამიანებს ეეაცნობდა. მომდევნო რომანებიც მწერალმა ძირითადად აპარას მიუძღვნა — „დელი მურადი“, („განთიადი ხევში“), „ეეველუდი“, „საუკუნის დამდეგმა“, „ნაირა“, „შვილები“ და ბევრი სხვა. ამიტომ უწოდეს მას მწერალი, რომელმაც ქართული ლიტერატურისათვის „ღმოანინა“ აპარა და მისი ადამიანები. პ. ლორიას ზოგიერთი რომანი და მოთხრობა რუსულადაც ითარგმნა და მათ ათი ათასობით არაქართველი მკითხველი გაეცნო. მასკე ეკუთვნის აპარის ცხოვრების ამსახველი პიესები „მეგობრობა“, „ნაირა“, „დინარა“, რომლებიც წარმატებით იდგმებოდა ბათუმის სახელმწიფო თეატრის სცენაზე.

სოციალისტური სინამდვილის გულწრფელი მომდევნალი იყო ცნობილი მეშა-პოეტი პარმენ ჩერეკა. იგი ჯერ კიდევ რევოლუციამდე გამოვიდა სამწერალ ასპარეზზე და გარდაცვლებამდე პატიოსნად, მართალი გულით ემსახურებოდა შრომლიერ ხალხს. პოეტის ლექსებში გამოხატულება პპოვა სოციალისტურმა გარდაქმნებმა, დიდმა სამამულო ომმა, ბევრმა ღირსშესანიშნავმა მოვლენამ, ჩვენს ცხოვრებაში რომ მოხდა. იგი ამავე დროს იყო ერთ-ერთი პირველი საბჭოეთ პოეტი აპარაში. მისი ზღაპარი-პოემა „ნიკარქეკია“ დიდ სამამულო ომის დროს რუსულად თარგმნა პოეტმა ვ. სალუქაძემ და ცალკე წიგნად გამოვიდა.

აპარის ცხოვრება, მისი ადამიანები, ბუნება შთაგონებს მხეცოვან პოეტს ნესტორ მალაზონიას. მის ლექსებსა და პოემებში ჩანს სულ ... ადამიანი — მგზნებარე პატრიოტი, კომუნიზმის მშენებელი. არაერთი პატრიოტული ლექსი შექმნა პოეტმა დიდი სამამულო ომის პერიოდში. მათგან ფართოდ არის ცნობილი „ბოდიან, შვილო, ჯარისკაცები“, რომელიც ლიტერატურულმა კრიტიკამ ერთ-ერთ საუკეთესო ლექსად მიიჩნია დიდი სამამულო ომის თემაზე. ულანასკენელი 20_25 წლის მანძილზე პოეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ომისა და შშედეგების პრობლემებს, ადამიანის მორალურ აღზრდას. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნ. მალაზონიამ პოეტური ეპოსის განვითარებაშიც. მისი „ეფელზარი“ იყო აპარის რეკოლეციური წარსულისადმი მიძღვნილი პირველი პოემა ქართულ ლიტერატურაში. პოეტმა მასში გადმოგვცა რევოლუციური მოძრაობის სინტეტიკური ეპიზოდები, გვიჩვენა მშრომელთა კლასობრივი თვითშეგნების ზრდა, ბოლშევიკების როლი მასების აღზრდასა და დარაზმვაში. პოემაში აპარის ბუნების ბევრი ლამაზი სურათია. ახლახან მკითხველებმა მიიღეს ნ. მალაზონიას ეროვნულ მოთხრობა „ორი გასროლა“. ეს არის პოეტის პირველი პროზაული ნაწარმოები.

ოციანი წლების მიწურულს გამოვიდა სამწერალო ასპარეზზე დრამატურგი ამირან შერვაშიძე. მისი პიესები „მზე“, „ოქროს სამაჯურები“, „პროვინციელი“ და სხვა ასახავენ აპარის ცხოვრებას. დიდი სამამულო ომის პერიოდში დრამატურგმა შექმნა თავიის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები „მხედართმთავარი ბაგრატიონი“, რომელიც დიდი წარმატებით დაიდგა ბათუმის სახელმწიფო თეატრში. უშუალოდ ნანახი და გაგონილი უდევს საფუძვლად ა. შერვაშიძის დრამას „კრაეწიკის ცრემლები“. ეს პიესა, რომელიც ასახავს დასავლეთ უკრაინის განთავისუფლებას, უკრაინის ოკუპიდ თეატრმა დადგა. იგი ცალკე წიგნადაც გამოვიდა ყიევში. ომის შემდეგ დრამატურგმა კიდევ რამდენიმე სინტეტიკური პიესა დაწერა. მათგან ნანასაკუთრებით გაითქვა სახელი ჰეროიკულმა დრამამ „ეთვე, კუბა“ („სანტიაგოელი ქალიშვილი“). იგი დადგა სევასტოპოლის შავი ზღვის ფლოტის თეატრმა. 1962 წელს, როცა კარიბის ზღვის რაიონში დაძაბული ვითარება შეიქმნა, სევასტოპოლელთა სპეციტაკლი გადასცა ცენტრალურმა ტელევიზიამ. იგი მილიონობით მაყურებელთან ნახა და დედაქალაქის პრესის მოწონება დიმსახურა. ა. შერვაშიძე ნაყოფიერად მუშაობს პროზაშიც. წელს გამოვიდა მისი მოთხრობების ახალი კრებული „ყიზლარიდან ბოროდინამდე“.

თავიდანვე მიიქცია მკითხველი საზოგადოებრიობის ყურადღება მამია ვარშანიძემ. იგი პირველი პროფესიონალი პოეტია, რომელიც აპარამ მისცა ქართულ ლიტერატურას. ბუნებრივია, რომ მის შემოქმედებაში განსაკუთრებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფართო ადგილი დაიკავა აჭარის თემამ. ამ მხარის წარსულმა და ბედნიერმა აწმყომ, პოეტის პირველსავე ლექსების კრებულს „მგზავრობის სიმღერები“ გულთბილად გამოეხმაურა ი. გრიშაშვილი და ახალგაზრდა შემოქმედს კარგი მომავალი უწინასწარმეტყველა. ლირიკულ ლექსებთან ერთად პოეტმა შექმნა ეროვნული ეპიკური ტილო „ხიხანის ორწიგნები“. პოემის გმირია აჭარაში ეროვნულ-განმთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელი, სახალხო გმირი სელიმ ხიმშიაშვილი. პოემა დიდი სიყვარულით და საკმაო ოსტატობით გამოძერწა როგორც თვით სელიმის, ისე მისი თანამებრძოლების მხატვრული სახეები. ლიტერატურულმა კრიტიკამ მაღალი შეფასება მისცა მ. ეარშნაძის „ხიხანის ორწიგნებს“. დღეს-დე ოი რამდენიმეჯერ დაიბეჭდა როგორც პოეტის კრებულებში, ისე ცალკე წიგნად.

ომის წინ და დიდი სამამული ომის პერიოდში ლიტერატურას შეემატნენ ისეთი ცნობილი პოეტები და მწერლები, როგორიც არიან ნ. გაგრაშვილი, გ. სალუქაძე, კ. რუსიდე, ფრ. ხალვაში, ვ. კანდელაკი, აგრეთვე უდროოდ დაღუპული პოეტები შ. იოსელიანი და ლ. ძმისტერიშვილი.

ნანა გაგრაშვილის ლირიკა სინტეზრესია როგორც იმ კეთილ ქალის ხმა, სადაც საუკუნეთა მანძილზე ქალს არათუ მამაკაცის თანაბარი უფლება არ ჰქონდა, არამედ მის მონა-მორჩილად ითვლებოდა. ბევრ ლექსში პოეტმა გადმოგვცა აჭარელი ქალის ყოფა-ცხოვრება, გვიჩვენა რა იყო იგი წინათ და რა არის დღეს. დიდი ადგილი დაუთმო მან აგრეთვე ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლას, მშვიდობას, სიყვარულს, ბუნებას. ნანა გაგრაშვილი საბავშვო ლიტერატურის მოამაგეც არის. კარგია მისი პოემა „ზღაპარი დედა-ენაზე“, რომელიც პოეტმა ქალაქ დიდ ქართველ პედაგოგს ი. გოგებაშვილს მიუძღვნა.

თავისებური მანერით, გრანმლის სიფაქიზით, გვმოვნებით ვამოირჩევა გიორგი სალუქაძის ლირიკა. მისი პოეზიის ლირიკული გმირი თანამედროვე ადამიანია, თავისი სამშობლოს პატრიოტი და კაცობრიობის ბედზე დაფიქრებული. დიდ დროს და ენერგიას აბმარს ისეთი აგრეთვე მთარგმნელობით მოღვაწეობას. მან თარგმნა სერგეი ესენინის, სტეფანე შჩიპაჩოვის, ელადმერ მაიაკოვსკისა და სხვა რუსი პოეტების ლექსები, ფრანგი კლასიკოსტების კორნელისა და რასინის პიესები. პოპულარობი სარგებლობს გ. სალუქაძის საბავშვო ლექსები, უპირატესად სკოლმდელი ასაკის ბავშვთა შორის.

თემატურად მრავალფეროვანი და იდეებით მდიდარია ფრიდონ ხალვაშის პოეზია. პოეტს უმთავრესად იზიდავს საზოგადოებრივად აქტუალური პრობლემები, რომლებიც მილიონობით ადამიანს აღელვებს. სამშობლო, მშვიდობა, კომუნისტი ფრ. ხალვაშის პოეზიის ძირითადი თემა-მაა. ბოლო ათი წელია პოეტი ბევრს მოგზაურობს, მთელ შორეულ საზღვრებგარეთაც: იყო ვიეტნამში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, პოლონეთში, თურქეთში, სხვა ქვეყნებში და თავისი შთაბეჭდილებანი გადმოგვცა „მოგზაურული“ ლექსების ციკლში „ვაშა, ვიეტნამო“, „მეგობართა გულები“, „ჩვენებური თურქეთის გზებზე“ და სხვ. ფრ. ხალვაშმა პროზასა და დრამატურგიაშიც სცადა კალამი. გამოაქვეყნა რომანი „საყვედური“, აგრეთვე მოთხრობების კრებული, რომელსაც გულთბილად გამოეხმაურა ს. კლდიაშვილი. მისი პიესები „ხიხანის ძახელი“, „ვაზის ტირილი“ და დრამატული პოემა „გადარჩენილი უკვდავება“ დადგა ბათუმის სახელმწიფო თეატრმა.

ომის შემდგომ პერიოდში მოვიდა მწერალთა ახალი დიდი ჯგუფი, რომელმაც შემოიტანა ახალი თემები, იდეები, განწყობილება. პოეტები შ. როყვა, ჯ. ჯაყელი, ქ. მეკვეა, ჯ. ქოთალაძე თავიანთ ლექსებში გამოხატავენ სპეციფიკა ადამიანის ფიქრებსა და გრძნობებს. ყველას განსხვავებული ხმა და საკუთარი პოეტური სამყარო აქვს.

მომდევნო თაობის პოეტებიდან გამოირჩევიან ზ. გოგრელაძე, ლ. სეიდიშვილი, რ. ართილაყვა. ისინი ეძიებენ ახალ პოეტურ სახეებს, ცდილობენ ახლებურად გვითხრან სათქმელი. ძალიან ბევრს მოველოდით ლ. გელაძისაგან, მაგრამ ამ ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტის სიცოცხლე სავსებით მოულოდნელად შეწყდა.

განმტკიცდა და გამძაფრდა პროზაიკოსთა რიგები. ი. ფალავაშ რომანებში „ჩაუმქრალი კერა“ და „ქედუხრელნი“ პირველმა სცადა აესახა აჭარის შორეული წარსული, მოსახლეობის ბრძოლა უცხოელთ მოძალდადთა წინააღმდეგ, დიდ საქართველოსთან შეერთებისათვის. მასვე ეკუთვნის თანამედროვეობის ამსახველი რომანები. ორჯერ დაიმსახურა რესპუბლიკური პრემია ალ. ჩხაიძემ საბავშვო მოთხრობებისათვის. აქტუალურ საზოგადოებრივ პრობლემებს აღძრავს მიხ. გოგრელაძე მოთხრობების კრებულში „სოფლის ადამართი“, რომელიც წელს გამოვიდა. ორი რომანი და რამდენიმე მოთხრობა გამოაქვეყნა ბოლო წლებში პოეტმა ჯ. ჯაყელმა.

ბევრი მეეთნეკეი ჰყავს ალ. სამსონიას იუმორისტულ მოთხრობებს, რომლებიც იბეჭდება როგორც ადგილობრივ, ისე რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში. ცალკე წიგნად გამოვიდა მისი მოთხრობები „ჩემი შვილი სიმონი“, „ზღვა, მზე და სიყვარული“, კრებული „ჩვენ ნიჭიერები ვართ“. ყველა ამ წიგნს პრესამ მაღალი შეფასება მისცა.

ზოთა ჟურიძე
მამულის სამსახურში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

250-ჯერ წარმოადგინა ბათუმის სახელმწიფო თეატრმა ალ. სამსონიას კომედია „ჩემი შვილი სიმონი“. არანაკლები წარმატება ხვდა დრამატურგის მეორე პიესას „ზღვა და სიყვარული“, რომელიც ბათუმის თეატრმა უჩვენა რიგისა და მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლის თეატრის სცენაზე. თბილისის, ქუთაისის, მესხეთის და სხვა თეატრებშა დადგეს ალ. ჩხაიძის პიესები. მთგან „ხიდი“ რუსთაველის თეატრმა გასტროლების დროს წარმოადგინა მოსკოვში. ცენტრალურმა პრესამ („პრავდა“, „კომსომოლსკაია პრავდა“ და სხვ.) სპექტაკლი ქებით მოიხსენია. გულთბილად მიიღო მაყურებელმა შ. როყვას პატრიოტული დრამა „დედა“.

ყველას გვახარებს ბათუმელი კინოდრამატურგის სულიკო ყენტის დიდი შემოქმედებითი წარმატება. მისი სცენარით დაიდგა საქვეყნოდ ცნობილი ფილმი „ჯარისკაცის მამა“, აგრეთვე „ღიმილის ბიჭები“ და სხვა ფილმები. ახლახან ს. ყენტმა გაიმარჯვა ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილი კინოსცენარისტთა საკავშირო კონკურსში.

შეუნელებლად ვითარდება ლიტერატურული კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა. ამ დარგში მოღვაწეობენ ალ. ჩავლეიშვილი, ნ. დეკანოიძე, შ. ნიკარაძე, პ. ჯორბენაძე, დ. ნაცვალაძე, ა. შონია, ი. ბიბილეიშვილი...

ამჟამად აჭარაში არის ახალგაზრდა მწერალთა ძლიერი ჯგუფი. მის ბირთვს ქმნიან პოეტები შ. ზოიძე, ც. ანთაძე, პროზაიკოსები ნ. მოდებაძე, ჯ. ხოფერია, ნ. ძირკვაძე, გ. ქუთათელაძე, ნ. ყენტი და სხვ. მწერალთა ახალი თაობის აღზრდაში დიდია ჟურნალ „ჭოროხის“ (1970 წლამდე „ლიტერატურული აჭარა“) დამსახურება. ეს ჟურნალი უკვე 13 წელია რეგულარულად გამოდის. გარდა ბათუმელი ავტორებისა, მის ფურცლებზე იბეჭდება თბილისელი, ქუთაისელი, სოხუმელი და სხვა ქალაქების მწერალთა და მეცნიერთა ნაწარმოებები.

მხატვრული ლიტერატურის ზრდა-განვითარება აჭარაში ერთი მკაფიო მაგალითია იმისა, თუ რა მისცა ხალხს საბჭოთა ხელისუფლებამ. მხარეში, სადაც რევოლუციამდე წერა-კითხვის მცოდნენი თითზე ჩამოითვლებოდა, დღეს ჰყავს და იფურჩქნება ლიტერატურა და ხელოვნება, არის ქართული მწერლობის მძლავრი რაზმი, რომელსაც თავისი წვლილი შეჰქვს მშობლიური ლიტერატურის განვითარებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმღერე, გულო!

ვიწრო შუკაში ფეხის ხმებია
და ჯოხით დადის ჩუმი სიბერე.
ბუნება ასე შეგვთანხმებია
და რას გახდები! ვითმენ, ვიფერებ...
მაგრამ შენ, თითქოს არც შეგხებია,
იმღერე, გულო!
გულო, იმღერე!

წითლად ღუიან ღრუბლის გუნდები,
მეც ჩამავალი მზით შევიფერე.
ვიცი, წავალთ და არ დავბრუნდებით
მე, საღამო და ჩუმი სიბერე.
მაგრამ ეყარონ ცაზე ღრუბლები,
იმღერე, გულო,
გულო, იმღერე!

მზესაც არა აქვს ფერი უცვლელი.
მასაც ეწვევა მისი სიბერე.
მაგრამ სულითაც თუ არ ხუცდები
და ჭაღარასაც თუ არ იფერებ...
ოღონდ არ დაგვრჩეს თეთრად ფურცელი,
იმღერე, გულო!
გულო, იმღერე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ მელოდება?

ვინ მელოდება დანდალოს ხიდთან,
თამარის ხიდთან ვინ მელოდება?
ჩემი ბავშვობა ჩემთან მოვიდა?
ნუთუ ბავშვობა გამეორდება?

ხიდზე გასულა მწყემსი ბიჭუნა
ღაზლის ხალათით, მესხურ ქალამნით,
ქარი მინელდა, ღელე მიჩუმდა,
არ ეგებება გზაზე არავინ.

ჩამოეფინა თმები ყურებზე,
ღია უბეში მზე კვლავ შევიდა.
რად იყურება, რად იყურება,
ვისი ძახილი ესმის ხევიდან?

თამარის ხიდთან ვინ მელოდება,
წარსულში ვარ თუ დღეის დღე არი?
ო, მიწავ, სულ შენს ნათელ ოდებთან
მამყოფე შენი ღამის მთევარი.

სამი სიმონეთი

სერგო კლდიაშვილს

მე ვიცნობ სამ სიმონეთს. პირველი სოფელი ჭოროხთანაა, მეორე — იმერეთში, მესამე ბურსასთან, თურქეთში.

ჭოროხი დედაა, ნანას მიმღერის,
მე, სიმონეთი მუდამ მასთან ვცოცხლობ.
ჩემი ამბავი ცეცხლია იმხელა,
ჰგავს სამასი წლის ჩაუმქრალ კოცონს.

ჩემი ზარი რეკავდა,
ჩემი ჯვარი ენთო,
ცა მეხურა, ვით თამარის გვირგვინი,
მომადგა მაჰმადი, გული ვერ მიენდო...
თავს უშველა მკვიდრმა ჩემმა
სირბილით.
იმერეთში მიაგნო სწორედ ჩემფერ ალაგს,
ფუძე ჩადო,
ნერგი ჩარგო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაირქვა სიმონეთი,
ვინც აქ დარჩა, ბორკილით აზიარეს ალაჰს,
დამეკიდა მკერდს მთვარედ
ჩემივ სისხლის წვეთი.
ვერე ალაჰს მე ქართულად დავუძახე ღმერთი, —
რაღა მექნა, ჩვენებურად ვუერთგულე რწმენას,
მაგრამ ორივ სიმონეთში
გვწამდა მხოლოდ ერთი, —
საქართველო და ქართული
მშობლიური ენა.
მაინც შორი-შორობამ ძმებს დაღი დაგვაჩინა:
ერთი მინარეთმა მიწას ისე მოჰგლიჯა
და ზეცაში დაჰკიდა,
ქრისტიანმა მოძმემ რომ
სისხლით გადაარჩინა,
შეეშინდა, შესძახა:
— გიაურო, არ მინდა!

რამხელაა დუნია, ეს ოხერი, ტიალი.
სახლკარმიტოვებულმა,
გუდანაბადაკრულმა,
მუჰაჯირმა ბედკრულმა სად არ იხეტიალა.
მაგრამ ზოგმა ერთგულმა,
გაბედულმა ერთგულმა
არა, არ მიატოვა
მშობელ ცისკრის ციალი.

ზოგს კი ნიადაგიდან ერთხელ უკვე ამოთხრილს
დიდხანს აღარ ეღირსა
კერა, ყანა და ჭერი,
თბილი უბით დაჰქონდა
ჩვენი მართლაც სამოთხის,
ჩვენი საქართველოსი მიწა ერთი ნაჭერი.

ბოლოს სასოწარკვეთილს, თურქეთს,
ბურსას მახლობლად
მოეწონა მაღლობი
მწვანე ჩვენებურივით,
დადგა ფაცხა, აშენა ბაღჩა და მოსახლობა
და უბიდან ნაფშვენი მიწა თესა პურივით.

სიმონეთი დაარქვა კარმიდამოს უმალვე,
გული თუმც დაიამა, ტკივილები მეტია...
სული ვერ წააქციეს...
მამულს შვილნი ვუმრავლეთ, —
ერთი ვიყავ,
დღეს ქვეყნად სამი სიმონეთი ვარ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

მე მიხარია, ნაპერწკალთან ვდებდით ნაპერწკალს
და ჩვენს კერაზეც ადიოდა ცისფერი კვამლი.
მე მიხარია, ვარსკვლავები გულზე დამეცა
და დამაჩინა პოეზიის ღვთიური კვალი.

მე მიხარია, სული ჩვენი ტალღად დავძარით,
მზით სავსე დღენი მაგონებენ ნატვრას და ზღაპარს.
მე მიხარია, რომ აჭარა არის ტაძარი
და გული ჩემი ამ ტაძარში ანთია ლამპრად.

მე მიხარია, რომ გვყოლია ჩვენც ამორძალი,
არ შეწყვეტილა დედის ნანა ნაზი ბაგიდან.
მე მიხარია, რომ ცხოვრება არის ტაძარი
და მშვენიერთა არსთა ქარნი ვეღარ აღგვიან.

ერთი ციდა ვართ? მერა რაა? ვინ გვედავება?
ოღონდაც იყოს მამაცობა, გზნება, სიწმინდე.
მე მიხარია, საქართველო, ჩვენი ღვთაება,
ცისკრის კაშკაშა ვარსკვლავივით მარად იბრწყინებს.

●

წყალი წყალია, მაგრამ ასეა, —
სხვაა მტკვარი და ჩემი ენგური,
რომ აღტაცებით გული სავსეა
როს მშობლიური ახლოს მეგულვის.
მთები მთებია, მაგრამ ასეა, —
სხვაა უშბა და ჩემი ყაზბეგი:
როს ვუმზერ, სული სიზმრით სავსეა
და მიჩუსჩუსებს ჩემი ღაზელი.
ველი ველია, მაგრამ სხვა არის
კახაბრისა და ალაზნის ველი:
ფიფქებშიც ჰყვავის პირი სამარის
და მოტრფიალე ხელებს მოელის.
და არის სადღაც ნიში ბრძოლების,
თითქოს დღეს იქაც დუღს და დუღს
სისხლი;
მაგრამ სხვაა და მოსაფერები
ჩემი ხიხანი, ჩემი კრწანისი.
და არის ბევრგან სავანე წმინდა,
სად არასოდეს ჩადგება გუბე,
მაგრამ სხვა არის ჩემი მთაწმინდა,
მაგრამ სხვა არის ჩემი დიდუბე.
თვალს ვერ ვარიდებ ჩემი ცის გვირგვინს,
როს მტკივა სული, მასვე ვთხოვ შველას.
არ კმარა, რომ შენ გიყვარდეს იგი,
უნდა უყვარდე სამშობლოს შენაც.

გიორგი სალუქვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულში შენი ცეცხლი მენთოს

ჩამოვედი, ჩამოვედი,
გაუმარჯოს კოხნარს!
მესალმება მწვანე ქედი,
ხევისწყალი ოხრავს.

ეს ცალხელა ისიდორე
ცოცხალია კიდევ!
ორღობეში ბიჭი ხბორებს
კრიმანჭულით მისდევს.

ჩემს დედულეთს გაუმარჯოს,
მკლავზე გამიგოროს!..
ჩქარა თოხი, ახლა რა სჯობს
ლურჯი ყანის მოროდს.

ჩქარა დოქი!.. ცივი წყალი
გამილუმპავს პერანგს...
ქარო, სულზე მომისწარი,
მიცანი თუ ვერა?

აღმართ-აღმართ ბილიკია,
მერე ჩემი შარა.
ჭიშკრისათვის მიმიგნია,
მივადექი მარანს.

ჩემი ეზო, ჩემი ოდა,
ჩემი სახლის კარი...
გული უცებ აბრიალდა,
როგორც ხმელი კვარი.

არც სიზმარი, არც ზღაპარი —
ჩრდილი ნაცნობ ხეთა...
ოღონდ შავი თავსაფარი
არ ჩანს, ვეღარ ვხედავ.

აღარ მორბის ხელგაშლილი
კაფანდარა ქალი,
რომ ჩაიკრას შვილიშვილი
ცრემლიანი თვალით.

შორს სურეების მთა ლურჯდება,
ახლოვდება ბინდი...
არაფერი არ ბრუნდება,
ყველაფერი მიდის.

გაუმარჯოს დაბადებას
და სიახლის ელდას!
ცეცხლის პირას ზღაპარს ყვება
ბედნიერი დედა.

მისი ბიჭი თვალებს ლულავს,
დედისერთა ბიჭი.
ცა ვარსკვლავით მოჭიქულა,
ცასა სწვდება ფიჭვი.

დედის ნანა სხვაგვარია,
სხვაგვარი აქვს ლხენა.
განა ახლა ზღაპარია
ვარსკვლავებში ფრენა?

იქნებ გახდეს ქების ღირსი,
გაუტოლდეს გრიგალს!..
და ჩემსავით ბოლოს ისიც
მოადგება ჭიშკარს.

გამარჯობა, დედულეთო,
გამარჯობა შენი!
გულში შენი ცეცხლი მენთოს,
ლურჯი კვამლი გშვენის.

ჩემს დედულეთს გაუმარჯოს,
მკლავზე გამიგოროს.
ჩქარა თოხი! ახლა რა სჯობს
ლურჯი ყანის მოროდს!..

115998

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოქვაბული

ოთარ ჭილაძეს

და კიდევ რაღაც სურვილი გვქონდა
გადაუდებელ სურვილის გარდა...
ჩვენი დუმილი ბინდივით თრთოდა
გამოქვაბულის ვეება კართან.

ჩვენი ღიმილი მზის ჩასვლას ჰგავდა
გამოქვაბულის იდუმალ კართან...
და კიდევ რაღაც სურვილი გვკლავდა
განაღდებული სურვილის გარდა.

კართან ბებერი დავლანდეთ დანტე
ისე ბნელოდა, ბნელოდა ისე,
მაგრამ სინათლით გავსებულ ლანდებს,
ჩვენი სხეული მიჰქონდა ცისკენ.

თითქო ცხოვრების ნახევარ გზაზე.
ჩვენ დაგვაღამდა მთვარიან ღამით,
ჰგავდა ბებერი გულის სინაზეს
თვალების შიგნით ჩაშლილი ხრამი.

და როცა კენჭი ვარდება დაბლა,
ჩვენ სიბნელეში გარკვევით ვამჩნევთ,
თვალებს, რომელთაც დაეცათ დამბლა,
თვალებს — ქარებში გატეხილ ფანჯრებს.

სტალაქტიდების მემბრანის ბრუილს,
ნერვებთან მოაქვს დამბალი თივა,
უკვე საჭირო არ არის ყური,
გულს ისე მაგრად ესმის და სტკივა.

დაჭიმულ თოკზე გადადის სიყრმე,
როგორც ჯამბაზი შეღებილ თმებით,
გამოქვაბულში გვიტაცებს სიღრმე
ბუნდოვანების ფერადი ფრთებით...

აქ ყველა ლოდი მსგავსია ბრძენის
და მასთან ჩვენი ბალღური სიბრძნე..
არის ბუნების ცთუნება ძველი,
რომელსაც ყველა თავისით იძენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ჩვენი ფშვინვა ღრიანცელს მოჰკავს.
სიჩუმე ცბიერ დიაცის ალერსს...
აქ, სიკვდილს შიშის გენია ბორკავს
და ყველაფერი ნებდება თვალებს...

აქ ხმამაღალი სიმღერა გვსურდა,
მაგრამ საოცრად ხმადაბალ ღიღინს
ობობას ხორკლი მოჰქონდა სულთან
და ხელისგულზე ჩნდებოდა ღინღლი.

და იწყებოდა ქართული ფიქრი,
რომელიც კიდევ მღერის და გალობს,
სტალაქტიდების იქით და იქით,
სიბნელე იწვა, — დამწვარი ალის.

ჩვენ დავეძებდით... და ძებნას, საშიშს,
თან ახლდა ეშმას დამღრალი ხელი,
თუმცა ყველაფერს შველოდა მაშინ,
ყელგაცვეთილი ასანთის ღერი.

ზევით კი, ზევით... იდუმალ კართან
ხბო მიათრევდა ნამიან ბაწარს,
და სოფლის ბოლოს ყვაოდა ხვართქლით
გადაბურული მგლისფერი ფაცხა.

ამოვდიოდით!..
მეგონა ცაში,
ამოვდიოდით სიზმრებით თითქო,
„სინათლე“!
როგორ ვიყვირე მაშინ,
მზე თუმცა ზღვაში ჩასული იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხვედრა

შესავალი, ანუ ორიოდე სიტყვა იმაზე, თუ რატომ იწერება ეს მოთხრობა

ალბათ, მიხვდებით, გრს 87-78 ტელეფონის კი არა, მანქანის ნომერია. ეს მანქანა ჩვეულებრივი აგურისფერი „მოსკვიჩია", არც თუ ისე ძველი, თავმოწმენდ კაცმა ჩაჯდომა რომ არ იყადროს და არც თუ ისე ახალი, მისმა პატრონმა „ფიატის" ყიდვაზე რომ არ იოცნებოს.

მისი პატრონი მე გახლავართ. მე ლევან გოლიაძე მქვია და მანქანა როგორ შევიძინე, ამასაც მოგახსენებთ: მანქანის ყიდვამდე 30 კაპიკად ლატარიის ბილეთი ვიყიდე. ცხრილი რომ გავსინჯე, ვალიდოლი მქონდა ჯიბეში და იმან გადამარჩინა. ალბათ „ვოლგა" რომ მომეგო, ვალიდოლიც არ მიშველიდა. ზოგიერთი ჩემს ადგილას ბილეთს გაყიდდა და ორსართულიან სახლს აიშენებდა. მე მხოლოდ გარაჟი ავიშენე და შიგ აგურისფერი „მოსკვიჩი" შევაგორე.

ეს თქვენ ჩემს სიტყვებში ეჭვი შეგეპარათ, შეიძლება გიჩვენოთ გაზეთში დაბეჭდილი ინფორმაცია „ბედნიერი ბილეთი", ბედნიერი ბილეთის პატრონი ლევან გოლიაძე გახლავთ. სხვათა შორის, იმ წელიწადს თბილისს „დინამომ" საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა. როგორც ხედავთ, სასწაულები იმეორებად, მაგრამ მაინც ხდება!

ახლა, როდესაც ეს მოთხრობა იწყება, გრს 87-78 გარაჟში ისვენებს. კაცმა რომ თქვას, აწი პენსიაც ეკუთვნის. ჩემისთანა შოფრის ხელში სული რომ უდგას, ისიც გასაკვირია. ერთი თვის წინათ, ქალაქგარეთ წასვლას რომ ვპირობდი, მანქანა ადგილიდან ვერ დაეძარი. მომეშველნენ შეზობლები და დაეუწყეთ კრიკიტი. ერთხანს ბალახოვნი ძალღეები აყეფდა მოტორი, მერე რადაცა საყვედურივით თქვა, ალბათ, დამასვენე. შე უბატრონო და გაჩერდა. მას მერე ხმა არ ამოუღია, თავმოყვარეობის საქმე იყო და მეც დავემდურე. მეზობლების გასაგონად კი ვთქვი, მაგას ავაშლეკინებ ახლა ნერვებს-მეთქი, მაგრამ სინამდვილეში გასარმონტებელი ფული არ მქონდა და ხელი იმიტომ ჩავექნე.

ასე და ამრიგად, ერთი თვეა ისვენებს გრს — 87-78, მეზობლებიც ისვენებენ. ოჯახის სახარულს ხომ სახლდარი არა აქვს. დიდად ნაწყენი არც მე ვარ. გადაეწყვიტე, თავისუფალი დრო შემოქმედებას მოვახმარო და თუ რედაქტორმა ეს მოთხრობა დამბიეშედა, პონორარით მმაკაცებს კი არ გავუმასპინძლდები, მანქანას გავერემონტებ.

როგორც ხდაენ, ყველაფერი გარკვეულია. ოღონდ საჭიროა დრო და მოთმინება.

ჯერჯერობით კი გრს 87-78 გარაჟში ისვენებს. მისი პატრონი სახლში ჩაკეტილა, მაგიდაზე დაეწერილი ფურცლები დაეწყვეა და ვერც კი წარმოიდგენია, როდის შეიცვლება ეს დაეწერილი ფურცლები.

რატომ და ლევან გოლიაძემ იცის თავისი ამბავი. დიახ, იგი ზარმაცი გახლავთ. ერთი წელიწადია სიტყვები მოფიქრებული აქვს, მაგრამ საწერად ვერ მოიცალა. ხელი რომ შეუშალოთ, იკითხავთ თქვენ. რამ შეუშალა და სამსახურმა, სახლმა, რემონტმა, ფეხბურთმა — მიზეზებს რამდენსაც გინდა, იმდენს ჩამოგითვლიან.

ამ ერთ წელიწადში მისმა ამხანაგებმა რომანის დაწერა და ცოლის შერთვაც მოასწრეს. ზოგიერთმა ესეც არ იკმარა, რომანს ორი პიესა მიაყოლა და სამი უცხო ქვეყანა მოიარა. სახლში რომ დაბრუნდა, ტელევიზორში ერთი ამბავი ატეხა, სცენარიც დამთავრებული მაქვს და ქართულ კინოს აწი არაფერი გაუჭირდებაო.

გაჭირვებული მხოლოდ ლევან გოლიაძე აღმოჩნდა, სანამ ზარმაცის ნაცვლად უნიჭოს დამძახებდნენ, საქმეს უნდა შეეუდგეო, — მისცა თავის თავს ფიცი.

საქმის დაწყება ძნელია, არც მისი დამთავრებაა დღელი. მაგრამ მთავარია დაიწყო, თუნდაც გარეთ ივლისის მზე ხრუკავდეს ქვეყანას და მთელი ქალაქი ზღვაზე იყოს გახიხნული.

მაინ რა ენაღელებამ, იხვივით ჭუკმპალაო-

ბენ წყალში. ლევან გოლიაძე კი უნდა იჯდეს მაგიდასთან, გაოფლილი შუბლი იწმინდოს და თავისი თავგადასავალი ქაღალდზე გადაიტანოს.

რატომ? რისთვის?

კაბინეტი ნარ-ნარი წაგებინთაა სავსე. ლევან გოლიაძეს ნახეკვარიც არ წუკეთხავს, გადმოიღე რომელი ტომიც გინდა და ისაამოვნე. დიდებული საქმეა, მაგრამ ხომ გახსოვთ, ზოგიერთებმა ერთ წელიწადში რამდენი მოახერხეს!

ლევან გოლიაძე ამხანაგებს რატომ უნდა ჩაშორჩეს, ისიც იქნება შემოქმედებითი ცეცხლით იწვის და რომ არ დაწეროს, არ შეუძლია.

რა ვუყოთ მერე, გრხ 87-78 რემონტის მოლოდინში გარაჟში რომ ისვენებს. იყო დრო, მოასფალტებულ გზებზე მისრიალებდა, ორმოებზე მიხტებოდა. ტალახში ეფლობოდა, ხრამში ვარდებოდა, მანქანას ეკახებოდა.

ბოდა, დაიდგა ამდენ ხეტიალში და რა გასაკვირია, ცოტა რომ დაისვენოს, მანამდე მეტაპატონი იმუშავებს.

მაშ ასე, იწყება გრხ 87-78-ის თავგადასავალი. იგი ამ მოთხრობის ვმრიალ და მისი საგმირო საქმეებიდან მხოლოდ ეროზე შეეჩერებთ თქვენს ყურადღებას. ეს იქნება ერთი ჩვეულებრივი თუ არაჩვეულებრივი მოგზაურობა ქალაქიდან სოფელში.

განკალი კილომეტრებივით ლაგდება შთაბეჭდილებები, განცდილი და ნანახი, საკუთარი ყურით მოსმენილი და სხვისაგან გაგონილი.

შთაბეჭდილებები დაუწერელი წიგნია, გადაშალე და ყველაფერი გაგიოცხლდება: სახეები, საგნები, სიტყვები. მერე ისინი ქაღალდზე უნდა გადაიტანო და დაუწერელი წიგნიც დაიწერება.

დრო და მოთმინება!

თავი პირველი: მოგზაურობის დასაწყისი და კიდევ ცოტა რამ წარსულიდან

არაჩვეულებრივი მოგზაურობა ჩვეულებრივად დაიწყო. პარასკევს, სამსახურიდან დაბრუნებულს, სახლში წერილი დამხვდა.

როგორც ყოველთვის, მეზობლებს ყუთის ჯახსნა მოეწერთო და ახლა წერილის შინაარსი მოელმა ეზომ იცის. ამიტომ არც თქვენ დაგიმალავთ.

აი რა ეწერა წერილში: „ეპატ. ლევან გოლიაძეს. კვირას, 15 მაისს, ჩაის აწონის შემდეგ ნიგზეხიანის კეღტერის სასახლეში გიმპრთება შეხვედრა ჩვენი სოფლის გმოჩენილი ადამიანებთან. თქვენი დასწრება სავალდებულოა. სარგანიზაციო კომიტეტი“.

ასე და ამრიგად ეკვდავეგა საკუთარი ფეხით მომავდა კარზე და კაი გამოჯობა შენით, ხელი ჩამომართვეთ, ალიესეთ შუქით, მეზობლებო, ხომ შეიკითხეთ, ლევან გოლიაძე გამოჩენილი ადამიანიაო!

კვირა ზეგ არის. თუ წასვლას აპირებ, მომზადება უნდა. აპირებ კი წასვლას, ლევან გოლიაძე? მართალი გამოჩენილ ადამიანად ხომ არ ფრმოიდგინე თავი? რატომაც არა, გამოჩენილი ადამიანები ხომ სოფელში იმაღებიან! ბოდა, გადაწყდა. ადგები და წახვალ. ძმაც რამდენი ხანია გეხვეწება, თავი რატომ მოგვანატრეო.

სიტყვა ახლა გრხ 87-78 ეკუთვნის. ჩემი ავტრისფერო „მოსკვიჩო“, წავიდეთ კვირას სოფელში, მტერს თვალი დავუყენოთ, მოყვარე გავახაროთ, გმოჩენილი ადამიანი საკუთარი მანქანით ჩამოვიდაო?

თუმცა საკუთარი მანქანით ახლა ვიღას გაკვირვებ. კარგა ხანია პრაქტიკულად დამტკიცდა ის ჭეშმარიტება, რომ ავტომობილი ფუფუნების საგანი კი არა, მიმოსვლის საშუალებაა. ადგევანდელ ეპოქაში უმანქანოდ ცხოვრება წარმოუდგენელია. აბა რა იქნებოდა სამსახური უმანქანოდ, უფროსი უმანქანოდ, საცოლე უმანქანოდ.

დრო იყო, მანქანა არ არსებობდა, არც მატარებელი არსებობდა და არც თვითმფრინავი. თავიდან არც ურემი იყო და არც ურმულს მღერიდნენ. მერე გამოიგონეს ბორბალი და კაცობრიობამ მოძრაობა დაიწყო. მის შემდეგ ერთ ადგილას ვეღარ ჩერდება. მიქრიან ცაში თუ ხმელთეზე, მანქანები და მატარებლები, თვითმფრინავები და რაკეტები. არაფერი რჩება გამოუგონებელი.

ამასობაში გათენდა კვირა დილა და გრხ 87-78 გარაჟიდან გამოვიყვანე.

— სათი გავიწევვიათ ასე ადრიანად, ლევან ბატონო? — აივანზე გადმოდგა ჩემი კარის მეზობელი.

— რომ გითხრათ, ხაშის საპშელად მივდივარმეთქი, დამიჯერებთ, ქალბატონო ანგელინა?

— რატომაც არა, წუხელ ნასვამი დაბრუნდით...

— კი მაგრამ, ღამის ორ საათამდე არ გეძინთ?

— თქვენ წიგნს ვკითხულობდი და რა დამძინებდა!

— ერთით ნოლია თქვენს სასარგებლოდ და აეწერე ხელები!

— რულისთვის მოგეკიდა, კი ჯობდა, ხეს არ დაეჯახოთ. — გადმომძახა ანგელინამ და სანამ მე პასუხს მოვიფიქრებდი, ოთახში შეეფინა.

ალექსანდრე სამსონია

ამის შემდეგ კოტან რომ გადაგრძნინოს წინ, ადარ უნდა გეშყინოს!

ანგელინა კი წავიდა, მაგრამ ეზოში ახლა მისი შვილი გამოჩნდა. პირველკლასელია, მაგრამ ტექნიკაში ჩემზე უკეთესად ერკვევა. მოტორზე, სიჩქარესა თუ მუხრუჭებზე ისე ლაპარაკობს, რომ მალე ალბათ სპეციალისტ დამსეო, იმასაც მომთხოვს.

— რაო, ბიძიკო. ახლა შენთვის არ მცალია, სოფელში უნდა წავიდე — თავიდანვე გავაფრთხილე მე.

— „მოსკვიჩი“ რად მინდა, დღეს მე გიორგი ბიძიას „ვოლგით“ ვისეირნებ.

— აგაწვნა ღმერთმა, მაგას რა ჯობია!

— *ლევან ბიძია, თქვენ რატომ არა გაყავთ „ვოლგა“?*

— „მოსკვიჩი“ მირჩევნია, ბიძიკო.

— თუ ბევრი ფული არ გაქვთ, გიორგი ბიძიას რომ აქვს იმდენი?

— ვინ გითხრა მაგი შენ?

— დედიკომ.

— ჰოდა, შენს დედიკოს უთხარი, ლევან ბიძია ბევრ ფულს აიღებს და „ფიატს“ იყიდისთქო.

— „ფიატს“ მაინც ახალი „ვოლგა“ ჯობია!

— შენ ნუ გეშინია, ოთარიკო, ორიგეს ვიყიდი!

— ერთში მე ხომ ჩამაჯენ?

— ჭკუით თუ იქნები, სულ გაჩუქებ, ბიძიკო!

არ ვიცი, დაიჯერა თუ არა ჩემი სიტყვები ოთარიკომ, მაგრამ მასთან საუბარმა ბავშვობის ერთი სურათი გამახსენა.

აპრილი. სკოლა. ღია ფანჯრებში აყვავებულ ტყემლებს შემოუყვიათ ხელები, მეშვიდე კლასს გაკვეთილი უცდება და მზიან ეზოში ომობანას თამაშობს. ჩვენი მასწავლებელი კი ჯერ ავად არ გამხდარა.

— გოლიაძე, მოუვეი გაკვეთილი!

— დღეს საზეპირო გვაქვს, მასწ...

— ჰოდა, გისმენ.

ახალთახალ შარაზე
მიჰკრის ავტომობილი, —
ჩემი გადარეული
და კეთილი ძმობილი.

გზა მიეცით მანქანას,
მომავალი მისია, —
იგი ჩვენში ახალი
ყოფის დასაწყისია!..

— გოლიაძეს, ავტომობილი გინახავს? ,

— წვიგნში. კი, მასწავლებელო.

— მე ნამდვილი ავტომობილი მინახავს, მასწ...

— წამოხტა ზაურია ლომაძე, — ბიძაჩემთან ვიყავი ქალაქში და ზოფერმა „კაფინკაში“ ჩამსვა.

მთელი კლასი შურით მისჩერებია ზაურიას. მასწავლებელმა ყველა დაგვამშვიდა.

— მალე ჩვენს სოფელშიც გამოიყვანენ გზას და მანქანაც შემოვა.

ახალთახალ შარაზე
მიჰკრის ავტომობილი...

ეზოში მეშვიდეკლასელები ომობანას თამაშობენ.

ღია ფანჯრებში აყვავებულ ტყემლებს შემოუყვიათ ხელები.

...მერე გაიყვანეს გზა, მაგრამ მანქანაზე ადრე ტრაქტორი შემოვიდა. ტრაქტორზე ადრე კი სიმღერა ვიცოდით.

ბელეხის ქალო, შენ იქნები
ამ ტრაქტორის ზოფერი,
გამოგიგლი სამუშაოდ,
გავახაროთ სოფელი...

თავი მეორე: შეხვედრები და მოგონებები

გრხ 87-78 კარგა ხანია ქალაქს გასცდა და ახლა სოფლის გზებს მიჰყვება. ისეთი პოეტური დილაა, გარშემოც ისეთი სილამაზეა, რომ ლევან გოლიაძეს ერთი ცნობილი ლექსი გაახსენდა და სიმღერა დაიწყო. მე შენ გეტყვი და, სასიმღეროდ არა აქვს საქმე! — საკუთარი მანქანით საკუთარ სოფელში გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრაზე მიეგზავნება.

იმღერე, ლევან, იმღერე, ყურს მაინც არავინ გიგდებს, არც შენი სიხარული იცის არავინ, შენ ახლა ფრთები გასხია და ანველოზებთან დაფრინავ, შენ ახლა, მანქანა რომ დაგეკახოს და ცალი ფარი შეგიღეწოს, რატომ მეორეც არ დამიჭერიეო, იმაზე გაბრაზდები.

მაგ ასე, მაისის დილაა. ცა ულრუბლოა და რასაკვირველია, მზეც ანათებს. გზა მდინარის ნაპირს მიუყვება. მდინარის გარშემო ბალია. ბალში ტრაქტორი გუგუნებს. ვლეხები სიმინდს თესავენ.

გზის ნაპირას უზარმაზარი ნიგოზი დგას (სწორი იქნებოდა კაკალი მეთქვა, მაგრამ მაშინ სოფელს ნიგვზნაინს მაგიერად კაკლიანი უნდა დავარქვათ და ნიგვზიან ლობიოსაც უნდა გამოეცვალოთ სახელი).

ამ ნიგვზის ჩრდილში, სადაც ახალგაზრდა ბიჭები ისვენებენ, შეჩერდა ლევან გოლიაძის აგურისფერი „მოსკვიჩი“.

— გამარჯობა, ბიჭებო!

— გაგიმარჯოთ, ბიჭებო!

— ერთი კაცი ვარ, მრავლობითში რატომ მესაუბრებით?

— ზენი მანქანა კაცზე ნაკლებია თუ, ორმოცდა ხუთი ცხენის ძალა აქვს.

ჩათრევას ისევ ჩაყოლა სჯობს.

— სამხედრო საიდუმლოა თუ არ არის, ბოდიშრთით, ასე რომ წაგიხდინათ ხასიათი.

— თბილისს „დინამოში“ წაგო და იმას ეფარფლობთ, — ამიხსნა წვერმოშვებულმა ახალგაზრდამ.

— წვერი მეც მქონდა ბედაური, მაგრამ ამ ღილით მოვიპარსე.

— ჯოდა, მომაწვეე ახლა პაპიროსი! — მანქანასთან მოვიდა წვერა.

— პაპიროსს არ ვეწევი, ექიმები ამბობენ, კიბოს აჩენსო.

— არ მითხრა ახლა, ღვინოსაც არ ვსვამ!

— თუ დამალეკინებენ, უარს არ გეტყვი.

— მერე მანქანა მისით წავა ამ გზაზე?

— ჩემი მანქანის ამბავი მე ვიცი, ერთი ჭიქის ნუბას კი მომცემს.

— ხომ გითხარით, კაცი მაგი ყოფილა კაცური!

ნიავზის ძირში სახელდახელო სუფრა გაიშალა. ფოქიდან ღვინო გადმოასხეს და ჭიქა მომაწოდეს.

— ცოლიკაურია, ხომ? — ეკითხე მე.

— ოღონდ უშაქრო. თუ გინდა, მოქაფული ადუაც გვაქვს, — მითხრა წვერამ.

— უშაქრო ცოლიკაურს რა ჯობს, — ჭიქას გაეხედე მე, — ამით თქვენს მარჯვენას გაუმარჯოს, გეტყობათ ყოჩაღი ბიჭები ხართ, შრომა გიყვართ.

— შრომა იცოცხლე. სულ ვახტზე ვდგავართ და ჩამოსვლას არ ვაპირებთ.

— ასეთი ლაბარაკი რაფ გინდათ ახლა?

— ასეთი ლაბარაკი თქვენ გვასწავლეთ, ამხანაგო კორესპონდენტო.

ეი თურმე სად ყოფილა ძალლის თავი დამარხული!

— შეცდით, ბიჭებო. მე კორესპონდენტი არა ვარ.

— მაშინ ბოდიში, მაგრამ ერთ კაცს ძალიან მოგამგავხეთ, ჩვენი რაიონის გახეთში მეშაოს და ხანდახან ისეთი რაღაცას დაწერს, წაკითხვაც გერცხვენა.

— მაინც რას წერს ამისთანას?

— მუსაინდლეები იმას ნატრობენ, ღილ-როდის გათენდება და ყანაში სათოხავად როდის წავალო.

სიცრცონ სიცილი წვერას ხმამ დაფარა.

— მე თურმე ბავშვობიდან იმას ენატრობდი, თოხს როდის დავიჭერ ხელში-მეთქი. მაგას რა ნატერა უნდა. კარგი ის იყო, ავორნიმიულზე მოეწყობილიყავი...

ახალგაზრდების სიცილი ახლაც მესმის, თუმცა გრხ 87-78 ჭალას გასცდა და აღმართს შეუყვა.

ნახევარ საათში წიფლიანში ვიყავი და ბაზარშიც შევიარე.

ბაზარში სარული სტუდენტობის დროიდან შემიყვარდა, რაც უნდა მძაღარი ვეყოფილიყავი, უხორცო ბორშისა და ვულაშის შემდეგ ამდენი ხორაგის ნახვა მაინც მადაზე მომიყვანდა. სოფელს მონატრებული კაცისათვის ბაზარში ხტეალზე დიდი სიამოვნება არ არსებობს, გავსაყურებინი შემოდგომაზე, როცა მთელი სეფ-რაველო ერთ ჰექტარ ფართობზე გამოფენილა და ყოველი კუთხიდან ჩამოტანილი ჭირნახეული თვალს გიჯერებლებს და თავბრეს დაგაბვევს. ახლა არც შემოდგომაა და არც თბილისია ბაზარი, მაგრამ წიფლიანშიც ბევრი რამის ნახვა შეიძლება.

აგერ, ამ პატარა ბიჭთან გავჩერდები, შობელს რომ დახლთან დიტოვებია. სასწორს ვერც კი წვდება, მაგრამ მუშტრებს ისე რიხიანად ეპატიჟება, ბაზარში დაბადებული გეგონება.

— აბა ვაშლი, კარგი ვაშლი!

— იფ, იფ, ვაშლი კი არა, თაფლი!

— რა ღირს, ბიჭო, შენი ვაშლი?

— ორი მანეთი.

— ძველი ფულით?

— ძველი ფულით მეორე ბაზარში ვაჭრობენ.

ამაზე იტყვიან, ხეირდა ზუსტად დაგბერუნაო.

— რა ქქვია, ბიჭაკო, შენ?

— მე ამბაკო მქვია და დასაცინი სახლში გეყოლება.

— რამდენი წლისა ხარ, ამბაკო, შენ?

— თერმომეტის შარშან ამ დროს ვიყავი... წადი რა, ბიძია, მუშტარი ნუ გამიქცე...

მეც ამბაკოს კბილა ვიქნებოდი, პირველად რომ დახლთან დავდექი. პირველად და უკანასკნელად. არც მბარტო წავსულვარ. ჩვენს მეზობელს ალფეზა ნიორაძეს გამაყოლეს, ოცდახუთი კვერცხი ენდო გამეყიდა. იმ ფულით კი სოფელში ფქვილი უნდა ჩამეტანა.

ორმოცდაორი წელი იყო და ერთი კვერცხი თუმანი ღირდა. ტაფაშვეარი არც ჩვენ გვაწყენდა, მაგრამ უკვდოდ რომ არ დაერჩენილიყავით, ამიტომ გამოვიზოგეთ.

სიკვდილივით არ მინდოდა ბაზარში წასვლა, მაგრამ ოჯახში უფროსი კაცი მე ვიყავი და სხვა რა გზა იყო.

ვდგავარ ალფეზა ნიორაძის კვერცხით დახლთან და იმის მაგვარად, მუშტარი რომ მოვიპატიჟო, ქურდივით თვალს ვარიდებ.

ალექსანდრე სამსონია
შეხვედრა

ხალხი კი მაინც არ მეშვება.

— რას ყიდი, ბიჭო, შენ?

— კორკიმელს, — ჩემს მაგივრად პასუხობს ალფეზა.

— მართლაც რომ კორკიმელის ხელია. რა ღირს?

— თუმანი. — ვუთხარი მე წინასწარ დადგენილი ფასი.

— ხუთ მანეთად არ იქნება?

კინაღამ თავი დავუქნე, მაგრამ ალფეზას თვალებმა გამაჩერა. დახლს შაოსანი ქალი მოადგა.

— რაკა ყიდი, შვილო კვერცხს?

— თუმნად, ბიკოო.

— თუმანი ძვირია, ნენა, რვა მანეთად მომეცი, ღმერთი გაგზრდიოს... ბადიშიზა მინდა. მამაშისი ჯარში დაიკარგა...

მე ბუთრიეთი მოვაწვა ყელში რაღაცა, ალფეზა კი ეთითმეტ არაფერი.

— ამის მამაც ჯარში დაიკარგა, — ანიშნა ჩემზე და თუთუნი გაადუღილა.

ქალი უხმოდ მიბრუნდა. მე ვეღარ მოკითხმინე.

— მობრძანდით, ბიკოო, რვა მანეთად ეყიდეთ.

შაოსანი და ინვალიდი ბაზარში ბევრი იყო. არეცერთთან ვაჭრობა არ დამიწყია.

— შენ, ბიძაკო, დახლთან კი არა, ეკლესიის კარებთან უნდა იდგე, — გაგიკვრა ალფეზა, — აწი მე ბაზარში შენი წამომყვანი არა ვარ.

ომის დროს ჩვენს გზებზე დღეში ერთი ადბარკო მანქანის მეტი არ ჩაივლდა. თუ გაგიჩერებდა და ხალხით გიჭედილ ძარაზე დასაჯდომს მონახავდი, კაცი შენ იყავი ბედაური. არა და ოცი კილომეტრი ცენტრამდე ფეხით უნდა გაგვევლო. შემოვიდგამდით მხარზე წოლილად შეღებილ ფანერის ჩემოდნებს და სვეტებ-სვეტებით გაეფუჯებოდით გზას.

ცოდვა წვიმაში ვიყავით, როცა ყველანაირ გვილოქმებლობით. ბევრჯერ დამიფიცებია, კოლმეურნეობის თავმჯდომარე მეც გავხდები და სულ „კაფიტკაში“ ვიჯდები-მეთქი, ვინც გზაზე შეხვდება, ყველას გავუჩერებ და კაპიკს არავის გადავახდევინებ-მეთქი.

თავმჯდომარე, მართალია, ვერ გავხდი, მაგრამ ნატერა მაინც ავისრულე: ეზიარო ახლა საკუთარ „მოსკვიჩში“ და მგზავრს ვეძებ წასაყვანად.

— გამარჯობა, ბაბუა.

— გაგიმარჯოს, შვილო.

— სადი გაგიწევიათ?

— ნაყანებში მივდივარ.

— აბა, ერთი გზა გვქონია, დაბრძანდით.

— ძალლობელი ვარ, მაგრამ...

— მოხალტერე არ გეგონოთ. ძალიან ვთხოვო.

— მაგაზე როგორ გაწყენინებ.

სიჩქარე კარგად ვერ გამოვცადეთ და მაქანა ცოტა ამიხმაურდა.

— ჩემი ნახვა ხომ არ ეწყინა? — ეკითხა ბერიაკაცმა.

— სიჩქარის კოლოფს უკერს პატარა, — ავუხსენი მე.

— ჩემსავით ყოფილა. — გაიცინა მოხუცმა. — საკუთარია?

— საკუთარია, მაგრამ რესტორნის დირექტორი და ფეხბურთელი არ გახლავართ, მწეველობით ვირჩენ თავს.

— რას წერ მერე ამისთანას?

— რასაც მოვახერხებ, ბაბუ.

— არაა ცუდი საქმე, მაგრამ მწერალ კაცს უკეთესი მანქანა შეეფერება. „მოსკვიჩს“ ახლა ჩვენს სოფელშიც იწუნებს ხალხი. თუ ყოლაა, „ეოლა“ უნდა გყავდეს.

— თქვენს სოფელებს მე როგორ შევეფერები.

— ეშრომობთ და ფულიც იმიტომ გეკვეს, ბიძაკო. ოღონდ მანქანის გამოყენება გეკიცრს პატარა. ჰეი გიდი, როგორ შეიცვალა დრო, კოლმეურნეობაზეა სოფელში და ახლა ფეხით სიარულს ადარ ვკადრულობთ.

მოსაბეევი გათავდა და სწორ გზაზე გავეცალეთ.

— რესტორანში არ ვმუშაობო, მაგი ოატომ მითხარი? — მეკითხება მოხუცი.

— რატომ და ამას წინით ერთმა კაცმა დაიჩემა, საკუთარ მანქანას მარტო მეშოფერებენ ყიდულობენო.

— თუ ჭკუა აქვს, მეშოფერე მანქანასა არ იყიდის.

— არ იყიდის თუ ვერ იყიდის?

— თუ სხეის ჯიბეს არ უფერებს, ნამდვილად ვერ იყიდის, ოთხი ათასზე მეტი ხომ ღირს ახლა ეს მანქანა?

— არაა ეოტა ფული.

— მეც მაგას ვეკითხები, ჯამაგირს რომ კაპიკი არ მოაკლოს, რამდენ ხანში უნდა იყიდოს?

— მთელი სიცოცხლე დასჭირდება.

— მერე რეკეზია და კონტრო�t უნდა მაგას? მოკიდე ხელი და ჩამოართვი.

— იქნებ სოფელში მანდარინის ბაღი აქვს?

— მანდარინის ბაღი სოფელში მე და ჩემს მეზობლებს ვვაქვს. გითხარი უკვე, ვინც პატიოსნად შრომობს, სასაყვედურო არაფერი აქვს-მეთქი, მაკეთვარს და ტელეეზორს დღეს ყველა ოჯახში ნახავ, ბევრს მანქანაც უყვნია ეზოში.

— შეძლებული ხალხი ყოფილხართ.

— ჩაიმ და ციტრუსმა გაგვმართა წელში. არ იყო წინათ მაგი და საშოვარზე გვძვრებოდა სული. „პალიატომის ტბა“ ხომ წაგიკითხავს შენ?

— მისწავლია კიდეც სკოლაში.

— ხომ ვახსოვს, ერთი ბლეხი მეორეს რომ ეკითხება, ხო მეურე პატენიო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგი რავა არ მახსოვს, ფოთიშა მეეტრ პატენიო...

— რატომ მერეო?

— ოქნება ერიოდა ფარა ქიფშუაო...

— იცოდა გაჭირვებულმა ეგნატმან მაგი ამბავი, — ამოოხრა მოხუცმა, — ისიც შენსავით **მწ**ყრალი იყო.

— ჩემზე პატარა უკეთესი მწ**ყ**რალი კი იყო, მაგრამ ისეთ მანქანას მაშინ საფრანგეთშიც ვერ ნახავდა.

— აბა, აბა, — კვერი დამიკრა ბერიკაცმა, — ელექტრონი სად იყო იმ დროს, ფიჩხის ალზე წერდა საწყალი, მაგრამ ცუდი არ გამოსელია.

— მართალი ბრძანდებით, ბაბუა, ეგნატე ნინოშვილი ხალხის საყვარელი მწერალია.

— ამ ხალხის ამბავი იცოდა და კიდევ სა... მართლეს რომ წერდა, ამბავი.... შენ ხედ... ამ ლაპარაკ-ლაპარაკში სახლში არ ჩამოსულ-ვარო!

მანქანა შეეჯიერე.

— დიდი მადლობელი ვარ შენთან, — ხელი ჩამომართვა მოხუცმა, — ვიკავეცურად მითხარი, ხომ არ გაწყენინე **რაზე?**

— როგორ გეკადრებათ, ბაბუა.

— აბა შეეუხეთით ჩემთან.

— რომ არ მიჩქარებოდეს, უარს არ ეტ... ყოდით.

— მაშინ აქეთობას გამოიარე, ამ შუკის ბოლოში ვცხოვრობ, ძალიან გამახარებ, იცოდე...

თავი მესამე: ლევან გოლიაძე გზაში ერთ ბიჭს ნახავს და თავისი სტუდენტობა მოაგონდება

მოასფალტებული გზა სოფელს ორად ჰყოფს. აქეთ-იქით ორსართულიანი ოდასახლები ჩამწკრივებულან და გამეელულებს თვალს აწონებენ. თვალი კი ხილამაზით ვერ ძღება. აბიბინებდეთ კოლხიანი, ნაყოფით დახუნძლული ხეხილი, ტალავერზე გაბარდული ვაზი და ჭიშკართან გადაწოლილ-დაწოლილი ვარდები.

რამდენი ფილმი გადაუღიათ ამ კუთხეზე, მაგრამ თითქმის ყველგან ბაღნარის ნაცვლად გადაბეგული უდაბნო უჩვენებიათ, კინემატოგრაფიულად ასე უკეთესიათ, მაგრამ ქართველ კაცს რომ ეზოში ერთი ძირი ხეც არ უდგას, ეს არავის აწუხებს.

გრხ 87-78 ნელ-ნელა მიპყვება სოფლის გზას. ასაჩქარებელი არაფერი მაქვს და მაგდანიდან ჩამოსული ტურისტივით, ყველაფერს ხარბად ვაკვირდები.

ჩემმა ბავშობამ ამ გზებზე გაირბინა, თითქოს ყველაფერი ნაცნობი და შშობლიური... მაგრამ თვალი მაინც იმდენ სიახლეს ამჩნევს, რომ მოკვირის, როდის მოსწრეს გაკეთება; ეა ახალი ხიდი როდის ააგეს, ორსართულიანი სკოლა და კულტურის სახლი როდის წამოეშმეს სოფლის ცენტრში.

მიპყვება ნელ-ნელა გრხ 87-78 სოფლის გზებს. შუადღეა, მაგრამ ჭადრების ტოტებში მზე ვერ ატანს. თითქოს ტყეში იყო, ისეთი სიგრილე და სიწყნარეა. არც შემხვედრი მანქანები ჩანან და არც მგზავრები, ბოლოს, როგორც იქნა, ერთ ახალგაზრდას წამოვეწევე.

ჩაჯდომა ეიარა, ახლოს ვცხოვრობო, მაგრამ რომ შეეხვეწე, კაცთან დალაპარაკება მომენატრა-მეთქი, მაგაზე როგორ გაწყენინებო, ჭითხრა. ხელში რომ დიდი შეეკრა ეპრი, უკან გადადო.

— უნგრული საზიფხულო კოსტუმია, თბილისში რომ გამოცდების ჩასაბარებლად წავალ, მაშინ ჩავიცვამ.

— სად იყიდე ეს კოსტუმი?

— ჩვენი სოფლის მაღაზიაში. გერმანელი... იყო, მაგრამ ეს ვამჯობინე.

— თქვენს მაღაზიაში?

— რატომ გიკვირეეთ, ამდენ საქონელს ქალაქშიც ვერ ნახავთ. მანქანის ნაწილები თუ დაგჭირდეთ, ჩვენთან ამოვეთი.

შეეტუხა, ლამაზი ბიჭი. ქოჩორს, ეტყობა, საგულდაგულოდ უვლის, სამართველის ხმარება ახლა დაუწყია.

— რა ქქვია, ბიჭი, შენ?

ისე მიპასუხა, რომ — „ბიჭი“ ნამდვილად არ მოეწონა.

— გურამი, ბიძია.

—შენსავთან ქოჩორი რომ მქონდეს, მაშინ ხომ არ დამიძახებდი ბიძიას? — გამეცინა მე.

— საწყენად კი არ მითქვამს, — შეწუხდა ბიჭი.

— ჩემო გურამ, კარგად მომისმენე, მე რომ შენსავით სკოლას გამთავრებდი, უნგრული კოსტუმი არ მეცვა.

— მაშინ სხვა დრო იყო...

—გამოცდაზე მაგალითის გამოსაყვანად რომ გავდიოდი, დაფასთან დადგომა მრცხვენინდა... რატომ თუ იცი?

— ალბათ, ბილეთი შეგხვდათ ცუდი.

— ცუდი შარვალი მეცვა, ჩემო გურამ, ორივე მხარეზე დაკეერებული.

— კი ვიცი მაგი, ომის დროს ხალხს უჭირდა.

— მე რომ ატესტატი ავიღე, ომი დამთავ-

ალექსანდრე სამსონია
შეხვედრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებული იყო. უნგრული კოსტუმი კი არა, ჯარისკაცის ჩექმა ეკეთრობდი, თოფლა და წვრილში მაგაზე ულეფთეს რას ჩაიცვამდა კაცი! რამდენჯერ მოიცვეფია, აი ახლა შემოალებს ჯარიდან დაბრუნებული მამაჩემი კარებს და მისი ჩექმით მე ვიფლი-მეთქ.

— ბოლოს ბოლოს!ბოლოდთ ოცნება...

— არა, ჩემო გურამ, მამა ჯარიდან არ დაბრუნებულა.

დემბილს მხოლოდ მოტორის ხმაური აღელვებს. მაინც რატომ გადავეკიდე ახლა ამ ბიჭს.

— აგერ ჩემი სახლია, — მაჩვენებს გუთამი.

— ნახვამდის, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს ეს კოსტუმი.

გურამი წასვლას არ ჩქარობს.

— ჩამობრძანდით რა, ძალიან გთხოვთ...

— დრო რომ მქონდეს, არ გაწყენინებდი.

— ერთი წუთით მხოლოდ... დედა, გამოიხედე გარეთ..

— მეჩქარება-მეთქი, ხომ გითხარი.

ეზოკართან გურამის დედა მოვიდა.

— მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით.

— ნე წუხდებით, ქალბატონო.

ბატიკი გაგვიგრძელდა.

გურამმა დიერი ლენინ მოარბენინა და ეზოში შეაყენა.

— მამათქვენის ხსოვნის იყოს... დედა, ამის მამა ომში დაიღუპა.

— ხსოვნა იყოს, ჩემო ბატონო, ომი და ბაკურავება ალარ გვენახოს.

— შენც გაგიმარჯოს, ჩემო გურამ, შენს უმაღლესში მოწყობას გაუმარჯოს!

— გვედრისება ეთხოვ მაგი? — კითხულობს ქალი.

— ცუდად ხომ არ სწავლობს თქვენი შვილი?

— სამიანი არ გამორეკია, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— ჩვენისთანა ხალხს უმაღლესში ვინ მიიღებს?

— თქვენისთანა რას ქვია?..

— რა ეიცი... ცა და ქვეყანა სასწავლებლად გარბის, ყველს ხომ არ ეყოფა ეს უმაღლესი!

— სად აპირებ, გურამ, შესვლას?

— ფილოლოგიურზე მინდა, უნივერსიტეტში.

— მერე შენც ასე ფიქრობ?

— საკუთარი თავის იმედი რომ არ მქონდეს, თბილისში ჩასვლას ვერც გავბედავდი. თუ გამიმარილა...

— შენ კარგად ბოლმეზადე და აუცილებლად გაგიმართლებს. იცი შენ უნივერსიტეტი ვისი დაარსებულია?

— ივანე ჯავახიშვილის, პეტრე მელიქიშვილის!..

გურამის დედა მაინც არ მეშვება.

DIGITIZED BY NATIONAL LIBRARY OF GEORGIA

დედა-შვილს სარქაროდ ეკმშვიდობები დ[illegible] გზას განაგრძობ.

ცა და ქვეყანა სასწავლებლად გარბისო, რომ ჩიკის გურამის დედა, იმ ცისა და ქვეყანაში ხომ მისი შვილიაა. თუ ვერ მოეწყო, სხვას დაიბარებს, ფული არ მქონდა და ბავშვი დამინიგრეს, ამისთანა ხალხს ენაზე აკერია, უფულოდ და უნაცნობოდ უმაღლესს კარებს არ გაგიღებენო.

ჩვენ რომ უნივერსიტეტის კარი შევაღეთ, იმ წელს ეკონომისტიკის განყოფილება ახალგახსნილი იყო და იმდენი ნიჭიერი ხალხი მოგროვდა, რომ სამუთების მიღებას ვერ ეუდიოდნენ.

ნიჭიერების შორის ძალიან ნიჭიერებიც იყვნენ, ვისაც „პიონერში“ ან „ნორჩ ლენინელში“ ლექსი ან უკადრეს შემთხვევაში კორესპონდენცია დაებეჭდა. მეფლებთან ერთად მა[illegible] ათასი სიგელი და დახასიათება წამოეღოთ.

ასეთი ძალიან ნიჭიერი ხალხისათვის რეკტორმა სპეციალური გამოცდა დანიშნა. სხვაგან მას გასაუბრებას უწოდებენ, ჩვენ კი ნამდვილი წერითი გამოცდა გვქონდა და ნამუშევრებიც თვითონ ბატონმა რეკტორმა გაასწორა. თქვენ წარმოიდგინეთ, რა დღეში ვიქნებოდით, როცა ამ კაცის მარტო სახელის გაგონებისა გვეშინოდა.

წერას რომ მოვრჩით, აუდიტორიაში შეგროვილებს პირველი განაჩენი მდიანმა წაგვაკითხა.

აბულაძე — არ არის მიღებული.

არჩვაძე — არ არის მიღებული.

ფხალაძე — არ არის მიღებული.

აბულაძე, არჩვაძე და ფხალაძე ყვირილს როგორ დაიწყებდნენ, უკანონოდ დავინაგრეთო. გულში ალბათ გაიფიქრეს, ძალიან ნიჭიერები არ ეყოფიანო და სხვა ფაკულტეტზე გადავიტანთ სატხეთებსო.

ალფაბეტის მიხედვით ჩემი ჯერიც მოვიდა.

— გოლაძე და გუმბერიძე... — მდიანი შეჩერდა, ჩვენ კი გული ჩავაწყდა; ახლა რომ თქვას, არ არიან მიღებულნი, სად მიხვალ მაგრე!

— გოლაძე და გუმბერიძე, — თავიდან დაიწყო მდიანმა, — რეკტორთან!

— შეიძლება?

— მობრძანდით.

რეკტორის სათვალეს კი ეხვეჭა, მაგრამ როგორი თვალით მიყურებს — იმის ჯერი. ალბათ, ძალიან მცაცრად. ყოველ შემთხვევაში მე ასე მეჩვენება.

— მანდ რას გაჩერებულხარ, მაგიდასთან მოიწიე.

— ვიდგები, პატივცემულო, ასე მირჩევნია.

— ასე გირჩევნია? კეთილი... მაშ, ლევან გოლაძე ხარ, არა?

— დიახ, პატივცემულო.

— ამ ნაწერს თუ იცნობ, ჩემო ლევან? —

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეტორი წითელი ფანქრით ნასწორებ ფურცელს მიჩვენებს.

ვიცნობ კი არა, მაგრამ დაწერაში მე რომ დღე ვადამხდა!

— ჩემი ნაწერი გახლავთ...

— ეერფფერი შეელი მაინცდამაინც... დამოუკიდებელად უნდა იაზროვნოო, ყმაწვილო, ხმა ნათქვამს რატომ იმეორებთ?..

— სკოლაში ასე გვასწავლეს, პატივცემულო...

— ეტყობა, კარგად ვერ უსწავლებიათ... რა ქენით ახლა ჩვენ?

მისი არ ვიცი და მე მართლაც რა უნდა ქენა! დაარწმუნეს ახლა ეინმეს, კარგად დავწერე, მაგრამ რეტორი ამიხირდო, ან სწორედ ის, მეორდნი რომ ერთ ქვის ბული უდევს და ყველას რომ ზიშის ზარსა სცემს.

— ლევან გოლიაძეკ, ჩემი შეკითხვა ვერ გაიგიონეთ?

— ბოდიში, პატივცემულო.

— ბოდიში სიტმეს ვერ შეეელს... იცი რა? — ინერვიზდე გადროოვ, ინასაც ენაზე, სესიებზე როგორ ივიკაკცებ. მოკლედ, ჩარიცხული ხარ, მაგრამ იცოდ...

„ჩარიცხული ხარო?!“

— გმადლობთ, პატივცემულო.

— ახლა შენ წადი და გუმბერიძეს დამიძახე.

დერეფანში ტრიუმფატორივით გამოვდივარ. იმდენი შეკითხვა დამაყოლეს, არ ვიცი, რომელ ერთს ეუპასუხო.

— მართალი ასეთი მკაცრია რეტორი? — მეკითხება გუმბერიძე.

— შეხვალ და გიკვებ, მიდი, ნუ გეშინია, მკაცრი კი არა, მაგაზე კეთილი კაცი მე არ შეხვედრია.

ასე და ამრიგად ლევან გოლიაძე პირველი კურსის სტუდენტი გახდა. ახლა სანამ გრხ 87-78-ს ახალი მაზარი არ უშოვნია, შემოქმედების პირველი ნაბიჯებიც გავიხსენოთ.

მომავალმა ეკონომისტმა ლევან გოლიაძემ ცენტრალურ პიესაში პირველი კორესპონდენცია მეორე კურსზე დაბეჭდა. მანამდე თითქმის ყოველდღე აწუხებდა რედაქციებს, მაგრამ პასუხი მუდამ სტანდარტული იყო: „ჩვენთვის არ გამოდგება“, „ჟანტალური არაა“ და ასე შემდეგ.

ეს წერილები, უფრო სწორად საჩივრები, უნივერსიტეტსა და სტუდენტებზე შეეხებოდა. მაგალითად, რატომ ახალ ფილმებს არ გვიჩვენებენო, რატომ არის ბორშჩი უხორცოო და სხვა ამისთანები.

სანამ ლევან გოლიაძე ინფორმაციებს წერდა, მისმა თანაკურსელმა ზურაბ მახვილაძემ ახალგაზრდულ ყურნალში პატარა მოთხრობა დაბეჭდა და, როგორც იტყვიან, მთელ კურსს ბანი მოუხსნა.

იმ წლებში პროზის კრებისი შემოჩნდაო ეროვნული ბიბლიოთეკა და მახვილაძის პატარა მოთხრობაზე დიდი ხმაური იტყდა. ლიტერატურულმა წრემ ფართოდ განიხილა ახალგაზრდა მწერლის პირველი შედეგი. იმდენი აქეს, რომ ზურაბ მახვილაძემ იფიქრა, თუ მოეკედი, ბოსშენდაზე დამარხეს არ აწყდებამ.

სწორედ ამ განხილვის ანგარიში დაუბეჭდავ-გაზეთში ლევან გოლიაძეს. თვითონ ხომ გახარებული იყო, მაგრამ არც იმაში ეპარებოდა ეჭვი, მახვილაძე რესტორანში დამშეტიკეესო.

რესტორნის ნა მოგახსენო და, ლევანი რომ ახალგაზრდა პროზაიკოსზე მაღალი არ ყოფილიყო, ალბათ გალანგა არ აცდებოდა. მახვილაძემ მარტო საყვედური აკმარა, სამკლოვიიარო განცხადება ხომ არ იყო, ორი სიტყვის მეტი რომ ვერ გიამეტეო.

— ორი სიტყვა კი არა, ორი ფურცელი გაკუეზავენ, მაგრამ რედაქციაში შემოიცრეს, — თავი იმართო ლევანმა.

— აბდა-უბდას მოყეკებოდი და აბა რას ვიზამდნენო, — არ მოეშვა მწერალი.

ამ სიტყვებმა ლევან გოლიაძე წონასწორობიდან გამოიყვანა.

— იცი რას ვეტყვი? აბდა-უბდა შენი მოთხრობაა.

— თვალში ხომ არ გეპატარავები! — იყვირა ზურაბ მახვილაძემ.

— ძალიან მეპატარავები!

ამის შემდეგ ჩხეტი უნდა დაწყებულიყო, მაგრამ მომცრო ტანის ზურაბ მახვილაძემ ხელის მოქნევა ვერ გაბედა. მან მხოლოდ ხელი ჩაიქნია.

— შერიანი ხარ და მეტი არაფერი!

— შერიანი კი ვარ, — დაეთანხმა ლევან გოლიაძე, — ნერვეები მეშლება, რომ ბალზაკთანა რომანებს ვერ ვწერ.

— რომანი კი არა, სახლში წერილი ვერ მიგიწერია, — მიუკო ზურაბ მახვილაძემ და სასეირნოდ მოსულ ხალხს ამაყად გადახედა, ეს რა მოსწრებულად გამომეიდო.

უკან დახევა ალარ შეიძლებოდა და ლევან გოლიაძე შეტევაზე გადავიდა.

— წერილი რა მოსატანია. შენ რომ მოთხრობა გაქვს, იმისთანას მე ცალი ხელით დავწერ.

— ვინც არ დაწეროს?

— ა, ბატონო, დღეს შაბათი ხომაა? ორშაბათს ეს ხალხი ფილმს ბოლმე, თუ არ ნაგაბარო.

ლევანმა სიტყვა შეასრულა. ორშაბათს მოთხრობა მოიტანა და ჯგუფში წაიკითხა. ცუდიაო, ზურაბ მახვილაძის გარდა არავის უთ-

---

ალექსანდრე სამსონია
შეხვედრა

ქვაში. ზოგიერთმა ისიც კი დასძინა, ნაცობი რომ გაუჯდეს, ჟურნალები დაგიბეჭდავენო.

ნაცობი ლევან გოლიაძეს რედაქციაში მართლა ჰყავდა. ერთ უბანში ცხოვრობდნენ და ყოველ დილით გამარჯობა-გაგიმარჯოსო, ესალმებოდნენ. ერთხელ სტადიონზე ლევანმა იმ კაცს ზედმეტი ბილეთი დაუთმო და ფული არ გამოურთმევია.

კარგი ქენი, ქვაზე დადეო, გვასაწყლის ანდაზა, ამ ჯენტლმენებში ლევან გოლიაძე მაშინ დარწმუნდა, როცა რედაქციის კარებში შეადგა.

ეს ვინ მოსულაო, — გაეხარდა ნაცობს და ძმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგ რა სათქმელია, — დაიმორცხვა სტეფანემ და ჩაჰთიდან რუკა ამოიღო,

— დაახლოებით ამ ადგილებში მდებარეობს ორომდაოთის ცნობილი მონასტერი...

— ორომდაოს მონასტერი? — გამიკვირდა მე.

— დიახ, მე—12 საუკუნის ბოლოს. ოსმალთა შემოსევის დროს ამ მონასტერში ქრისტიანები იმალებოდნენ.

— გამახსენდა, გამახსენდა... ნიკეზნიანში მიდელამდე, ბორაზე, სახელიც მიტომ აქვია ასეთი.

— რესტავრაციი ჯერ ხომ არ დაუწყიათ?

— მაგდენი ფული ვიცი.

— ალბათ, აქაური არ ბრძანდებიან, — შენიშნა ვალიან.

— აქ გავიზარდე, მაგრამ ახლა ქალაქში ვცხოვრობ და ოჯიეთად მიხდება ამოსვლა.

— ეს კი ვერ მოგიწონეთ. ასეთი კეთილ ბერნოდეთ და ყოველდღე არ დადიოდეთ მის სანახავად...

— ძნელია ქალაქელი კაცის სახლიდან გამოყვანა, ათასი მიზეზი გამოუნახდება.

— და მაინც დრო უნდა გამონახოთ ამ სილამაზისათვის, — თქვა სტეფანემ. — სამოთხე პირდაპირ, ხელის განძარევაც არ ვინდა, ყველაფერი ღმერთს მოუცია.

— ღმერთი ძალიან გვწყალობს... რას იტყვით თქვენ, ვალია?

— ნამდვილად დალოცვილი მიწაა, ყველაფერი ხარობს, ჩაი, ციტრუსი, დაფნა...

გზა ჩაის პლანტაციებს მიუყვება. ბუჩქებს ქილიკქუდიანნი მარეფფიები შესვენან.

— ვალია, ჩაი მოგიკრეფიათ როდისმე?

— აბა, სად უნდა მომეკრიფა?

— არც თქვენ, სტეფანე?

— არასოდეს.

— ჰოდა, ცოტა ხანს შევიყვანოთ, პლანტაციებს დავათვალიერებნენთ.

გრძ 37-78 ნაძვების ჩრდილში დავაყენე და ბაღმოვედით.

გიდობა მე ვიკისრე.

— როგორც პატივცემულმა სტეფანემ ბრძანა, 1905 წელს ამ ადგილებში სისხლისმღვრელი შეტაკება მოხდა. დღეს კი საბჭოთა მეურნეობის ჩაის პლანტაციები გაშენებული. ამ მეურნეობაში ქართველებთან ერთად შრომობენ რუსები, სომხები, ქურთები და სხვა ეროვნებანი ადამიანები. რაც შეეხება ჩაის კრეფას, ის რომ ადვილი საქმე არაა, პრაქტიკულად დავამტკიცოთ... ვალია, თუ შეიძლება, ერთი მუჭა ჩაი მოკრიფეთ, სტეფანეკე დაგეხმარებათ... ოღონდ ცოტა ჩქარა... ორი და სამდუყიანი ფოთოლი შეარჩიეთ. ადვილი საქმე, არაა, ხომ? ძალიან ყარგი... თქვენი აზრით, რამდენი გრამი იქნება ეს ერთი მუჭა ფოთოლი?

— ორმოცდაათი ან უფრო ნაკლები.

— მერე რამდენი ხელის მოძრაობა დაგჭირვა? დათ მოსაკრეფად?

— რა ვიცი, ბეგერი, ალბათ.

— ორმოცდაათი კილო რომ მოკრიფოთ, რამდენი დაგჭირდებოდთ?

— მაგას ვინ დათვლის, — გაეცინა სტეფანეს.

— 50-100 კილო აქაური მეჩაიესათვის ყოველდღიური ნორმაა. თუ გნებავთ, აი ამ ქალს შეეკითხოთ.

ქალმა კრეფას თავი დაანება და ჩვენკენ წამოვიდა.

— სალამი, ქალბატონო.

— გაგიმარჯოთ, შეიღლეთ, შეხიდებას ხოვ არ აპირებთ?

— გამოვდგებით ეითომ?

— არ უნდა იყოს ცუდი ნადი, — ღიმილით გაფმოგებსდა ქალმა.

— აქაური ბრძანდებით არა, ქალბატონო?

— კი ნენა, გურული ვარ, ვინოგრადოვა.

— ვინოგრადოვა? — დაეკვედა ვალია.

— ფარაკაკი ხომ არ მოთქვამს რამე?

— მეც ვინოგრადოვა ვარ და იმიტომ გაგიკვირდა.

— შენ რუსი ვინოგრადოვა იქნები.

— აბა თქვენ?

— ბაბეანეფი კი იყო რუსი, მაგრამ მე და მამაჩემი ქართველი ვინოგრადოვები ვართ.

გოიკეთელი სტეფანე მერამდენედ წმენდს სათვალეს.

— საინტერესოა, ნამდვილად საინტერესოა!

— მაინც რაა საინტერესო? —

— ჩაის კრეფაზე ამბობენ, ქალბატონო, — ავუხსენი მე.

— ერთი ჩემს ხელებს დახედეთ და მერე ენახავ რას იტყვით. ხუთი თვე ციცხვსა და წყიმაში კრიფე ფოთოლი და საინტერესო ის იქნება.

— არც სულ მასეა, ქალბატონო საქმე, — შეეკამათე მე. — ჩაის საკრეფი მანქანა ხომ გეხმარებათ?

— ეაკეში, იცოცხლე, მაგრამ ბორაზე ამოსვლა ვერ ისწავლა.

— აკალეთი ჰატარა და მაკასაც ისწავლის.

— ზეშს ჰიჩრა ზაკარი, ნენა, მაგი როგა ამ ბორაზე ამოვა, დაეკდება ჩემს ბადიშებში და ვეფუურებ ტელევიზორს.

— სულ უსაქმოდ დაჯდომაც არ იყოგებს

— საქმე, ნენა, მანქანამ კი არა, ხუთი რეალი რომ მაკავს ოჯახში, იგენსა ვერ გამომიღია... ახლა მაცდენთ თქვენ ამდენი ლაპარაკით. თუ წასვლას აპირებთ, დროზე წადით.

ალექსანდრე სამსონია

შეხვედრა

— ოღონდ ჯერ სუფრათი გავაკეთოთ, — შეეხეოწა სტეფანე.

— სუფრათი შეიძლება, — დაეთანხმა ქალი.

დიდი ამბით დავეშვიდობეთ ციურულ ეკ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა
tbilisi.net

ნოგრადოვას და გზას გავუდექით. ჩემი სასტუმროსაკენ გორმაღლის მონასტრისაკენ ავ-ავი. ბევრს მეხეოწენენ, ერთად დავთვალიერეთოთ, მაგრამ რადგან შეხეედროზე მიგვიანდებოდა, ეარი ეუთხარი.

თავი მეეხუთე: სოფელი კარგია, მაგრამ არც ქალაქია ცუდი

ნიგეზიანს ორი მარჯანშვილის თეატრის ხელ-კეთლტრის სასახლე აქეს. მის უზარმაზარ სცენაზე „ჰამლეტი“ დადგმული და ლევან გოლიაძის კომედიებიც. ახლა ამ სასახლეში სოფელი თავის ეამარჩენილ შეილებს შეხვედრას უეწყობს.

სასახლის წინ სტუმრების მანქანები ჩამწკრივებულა. ნაცრისფერი „ვოლგა“ მეცნიერებათა დოქტორისაა, შავი — ფეხბურთელის. სამი დოლეინტი ახალი „მოსკვიჩებით“ მოსულა, ორი — „ზაპოროჟეეცით“. ყველზე ბოლოს ლევან გოლიაძის ავტრისფერი გრხ 87-78 დგას.

კულტურის სასახლე თანა გაჭედილი, ეეგგონეეა „ფანტომასის“ მეოთხე სერიას უჩვენებენო. ყეკადილებთ მორთულ სასტატო პრეზიდიუმში სასტატო სტუმრებთან ერთად კოლმეურნეობის თავმჯდომარე, მთავარი აგრონომი და სკოლის დირექტორი სხედან. მოხსენებას ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლეელი კოხეულობს. საინტერესოდ ჰკეეეს და ხალხიც სულგანაბული ეუსმენს. დროდადრო ისეთ მოსწრეეულ რამეს იტყვის, ფეხბურთელსაც კი ეეცინება.

— მაგი სუფრაზე უნდა ნახო შენ, — გადაეულაპარაკა თავმჯდომარეს ლევან გოლიაძეს, — ცოცხალი ნიანგია პირდაპირ, ქალაქში რომ დარჩენილიყო, ბევრ მეურალს ჩაისეამდა კიბეში.

საერთო შესავალს რომ მორჩა და კონკრეტულ დახასიათეებაზე გადავიდა, გამოჩენილ ადამიანებს ქება-დიდებასთან ერთად საყვედურიც ეეპარა, სოფელში ჩამოსვლა არ უნდა დაგავიწყეთდეთ, თორემ მეზობლები ვერ გიცნობენ და სამმის გასაეეთებლად ქალაქში ადარ შეგაწეუხებენო.

მეცნიერებათა დოქტორმა სიტყვა შეაწყვეტინა, სწორი ბრძანებებთო და მომხსენებელსაც ეს უნდოდა, თუ სწორი ებრძანდები, ორი წლის წინათ შეპირებული წყალსადენის მილეეი რატომ არ გვაშენინეო. ამ სიტყვებზე ხალხმა ტაში დაუკრა. მეცნიერებათა დოქტორს ამბავლა სირცხვილი ალპათ, დისერტაციის დაცვაზეეე არ უეპამია. დაოფილი სახეს წამდაუწუმ პარაშუტისტისელა ცხვირსაბოცით იწმენდდა.

დოქტორზე ნაკლებად არც ლევან გოლიაძე ოელადდა, ამბეეა კაცი რომ გაიმეტა, მე რა დღეს წამეიდებსო.

მართლაც მთელი შემოქმედება სახელდახელოდ გაეარჩია, ბევრი მოეწონა და ბევრიც დაეწუნა, ბოლოს შეეხეეწა, გასაგებად უნდა წერო, ბიძიაო, ეე და ეაწმა მეზობლებმა, რომ გავიგოთ ისეთ. ხალხმა ამბეეე ტაში დაეკრა, ლევან გოლიაძემ ფეიერა, ჯიბეში მანქანა დამახეეეთოდა ან იმ ხალხს წაეყოლოდი მონასტერშიო.

ყველაზე მეტი მაინც ფეხბურთელს მოეწონა, თამაშში რომ არ იცით, სოფელში ჩამოდიხარ და ჩიხის კერეეს გასწეეალთო. ფეხბურთელს არც საბე გასწეთლებია და არც ოფლი გამოეეეენია, ლევან გოლიაძეს ვადაეულაპარაკეა, სტადიონზე ეარეს ვინებას შეეანეეე ყურო.

მომხსენებელის მერე სტუმრები გამოვიდნენ და ყველამ ერთხმად ალიარეს, რაც ვგრძნობდეთ, სრული ეეეშმარიტებაა და ვეეცდებით ამ მაინც გამოვსწორდეთო.

ლევან გოლიაძეს ბევრი ეხეეეეს, ლექსი წაეკეკითხეო, მაგრამ მან მხოლოდ მოგზაურობა შთაბეჭდილებები მოეთხრო, ეს და ეს ხალხი ვნახე თქვენთან ბოლოამდე და ეს და ეს ეელაპარაკეო. მერე ისიც თქვა, მე რა გამოჩენილი ადამიანი ვარ, ქეეყნის ბატონ-პატრონი თქვენ ბრძანდებით და ძეგლიც თქვენ დაგიდგამენო, მჯერა, მშრომელი კაცის სახელს არასოდეს შეარცხვენთო. ძალიან დაოელგებელი სიტყვა გამოეეეიდა, მაგრამ ხალხს მაინც მოეწონა.

რაც შეეხება ლექსს, იგი სუფრაზე მოისმენეს. რაცა თამადამ მესამე ყანწი დალაეეინა, ლევან გოლიაძემ ამოიოხრა, აწი ლექსს კი არა, თუ გაგეხარდეთო, სიმღერასაც ვიტყვეთო.

წინასწარ მომზადებული იყო, სმა მაინც არ ამცდებაო, მაგრამ ყანწებს თუ დაუშვებენენ, ადარ ეკონა. მეცნიერების წარმომადგენელები ადრე გიიქცნენ სუფრიდან და სტუმრების ეიერსებას მხოლოდ ორი კაცი იცავდა. ფეხბურთელმა თქვა, სხეის მოედაბეზე თამაშია ძნელი, თორემ ღვინის დალეეკას რა უნდაო. სადღეგრძელოებს ისე სვამდა, ეეეეთი არ დაუტოეეეია, თამადა შეშინდა, მაგი კი მომიღებს ბოლოსო და შეეხეეეწა, ერთით ერთი ვართ და დავანგეთოთ ახლა თავიო.

ფეეხბურთელმა ეთხრა, ხეალ რომ გამიპრიტეტტო, ხად წაიდე მერეო და ერთი ყანწი კიდეე დაალეეეინა.

თამადამ ოფლი მოიწმინდა, ამდენი სამპარეკ-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

შიც არ გამჭირვებიაო და მერე გული გადაუშალა.

— თქვენ რა გენაღვლებათ, ხვალ ქალაქში დაბრუნდებით, მე კი ახალ სტუმრებს უნდა გავუმასპინძლდე. ხარჯს არ ვჩივი, ყოველდღე ღვინის სმამ მომკლა კაცი.

ქეიფმა შუადამემდე გასტანა. მეორე დღეს, როდესაც ლევან გოლიაძემ თავალი გაახილა და ბორჯომი ინატრა, პარნაბა გურგენიძე შუადღის ჩაის ასაწონად ურემს მიახოგინებდა.

ბორჯომის მაგიერად ლევან გოლიაძეს მურაბიანი ჩაი გამოუტანეს და კეცზე გამომცხვარ ხაჭაპურთან ერთად სასთუმალთან დაუწყვეს.

წასვლის დრო რომ მოვიდა, გრხ 87-78 ხოროგთან გაიცსო. არაფერი არ გამორჩენიათ — ღვინო და ხილი, ფქვილი და ლობიო, ყველი და ბადრიჯანი იმდენი იყო, რომ ოცკაციან კომპანიას მშობლიური სოფელსაც გაახსენებდა და ვლუხის მარჯვენის სადღეგრძელოსაც დაალევინებდა.

ეს ქალაქში. ქალაქში ჩასვლამდე კი გამოთხოვება შინაურებთან და მეზობლებთან, ათასი კითხვა და ათასი საუვდური.

— ასე უნდა, ბიჭო, დავიწყება?

— დიდი კაცი გახდი და აღარ გვაკურთხებ, ხომ?

— ყველა ქალაქში რომ გარბიხართ, აქ სამქმე ვინ გაკეთოს?

მაინდამაინც არ დატყობია სოფელს ჩემისთანების ქალაქში გაქცევა. ახლა რომ ყველა დავბრუნდეთ, სამოსახლო არ გვეყოფა. ახალთანელი ოდები ჩაეტმწყრიელებიათ ერთმანეთის გვერდით.

— ეს სილოვან გალოგრეს უმცროსი ბიჭისაა, — მიხსნის ჩემი ძმა, — ხომ გახსოვს, სკოლაში ერთად სწავლობდით.

როგორ არ ახსოვს, სოფელში მოსულ პირველ შოფერს რომ წყლის მაგივრად ღვინო გამოუტანა. სილოვანის ბიჭს ახლა საკერავი „ოლეგა“ გაუჩერებია ლაფაროში.

— ეს სახლი კიდევ გადევნის ბადეშია.

— ამხელა სასახლე რად უნდოდა?

— ჯერ სამნი არიან, მაგრამ ბაბუამისი შემხედავრე ათზეც არ გაჩერდება.

— ღმერთმა გაუმრავლოს!

ძმამ სამანქანო გზამდე მიაცილა.

— აბა, კარგად იყავი ახლა.

— ნახვამდის... მოიცა, ამას რას მაძლევ, ბიჭო?

— ბანდარინის ფუღლია. შარშან კარგი მოსავალი იყო.

— ამდენი მიჭირს ვითომ ახლა მე? — დაიმორცხვა ლევანმა.

— კაპიერებაზე არაა საქმე. ბალი ნახეკარი შენია და უნდა მოიხმარო.

— მადლობის მეტი, აბა, ვერაფერს გეტყვი.

— გაზეთში წავიკითხე, ახალი კრებული გამოგიშვია.

— ჯერ მხოლოდ სასიგნალო ეგზემპლიარებია, — შეწუხდა ლევანი, — ოფლილმლად გამოგიგზავნი.

— მაგი სიგნალი არც შარშან მოგიცია შენ.

— ვიცი, ნაწყენი ხარ, მაგრამ ყველაფერი ერთბაშად გამოვასწორებ.

— გიყურებ აბა, — ძმამ მხარზე დაარტყა ხელი ლევანს, — ფელამეშობამდე, ალბათ, აღარ ამოხვალ?

— ამოვალ, როგორ არ ამოვალ!

— ღმერთმა გაგიგონოს და ბედნიერი მგზავრობა ასლა, ჭკუით იყავი!

მოკითხვა ყველას!

და მიდის გრხ 87-78 ისევ ქალაქისაკენ. უკან რჩება შუბლიერი სოფელი, სხვა სოფლები, გზები და მოსახვევები, ადამიანები, მოგონებები და შეთბეშდილებები. წინაა ახალი გზები და შეთბეშდილებები.

საღამოს ქალაქში ვიქნებით.

ქსენია მჭავია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულამაზესო ზაფხულის დღეო,
სხივთა ბადეში გამხვიე ბარემ!
მომაპყარ შენი თვალები ღია
და ამაშორე შფოთიან ქარებს;

ამციისფერე ოცნების სფერო,
შემომახვიე ჩიტები გუნდად,
მიეც სინათლე მძინარე ფერებს
და მჩქეფარება შემატე გულსაც.

და დამაცხუნე სხივები თბილი,
რომ ზამთრის სუსხმა ვეღარ იძალოს,
ბნელეთის მრუმე, ხავსიან ჩრდილებს
შენ ამარიდე, ლექსის გრიგალო.

ამხადე გულის წმინდა სარქველი,
პირზე რიჟრაჟის შუქი მეკეროს,
ვიმღერო, რაც კი დამრჩეს სათქმელი,
ჟუჟუნა წვიმას ჩამოემღეროს.

დამხურე გრილი ფოთლების ჩერო,
სიძველის ჟანგი მზეზე გალესე...
ულამაზესო დღეებო ჩემო,
მომეფერეთ და მომიალერსეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი ხმალი და ჩემი კისერი

მომიტანია ჭოროხის სევდა
ციხისძირის და გონიოს დირე.
თუკი ვარსკვლავთა სიჩუმე მსდევდა,
დღეს ცა წიგნივით დავიზეპირე.

მომიტანია მაღალ ვალებად,
ძიების დიდი იჯარებითა,
ზღვის უხილავი იდუმალება
გამჭღავნებული ნიჟარებითა.

მომიტანია უთვალავ ხმებში
გამორჩეული ქვათა ღაღადი.
გოდერძის ჟვავი, ხიხანის ხვნეშა
და შავნაბადას შავი ნაბადი.

მომიტანია მდინარე სარფის,
ზღვის და ჭოროხის სველი კენჭები.
კახაბრის ველის ზამბახი, სალბი
და ჩანჩქერების არდაეჭვება.

მომირთმევია ყველა ვერაგის
გადასხეპილი თავი და ბედი.
მომირთმევია, როგორც პერანგი,
თეთრი ღრუბელი პერანგას მთების.

მომირთმევია ღელვა სამასი
თეთრი სიზმარი ტაოს, ხახულის.
საათაბაგო ხმალი და თასი
საგვარეულოდ შემონახული.

მომირთმევია „ჩიტი მისირის“ [1]
და უთქვენობა მომითმენია
თქვენი ხმალი და ჩემი — კისერი,
თქვენთვის სიცოცხლე მომირთმევია.

---

[1] მუმაჯირებს მისდევდა და ეღურტულებდა — „ნუ გათათრდები“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უღელტეხილი

უღელტეხილზე თოვს,
უღელტეხილზე წვიმს,
სული სიმღერას მთხოვს,
სურვილი უსწრებს წინ.

ასე მგონია, ახლა
უფრო ახლოა მზე,
ქვევით კი ახალ-ახალს
ვხედავ დახლართულ გზებს.

შენი მზეობა, მზეო,
უღელტეხილზე ვცან,
უღელტეხილის ზემოთ
უფრო მაღლდება ცა.

გული სიმაღლეს ელტვის
და მთათა ურღვევ გრეხილს.
ჯერეთ უთქმელი ლექსიც
უმღერის უღელტეხილს.

უღელტეხილზე წვიმს,
უღელტეხილზე თოვს,
და სიყვარულის წილ
სული სიმღერას მთხოვს.

მ თ ა ვ ი

სულში სითბოს და სინათლეს
ისე უხვად ღვრის
სიკამკაშე ღამისა თუ
ბრწყინვალება დღის,
საცალფეხო ბილიკებიც
მუხლს არასდროს ღლის,
გულსაც სჯერა —
აქ სიკვდილი
ერთ სიცოცხლედ ღირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბრუნება

თუ დაბრუნდები შენი მიზეზით,
შენით,
შენს გამო,
შენი თანხლებით.
თუ დავიღლები, —
შენი მიზეზით,
შენს მეტს არავის დავენახვები.
ხელს დამიქნევენ თეთრი სახლები,
რომ გამატანონ მთებში ნახირი...
მერე მომწვდება შენი ძახილი...
ნედლი ბალახი მზეში გახმება...
და დამიდგება თვალწინ გამხმარი
თივის ზვინები...
თოვლი...
მარხილი...

სურათი

ფატმა მინაზე ხატავს თავთავებს,
თოვლივით თეთრი,
ფაფუკ თითებით...
მოაწყდებიან სარკმელს ჩიტები,
იმსხვრევა მინის მარგალიტები...
ხოლო ბუხართან სხედან დედები
და თოვლივით თეთრ სართავს ართავენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ასცდა მიზანს მოქნეული ხმალი,
იელვა და... სივრცე ორად გაჰკვეთა.
ხმათა ზღვიდან მოიპარა ხმა ვინ,
უხმაუროდ ვინ წავიდა აქედან...

ხმათა ზღვიდან მოიპარა ხმა ვინ,
ვეძებე და კვალი ვერსად ვიპოვნე.
ცეცხლი ჩაქრა, — ამ უმთვარო ღამით
იქნებ განძი დაგვიბრუნოს თვითონვე.

იქნებ ბნელმა აუხილოს თვალი,
იქნებ სული შეიცოდოს ნატანჯი.
ასცდა მიზანს მოქნეული ხმალი.
გაიელვა და მე ბეწვზე გადავრჩი.

●

ზამთარია,
ქარი სიპავს ყინვას,
ხეებს ძვლები გუთოშა სუსხმა.
ნატვრად დარჩეს, ნატვრად დარჩეს ხილვაც, —
ჩემს გულს ახლა ეგულება სულ სხვა.
ზამთარია, —
თეთრი სუნთქვით სავსე,
თვალს ვხუჭავ და მოგონებით ვთბები;
მთები, ჩემი სიყმაწვილის მსგავსი,
საყვარელი, სიჭაბუკის მთები!..
ისე გაქრა ფრთაფარფატა ფიქრი,
როგორც ფიფქი იმ გარდასულ ქამთა.
ქარს გაჰყვა თუ ნეტა ისევ მიჰქრის, —
მე რომ ჩიტი ავუფრინე ზამთარს!
ქარი ქრის და ეფერება ყინვას,
სისხლი ლამის გამიყინოს სუსხმა!
ნატვრად დარჩეს, ნატვრად დარჩეს ხილვა, —
ჩემს გულს ახლა ენატრება სულ სხვა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდობა ზღვაზე

გ. ტულუში

იური თავდუმაძე,
ზორბეგ წუწენავა

ზღვა—ჩვენი ცხოვრება!

ნავსადგურის გაყოლებაზე მუდამ უამრავი ხალხია: ძელსკამებზე ჩამომსხდარი პენსიონერები, სამაგვარო ეტლები, შეყვარებულთა წყვილები, ზღვისპირა დაბალ მოჯირებზე ჩამომსხდარი ბიჭუნები...

სიჩუმეს მხოლოდ ნელი ზღვაური, თოლიების ხმაურ-ხმაურ შეკივლება და ნავსადგურის შორეული რრტმული გუგუნი არღვევს.

იშვიათად გაიგონებთ ხმამაღალ საუბარს, სიცილ-კისკისს. აქ ისეენებენ და... ოცნებობენ. ზღვისპირად, ნავსადგურის ახლოს ძალიან სერიოზულ კაცსაც კი გიიტაცებს რომანტიკა, პორტფელს მოაჯირზე ჩამოდებს, ზედ დაყუდებით დაეხარნება და... მთელი საათი გასცქერის ზღვის სივრცეებში ხომალდის გაცილებას.

ხოესავით შავ ბუქსირს ბრტყელი შუბლი უზარმაზარი ტანკერისათვის მიუბჯენია და ისეთი ფახი-ფუხით და თავგანწირვით ცდილობს მის სწორ გეზზე დაყენებას, ღამის დაძაბულობისაგან გასკდეს. გიგანტი ნელა დგება საპირო კურსზე და უკან იტოვებს ეშხში შესულ ბუქსირს. მას ახლა ლოცმანის კატარღა მიაცილებს ღია ზღვისკენ. გზის დალოცვის ხანმოკლე ცერემონია და... ხომალდი ამაყად დადგება შორეულ გზას ზღვებსა და ოკეანეებში, ელოდება უცხო ქვეყნები, ქალაქები, ფათერაკები და თავგადასავლები...

სანაპიროზე კვლავ ჩვეული სიჩუმე ისადგურებს. „სერიოზული კაცი" ოცნებიდან გამოერკვევა, ოდნავ დამნეული — უხერხულად გაუღიმებს ბავშვებს და თავის გზას გაუყვება. ღმერთმანი, იგი ახლა გაცილებით სიმპათიური, ამაღლებული და ფაქიზია.

სანაპიროზე რჩება ბიჭუნების ჯგუფი. ზღვის მომლაშო, არომატულ ჰაერთან ერთად რომ ისუნთქავენ ლერჯ სტიქიათა სიყვარულს, რომანტიკას. მათგან იზრდება მამაცი მეზღვაურები: კაპიტნები, შტურმანები, ბოცმანები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავთანდილ ბროკოშვილს რომ ჰკითხოთ, როდის მოვიდა ზღვაზე, ალბათ ვერ გეტყვით. უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ იგი უბრალოდ ზღვაზე გაიზარდა, შეეცხსნა-ხორცი მას. ცხოვრობდა ზღვის სანაპიროზე და სხვა ბიუჯეტი მასაც ზღვის შვილს ეძახდნენ. თავისუფალ დროს ზღვისპირას ატარებდა, დარბოდა თეფნის რეწვიდან დაბრუნებული სეინერების გემბანებზე, სალონებსა და სამაყანე განყოფილებებში, ესაუბრებოდა მეზღვაურებს, ბაძავდა მათ.

როცა გაავდრდებოდა, სკოლის სახელოსნოში ჩაიკეტებოდა და გემების მოდელებს აკეთებდა. ერთხელ, ნორჩ მემოდელეთა რესპუბლიკურ კონკურსში მეორე ადგილიც დაიკავა.

ზეგეკითხეთანა: რატომ აირჩიეთ ინჟინრის პროფესია? რატომ გახდით ექიმი და არა პედაგოგი? ამის მსგავს კითხვებზე მოძებნი კაცი პასუხს: მისწრაფება, შუბლების პროფესიის გავლენა და სხვა. მაგრამ ჰკითხო, რატომ გახდა მეზღვაური, ალბათ, უაზრობა იქნება. განა შეიძლება ზღვაზე გაიზარდო და მეზღვაურობაზე არ ოცნებობდე?

ავთანდილი 1957 წელს ბათუმის სახელოსნო სასწავლებლის კურსანტი ხდება და გემთმშენებლის პროფესიას ეუფლება. წიგნები, მოდელები, ხელსაწყოები, ათასი სირთულე... წლები თვალის დახამხამებაში გადის და ავთანდილ ბროკოშვილს პირველ სახელგარკვეულ რეისში გზავნინ. მძი გემი გასცდება მშობლიურ შავ ზღვას, გავა უკიდეგანო ოკეანეებში, გადასერავს ეკვატორს და „ნეპტუნი" ჯაბუკს მეზღვაურად „აკურთხებს".

1961 წელს ავთანდილმა დაამთავრა ბათუმის სახელოსნოსო სასწავლებელი და „ბუდაპეშტი" მატროსად დაიწყო მუშაობა. შემდეგ ერთ-ერთი ტანკერის მეოთხე, მესამე, მეოოე შტურმანი. აქ მიიღეს პარტიის რიგებში. კიდევ ცოტა ხანი და — „ოლეკო დუნდიჩზე" გადაიყვანეს კაპიტნის უფროს თანაშემწედ. შემდეგ „ალაგირის" კაპიტნის უფროსი თანაშემწეა.

ამ წლებში გამოიწერთო ავთანდილი ბროკოშვილი, როგორც მეზღვაური. ზღვა განა მარტო ოცნებაა, იგი მთელი ცხოვრებაა, შრომაა, და სულის წრთობაა. წავედა ის დრო, როდესაც მეზღვაური მხოლოდ ზღვის სტიქიაში ნაწრთობი, მამაცი და მოუხვეში ადამიანის განსახიერებად მიიჩნდათ. თანამედროვე პირობებში სიტ-ლანქეს ინტელიგენტობა ეკლის, საჭირო ხდება ტექნიკური ცოდნის ღრმა დაუფლება .

ავთანდილ ბროკოშვილის ოცნება გემის კაპიტნობა იყო. ამ ოცნების ახდენის ამბავიდ ყველაფერს. მიადწია კიდეც საწადელს. იგი საქართველოს სახელგაო-სანაოსნოს დიდტონაჟიანი ტანკერის „ბორჯომის" კაპიტნად დაინიშნა. ეს შარშანწინ მოხდა ოქტომბერში, დაიწყო პირველი დამოუკიდებელი რეისები. **ოიოიქ**ანტერესებდა ზღვა მოიარა ტანკერმა, სად არ ყოფ ილა ზღვა მოიარა ტანკერმა, სად არ ყოფ ილ ა ზღვაში არ გადაეკარა: შტორმი ბისკაის ყურეში, ნისლი და გემების ინტენსიური მოძრაობა ბრიტანეთის ნაპირებზე, ძნელი სანაოსნო პირობები ჩრდილოეთის ზღვაში და ბოსფორში...

ტანკერი წარმატებით ასრულებდა ყველა დავალებას.

— ეს რეისები დიდი სკოლა იყო ჩემთვის, და გემის ეკიპაჟისთვისაც, — **ოგონ**ვ**ბს** კაპიტანი.

ჩვენ, ვინც ნაპირზე ვრჩებით, ხშირად ნათლად ვერ წარმოვიდგენთ ხოლმე, რას ნიშნავს — იყო თანამგზავრობა გემის კაპიტანი, რა უნდა შეგეძლოს და რა უნდა იცოდე, რომ ღირსეულად ატარო გემის მეთაურის მაღალი წოდება, მით უმეტეს, როცა საშშბლოსაგან შორს იმყოფები. არც მარტო გემის მართვა, არც სახლეთო სამის ჩინებულად ცოდნა ქმარა. ყველაფერი უნდა იცოდეს კაპიტანმა, ყველაფერი — საბერთო ოპერაციების ტექნოლოგიაც, ავტომატიკაც. დიპლომატობაც და შრომის მეცნიერული ორგანიზაციაც. ფინანსირებაც და დაგეგმვაც, დამანებებთან ურთიერთობა ხომ მთავარია. როცა იჩვენეს მხოლოდ წყალია, შშობლიური ნაპირი კი შორსაა და მრჩეველი არავინ გყავს, ყველა პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე უნდა აიღო. ამიტომაა ძნელი კაპიტნობა, ამიტომაა იგი მხოლოდ რჩეულთა ხვედრი.

ამისათვის კი დიდი ცოდნაა საჭირო. ეს კარგად ესმის ავთანდილს. მის კაიუტაში, მაგიდასა და თარეოებზე წიგნები აწყვია — ახალგაზრდა კაპიტანი ოდესის საზღვაო ფლოტის ინჟენერთა ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტია.

— ზღვა სავსეა მოულოდნელობებით, — იტყვის ხოლმე ავთანდილი, როცა თავისი პრაქტიკადან რომელიმე შემთხვევას იგონებს. — კარგეული კაცი სტუმართმოყვარეობითაა ცნობილი, ეს მას ბუნებრივად ეჩვენება, მაშ როგორ — სტუმარი ღვთისაააო იტყვის. ჰოდა, წარმოიდგინეთ ჩვენი გაოცება, როცა რომელიმე ქეეყანაში სტუმართმოყვარეულად, გულღიად კარ გვხვდებიან. აი, მაგალითად, არგენტინაში ჩვენი პირველი რეისის დროს...

— ჩვენ ყოველთვის ვვიხარია ეუბაში გამგზავრება, — ბანაგრძობს ავთანდილი, — ვიცით, რომ იქ გულით მიგვიღებენ. ან, თუნდაც, ცეილონში. როცა იქ მეორეჯერ ჩავედით, კომპანია „ლანკაკა" ხელმძღვანელობამ და პროფკავშირის ორგანიზაციამ ეკიპაჟის წევრებს შეხვედრა მოგვიწყეს. გზაში ტაქსის შოფერი გვეუბნება, ახლა ჩემი მანქანა რუსული ბენზინით მუშაობსო, თან მადლობით გვიღიმის... ბანკეტს ესწრებოდნენ ცეილონის კომპარტიის წევრები. სალამოზე წარმოთქვა გულთბილი, მეგობრუ-

ლი სიტყვები, გაიცალა სუეენრები. მეორე დღით დაგვთვალიერებენეს ქალაქი, სასტუმროს პარკში ენახეთ ი. გაგარინის დარგული ხე. გაიმართა სპორტული შეხვედრები. მოკლედ, ყველანაი ბერძნობდა, რომ ჩვენი სტუმრობა უხაროდათ, გულით გვიმასპინძლდებოდნენ.

ავთანდილი ატლანტის ოყეანეში მომხდარ ერთ ამბავს იხსენებს.

„გურზუფი“ შუა ოყეანეში მიცურავს. ირგვლივ ყველფერი დრიენით სიმშვიდით სუნთქავს. უეცრად გემი რადიოსიგნალს იღებს: „გემზე ავადმყოფია“ — ლიბანის გემი შველას ითხოვს. მყუდროება ერთბაშად დაირღვა. „გურზუფმა“ კურსი შეიცვალა და უცხოთის გემისაკენ გაეშურა. ექიმი ნ. კულიკოვი დროს არ ჰკარგავს, რადიოით გამოიკითხა ავადმყოფის მდგომარეობა... დიაგნოზი — აპენდიციტის მწვავე შეტევა. ექიმმა რადიოთი დაარიგა გემის ეკიპაჟი, როგორ მოეკლოთ ავადმყოფისათვის ჩვენს მისვლამდე. მხოლოდ ცხრა საათის შემდეგ შეხვდა ექიმი ავადმყოფს.

საბჭოთა ექიმის პროფესიულმა ცოდნამ, გამბედაობამ განაკვირვა ლიბანელი მეზღვაურები.

— რას გვაბედვინებს ყოველივე ამისათვის?— იკითხა გემის კაპიტანმა.

— ჩვენ მკურნალობისათვის გასამრჯელოს არ ვიღებთ. — უპასუხა კულიკოვმა გაოცებულ კაპიტანს.

კიდევ... გემის ქიმს ღუზა მოსწყდა, ჯაჭვი გაიყოლია და წყლის ზედაპირზე დგაფანთი დაეცა. მერე ზღვაში გაუჩინარდა. ჯაჭვი დაზიმა და ააჭრიალა.

უზარმაზარი გემი ღუზას დაპყვა, დაემორჩილა.

— მიაწოდეთ ბაგირი! — ისმის რადიოში კაპიტნის განკარგულება.

— არის, მივაწოდოთ ბაგირი! — უპასუხებენ გემბანიდან.

თოფლივით ქთქთა ტანკერი ნელ-ნელა აღგება ნაპირს. მის ქიმს დიდი, ლამაზი ასოებით აწერია: **„ქუთაისი“.**

როცა უცხოთიდან დაბრუნებული გემი ნავსადგურში შემოდის, ნაპირზე განსაკუთრებული მღელვარებაა. ეკიპაჟის წევრებს ელოდებიან მშობლები, ნათესავები, მეგობრები. რამდენიმე წუთი, გემის მიბმას რომ სჭირდება, საათებად გადაიქცევა.

ასეა ყოველთვის. ოღონდ ამჟამად დამხვდურთა შორის იყვნენ უძველესი ქართული ქალაქის — ქუთაისის მშრომელთა წარმომადგენლებიც. გემი, რომელსაც ახლა ხვდებიენენ, პირველად შემოდიოდა მშობლიურ ნავსადგურში. იგი საქართველოს საზღვაო სანაოსნოს რიგით ოცდამეცამეტე ტანკერია. საბჭოთა კავშირის დაკვეთით ფიგოლოგიაში ააგეს. ახლა ეზიარებოდნენ თუმელებთან ერთად ქუთაისის მშრომელთა წარმომადგენლებიც მოვიდნენ მის შესახვედრად.

— დაუშვით ტრაპი! — ისმის კაპიტნის ბოლო განკარგულება.

ნაზღვაოსნოს ხელმძღვანელები, სტუმრები და მასპინძლები ერთად ადიან გემბანზე. იწყება მისალმება, მილოცვები, გაცნობა, შემდეგ კიოტ-კამპანიაში იყრიან თავს და საუბრობენ...

კარგია ზღვა, მაგრამ ყველა მეზღვაურს გული მაინც ხმელეთისაკენ მიუწევს, იქ, სადაც დაიბადა მისი ყველაზე სანუკვარი ოცნება ბავშვი გასწია ზღვის რომანტიკული სიცრცეების დასაპყრობად... ავთანდილი გულში იკრავს მონატრებულ დედას, ჭაბარა თმაზე ეალერსება. ხანგრძლივ განშორებას კიდევ უფრო გაოლამაზებია, საყვარელი გაუხდია იგი.

თვალებში შესცქიროდნენ დედა, სეფდა გადაუყრია გულიდან, ოღონდ შვილის ამდენი ხნის უნახაობის ტკივილი მაინც შერჩენია. ამიტომ ჯერ მაღალ გულისტკივილს:

— გეყოფა, შვილო, ზღვაში ხეტიალი, განა ხმელეთზე ცოტა საქმეა! რა დაგიკარგავს იმ მარილა დასაკარგავში, ასე თავგამოდებით რომ ეძებ და ვერ გიპოვია. შენი ტოლები დაოჯახდნენ, სახლის კერა გაათბეს. მე რატომ მანატრე შენს თავს, რატომ მაფორიაქებ ყველა გაავდრებაზე, რატომ არ მომასვენებ სიბერის წლებში! ზღვა ჩვენებური კაცის საქმე არ არის, ჩვენს ხალხს მიწა უყვარს, მისი მადლი. ზღვაში რა დაგიკარგავს?.. — რა დაგიკარგავსო? როგორ გითხრა, დედი. ჩემი ცხოვრების გზა ხომ ზღვაზე გადის! განა შემიძლია აეცდე მას. ქართველ კაცს ზღვა არ უყვარსო?! არა, დედა! ჩვენ მხოლოდ გვეტეკვებოდნენ ზღვიდან, გვარომეკდნენ მის სიყვარულს. ასე იყო, როდესაც ყველა ცდილობდა ჩვენს გათელვას, გაყვლეფას. ახლა დრო შეიცვალა. ახლა ეს მიწაც ჩვენია, ეს ზღვაც. და ჩვენც ვსარგებლობთ მისი სიკეთით. ქართველ კაცს ზღვა არ უყვარსო?! მაშ რად მომრავლდნენ ასე ქართველი მეზღვაურები, რად შეხვდებით მათ მსოფლიოს ყველა ზღვასა და ოყეანეში. ზღვა დედა...

და თვალები ისეთივე ოცნებითა და დაუოკებელი სწრაფვით აღეკვესა, როგორც იმ ბიჭუნებს, რომლებიც ახლაც ნავსადგურის ახლოს, ზღვისპირა მოაჯირზე ჩამომჯდარან და ყოველ შემოსულ გემს მსახინძლიდნენ ხვდებიან, ყველა მიმავალს შერნარეკენ ოცნებით მიაცილებენ.

ისინი მეზღვაურებად იზრდებიან...

გურამ ფანჯიკიძე



თვალი პატიოსანი

პროლოგი

სახლი, რომელშიც თამაზ იაშვილი ცხოვრობს, სოლოლაკში დგას, სულ განაპირას, ერთ მივარდნილ, ვიწრო, ჩაბნელებულ ქუჩაზე. სახლის უკანა მხარეს მთაწმინდა წამომართულა, წინა ფანჯრებიდან კი მშვენივრად მოჩანს სოლოლაკი.

ამ პატარა, ძველებურ და ძალზე მაღალჭერიან შენობას წინა მხარეს ეზო აკრავს, სადაც გაზაფხულზე იასამნები ჰყვავიან. სახლის კარი რომ შეაღოთ, პატარა, სულ ათსაფეხურიანი ქვის კიბე უნდა აიაროთ. ძველებური, მუხის ჩუქურთმებიან კარს სპილენძის მძიმე, უზარმაზარი სახელური ამშვენებს. ასევე ძველებური, დიდი გასაღების გადაბრუნებისთანავე საკეტი მეოდიურად გაიღღარუნებს და მძიმე კარი თვითონ იღება ხოლმე შიდა მხარეს. ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს საიდუმლო გამოქვაბულში შედიოდეთ.

ამ სახლს მეზობლები ძრწოლვით შეჰყურებენ და ბავშვებს არც კი ანებებენ მის სიახლოვეს გავლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურმე, ამ ოცდაათიოდე წლის წინ სახლის პატრონი ჩამომხრჩვალი უნახავთ. სამზარეულოში გადებულ უზარმაზარ დირეზე. უპატრონოდ მიტოვებულ სახლში მალე შეუსახლებიათ ხანში შესული უშვილო ცოლ-ქმარი. ერთ წელიწადსაც არ გაუვლია, რომ ქალს იმავე დირეზე ჩამოუხრჩვია თავი. კაცს სახლი გაუყიდია და სხვაგან გადასახლებულა. მას მერე სახლი ბევრმა მობინადრემ გამოიცვალა. ისინი სახლს ყიდულობდნენ, მაგრამ იქ ორ-სამ თვეს თუ იცხოვრებდნენ. გაიგებდნენ თუ არა საიდუმლოებით აღსავსე ორი უბედური შემთხვევის ამბავს, იმავე წუთში გასაქცევად ემზადებოდნენ.

ზშირად წლობით ვერ ახერხებდნენ სახლის გაყიდვას. ფასჯრებზე ჩამოფარებული ლურჯი დარაბები ამ ძველებურ შენობას კიდევ უფრო კუშტ იერს აძლევდა.

ასე გაგრძელდა კარგა ხანს, სანამ სახლი თამაზ იაშვილმა არ იყიდა. მეზობლებმა თავიდანვე მიაქციეს ყურადღება სუსტ, სათვალიან. ძალზე წვსიერ, მაგრამ დაბნეულ და უცნაურ ახალგაზრდას. მათი ცნობისმოყვარეობა ერთმა რამემაც გაზარდა — თამაზ იაშვილს სახლი სხვებივით არ მიუტოვებია, როცა იმ ორი თვითმკვლელობის ამბავი გაიგო.

ეს პატარა, მწვანე ეზოებით დამშვენებული ქუჩა სოფელს უფრო წააგავდა. საღამოობით მეზობლები გარეთ გამოფინებოდნენ ხოლმე სალაპარაკოდ. როგორც კი ქუჩაში თამაზი გამოჩნდებოდა, ყველანი გაჩუმდებოდნენ და სათვალიან, მიმზიდველ ახალგაზრდას დაჟინებით მიაჩერდებოდნენ. სიჩუმეს მანამდე არავინ დაარღვევდა, სანამ თამაზ იაშვილი თავისი სახლის მძიმე, ძველებურ მუხის კარს იქით არ გაუჩინარდებოდა. შემდეგ იწყებდნენ ჭორაობას და ათასგვარ ამბებს ჰყვებოდნენ ახალ მობინადრეზე, ზოგი ამბობდა, ძალიან ნიჭიერი მათემატიკოსი ყოფილა და უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე კათედრაზე დაუტოვებიათო. ზოგი უფრო შორს მიდიოდა, თურმე კიბერნეტიკულ მანქანებზე უფრო სწრაფად ანგარიშობსო. მითქმა-მოთქმა მას შემდეგ უფრო გაძლიერდა, როცა გაზეთში მართლა გამოაქვეყნეს წერილი დიდი ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდა მათემატიკოსზე.

თამაზ იაშვილს აღიზიანებდა მეზობლების გამომწვევი ცნობისმოყვარეობა. დილით, ჩვეულებისამებრ, მეზობლის ქალები სქმიანობით იყვნენ გართულნი. ერთი ლოგინის ამზეურებდა, მეორეს ბავშვები მიჰყავდა სკოლაში, მესამე საჩეცხს ჰფენდა. როგორც კი ქუჩაში თამაზ იაშვილი გამოჩნდებოდა, იმავე წუთში ყველანი გაჩერდებოდნენ ხოლმე. თამაზი გრძნობდა, როგორ მიაცილებდა რამდენიმე წყვილი ცნობისმოყვარეობით აღსავსე თვალი.

ყველანი რაღაცას ელოდნენ. თვითონაც არ იცოდნენ რას ელოდნენ, მაგრამ მაინც ჯიუტად ელოდნენ.

თავი პირველი

— პროფესორი თავზიშვილი გეძახით, — ჩაესმა ფიქრებში წასულ იაშვილს ლაბორანტი ქალის ხმა.

თამაზი გამოერკვა და ლაბორანტს თვალი გააყოლა. მერე ნელა წამოდგა და კათედრის გამგის მოადგილის კაბინეტს მიაშურა.

„ნეტავ რა უნდა?“ — გაიკვირვა თამაზ იაშვილმა. მას არ ახსოვს, პროფესორ თავზიშვილს როდესმე გამოეძახოს. დავით თავზიშვილი წუნარი, პატიოსანი და ცოტა მხდალი კაცი იყო. კათედრის გამგემ ალბათ იმიტომაც დანიშნა თავის მოადგილედ. დავით თავზიშვილი არცერთ თათბირზე, არცერთი სა-

გურამ ფანჯიკიძე
თვალი პატიოსანი

კითხის ირგვლივ თავის აზრს არ გამოთქვამდა. იგი, როგორც წესი, ან კათედრის გამგეს, პროფესორ ნიკო კაკაბაძეს დაეთანხმებოდა, ან საერთოდ არ ამოიღებდა ხმას. მაშინაც კი, როცა კათედრის გამგე შვებულებაში ან მივლინებაში წავიდოდა, არ უნდოდა ვინმესთვის ეგრძნობინებინა თავისი უფლებები. არავის ახსოვს, თავზიშვილს ოდესმე ხმა აემაღლებინოს. იგი ყოველთვის წყნარად, ცოტა გაკიანურებულად ლაპარაკობდა. ყველს თავზიანად, ერთხელ და სამუდამოდ გამომუშავებული ღიმილით ესალმებოდა, ჯერ სალამს იტყოდა და მერე, საკმაოდ მოგვიანებით. თავის ნაცრისფერ შლაპასაც მოიხდიდა.

თამაზმა მორიდებით შეაღო თავზიშვილის კაბინეტის კარი და იქვე გაჩერდა. პროფესორი მარტო არ იყო. მასთან ერთად მაგიდას ორი დოცენტი უსხდა და რადაკას ჩასჩერებოდნენ.

კარის ჭრიალზე ყველამ იაშვილს შეხედა. ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა, მერე თავზიშვილმა თამაზს ანიშნა, აქ მოდი, მაგიდასთან დაჯექიო, იაშვილმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ხის უბრალო სკამი გამოსწია.

გარეთ კოისპირულად წვიმდა. მძიმე, შავი ღრუბლები ქალაქს მაჯლაჯუნასავით დასწოლოდა. თითქმის ბნელოდა. ლამპიონები უკვე აენთოთო. მაგრამ ჯერ კიდევ დღის სინათლე სჭარბობდა და მათი მოციისფრო შუქი არც იგრძნობოდა.

არც თუ მოზრდილ კაბინეტში ჰაეს ისა, ეიერის და კოშის სურათები ეკიდა. თავზიშვილის მაგიდის პირდაპირ, წითელი ფერის დაფაზე ვიღაცას დიფერენციალური განტოლება ამოეხსნა.

პროფესორის მაგიდის გვერდით მწვანე მაუდგადაფარებულ პატარა მაგიდაზე ტელეფონი და რადიომიმღები იდგა. რადიოთი მოცარტის რექვიემს გადმოსცემდნენ.

თამაზ იაშვილი მიხვდა, ჯერ მისთვის არ ეცალათ და მთლიანად ჩაეფლო მუსიკაში. ოთახი გაიესო საოცარ, მეტლოდიით და ციფრებით. ციფრებიანი მელოდიის რიტმზე მოფრინავდნენ, მოფრინავდნენ ყოველი მხრიდან, მოფრინავდნენ ჯგუფ-ჯგუფად. თვითეულ ჯგუფში რამდენიმე ათასი ციფრი მაინც იყო. თამაზ იაშვილი ყოველ მათგანს ხედავდა, ეალერსებოდა, ციფრები ერთმანეთში ირეოდნენ. ჯგუფდებოდნენ, მსხვილდებოდნენ, მერე იშლებოდნენ კვადრატებად, კუბებად, მეოთხე ხარისხებად...

— თუ კაცი ხარ, გამოთიშე, მეტი აღარ შემიძლია! — გაბრაზდა მოულოდნელად პროფესორი და ავტოკალამი მაგიდაზე დაადგო.

ერთი დოცენტი ფეხზე წამოდგა და რადიო გამოთიშა.

თამაზ იაშვილი გამოფხიზლდა. ახლა გაახსენდა, რომ თავზიშვილის კაბინეტში იყო. უსაზღვროებად ქცეული სივრცე ისევ ოთხ კედელს შუა მოექცა. ახლა უფრო მძიმედ ჩაესმა ჭექა-ქუხილი და წვიმის ხმა. თითქოს ცა ჩამოიქცაო, ისე წვიმდა. და ამ საშინელ წვიმაში ახლა ქუჩიდან მოესმა მოცარტის რექვიემი. ჯადოსნური მელოდია პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობის გადაღმა, სპორტის სასახლის წინ რკინის ბოძზე მიმაგრებული ქუჩის რეპროდუქტორიდან მოისმოდა.

თამაზ იაშვილს უცნაური გრძნობა შემოაწვა — ძალზე შეეცოდა მოცარტი. რომელიც ამ თავსხმაში მათმატიკის კაბინეტიდან პირდაპირ ქუჩაში გაადგეს.

პროფესორი თამაზს მიაჩერდა. მერე თავი დაღუნა, რვეულები გვერდზე გადადო და სათვალე მოიხსნა. თამაზი მიხვდა, თავზიშვილი ახლა მას დაელაპარაკებოდა. პროფესორმა სათვალე ხელით გაწმინდა. არ ჩქარობდა, თამაზ იაშვილმა შენიშნა, თავზიშვილი ღელავდა. სათვალის გაწმენდასაც თითქოს განგებ აგვიანებდა. თითქოს ახლა ცდილობდა, სათქმელი მოეფიქრებინა და გონებაში თანმიმდევრულად დაელაგებინა.

ბოლოს, როგორც იქნა, სათვალე გაიკეთა და იაშვილს შეხედა. ორივე დოცენტმაც თამაზს მიაპყრო ცნობისმოყვარეობით აღსავსე თვალები.

თავზიშვილმა ჩაახველა, კალმისტარიც რამდენჯერმე დააკაკუნა მაგიდაზე. მაგრამ ლაპარაკის დაწყებას მაინც აგვიანებდა.

გარეთან ისევ ისმოდა წვიმის დგაფუნი. დუმილი აუტანელი ხდებოდა.

—დიახ! — თქვა ბოლოს პროფესორმა და თვალები მაგიდას დაასო, — დიახ...

თამაზი მიხვდა, ეს „დიახ“ საუბრის დაწყებას ნიშნავდა და თავზიშვილს სახეში შეხედა.

— დიახ, — დაიწყო ისევ თავზიშვილმა, — თქვენი საქციელი, ამხანაგო თამაზ, ნამდვილად არ არის მოსაწონი. დიახ, ნამდვილად არ არის მოსაწონი. თქვენ, ასეთ ნიჭიერ და თავაზიან ახალგაზრდას, ნამდვილად ვერ მოგიწონებთ ასეთ საქციელს. მე მგონი, ამხანაგებიც დამეთანხმებიან, — თავზიშვილმა დოცენტებს გადახედა, — რომ ცუდად მოიქეცით.

თამაზმა თვალები დაკუნტა, ასეთი საუბარს ნამდვილად არ მოელოდა. მან ჯერ თავზიშვილს შეხედა, მერე დოცენტებს, მერე ისევ თავზიშვილს მიაპყრო გაოცებული თვალები და მხრები აიჩეჩა.

დიახ! იძულებულიც ვარ, ასეთი საყვედურიც გითხრათ, — პროფესორი მზერას არიდებდა თამაზს, არ უნდოდა ჭაბუკის თაფლისფერ, ღრმა და საიდუმლოებით აღსავსე თვალებს წასწყდომოდა. მართალი და პატიოსანი გულის პროფესორი იტანჯებოდა, თავისივე ნათქვამი თვითონ არ სჯეროდა და სიმწრის ოფლი ასხამდა. —თქვენ ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხართ, კეთედრამ კი ამოდენა ნუობა გამოგიცხადათ. კეცლვეთი მუშაობისათვის ამდენ პირობას გიქმნით, თქვენ კი ცუდად იქცევით, ძალიან ცუდად.

დოცენტები თავს აკანტურებდნენ, მართალი ბრძანდებითო და თან თითქოს თამაზს იაშვილსაც თანაუგრძნობდნენ.

— თქვენ ძალიან ნიჭიერი ხართ, გეთანხმებით. ამას ყველა აღიარებს. თქვენისთანა ნიჭიერი ახალგაზრდა მე არც კი შემხვედრია. თქვენ შეგიძლიათ რვანიშნა ციფრი ოცდაათ წამში დაშალოთ სამ კუბად და ორ კვადრატად. ეს დიდი ნიჭია, ეს ბრწყინვალე ნიჭია, მაგრამ ეს მათემატიკა არაა, ეს მეცნიერება როდია. ეს სასტრადო ნომრის უფრო ჰგავს. ამ ოპერაციებს გამომთველი მანქანები ხომ გაცილებით სწრაფად და ზუსტად აკეთებენ. არა, ეს ნამდვილად დიდი ნიჭია, მაგრამ ყველაფერი როდია...

პროფესორი დაიბნა, სათქმელს თავი ვეღარ მოუყარა. თითქოს ყველაფერი დაუსწარ ჰქონდა მოფიქრებული და ... ,მაგრამ სქმე სქმეზე ... ,სათქმელი თითქოს დაავიწყდა. ... ,ალარ იცოდა მთავარ ამბავზე რა ... ,გადასულიყო. ჯიბეში ცხვირსა ... ,დაუწყო ძებნა. ჯერ მარჯვენა ჯიბეში ... ,ჩაიყო ხელი, მერე მარცხენაში. ... ,ბოლოს პიჯაკის ჯიბიდან ამოიღო დაკეცილი, ახალთახალი ცხვირსახოცი, გაშალა და შუბლზე მომსკდარი ოფლი მოიწმინდა. მერე სათვალე მოიხსნა, თვალები ამოიმშრალა და სათვალე ისევ გაიკეთა.

— დიახ, თქვენი საქციელი ნამდვილად არ არის მოსაწონი, გაკიცხვის ღირსია...

— რა არის გაკიცხვის ღირსი? — გაოცება ვეღარ დამალა თამაზმა.

პროფესორი შეაკრთო იაშვილის ხმამ. მან თვითონვე კარგად იცოდა, რომ მართალი არ იყო და ასე იმიტომ იტანჯებოდა. ერთხანს დუმილი ჩამოვარდა. პროფესორი მაგიდას დაშტერებოდა და კალმისტარს აწვალებდა.

— მაინც რა დავაშავე ასეთი? — თქვა ისევ თამაზმა.

— თქვენ კარგად იცით, რაც დააშა-

გურამ ფანჯიკიძე
თვალი პატიოსანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეთ, — თითქოს შვებით ამოისუნთქა თავზიშვილმა, თითქოს იპოვა საუბრის გასაგრძელებელი ძაფი და მკვირცხლად ჩაეჭიდა, შეეშინდა, ისევ არ დაეკარგა. — გავიწყდებათ, რომ ნიჭი ყველაფერი როდია, ნიჭი ჯერ მეცნიერება არაა. მეცნიერება არის ცოდნა, რთული, კომპლექსური ცოდნა, უამრავი ფაქტისა და მასალის ანალიზი და ერთ სისტემაში მოქცევა. თქვენ ჯერ ბევრი მუშაობა გეჭიდებათ და ბევრი ხელშეწყობა. თქვენ კი როგორ მიგყავთ თქვენი საქმე? თუ ასე გააგრძელეთ, დამხმარე და გეზის გამკვალავი არავინ გეყოლებათ.

— მე მაინტერესებს, რა დავაშავე და რატომ ვარ გასაკიცხი! — მტკიცედ გაიმეორა იაშვილმა.

— თქვენ აწყენინეთ კათედრის გამგეს, ბატონ ნიკო კაკაბაძეს, — ამოისუნთქა თავისუფლად პროფესორმა. როგორც იქნა, თქვა სათქმელი.

— კათედრის გამგეს? — გაოცდა იაშვილი.

— დიახ, კათედრის გამგეს! — პროფესორმა სათვალე მოიხსნა, დაიორთქლა და ბეჯითად გაწმინდა. ახლა მას უკვე შეეძლო უშუალოდ საქმეზე გადასულიყო. — თქვენ მას ძალიან აწყენინეთ.

— მე მგონი, აქ რაღაც გაუგებრობაა!

— არავითარი, ჩემო კარგო, არავითარი გაუგებრობა!

— არ ვიცი, არაფერი მესმის! — მხრები აიჩეჩა იაშვილმა.

— რა არ გესმით, თავი დაანებეთ ბავშვობას. ვითომ არ იცით, რაზეც გელაპარაკებით!

— ნამდვილად არ ვიცი! — გულწრფელად თქვა თამაზ იაშვილმა.

— გიიხსენეთ ჩვენი კათედრის გუშინდელი სხდომა. თქვენ იქ სიტყვით გამოხვედით.

— დიახ, გამოვედი. თუმცა კი არ გამოვედი, მთხოვეს, ერთი კაცი დამეხასიათებინა.

— მერე?

— რა მერე?

— რა და როგორ დაახასიათეთ ის კაცი? ჩემო კარგო, სჯობია ასეთ ლაპარაკს თავი დაანებოთ. ეს ისევ თქვენ გავნებთ. აღიარეთ, რომ დაშავეთ, შეცდით. ბოდიში მოუხადეთ პატივცემულ ნიკოს. თქვით, რომ ყველაფერი გამოუცდელობით მოგივდათ. იქნებ გაპატიოთ კიდეც.

— რა უნდა მაპატიოს, რაზე უნდა მოვუხადო ბოდიში? — სისხლი შემოაწვა იაშვილს.

— მე მოოცებს თქვენი სიჯიუტე თუ გულუბრყვილობა. დიახ, არ ვიცი სხვა რა დავარქვა თქვენს საქციელს. კარგად გახსოვთ, რაც თქვით გუშინ?

— ძალიან კარგად.

— მერედა, რატომ თქვით?

— როგორ თუ რატომ, მკითხეს და ამიტომ ვთქვი!

— თქვენ არ გინდათ გამიგოთ, ჩემო კარგო, დიახ, არ გინდათ, რომ გამიგოთ, — შეწუხდა თავზიშვილი და რვეულები მაგიდის ერთი ბოლოდან მეორეზე გადააწყო. მერე საველესაც შეუცვალა ადგილი და თითქოს სავარძელშიც უფრო მოხერხებულად მოიკალათა.

თამაზ იაშვილი გულმოდგინედ აკვირდებოდა პროფესორის საქმიანობას და კარგად ხედავდა, თავზიშვილს სიმსუქნეშეპარული გრძელი თითები ნერვიულობისაგან როგორ უთრთოდა.

— გუშინ კათედრის სხდომაზე თქვენ გთხოვეს დაგეხასიათებინათ ამხანაგი აბუთიძე, რომელიც კათედრაზე უნდა აგვეყვანა ასისტენტად. აბუთიძე ხომ თქვენი ჯგუფის მეგობარია. ბატონმა ნიკომაც ამიტომ გთხოვათ თქვენ მისი დახასიათება! — პროფესორი შეჩერდა და იაშვილს თვალებში მიაჩერდა. თან სახეზე ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს თამაზს ეუბნებოდა, ახლა მაინც ვეღარ მიხვდი რაშია საქმეო.

— მერე? — იკითხა თამაზმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერედა, როგორ დაახასიათეთ თქვენ იგი?!

— როგორც ეკუთვნოდა. მე სიმართლე ვთქვი. წმინდა წყლის სიმართლე. განა თქვენ კი არ უკითხავდით მას ანალიზურ გეომეტრიას? განა თქვენ თვითონ არ იცით, რომ აბუთიძე ცხრილის უბრალო, ელემენტარულ ინტეგრალებსაც კი ვერ ამოგიხსნით?! განა მე გადავაჭარბე, განა მე ტყუილი ვთქვი რამე?!

— ტყუილი არ გითქვამთ, დიახ, ესე იგი საერთოდ არ იყო საჭირო იმის თქმა, რაც თქვენ თქვით, დიახ... — დაიბნა ისევ თავზიშვილი და სახეზე ისეთი ეერი დაედო, თითქოს მკერდში თუ სადღაც, მუცლის ღრუში რაღაც საშინელმა ტკივილმა გაუარა, — თქვენ ხომ იცოდით, რომ ბატონ ნიკოს მისი აყვანა უნდოდა ასისტენტად.

— ჯერ ერთი, მე ეგ არ ვიცოდი. მეორეც ისა, კიდევაც რომ მეცოდნოდა, ამით არაფერი შეიცვლებოდა. მე მაინც ჩემსას ვიტყოდი, იმიტომ რომ ტყუილის თქმა არ შემიძლია.

— ო, ყმაწვილო, ყმაწვილო, თქვენ ძალიან უცნაური ხართ, დიახ, ძალიან უცნაური. თქვენი ნიჭი ჯერ კიდევ არაფერს არ ნიშნავს. თქვენ ჯერ კაცი გინდათ, რომელიც ფეზზე დგაყენებთ. თქვენ კი ეს არ გესმით. ძალიან უცნაური კაცი ბრძანდებით, ძალიან...

თავზიშვილი ამას გულწრფელად ამბობდა. დოკენტებიც ძველებურად დუმდნენ, ოღონდ ხანდახან ისე დაიქნევდნენ ხლმე თავებს, თითქოს თავზიშვილსაც ეთანხმებოდნენ და იაშვილსაც თანაუგრძნობდნენ.

— გამოდის, რომ სიმართლე არ უნდა მეთქვა, არა?

— სიმართლე, სიმართლე... — ნერვიულად ჩაილაპარაკა პროფესორმა და რვეულები ისევ მაგიდის მეორე მხარეს გადმოაწყო, — ჯერ თქვენ ცხოვრებისა არაფერი გაგეგებათ. მე თქვენ პატივს გცემთ, თქვენი ნიჭისა მჯერა. მინდა, რომ მუშაობის საშუალება გქონდეთ. მე მეგონა მოინანიებდით, ეძებნებ პატონ ნიკოს ეპატიებინა კიდეც თქვენი დანაშაული...

— როგორ, ბატონო დავით, განა სიმართლე დანაშაულია? ნება მიბოძეთ გკითხოთ, როდის აქეთ გახდა სიმართლე დანაშაული?

პროფესორი შეკრთა, სახეზე წითელი ფერი ნაცრისფერმა ისე შეცვალა, თითქოს სადღაც სიღრმეში წითელი სინათლე გამოთიშეს და ნაცრისფერი ანათესო. იგი გამოუცდელი იყო ასეთ საუბრებში და მიხვდა, საქმე სწორად ვერ წარმართა. მას არც შეეძლო სხვანაირად წარემართა ეს საუბარი. პატიოსნება ნებას არ აძლევდა კათედრის გამგის ასეთი უსამართლო დავალება შეესრულებინა. თავზიშვილი იტანჯებოდა, საკუთარ სინდისს ებრძოდა, მაგრამ სწორედ სიმხდალის გამო ვერ უთხრა უარი კათედრის გამგეს და მაინც იკისრა ამ უპატიოსნო, უსამართლო და მისი ბუნებისათვის ყოვლად უჩვეულო მისიის შესრულება.

თამაზ იაშვილი ყველაფერს მიხვდა და ყველაფერი გადაწყვიტა. იგი ახლა მხოლოდ ზრდილობის გულისთვის უსმენდა თავზიშვილს. ეცოდებოდა კიდეც დაბნეული და ფერდაკარგული პროფესორი. კარგად იცოდა, რა მღელვარების, ნერვების დაძაბვის ფასად უჯდებოდა თავზიშვილს ეს დიპლომატური საუბარი, რაც ასე უხეიროდ გამოუვიდა.

თამაზმა უნებურად დაფას გახედა. დაფაზე პირველი რიგის წრფივი დიფერენციალური განტოლება იყო ამოხსნილი. პროფესორის საუბარს უკვე აღარ უსმენდა, თუმცა ისეთი გამომეტყველება კი ჰქონდა, თითქოს ყველაფერს ყურადღებით იმახსოვრებდა. თამაზ იაშვილისათვის ასეთი განტოლების ამოხსნა რამდენიმე წამის ამბავი იყო. მან ცალი თვალი მოუტუტა და განტოლება მუდმივის ვარიაციის, ეგრეთ-

გურამ ფანჯიკიძე
თვალი პატიოსანი

წოდებული ლაგრანჟას ხერხით თვალის დახამხამებაში ამოხსნა. მერე თავისი პასუხი დაფაზე დაწერილ შედეგს შეადარა. დაფაზე განტოლება შეცდომით იყო ამოხსნილი.

— მე პირდაპირ აღარ ვიცი, როგორ შეეწყობით კათედრის გამგეს, — გაწამალა ხელები თავზიშვილმა და ამ სიტყვებით დაამთავრა თავისი საკმაოდ გრძელი და ანდაუბდა საუბარი.

— ჩემთვის ყველაფერი გასაგებია, პატივცემულო პროფესორო. გთხოვთ ქალაღი მომაწოდოთ. მე ახლავე დავწერ განცხადებას.

პროფესორი არ ელოდა, იაშვილი თუ ასე იოლად, ალიაქოთის გარეშე დასთმობდა ყველაფერს და სინდისის ქენჯნა იგრძნო. თავისი უმჭეობა კიდევ უფრო აღელვებდა. იგი მარილაც დიდად აფასებდა თამაზ იაშვილის ნიჭსა და შესაძლებლობებს. ახლა კი გულწრფელად სწუხდა, რომ უშუალოდ მონაწილეობდა მის ყოვლად უსამართლო გაძევებაში. სწუხდა, რომ სხვისი კარნახით მოქმედებდა, სიმხდალისა და შიშის გამო ხმას ვერ იმაღლებდა, პატიოსან და ალალმართალ კაცს ვერ ექომაგებოდა. თუმცა გამოქომაგებას ვინ დაეძებდა, როცა უშუალოდ მას დაავალეს, იაშვილის მშვიდობიანად გაძევების საქმე მოეგვარებინა.

— არა, განცხადება რა საჭიროა... იქნებ სჯობდა, ბატონ ნიკოსთან შესულიყავით, მოლაპარაკებოდით...

— ბატონ ნიკოსთან მე აღარ შევალ. გთხოვთ ერთი ფურცელი მომცეთ.

— თქვენი ნებაა, თუმცა მე მაინც გირჩევდით... — ისევ აიწურა პროფესორი და თან ფურცელი მიაწოდა.

თამაზმა ფურცელი ჩამოართვა, განცხადება სწრაფად დაწერა და თავზიშვილს წინ დადო მაგიდაზე. მერე ფეხზე წამოდგა, ყველას თავი დაუკრა და გასასვლელისაკენ გაემართა. დაფასთან მაინც შეჩერდა, მცდარი პასუხი წაშალა, სწორი მიაწერა და გარეთ გავიდა.

თავზიშვილმა დაფას შეხედა, გონებაში რაღაცას ანგარიშობდა. მალე ფარ-
ეროვნული ბიბლიოთეკა
წმუნდა, რომ იაშვილი სწორი იყო. ფურცელი
ეროვნული ბიბლიოთეკა
თვლე მოიხსნა, შუბლზე მოშსკდარი ოფლი ისევ ცხვირსახოცით მოიწმინდა და ჩაილაპარაკა:

— დიახ, ძალიან თავისებური ყმაწვილია.

დოცენტებმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნიეს, თან მოკრძალებით ჩაიცინეს.

●

ქუჩაში უკვე ბნელოდა. წვიმა ისევ ძველებურად ასხამდა. დროდადრო ცა ელვის ხაზებით დაიბზარებოდა და მერე საშინლად იქუხებდა.

თამაზ იაშვილმა მუხის ძძიმე კარი გამოაღო და იქვე, ინსტიტუტის შესასვლელთან მდებარე პატარა ბაქანზე შეჩერდა. შინიდან პერანგისამარა გამოვიდა. ღილიდ ცა ისე იყო მოსარკული, ღრუბლის ერთი ნაგლეჯიც კი ირსად ჩანდა. კაცი ვერ წარმოიდგენდა, ამინდი თუ ასე შეიცვლებოდა. ელექტრონის შუქზე აციმციმებულ სველ ასფალტზე წვიმა ისე დგაფუნებდა, თითქოს რიყეზე ამოყრილი თევზები ფართობალებდნენ.

თამაზ იაშვილი ისევ ერთ ადგილზე იდგა და წვიმის გადაღებას ელოდებოდა. ქუჩაში ძეხორციელი არ ჭაჭანებდა. იგი ჩუმად იდგა, ვითომაც არ იცოდა, რას გრძნობდა. თითქოს შვებით ამოისუნთქა კიდეც, სამსახურს რომ თავი დაანება. იცოდა, ადრე თუ გვიან ეს მაინც უნდა მომხდარიყო. მას არ შეეძლო ინსტიტუტში მუშაობა. საშინლად ღლიდა და აღიზიანებდა უამრავ ადამიანთან, უამრავ განსხვავებულ ხასიათთან ურთიერთობა. მაგრამ შემდეგ? რა უნდა გაკეთოს მომავალში?

ვერც კი შეამჩნია, ნახევარი საათი როგორ გავიდა. უცებ მანქანა დაინახა, ზედ ინსტიტუტის შესასვლელთან. შოფერს თავი უკან გადაეგდო და ეძინა.

„როდის მოვიდა, ან რატომ აქამდე ვერ შევამჩნიე?“ — გაოცდა თამაზი.

თითქოს ახლა მიხვდა, რომ ქუჩაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანქანები და საერთოდ არაკეთილი ტრანსპორტი არ მოძრაობდა. თვითონაც ვერ გარკვეულიყო, მის ირგვლივ რა ხდებოდა. მალე ლაპარაკი შემოესმა. მოიხედა და შეკრთა, კარებში კათედრის გამგე ნიკო კაკაბაძე, პროფესორი თავზიშვილი და ის ორი დოცენტი გამოჩნდნენ. მართალია, ერთად მუშაობდნენ, მაგრამ თამაზმა არცერთის სახელი და გვარი არ იცოდა. საერთოდ, კათედრაზე ძალზე ცოტას იცნობდა სახელით და გვარით, არასდროს არ უკითხავს მათი ვინაობა. სახით კი ყველა კარგად ახსოვდა და ყველას თავაზიანად ესალმებოდა. თამაზ იაშვილის ძლიერი მეხსიერება იმავე წუთში იტყობოდა სტუდენტების სახეებით, სახელებით და გვარებით. არ შეიძლებოდა, ჯგუფში შესულიყო და პირველსავე დღეს სრულიად უცნობი სტუდენტების სახეები მისი ტვინის უჯრედებში არ ჩახატულიყო. ისიც კი ახსოვდა, რომელი სტუდენტი რომელ დღეს ვის გვერდით იჯდა. თანამშრომლების სახეებიც მშვენივრად ახსოვდა, მათი გვარები კი არ იცოდა. იმიტომ რომ მათი საქმიანობით არასდროს ეინტერესებულა. კათედრის სხდომებზეც თავისთვის იჯდა, არაფერზე თავის ბრს არ გამოხატავდა. უცნაური საქციელს კათედრაზე პირველად მეტჩრობად, პოზად უთვლიდნენ, მაგრამ მალე მიხვდნენ, რომ იაშვილი არ პოზობორობდა. უცნაური ახალგაზრდას თითქოს ალღო აუღია, მას თავისი უშუალო საქმის გარდა არასდროს არაფერს არ ავალებდნენ. მხოლოდ ერთხელ სთხოვეს თავისი აზრი გამოეთქვა და მისი პირველივე გამოსვლა მარცხით დამთავრდა. თანამშრომელთა მლიქნელობას შეჩვეულ ნიკო კაკაბაძეს ისედაც გულზე არ ეხატებოდა თამაზ იაშვილი. გუშინდელი შემთხვევის შემდეგ კი მიხვდა, მისი პატივმოყვარე ბუნება ასეთ კაცს კათედრაზე ვერ იგუებდა.

კათედრის გამგემ უმალვე შენიშნა კედელზე ცალი მხრით მიყრდნობილი თამაზ იაშვილი, მაგრამ ვითომ ვერ დაინახა, თავზე პორტფელი გადაიფარა და მანქანას მიაშურა. დავით თავზიშვილი კი შეკრთა. არ ეგონა, იაშვილს თუ ჭეშმარიტად ერთბაშად თითქოს გაქვავდა, თამაზს მიაჩერდა. გულში რაღაც სიანახული იგრძნო და სირცხვილმა შეაწუხა.

— დიახ! — წარმოსთქვა უცებ და თვითონაც მანქანას მიაშურა.

მალე წვიმის ხმაურს მანქანის მოტორის ყრუ გუგუნიც შეუერთდა.

მანქანა წავიდა.

თამაზმა ცას შეხედა. გადაღებას არ აპირებდა. უკვე კარგად დაბნელებულიყო, ბოლოს ლოდინი მოსწყინდა, ხელი ჩაიქნია და გზას გაუყვა.

უცებ წვიმა შეწყდა. თამაზმა ვერც კი აღიქვა, წვიმამ როგორ გადაიღო. იგი ერთბაშად მიხვდა, რომ აღარ წვიმდა. გაოცებულმა მაღლა აიხედა და მოკაშკაშე მთვარე დაინახა. მთვარე თითქოს დედამიწასთან იყო მოახლოებული, რაღაც უცნაურად დიდი და უფრო კაშკაშა ჩანდა.

დიდხანს იარა. ქუჩაში კაციშვილი არ დაუნახავს.

„ნეტავ რომელი საათია?“ — გაიფიქრა უნებურად და საათს დახედა. საათი გაჩერებულიყო. თამაზმა მარცხენა ხელი გააქნია და საათი ყურთან მიიტანა. საათი არ ამუშავდა. მერე საათი მოიხსნა, იქნებ მომართვა დამავიწყდაო, ბოლომდე მომართა და ისევ ყურთან მიიტანა. საათი დუმდა. თამაზმა საათი ისევ გაიკეთა. ამასობაში ლენინის მოედანზე გავიდა. ქალაქის საბჭოს კოშკზე საათს გახედა, ეს უზარმაზარი საათიც გაჩერებულიყო.

კიროვის ქუჩას აუყვა, მერე დავითაშვილზე გავიდა და ვიწრო ქუჩაზე გადაუხვია.

„რა საშინელი სიჩუმეა, — გაიფიქრა თამაზმა და გული შეეკუმშა. — ნუთუ მთელს ქალაქს სძინავს, განა რომელი საათია?“

უცებ სიბნელე ჩამოწვა. მაღლა აიხე-

გურამ ფანჯიკიძე
თვალი კატიოსანი

და. მთვარე უზარმაზარი, შავი ღრუბლის ხახაში ნელ-ნელა უჩინარდებოდა. თამაზ იაშვილს საკუთარი გულისცემა ესმოდა. შიშმა შეიპყრო, ნაბიჯს აუჩქარა. თვითონაც ვერ მიხვდა, რისი ეშინოდა.

უეცრად ვიღაცის ნაბიჯების ხმა მოესმა. შეჩერდა, გული ამოვარდნაზე ჰქონდა. ნაბიჯების ხმა შეწყდა.

„ნუთუ ჩემი ფეხის ხმა იყო? — გაიფიქრა და გზა განაგრძო.

ნაბიჯების ხმა ისევ მოესმა. თითქოს ვიღაც მოსდევდა ქუჩრეულად. თამაზი შედგა. ნაბიჯების ხმაც უმალვე მიწყდა. აღარ იცოდა, საით წასულიყო. ბოლოს შეა ქუჩაზე გადავიდა და ისევ განაგრძო სიარული. ნაბიჯების ხმა ახლა წინიდან მოესმა. თითქოს ვიღაცამ თავი დაუარა. თამაზი ისევ შეჩერდა, მაგრამ ნაბიჯების ხმა წყალანდლივით ალარ შეწყვეტილა. ქალაქში ჩამოწოლილ სიმყუდროვეს მხოლოდ ეს უცნაური ხმა არღვევდა.

თამაზ იაშვილი ისევ ერთ ადგილზე იდგა გაქვავებული. ნაბიჯების ხმა ახლა უფრო გარკვევით ისმოდა. კარგად გაარჩია, ეს რკინის ნალებიანი ბათინკების ხმა იყო. გრძნობდა, ვიღაც უხილავი არსება უახლოვდებოდა და სადაცაა ყელში სწვდებოდა. უნდოდა შებრუნებულიყო, გაქცეულიყო, მაგრამ ფეხი არ ემორჩილებოდა. იქნებ ეს ყველაფერი სიზმარი იყო და სადაცაა გაიღვიძებდა?!

რკინის ნალებიანი ბათინკების ხმა სავსებით გარკვევით ისმოდა და თამაზმა შენიშნა, რომ სიბნელეს რაღაც დაბალი, ოთხკუთხედი ფიგურა გამოეყო. ეს ფიგურა ნელ-ნელა უფრო იღებდა ადამიანის მოხაზულობას. თამაზის ზანახვაზე თითქოს ნაბიჯიც კი შეენელა. მერე თამაზს მიუახლოვდა და ჩახრინწული, გაბზარული ხმით უთხრა:

— ასანთი არა გაქვს?

თამაზ იაშვილმა თითქოს შვებით ამოისუნთქა და ჯიბიდან ბენზინის კვესი ამოიღო. მკრთალ სინათლეზე კარგად გაარჩია უცნობის საზარელი გამომეტყველება. ალაგ-ალაგ დაწითლებული და დასიებული სახე ჰქონდა. მეჩხერი, ჩაშავებული კბილები ამაზრზენად ითეთრებუჩანდა.

უცნობმა სიგარეტი მოქაჩა, თამაზს სახეში შეხედა და საზარლად, შეთქმულივით ჩაიცინა.

— შეგეშინდა, არა? — მერე თამაზს ტუჩები ყურთან მიუტანა და ჩურჩულით, თითქოს სიიდუმლოდ უთხრა: — იმიტომ რომ ადამიანები ერთმანეთს არ ვენდობიან.

თამაზ იაშვილს ისევ ჩაესმა საზარელი, გესლიანი სიცილი. უცნობი წავიდა. თამაზს ახლა გაახსენდა, რომ ბენზინის კვესი ისევ ანთებული ეჭირა ხელში. ბოლოს კვესი ჩააქრო, ჯიბეში ჩაიღო და გზა განაგრძო.

ერთბაშად საშინელი დაღლილობა იგრძნო.

●

თამაზმა ქვის კიბე დინჯად აიარა და ჯიბიდან უზარმაზარი გასაღები ამოიღო. სიბნელეში საკეტს ძლივს მოაგო. მიხვდა, ხელი უკანკალებდა. გასაღები ნელა გადაბრუნა. გაისმა მელოდიური, რაღაც ზღაპრული საიდუმლოებით აღსავსე ყღრიალი და მძიმე მუხის კარი ნელ-ნელა თავისით გაიღო. თამაზი ოთახში ისე ფრთხილად შევიდა, თითქოს ეშინია ვიღაც არ გამოაღვიძოსო. მერე კარიც ასევე ფრთხილად მიხურა და ელექტრონის ღილაკი მონახა. სიბნელეში ერთბაშად გამოიკვეთა გაკაშკაშებული პარალელეპიპედი.

თამაზ იაშვილის სახლი ერთი ოთახისაგან, სამზარეულოსა და ხის აივნისაგან შედგებოდა. ოთახი საკმაოდ დიდი იყო, მაგრამ ძალზე მაღალი ჭერი სიმყუდროვეს უკარგავდა. ოთახში ცალ მხარეს ჩუქურთმებიანი ძველებური კარადა იდგა. ფანჯარასთან ასევე ძველებური, უზარმაზარი ხის საწოლი მოჩანდა. დანარჩენი კედლები წიგნის თაროებით იყო დაფარული. ძველებურ, მძიმე ფეხებიან მაგიდაზეც წიგნები ეყარა. კუთხეში, აივნის პირდაპირ, ტყავგადაჭერილი უშნო სავარძელი იდგა.

თამაზი სავარძელთან მივიდა და ჩაჯ-

და. ფეხები გაშალა, ხელები ხის სახელურზე დაალაგა, თავი საკარძლის ზურგს მიაყრდნო და თვალები დახუჭა. თვალწინ ისევ საზარელი შესახედაობის კაცი წარმოუდგა. მისი გაბზარული სიცილაც ისევ ჩაესმა ყურში და რკინის ნალებიანი ბათინკების ხმაც ისევ გაგონა. კარგა ხანს ცდილობდა, უცნობის სახე მოეშორებინა.

„ნეტავ რომელი საათია?“ — გაიფიქრა უნებურად და თვალი გაახილა, თავის უზარმაზარ, ჩუქურთმებიან საათს შეხედა. იგი მოპირდაპირე კედელზე ეკიდა, წიგნის თაროებს შორის. საათი გაჩერებულიყო.

— ამ საათებს მაინც რა ჯანდაბა დაემართა, — ჩაილაპარაკა გაოცებულმა, ხის სკამი კედელთან მიიტანა და საათი მომართა. მყუდროება საათის დაგუდულმა ხმამ დაარღვია. თამაზმა არ იცოდა, რომელი საათი იყო და ისრები ხელუხლებელი დატოვა. თვითონ კვლავ საკარძელში ჩაჯდა და თვალები დახუჭა. ახლა მას მხოლოდ საათის ხმა ესმოდა. ეს ხმა თანდათან ძლიერდებოდა. მერე თითქოს კედლები, მთელი სახლი, მთები უცნაურად ჩაიშალა და ქვესკნელში ჩაიკარგა. მის ირგვლივ მხოლოდ უსაზღვრო ცა მოჩანდა, უჩვეულო ნაცრისფერი ცა. უცებ სადღაც შორს, ჰორიზონტზე ციფრები ისე წამოიშალნენ, თითქოს ვიღაც მონადირემ უთვალავი ჩიტი წამოაფრინაო. ციფრები ჩიტის გუნდებივით მოფრინავდნენ. თვითეულ გუნდში რამდენიმე ათასი ციფრი მაინც იყო. თამაზი ყოველ მათგანს ხედავდა, ეალერსებოდა, ეფერებოდა. ოთხი ციფრები მოფრინავდნენ და მოფრინავდნენ. ერთმანეთს ეწეოდნენ, ერთმანეთში ირეოდნენ. მერე კვადრატებად, კუბებად, მეათე ხარისხებადაც კი იკუმშებოდნენ, მერე ისევ გაშალნენ ხელებიდან ხელებიდან ... მიისწრაფოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ იაშვილს შუბლზე ოფლი ასხამდა. მისი ტვინი დაძაბულობისაგან თითქოს ცახცახებდა, ათასგვარ ურთიერთულს განგარიშებას ელვის სისწრაფით ახდენდა. ახლა იგი უფრო რთულ ამოცანებს ხსნიდა. აი, ტრიგონომეტრიული დიფერენციალის ინტეგრება, როცა ერთ-ერთი მაჩვენებელი კენტი რიცხვია. შემდეგ რაციონალური დიფერენციალის ინტეგრება, როცა ფილადი უცნობის წილად ხარისხებს შეიცავს. მერე ტრანსცენდენტული ფუნქციები, უსასრულოდ დიდი სიდიდეები. ამოცანები თანდათან უფრო რთულდებოდა. თამაზ იაშვილი ნაცრისფერ ცაზე ახლა მხოლოდ ციფრებს და მათემატიკურ გამოსახულებებს როდი ხედავდა. ერთმანეთში ელვასავით ისლართებოდა მათემატიკურ ცნებათა გრაფიკული გამოსახულებანი, ათასგვარი ფიგურები, კუბისტურ ქანდაკებებს რომ წააგავდა.

მერე ყველაფერი ნელ-ნელა გაქრა. ციფრები სადღაც გაფრინდნენ, გამოსახულებანიც გაფერმკრთალდნენ და გაუჩინარდნენ. თამაზ იაშვილს ჩაეძინა. ოთახში ისევ ისმოდა საათის ისრის დაგუდული ხმა. ეს ხმა თამაზს ძილში ჩაესმოდა. მერე თითქოს ნელ-ნელა გაძლიერდა და ფეხის ხმად იქცა. თამაზმა იცნო რკინის ნალებიანი ბათინკების ნაცნობი და საზარელი ხმა, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა.

გამოეღვიძა. სიცივისაგან ერთთავად კანკალებდა. სასწრაფოდ ლოგინი გაშალა, ჩაწვა და საბანი თავზე წაიფარა.

თავი მეორე

ტელევიზიის ნათელი შენობის დერეფნებში დინჯად მოსიარულე ადამიანს ვერ შეხვდები. იქ ყველანი სწრაფად დაბიჯებენ, უფრო სწორად, დარბიან. ერთმანეთს სირბილით ელაპარაკებიან, ერთ ადგილზე ვერ ისვენებენ. საქმეც რომ არაფერი ჰქონდეთ, მაინც სადღაც

გურამ ფანჯიკიძე
თვალი პატიოსანი

ზიიჩქარინ. ეს ერთხელ და სამუდამოდ აღებული ინერციაა, რომლის ტყვეობიდან ვერა და ვერ გამოდიან. საუზმესაც გამალებული ჭამენ, მაგიდასთან ნერვიულად ცმუტავენ, ფეხებს ვერ იმორჩილებენ.

ამ სირბილში იბადება სიუჟეტები, თემები, სათაურები. სირბილი ისე გაბატონდა მათ არსებაში, რომ ვეღარც კი წარმოუდგენიათ დერეფანში ნელა გაიარონ.

ერთადერთი კაცი, რომელიც ზლაზვნით დაიარება მთელ დერეფანში, ეს არის ოთარ ნიკარაძე. ალბათ იმიტომ, რომ იგი მწერალია და თვლის, რომ ტელევიზიაში დროებით მუშაობს... ოთარ ნიკარაძე ტემპერამენტიანი, სიცოცხლით სავსე კაკაო, მაგრამ ისეთი დინჯი სიარული იცის, კაცს თავდაბირველად ფლეგმატური მოგეჩვენება. ოთარი ბაღალი, დაკუნთული ბიჭია. მის მკაცრ და ენერგიულ იერს თაფლისფერი კეთილი თვალები სიობოთი და სიღრმით ანეიტრალებს. მას გრძელი, კოვბოური ფილმების გმირებივით მუხლებში ოდნავ მოხრილი ფეხები აქვს, თბილისელ ქალიშვილებშიც განსაკუთრებით ამით იყო ცნობილი. ნიკარაძემ იცოდა თავისი პოპულარობის მიზეზი და ოდნავ მოშვებულადაც იმიტომ დადიოდა.

ოთარ ნიკარაძე უფროსი რედაქტორია ლიტერატურულ-დრამატულ განყოფილებაში. ეს იმას ნიშნავს, რომ მას ჰყავს ერთი ხელქვეითი. ეს გახლავთ რედაქტორი გივი ჯოლია, დაბალი, გამოციებულთვალებიანი ბიჭი. არასდროს მის მიერ გამოთქმული აზრი და სახის გამომეტყველება ერთმანეთს არ ემთხვევა. გივი ჯოლიას გამომეტყველება ყოველთვის ერთი ტაქტით ჩამორჩება გამოთქმული აზრის შინაარსს, რაც მის სახეს გაურკვეველ, ცოტა არ იყოს ყეყეჩურ გამომეტყველებას აძლევს.

ოთახი, სადაც ოთარ ნიკარაძე ზის, მთავარ ქუჩას გადმოჰყურებს. ქუჩის მხარეს კედელი მთლიანად მინისაა. ოთახში ოთხი მაგიდა დგას. ოთარის მაგიდა, ისევე როგორც მეორე უფროსი რედაქტორის, მზია ახობაძის მაგიდა, ფანჯარასთანაა მოთავსებული. [illegible] ტორების მაგიდები კი შემოსასვლელ კარებთანაა განლაგებული ერთმანეთის პირდაპირ.

ოთარ ნიკარაძე სკამზე არასდროს ნორმალურად არ ჯდება ხოლმე. ჩვეულებრივ, საზურგეზეა გადაწოლილი და სკამი უკანა ორ ფეხზე აქვს შეყენებული. გაჭიმული ლონიერი ხელებით მაგიდის კიდეებს ეყრდნობა, ხოლო გრძელი ფეხები მაგიდის ქვეშა აქვს გაშოტილი.

დღეს ოთარი ვერ იყო გუნებაზე. დილით შინ ჭამა ვერ მოასწრო, ჯიბეში კი კაპიკი ფული არ ჰქონდა. სკამი კარგა ხანს აწვალა უკანა ფეხებზე. მერე პოზა შეიცვალა. გრძელი ფეხები მოკეცა, სკამი წინა ფეხებზე შეაყენა და იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო. იგი ხან მზია ახობაძეს მისჩერებოდა დამცინავად. ხან მის ხელქვეითი რედაქტორ ნანა აბესაძეს.

მზია სიგარეტს ეწეოდა და თან გაბლუტული რაღაცას წერდა. ოთარ ნიკარაძეს გულწრფელად უკვირდა, რა ჰქონდა ამდენი საწერი მზიას. ოთარმა ახლა ნანას შეხედა. ნანა რაღაცას ასწორებდა და სახეზე ენით გამოუთქმელი ტანჯვა ჰქონდა აღბეჭდილი.

ნანა აბესაძე წყნარი, უპრეტენზიო ქალიშვილი იყო. ტელევიზიასთან საერთო არაფერი ჰქონდა და ოთარი ვერ მიმხვდარიყო, საიდან მოხედა რედაქტორის თანამდებობაზე. როცა იგი ნაწუყვეტ-ნაწყვეტად, შეშინებული ლაპარაკობდა და აზრს თავს ვერ უყრიდა, ოთარ ნიკარაძე ნერვიულად იგრიხებოდა, თითქოს მისი ტვინის ღრეჩიალი ესმოდა და საშინელი სურვილი ჰქონდა, ნანა აბესაძის ტვინი დაეზეთა.

კუჭმა ისევ გაახსენა თავი.

— ფულს რომელი მასესხებთ? — იკითხა ოთარმა და ქალიშვილებს გადახედა.

დუმილი არავის დაურღვევია. მზიამ სიგარეტი საფერფლეზე დააგდო და ხელი შუბლზე შემოიდო.

ოთარ ნიკარაძე მიხვდა, ამ შენობაში ფულის მშოვნელი არ იყო. ფეხები ისევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაშალა, სკამის საზურგეს მიაწვა და გემრიელად გაიზმორა.

— ოთარ, ხუ გავიწყდება, რომ აქ ქალშვილები ვსხედვართ!—თავის აუღებლად თქვა მზიამ.

— წელან, ფული რომ ვითხოვე, მაშინ რატომღაც ვერ ვიგრძენი თქვენი აქ ყოფნა! — თქვა ოთარმა და სიგარეტი ამოიღო, — ეს ჩემი ბიჭი მაინც სად დამეკარგა? — დაამატა თავისთვის და გიე ჯოლიას მაგიდას გადახედა.

ამ დროს კარი გაიღო, ოთახში მთავარი რედაქტორი მირონ ალავიძე შემოვიდა და ყველას სათვალის ზემოდან გადმოხედა.

— თქვენ რას აკეთებთ? — ჰკითხა მოულოდნელად მზიას.

— მე... არაფერს, — დაიბნა უცებ მზია.

— თქვენ? — მიუბრუნდა ოთარ ნიკარაძეს.

— არაფერს! — მშვიდად მიუგო ოთარმა და სიგარეტი გააბოლა, თან სკამი უკანა ორ ფეხზე შეათამაშა.

— მე ვერ დავუშვებ პარალელიზმს მუშაობაში! — გაბარხდა მირონ ალავიძე და კარი გაიჯახუნა.

ოთარმა გაიცინა, წამოდგა და მზიას მაგიდაზე ჩამოჯდა.

— შენ მაინც არ იცი, სად არის ამ ხანაგი ჯოლია?

— გაცილებით სჯობდა, საკუთარ მაგიდაზე ჩამომჯდარიყავით.

— საკუთარ მაგიდაზეც სიამოვნებით ჩამოვჯდები, მაგრამ აღარ შემიძლია შენს მაგიდაზე აკრული მუყაოს ყურება, რომელიც ყოველ წამს მაგონებს, რომ მის იქით შენი ლამაზი ფეხები იმალება.

— ოთარ!

— „ოთარ, ოთარ!“— გაიმეორა ნიკარაძემ, — აბა კი არ შეგეცოდებით, დილიდან რომ არაფერი მიჭამია.

ოთარი წამოხტა, ოთახში გაიარ-გამოიარა, ამ დროს კარი ფრთხილად გაიღო და თამაზ იაშვილი შემოვიდა.

— მადლობა ღმერთს, გაგახსენდი!— გახარებული ოთარი მეგობარს ისე გადაეხვია, კინაღამ სათვალე ჩაუმტვრია.

— აგერ სკამი, მოდი, ჩემს მაგიდასთან დაჯექი.

თამაზ იაშვილი ქალშვილებს დანანულად მიესალმა. ქალშვილებმა ღიმილით დაუკრეს თავი და თან ცნობისმოყვარეობით მიაჩერდნენ. ორთავემ იცოდა ახალგაზრდა მათემატიკოსის არაჩვეულებრივი ნიჭის ამბავი და ისე შესცქეროდნენ, როგორც რაღაც უჩვეულო არსებას.

თამაზი მეგობრის სკამზე დაჯდა.

— გუშინ საღამოს შენთან ვიყავი, შინ არ დამხვდი. — უთხრა ოთარმა.

— ჰო, გუშინ გვიან მივედი შინ. სიგარეტი მომაწვინე.

— ბრავო, მოი მალჩიკ! როდის აქეთ? გაიკვირვა ოთარმა და თან სიგარეტი გაუწოდა.

— მეორე წელია ვეწევი!

— მერე მე ამას მხოლოდ დღეს ვიგებ! — შეჰყვირა ოთარმა, — მე მგონია, არ გამოვა ჩემგან მწერალი. მაინც სად იყავი გუშინ?

ოთარმა სიგარეტი მაღლა ააგდო და პირით დაიჭირა. მერე ასანთი გაკრა, ჯერ მეგობარს მოაკიდებინა, მერე თვითონ მოუკიდა და ნამწვავი საფერფლეზე გადაადგა. საფერფლედ კინოლენტის შესანახი უზარმაზარი ალუმინის კოლოფი ედგა.

— ოთარ, ბატონი მირონი გთხოვთ! — შემოაღო კარი პატარა, შეღებილმა გოგონამ.

— გადაეცით, რომ აღტაკებული ვარ მისი ყურადღებით. ჰო, მართლა, — მიუბრუნდა ისევ თამაზს, — სად იყავი გუშინ საღამოს?

— კათედრაზე ვიყავი! — თქვა სევდიანად იაშვილმა.

— ხომ არაფერი შეგემთხვა?

— ჰო! — დაუქნია თავი და სიგარეტი გააბოლა.

— მაინც რა, ამოშაქრე.

— ჯერ წადი, ხომ ხედავ, გეძახიან.

გურამ ფანჯიკიძე
თბილი პატიოსანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოიცდიან. შენ ეს მითხარი, რა მოხდა?

— კათედრის გამგესთან უკმაყოფილება მომივიდა.

— იმედი მაქვს სისულელეს არაფერს იტყოდი.

— გამოდის, რომ ვთქვი. — უხერხულად გაიღიმა თამაზმა.

ოთარი მიხვდა, თამაზს სხვისი თანდასწრებით ლაპარაკი არ სიამოვნებდა.

— ფული გაქვს? —ჰკითხა მოულოდნელად მეგობარს.

— მაქვს.

— მაშინ საუბარი სასადილოში გავაგრძელოთ. მე ახლავე დავბრუნდები.

ოთარი მთავარ რედაქტორთან წავიდა.

●

მირონ ალავიძის კაბინეტი შენობის კუთხეში იყო მოთავსებული. იგი ერთი მხრიდან მთავარ ქუჩას გადაჰყურებდა, მეორე მხრიდან ზოოპარკს.

კაბინეტში რატომღაც სამი ტელევიზორი იდგა, ორი — მთავარი რედაქტორის მაგიდის პირდაპირ. ერთი კი ფანჯარასთან მიდგმული შინდისფერი დივანის გვერდით. კაბინეტში რადიომიმღებიც იდგა და უზარმაზარი მაგნეტოფონიც.

ალავიძის მაგიდა სიდიდითა და სიმძიმით გამოირჩეოდა. მაგიდას წინიდან მეორე, ცალ მხარეს დავიწროებული გრძელი მაგიდა ჰქონდა მიდგმული. რომლის ირგვლივ მოწითალო ფერის რბილი, ალუმინის ფეხებიანი სკამები იყო შემოდგმული. თვითონ წითელ ტყავგადაკრულ მძიმე სავარძელში იჯდა და ყოველთვის ნერვიულად ცმუტავდა. მირონ ალავიძე ორმოცდათოთხმეტ წელს მიტანებული, თხელი კაცი იყო. ნაომარი და რამდენჯერმე დაჭრილი, ომის შემდეგ ყოველთვის ხელმძღვანელ სამუშაოებზე მუშაობდა. მერე, თავისდა გასაოცრად, ტელევიზიაში ამოჰყო თავი. შეთხელებული ქერა თმა შუბლზე ჰქონდა ჩამოშლილი. ხელში მუდამ მსხვილი წითელი ფანქარი ეჭირა. მის წინ მოზრდილი მონიკელებული ... სი წვერწამახული წითელი და ... ფანქრებით იყო სავსე.

ოთარ ნიკარაძემ კაბინეტის კარი ჯიქურ შეაღო, ალავიძეს თავი არ აუღია. სათვალე შუბლზე ჰქონდა შემოდებული და რაღაცას ჩასჩერებოდა. ხელში, ჩვეულებისამებრ, წითელი ფანქარი ეჭირა. ოთარი მაგიდასთან მივიდა, სკამი განგებ ჯახუნით გამოსწია, დაჯდა და სიგარეტი ამოიღო.

მირონ ალავიძემ თავი ასწია, შუბლზე შემოდებული სათვალე მოიჩარგა და ოთარს შეხედა.

„ნეტავ მოსწიოს“, — გაიფიქრა უნებურად.

უნდოდა უფროსი რედაქტორი მაგრად შეეჯორა, მაგრამ ოთარი სიგარეტს ორ თითს შუა ათამაშებდა და მოწევას არ აპირებდა. მირონმა ხმა არ ამოიღო, გადაწყვიტა დალოდებოდა, სანამ უფროსი რედაქტორი სიგარეტს მოუკიდებდა.

— მე წავიკითხე თქვენი სცენარი, — დაიწყო ალავიძემ და თან ნიკარაძის მარჯვენა ხელის ორ თითს შუა მოქცეულ სიგარეტს თვალს არ აშორებდა. — წავიკითხე და გულსახდილად უნდა გითხრათ, რომ არ მომეწონა.

— ჯერ ერთი, ეგ ჩემი სცენარი არ არის, ბატონო მირონ.

— სულ ერთია. თქვენ ხომ ზედ ხელი გაქვთ მოწერილი! — აუწია ხმას მირონმა და თან ნატრობდა, ნეტავ სიგარეტს მოუკიდოსო.

— მართალია, მე ხელი მაქვს მოწერილი, მაგრამ ეგ სრულებითაც არ ნიშნავს, რომ სცენარი ჩემი დაწერილია. — ოთარ ნიკარაძე ისევ ჯიუტად აწვალებდა სიგარეტს და მოკიდებას არ აპირებდა.

მთავარ რედაქტორს მოთმინების ფიალა თანდათან ეცლებოდა.

— რაკი ხელი მოაწერეთ, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ თითქმის თანაავტორი ბრძანდებით.

— მაგაში ვერ დაგეთანხმებით, მაგრამ

ნება მიბოძეთ გკითხოთ, რა არ მოგეწონათ სცენარში?

— რას ჰგავს ეს ყმაწვილო, რას ჰგავს ეს! — გადაკვიდა ალავიძე მხოლობით რიცხვზე, — ხალხი დასახვრეტად გაჰყავთ. შენ იცი, რა არის კაცის დახვრეტა? არ იცი. მე კი ვიცი! დასახვრეტად გამოყვანილი კაციც მინახავს ომში. აქ კი დასახვრეტი ხალხი ისე მიჰყავთ, თითქოს ძროხებს მიდენინან ზამთრის საძოვრებზე, ესე იგი ცხვრებს. ეს ტელევიზიაა, ჩემო ძმაო. ტელევიზია არის მოძოლობის, დინამიზმის ხელოვნება. შენ კი რა გაქვს ამ სცენარში?

— მე არაფერი არ მაქვს.

— ესე იგი იმას, ვისიცაა ეს სცენარი, — მთავარმა რედაქტორმა თავფურცელი მონახა და ავტორის გვარი წაიკითხა, — ესე იგი ამხანაგ მგელაძეს, ათი ქართველი გამოჰყავთ დასახვრეტად. ათი კაცი უნდა გამოსასლმონ სიცოცხლეს. ათ კაცს ეხეშრება? აქ კი მხოლოდ ერთი ფრაზაა, ისიც სულ ორსიტყვიანი — „ყველანი დახვრიტეთ!“ განა ასე შეიძლება?

ოთარ ნიკარაძე მთავარ რედაქტორს თვალებში მისჩერებოდა და ფიქრობდა, ამ საცოდავს თავი ნახერხითა აქვს სავსე.

— შენ მწერალი კაცი ყოფილხარ, ეს როგორ მოგვიდა?

„სველი ნახერხით“, — დააზუსტა ოთარმა.

— არაა, ბატონო, ჩემი ეგ სცენარი!

— ვისიცაა, სულ ერთია, შენ ხომ აწერ ხელს. მე შენ ალაგას ამ ეპიზოდს ასე გადავაკეთებდი, — მირონ ალავიძე სცენარს ჩააჩერდა, — სად ანდაპაში დამეკარგა!

მთავარმა რედაქტორმა ფურცლები ნერვიულად გაშალა და ძლივს იპოვა წითელი ფანქრით ჩამატებული ეპიზოზოდი.

— დიახ, მე შენს ადგილზე სცენარს სულ სხვანაირად გადავაკეთებდი, — გაიმეორა წეღანდელი ფრაზა და ისევ სიგარეტს დაასო მზერა.

ოთარ ნიკარაძემ იცოდა, მთავარი რედაქტორის გულში რა ცეცხლიც ტრიალებდა და სიგარეტს განგებ, ძალზე დინჯად სრესავდა ორი თითით.

— დიახ, თუნდაც ასე. შენ, როგორც მწერალს, კარგად მოგეხსენება, რომ ამ სცენარში მთავარია დახვრეტის სცენა. მაგრამ შენ, ესე იგი... მირონმა ისევ მონახა თავფურცელი და ავტორის გვარი წაიკითხა, — ესე იგი ამხანაგ მგელაძეს დახვრეტის სცენა სულ უკანა პლანზე გადაუტანია. ჩვენ კი ეს სცენა უფრო უნდა გავაძლიეროთ, მაყურებლის ნერვები მაქსიმალურად უნდა დავძაბოთ. თუნდაც ინ ასე: შემოდის ობერშტურმფიურერი. „ჰაილ ჰიტლერ!“ — ყვირის ის. „ჰაილ!“ — იმეორებს ყველა.

მირონ ალავიძე ფეხზე წამოდგა, სათვალე მოიხსნა, ობერშტურმფიურერის პოზა მიიღო და დასახვრეტთა სიას ჩახედა.

— დალახვროს ეშმაკმა, რა უცნაური გვარები აქვთ. ენას მოიტეხს კაცი. კვრენ-ჩხ-ლაძე — განგებ დაამახინჯა გვარი მთავარმა რედაქტორმა — დასახვრეტად გაიყვანეთ კვერენჩხილაძე, მოემზადება ერქომაიშვილი. გასაგებია? — მიუბრუნდა უცებ ოთარს.

— გასაგებია! — დაუქნია თავი ნიკარაძემ.

მთავარი რედაქტორი ისევ წითელ საკარაძელში ჩაჯდა, სათვალე გაიკეთა და ეპიზოდის კითხვა განაგრძო:

— კვერენჩხილაძე გაჰყავთ დასახვრეტად. მოისმის სროლის ხმა. ობერშტურმფიურერი ხელთათმანს კმაყოფილებით შემოირტყამს გაპრიალებულ ქრომის ჩექმაზე და ახალ ბრძანებას იძლევა: „გაიყვანეთ ერქომაიშვილი, მოემზადება გრძელძე!“ და ასე შემდეგ.

— რას იტყვი, ასე არ სჯობია?— მთავარმა რედაქტორმა ოთარს სათვალის ზემოდან გადმოხედა ანთებული თვალებით.

— რასაკვირველია, ბატონო მირონ, უკეთეს ეპიზოდს კაცი ვერ მოიფიქრებ-

---

გურამ შანგუნიძე
თვალი პატიოსანი

და. მაინც რას ნიშნავს გამოცდილება!— დასძინა ორაზროვნად ოთარ ნიკარაძემ.

მირონ ალავიძე სიამოვნებისაგან გაიბადრა. რბილ საზურგეს მიაწვა, სათვალე მოიხსნა, შავი ძვლის ჩარჩოს ბოლო ტუჩებთან მიიტანა და მეოცნებე თვალები ჭერს მიაპყრო.

— ო, რა სცენა იქნება. ოღონდ დახვრეტის დროს ერთი გასროლა არ ვარგა. სჯობია ავტომატის ხმა მოისმას. და-და-და-და-და! ასე უფრო კარგად ხვდება ყურს.

ოთარს რატომღაც საშინლად მოუნდა მის ტვინში ჩაეხედა და საკუთარი თვალით დაენახა, ეს აზრი როგორ მწიფდებოდა.

— ნამდვილად შესანიშნავად მოგიფიქრებიან, სცენარმა სულ სხვა რიტმი შეიძინა!

— თქვენც იგრძენით, არა?

მირონმა თვალები ჭერს მოაცილა, სათვალე ისევ გაიკეთა და უფროს რედაქტორს კმაყოფილებით შეხედა. უცებ ისევ იმ წყეულ სიგარეტს მოკკრა თვალი, მაგრამ ახლა აღარ გაღიზიანებულა. ნიკარაძის სიტყვებმა ძალიან ასიამოვნა და გუნება საბოლოოდ გამოუკეთა.

„ჯანდაბას, მოსწიოს“, — გაიფიქრა უნებურად, მაგრამ ოთარმა ჯიბიდან კოლოფი ამოიღო და სიგარეტი ისევ შიგ ჩადო.

— თუ შეიძლება წავალ, ბატონო მირონ, ავტორი მელოდება.

— მიბრძანდით და ჩემი შენიშვნები გაითვალისწინეთ მომავალში.

— დაგტანჯე, არა? — შესვლისთანავე უთხრა თამაზ იაშვილს და მერე გვი ჯოლიას მიუბრუნდა. — ახ, შენც მობრძანდი?

— მოვედი! — ნერვიულად თქვა ჯოლიამ და შუშის თვალები მოგვიანებით აამოძრავა.

— რა ქენი, ნახე?

—ვნახე.

— მერე, ჩამოართვი ინტერვიუ?

— რას ჩამოვართმევდი, არ მიმიღო.

— შესანიშნავია, დაწერე ხუთი გვერდი. სრულიად საკმარისია. აბა, ჩვენ ბუფეტში ჩავედით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

— ახლა მაინც თქვი, რა მოიმოქმედე! — ჰკითხა მეგობარს ოთარმა, როცა ძეხვის სიფრიფანა ნაჭერი პირში მოიგდო.

ისინი განაპირა მაგიდასთან ისხდნენ, შუშის კედელთან, საიდანაც ოთხ კედელს შუა მოქცეული პატარა ეზო მოჩანდა.

— რაც მოვიმოქმედე, მოვიმოქმედე. არავისთვის არ არის საინტერესო. მთავარი ისაა, რომ პროფესორ ნიკო კაკაბაძეს აღარ სურს კვლავ მიხილოს თავის კათედრაზე.

—იმედი მაქვს, რომ შენ განცხადებას არ დაწერდი განთავისუფლების თაობაზე.

— უკვე დაწერე.

— ბრავო, მოი მალჩიკ, ორგზის ბრავო!

—რას იზამ, სხვა გამოსავალი არ იყო.

— „სხვა გამოსავალი არ იყო!“ — გულმოსულმა გაიმეორა ოთარ ნიკარაძემ. ერთხანს სიბრაზისაგან გაჩუმდა. ჩანგლიანი ხელი ჰაერში დარჩა გაშეშებული, მერე თითქოს რაღაც გაახსენდაო, გამალებულმა დაიწყო ჭამა.

— რაზე შემოგწყრა, მაინც რა მინდაო?

— არაფერზე, — გაიღიმა თამაზმა,— ერთი კაცი კარგად უნდა დამეხასიათებინა და ყველაფერი რიგზე იქნებოდა.

— ალბათ კათედრაზე უნდოდათ მისი აყვანა, არა?

— ჰო, ასისტენტის თანამდებობაზე.

— იცნობდი?

— ძალიან კარგად. უნივერსიტეტში ერთ ჯგუფში ვიყავით.

— ის ალბათ შტერი იყო, შენ კი გამოხვედი და სიმართლე ილაპარაკე, არა!

— სრული სიმართლე!

— შენ თუ გგონია, იმაზე ნაკლები შტერი ხარ!— გაბრაზდა ოთარ ნიკარაძე, მერე ლიმონათი დაისხა და ორი ყლუპით დალია.

— რატომ ვარ შტერი?

— იმიტომ რომ ლაპარაკი არ იცი.

— რას ჰქვია, ლაპარაკი არ ვიცი?!

— ეხ, ჩემო თამაზ, ჭკვიანებმა ყოველთვის იციან რა ილაპარაკონ. შტერები კი იმას ლაპარაკობენ, რაც იციან.

— მაგ აფორიზმით რა გინდა თქვა?

— ამით ის მინდა ვთქვა, რომ შენ ის უნდა გეთქვა, რაც კათედრის გამგეს გაახარებდა და ასიამოვნებდა.

— მე სიმართლე ვთქვი. მე მგონი, ჩემს ადგილზე შენც ასე მოიქცეოდი.

— ვინ მოგახსენა. იქნებ გგონია, ტყუილის თქმას არ ვიკადრებდი. გამოვიდოდი და ვიტყოდი, გენოსოსა-მეთქი. შენ რატომ არ ჭამ?

— ახლა ვჭამე, არა მშია.

ოთარმა უკანასკნელი ლუკმა გადაყლაპა, ჯამზე გადაწვა, სიგარეტი გაამოლა და დამცინავად ჩამარცვლა:

— მაშ, სიმართლე თქვი, არა?

— კარგი, ოთარ, გეყოფა ხუმრობა. ძალიან კარგად გიცნობ და ვიცი. ჩემს ადგილზე როგორ მოიქეცოდი.

— გეტყობა ცუდად მიცნობ. დღეს, — ოთარმა საათს დახედა — 9 საათიდან მოყოლებული, ახლა თორმეტი საათია, ოცი ტყუილი მაინც ვთქვი. იქნებ გგონია, რომ შენ არ ამბობ ტყუილებს?! სცდები, ჩემო მეგობარო. უბრალოდ, ისე შევეჩვიეთ ტყუილების ლაპარაკს, ვეღარც კი ვამჩნევთ. როდის ვიტყუებით.

— ოთარ, მე სულ არა ვარ ხუმრობის გუნებაზე.

— გგონია ვხუმრობ?!

— ისე ლაპარაკობ, ვეღარც კი გცნობ.

—პირიქით, მე ვეღარ გცნობ შენ. სიგარეტს რომ ეწევი. სულ სხვა ვიღაც მგონიხარ.

უცებ ოთარ ნიკარაძე ოდნავ წამოიწია და ერთ უსიმპათიო მელოტ კაცს მიესალმა.

— მუსიკალურ გადაცემათა რედაქტორია, — მიუბრუნდა თამაზს.

— ნიჭიერია?

— ყოველ შემთხვევაში ერთი უსურათო ნეკროლოგი განაღდებული აქვს „თბილისის“ მეოთხე გვერდზე. მაგ. სამე ერთი ტყუილის თქმაში იყო, ალბათ, შე კაი დედმამის შვილო, გეთქვა ერთი ტყუილი.

— მაინც არა მგონია, შენ ამას სერიოზულად მეუბნებოდე.

— აბსოლუტურად სერიოზულად და, საერთოდ, უნდა იცოდე, ჩემო კარგო, ყოველი ნორმალური ადამიანი დღეში საშუალოდ ორმოცდაათ ტყუილს მაინც ამბობს. ამ ორმოცდაათიდან ერთი ან ორი ტყუილი ძალზე სერიოზული, დიდი და ბოროტი ტყუილია. ხუთი-ექვსი შედარებით უწმტკივნეული, დანარჩენი კი უვნებელი, მლიქნელობისათვის ან ზრდილობისათვის ნათქვამი ტყუილებია. მე ამას ვამბობ ნორმალურ ადამიანებზე. რაც შეეხება ბოროტებს, ინტრიგანებსა და აფერისტებს, მათთვის ასეთი პატარა მასშტაბები არ გამოგვადგება. როგორც ხედავ, ტყუილი კატეგორიებად იყოფა. არის უვნებელი, სრულიად უმტკივნეული და ხშირად სასიამოვნო ტყუილებიც კი. და არის ბოროტი, სინდისიერების ყოველგვარ საზღვრებს გადასული ტყუილები. — ოთარ ნიკარაძემ სიგარეტის ნამწვავი თეფშზე დაადგა და ხელები გულზე გადაიჯვარედინა.

— ტყუილი, რომელიც შენ უნდა გეთქვა, სრულიად უმტკივნეული სიცრუე იყო. უნდა შეგიქო ერთი უნიჭო კაცი, რომლის აყვანა კათედრის გამგეს სურდა. მას შენი ტყუილი თავის მხრივ სჭირდებოდა კათედრის დანარჩენი წევრების მოსატყუებლად. შენ კი რა ქენი? არაფერი, მხოლოდ გამოუსწორებელი სისულელე ჩაიდინე. ის კაცი მაინც მოვა კათედრაზე. და მარტო ის კაცი კი არა, შენს ადგილზე, შენისთანა ნიჭიერი მათემატიკოსის ადგილზეც ვიღაც კრეტინს დასვამენ. უფრო ღრმად თუ ვიმსჯელებთ, შენ ჩაიდინე დანაშაული. ერთი უცოდინარის მაგივრად კათედრაზე მოვა ორი უცოდინარი. შენ რომ ტყუილი გენებებინა და ის კაცი კარგად და-

---

ბერაკა ფანჯიკიძე
თვალი პატიოსანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეხასიათებინა, საქმისათვის ხომ გაცილებით აჯობებდა!

— შენ ისევ ხუმრობ!

— მე არ ვხუმრობ, საყვარელო, პირიქით, მთელი სერიოზულობით გელაპარაკები. მე დღეს ჩემი მთავარი რედაქტორი შევაქე, გამოცდილი და საქმეში ჩახედული კაცი ვუწოდე. ესე იგი, უსინდისოდ მოვაცუყუე. იმ წუთში კი, როცა ამ სიტყვებს ვამბობდი, იცი რას ვფიქრობდი მასზე? მე რომ სიმართლეს გამოვკიდებოდი, ულდა მეთქვა, თავი ყველი ნახერხითა გაქვს-მეთქი გამოტენილი. აი, ეს იქნებოდა სიმართლე.

— მერედა, რატომ არ უთხარი?

— იმიტომ რომ მაშინ აქ ორი უმუშევარი ვისხდებოდით.

— ტყუილი მაინც არ უნდა გეთქვა. ხომ შეიძლებოდა ხმა სულ არ ამოგეღო, არ შეგეძო.

ოთარმა სიგარეტის კოლოფს დასტაცა ხელი: კოლოფი ცარიელი იყო. გულმოსულმა კოლოფი მოუშუშნა, თეფშზე მიაგდო და დინჯად წამოდგა. ბუფეტთან რიგი გაიჭიმა. შესვენება იწყებოდა. ოთარ ნიკარაძემ მარჯვენა ხელი ასწია და საერთო სალაში თქვა, სიგარეტი იყიდა, იქვე გახსნა და მოუკიდა. მერე ისევ დინჯად, მოშვებულად წამოვიდა მაგიდისაკენ.

თამაზი მეგობარს თვალს არ აშორებდა. თითქოს პირველად ხედავდა მის ძლიერ და მომხიბვლელ სახეს, სპორტულ, ოდნავ მოღუნებულ, მაგრამ მუდამ ასაფეთქებლად გამზადებულ ახოვან ფიგურას.

ოთარი სკამზე მძიმედ დაეშვა. სკამმა გაიჭრაჭუნა, მაგრამ მაინც გაუძლო ნიკარაძის ჯიგუ მოძრაობას.

— მე ვფიქრობ, ტყუილი მაინც არ უნდა გეთქვა! — გაგრძელა წელანდელი საუბარი თამაზ იაშვილმა და სიგარეტი თვითონაც გააბოლა, — ვაქაცმა კაცმა ტყუილი არ უნდა იკადრო.

— დედიშენის შვილი ხარ და ნუ იკადრებ. დღეს იცი, რამდენი ტყუილი ვთქვი? შენ იცნობ ჩემს მეგობარს ჯემალ ახვლედიანს? საცოდავმა მოთხრობების წერა დაიწყო. რამდენიმე მოთხრობაც წამიკითხა კიდეც. როგორც ეს მაგალითად მწერალი ვერ გახდება, ისე მისგან მწერალი არ გამოვა. ისეთ მოთხრობასაც კი ვერ მოაცოდნებულებს, რომ ხაარინი და გაჭირვებით დაუბეჭდო. მე რომ პატიოსანი კაცი ვიყო, ხომ გულწრფელად ვეტყოდი, შეხვალ მწერალი არ გამოვა და შენს საქმეს მიხედე-მეთქი?!

თამაზ იაშვილმა არაფერი უპასუხა.

— რატომ გაჩუმდი, გენიშნა არა, ჩემი სიმართლე?

— ეგ ძალზე ძნელი სათქმელია, მაგრამ შენ მაინც უნდა უთხრა სიმართლე. შეიძლება ის კაცი გზას ისევეს საბოლოოდ.

— „სიმართლე“! — გაიცინა ოთარმა, — მერედა, ვის უნდა შენი სიმართლე! სამუდამოდ შემიზიზღებს, სამუდამოდ დამკარგავს, მტრად გადამეკიდება, შურიანობასაც კი დამწამებს. და ეს ყველაფერი ჩემი სიმართლის ჰონორარი იქნება.

— შენს თავთან ხომ მართალი იქნები.

— ჩემს თავთან კი, — ჩაიცინა ნერვიულად ოთარმა, — მაგრამ საბოლოოდ მარტო ჩემს თავთანღა დავრჩები. ყველა დამივიწყებს, ყველა გამრიყავს. მაშინ, როცა მატყუარები ისევ ძველებურად პირზე კოცნით შეხვდებიან ერთმანეთს. დააკვირდი ამ ხალხს. ალათი იცანი ჩვენი დიქტორები, არა? რას იზამ, ახლა დიქტორებისა და სპორტული კომენტატორების ეპოქაა. დააკვირდი, როგორ დასთამაშებენ სტანდარტული, ერთხელ და სამუდამოდ გამომუშავებული ღიმილი. შენ იცი, ტელევიზიისა და რადიოში რამდენი მთავარი რედაქტორი, უფროსი რედაქტორი და რედაქტორია? განა შეიძლება ამდენ პრივილეგირებულ ადამიანებს, თუნდაც მეორეხარისხოვან ჟურნალისტს მოუყარო თავი? აქ უმრავლესობა შემოხვევითი ხალხია, რომლებიც უკვე დაოსტატდნენ სამწუთიანი და ხუთწუთიანი სიუჟეტების წერაში. სახელიც შესანიშნავი მოუგონეს, სიუჟეტი. რა გეცინება? აქ მთავარია წუთები. ხანდახან შეიძლება საჭირო გახდეს ზუსტად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვიდმეტწუთიანი ან ოცდაცხრამეტწუთიანი სიუჟეტი. შენ კი აქ რაღაცას ფილოსოფოსობ. განახავს, შეაგულ ჭაობში ერთადერთ ფოთოლზე შებობღებული ბაყაყი გაუთავებლად რომ ყიყინებს?

— მინახავს, — ღიმილით დაუკრა თავი თამაზმა.

— ჰოდა, აბა რაღას მაწვალებ. იმ ბაყაყმა რამდენიც არ უნდა იყიყინოს, საბოლოოდ მაინც ისევ ჭაობში უნდა ჩახტეს.

ოთარ ნიკარაძე შეჩერდა. ჩარჩენილი ორი ყლუპი ლიმონათი პირდაპირ ბოთლიდან დალია და ისევ განაგრძო.

— ფილოსოფოსობას შევეშვათ. სჯობია, საქმეზე ვილაპარაკოთ. როგორ ფიქრობ, შენი პროფესორი განცხადებაზე უკვე დაადებდა რეზოლუციას?

— არ ვიცი.

— მეც ბავშვივით ვკითხულობ, დაადებდა, აბა, ამისთანა შემთხვევას ხელიდან გაუშვებდა! ეგ ამბავი გუშინ მოხდა?

— გუშინ საღამოს.

— ესე იგი შეიძლება შენი განცხადება ჯერ რექტორამდე არც იყოს მისული.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს, მე მაინც ალარ დავბრუნდები ინსტიტუტში.

— ეგ მტკიცედა გაქვს გადაწყვეტილი?

თამაზ იაშვილმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და გაიღიმა.

ოთარი მიხვდა, მისი მეგობარი ინსტიტუტში არაფრით ალარ მიბრუნდებოდა.

— აბა, რა გზას დაადგები?

— არ ვიცი, — მხრები აიჩეჩა თამაზმა.

ოთარ ნიკარაძე დაფიქრდა, იგი რაღაცას ანგარიშობდა. უცებ თამაზს სურვილმა მოუარა მეგობრისთვის ყველაფერი მოეყოლა, რაც წუხელ გადახდა თავს. ეამბნა გადიდებულ, დედამიწასთან მოახლოებულ მთვარეზე, გაჩერებულ საათებზე, უკაცრიელ ქუჩებზე და იმ საშინელ, მეჩხერებლებიან კაცზე. ის იყო, რამდენჯერმე დააპირა კიდეც საუბრის დაწყება, მაგრამ საბოლოოდ მაინც გადაიფიქრა, ვაითუ საცინად ამიგდოსო.

ბუფეტი ნელ-ნელა დაცარიელდა. დამლაგებელმა ქალმა ოთარის მაგიდაც აალაგა. ოთარმა უნებურად საათს დახედა.

— ოჰო, შესვენება უკვე დამთავრებულა! — თქვა დინჯად, მერე ხელები გაშალა და გაიზმორა.

დამლაგებელმა ქალმა ბუფეტის დაგვა დაიწყო.

მეგობრები ფეხზე წამოდგნენ.

— შინ იყავი, საღამოს შენთან ამოვალ, იქნებ მოვიფიქროთ რამე. — ჯთხრა გამომშვიდობების წინ ოთარმა მეგობარს და კიბეს შესაშური გულგრილობით აუყვა.

თავი მესამე

ოთარ ნიკარაძემ მესამე სადარბაზო შესასვლელი მონახა და რატომღაც საათს დახედა. ექვსი სრულდებოდა. კიბეს ჩვეულებისამებრ დინჯად აუყვა, თან მარჯვენა ხელს პლასტმასის სახელურზე მიაცურებდა. საფოსტო ყუთებთან მაინც შეჩერდა და პროფესორ ნიკო კაკაბაძის გვარი მონახა. კარგად იცოდა, პროფესორი მესამე სადარბაზოში ცხოვრობდა, მაგრამ მაინც შეამოწმა. მერე ისევ დინჯად განაგრძო გზა. სანამ ელექტროზარის ღილაკს თითს დააჭერდა, ფირნიში ისევ შეათვალიერა. „პროფესორი კაკაბაძე ნ. ვ.“, — ეწერა რუსულად. სქელ, მუხის ცალფა კარში ოპტიკური სათვალთვალო იყო ჩატანებული. ოთარმა ზარს ენერგიულად დააჭირა თითი, მერე მარცხენა ხელით კარს პირდა-

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ო ბ ი ს ძ ე
ფ ა ნ ჯ ი კ ი ძ ე
თ ვ ა ლ ი პ ა ტ ი ო ს ა ნ ი

პირ ოპტიკური სათვალთვალოზე მიეყრდნო. სქელ კარს იქით ყრუ ნაბიჯების ხმა გაისმა.

— ვინ არის? — იკითხა შიგნიდან ქალმა.

— ტელევიზიიდან გახლავართ, — მიუგო ოთარმა მშვიდად და თან ჩაიღიმა. მიხვდა, ქალი ახლა ოპტიკური სათვალთვალოდან იცქირებოდა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა. ულებურად მისი შეშინებული სახე წარმოიდგინა და რატომღაც დაასკვნა, ქალი ორმოცდაათი წლისა მაინც იქნებაო.

— ვინ ბრძანდებით? — გაიმეორა ქალმა კითხვა.

— ტელევიზიიდან გახლავართ, ოთარ ნიკორაძე, ბატონი პროფესორის ნახვა მინდა.

დუმილი ჩამოვარდა.

ოთარი მიხვდა, თუ ოპტიკური სათვალთვალოდან ხელს არ აიღებდა, კარის გაღების იმედი არ უნდა ჰქონოდა.

„ალბათ პროფესორის დედაა“, — გაიფიქრა ისევ და ქალი ახლა უკვე სამოცდაათი-სამოცდათხუთმეტი წლის მოხუცად წარმოიდგინა. მერე ოპტიკური სათვალთვალოდან ხელი აიღო, ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და პატარა ბაქანზე კიბის მოაჯირს მიეყრდნო. თან დამცინავად მიაჩერდა მუხის ყრუ კარში ჩატანებულ მრგვალ შუშას.

გაისმა ჩხაკუნი და კარი გაიღო, მაგრამ ნაწილობრივ. იგი შიგნიდან ჯაჭვით იყო ჩაკეტილი. ქალი მართლაც ძალზე მოხუცი აღმოჩნდა. ოთარს ესიამოვნა. მისი წინასწარმეტყველება რომ გამართლდა.

მოხუცმა სტუმარი შეათვალიერა. თვალში მოუვიდა ახოვანი, მიმზიდველი ჭაბუკი და თითქოს წედანდელი უნდობლობის შერცხვაო, შეწუხებულმა თქვა:

— უკაცრავად, ამ კარს იქით არაფერი არ ისმის, ვინ ბრძანდებით? — თან კარი ბოლომდე გააღო.

— ტელევიზიიდან გახლავართ. ერთი საათის წინ ტელეფონით ველაპარაკე ბატონ ნიკოს. მან ყველაფერი იცის.

— მობრძანდით, მობრძანდით.

ოთარი მოზრდილ ჰოლში შეგებებულმა მოხუცი მოპარიდაპირე ოთახში გავიდა და კარი მიხურა. ოთარი მიხვდა, მას ჰოლში უნდა დაეცადა, სანამ პროფესორი მიიღებდა. იქაურობა მოათვალიერა. გვერდით ოთახში, მინის კარს იქით, ორმოციოდე წლის ქალს მოჰკრა თვალი. იგი სავარძელში იჯდა, ტელეფონის აპარატი კალთაში ედო და ეტყობოდა, სერიოზული საუბრით იყო გართული.

— მობრძანდით! — მოპირდაპირე ოთახის კარებში ისევ გამოჩნდა მოხუცი ქალი.

ოთარი გემოვნებით მორთულ სასადილო ოთახში შეგიდა.

„ეტყობა მთლად ქაჯი არ ყოფილა“, — მოასწრო ამის გაფიქრება, სანამ ნიკო კაკაბაძის კაბინეტში აღმოჩნდებოდა.

სამოცს მიახლოებული პროფესორი საწერ მაგიდასთან იჯდა და დახვავებულ ფურცლებს დაფიქრებული ჩასჩერებოდა. მელოტ თავზე დალიანდაგებული თეთრი ქუდი ეხურა, სახეზე ისეთი იერი ჰქონდა, თითქოს რაღაც ესიამოვნო სუნი სცემსო.

პროფესორს წარმოდგენა არ ჰქონდა, ტელევიზიის, თანაც ლიტერატურულ-დრამატული განყოფილების უფროს რედაქტორს რატომ სურდა მასთან შეხვედრა. ყოველ შემთხვევაში, გადაწყვეტა სტუმარს ძალზე საქმიან გარემოში დახვედროდა. ახლაც, თითქოს ვერც კი შენიშნა ოთარ ნიკორაძე, ისევ ფურცლებს ჩასჩერებოდა და რაღაცას ანგარიშობდა.

ოთარი მიუხვდა პროფესორს და პირველი წუთიდანვე გადაწყვიტა საუბარი სთვის სულ სხვა მიმართულება მიეცა. ოთახში თამამად შეავიდა, კარი ჩაკეტა და მაგიდასთან მივიდა.

— გამარჯობათ! — საკმაოდ ხმამაღლა თქვა მან.

პროფესორმა თავი ასწია, მისალმებაზე არ უპასუხა. არ მოეწონა ახალგაზრდა კაცის სითამამე და ეს სახეზე აშკარად ამოეტყობა კიდეც.

ოთარი მიხვდა, დასაჯდომად აღარა-

ვინ მიიპატიჟებდა. ამიტომ თვითონ მოავლო ხელი კუთხეში მდგმულ ნიკის ძველ ბსგაზე მწვანე სავარძელს და მაგიდასთან მიაცურა. შიგ უდარდელად მოკალთდა, ფეხი ფეხზე შემოიდო და სიგარეტი ამოიღო:

— მე მგონი, მოწევა შეიძლება, არა? — იკითხა სხვათაშორის, მაგრამ თანხმობას აღარ დაელოდა და სიგარეტს მოუკიდა. მერე მარჯვენა ხელი დინჯად გაკაჭნა-გამოაქანა, ასანთი ჩაქრო, ოდნავ წამოიწია და სანახევროდ დამწვარი ღერი პროფესორის საწერ მაგიდაზე მოთავსებულ საფერფლეზე დაადგო.

ნიკო კაკაბაძეს ბრაზი მოერია, მაგრამ გადაწყვიტა თავისი ღირსება შეენარჩუნებინა და წონასწორობიდან არ გამოსულიყო. ახლა უკვე ეჭვი ეპარებოდა, რომ ეს თავხედურად მომღიმარე ლამაზი ჭაბუკი მართლაც ტელევიზიიდან იყო.

— გისმენთ, ყმაწვილო, — კატეგორიული ტონით დაიწყო მან, — მე ბევრი დრო არა მაქვს.

— არც მე გახლავართ მოცლილი, ბატონო პროფესორო, პირდაპირ მოგახსენებთ ჩემს სათქმელს. კარგად გატყობთ, უკვე აღარ გკერათ, რომ მე ტელევიზიიდან ვარ. უნდა დაგამშვიდოთ და გაგიმეოროთ, აქ არავითარ გაუგებრობას არა აქვს ადგილი. მე ნამდვილად ტელევიზიაში ვმუშაობ. როგორც ტელეფონით უკვე მოგახსენეთ, ლიტერატურულ-დრამატული გადაცემის განყოფილების უფროსი რედაქტორი გახლავართ. უფროსი რედაქტორი შეიძლება ცოტა პრეტენზიულად ჟღერდეს, მაგრამ მინდა კვლავ დაგამშვიდოთ, — მხოლოდ ერთი ხელქვეითი მყავს. აქვე ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ მე თქვენთან სრულებით არ მოვსულვარ სატელევიზიო საქმეებზე. მე თქვენს მიერ კათედრიდან უსამართლოდ გაძევებული თამაზ იაშვილის მეგობარი გახლავართ.

ოთარ ნიკორაძის სახეზე გულგრილობა და უზრუნველობა ნელ-ნელა, მაგრამ საფუძვლიანად შესცვალა სიმაკცრემ და მრისხანებამ.

— მე უკვე მივხვდი თქვენი მობრძანების მიზეზს! — სიბოროტე შერეულად დაცინვით ჩაიცინა ნიკო კაკაბაძემ და ფეხზე წამოდგა. — ამ თემაზე ლაპარაკიც არ მსურს და გთხოვთ მიბრძანდეთ.

ოთარი ისევ ფეხიფეხზე შემოდებული იჯდა. წამოდგომა ფიქრადაც არ მოსვლია. სიგარეტს ისევ დინჯად ეწეოდა. მაგრამ მხოლოდ ერთი წამი იყო საჭირო, ეს მოდუნება აფეთქებად გადაქცეულიყო.

— მე მგონი გარკვევით მოგახსენეთ. მიბრძანდით-მეთქი. თქვენთან სალაპარაკოდ არ მცალია.

— დაბრძანდით, ბატონო პროფესორო, ნუ ღელავთ, გულს გაუფრთხილდით, თორემ ვინ იცის, რამდენი კაცი ელოდება თქვენს კათედრას, ვინ იცის, რამდენი კაცი გაგაჯავრა ჩასაფრებული. დაწყნარდით, მტერს ნუ გაახარებთ.

— როგორ მიბედავთ! — კაკაბაძე ყურმილს დასწვდა.

— ყურმილს ხელი არ ახლოთ! — წამოიჭრა ფეხზე ოთარი და პროფესორის სუსტ მაჯას თავისი ღონიერი ტორი ისე მოუჭირა, რომ კაკაბაძის სახეზე მრისხანება ტკივილმა და შიშმა შეცვალა.

პროფესორმა ჭაბუკის ანთებულ თვალებს შეხედა და ხმა არ ამოუღია. მერე კარგად დაინახა, იმ თვალებში ცეცხლი როგორ გაანელა დამცინავმა გამოხედვამ.

— გთხოვთ დაბრძანდეთ, ბატონო პროფესორო, მე თქვენთან საჩხუბარად როდი ვარ მოსული, პირიქით, მშვიდობიან მოლაპარაკებას ვაპირებ.

— მერე როგორც თქვენ იქცევით, ეს თავაზიანი, ზრდილობიანი ახალგაზრდის მოქმედებას ჰგავს?! — უკვე საკმაოდ ხმადაბლა თქვა ნიკო კაკაბაძემ და ისევ სავარძელში ჩაჯდა.

— განა თქვენი მოქმედება კი ჰგავს მეცნიერის, პროფესორის მოქმედებას? — მიუგო ოთარმა დინჯად. იგი კვლავ

გურამ ფანჯიკიძე
თვალი ალბინოსანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ ლაპარაკობდა. — თქვენ თამაზ იაშვილი გააგდეთ კათედრიდან. გააგდეთ, ისე, რომ მასთან დალაპარაკებაც არ ისურვეთ. ნება მიბოძეთ გკითხოთ, რატომ გააგდეთ, რისთვის მოიშორეთ ასე ერთი ხელის მოსმით? ნუთუ თქვენ გაბედავთ და იტყვით, რომ იგი უნიჭოა? ნუთუ თქვენ გაბედავთ და დასწამებთ, რომ იაშვილმა მათემატიკა არ იცის? ნუთუ თქვენ იტყვით, რომ იგი უდისციპლინო, უპასუხისმგებლო თანამშრომელია? თქვენ იგი გააგდეთ ყოველად უსაფუძვლოდ, უსინდისოდ... დიახ, ბატონო პროფესორო, გთხოვთ ნუ შეგაკრთობთ, ნუ აგაღელვებთ ეს სიტყვა. დიახ, თქვენ თამაზ იაშვილი გააგდეთ უსინდისოდ მხოლოდ იმიტომ, რომ მან სამართლე თქვა. მხოლოდ იმიტომ, რომ იგი პატიოსანი ადამიანია და ერთბაშად ვერ გაერკვა თქვენს ბინძურ ხლართებში, მხოლოდ იმიტომ, რომ მან არ იცოდა, ის კრეტინი თუ თქვენი საყვარლის ვაჟიშვილი იყო...

— ამხანაგო! — დაჰკრა ხელი მაგიდას პროფესორმა, მაგრამ არც თუ რიხიანად და არც თუ გაბედულად.

— რატომ ბრაზობთ, ბატონო ნიკო, თქვენ კარგი მათემატიკოსი ბრძანდებით. მაგრამ სხვა, ყოველად ელემენტარული ამბებიც ხომ უნდა გესმოდეთ. თქვენ ამ არცთუ სასიამოვნო საუბრის დაწყებისთანავე უნდა მიმხვდარიყავით, რომ თქვენთან, ინტრიგებში საკმაოდ გაწაფული და გამოცდილ ადამიანთან, შიშველი ხელებით არ მოვიდოდი. მე მგონი, ის ქალი, პირველსავე ოთახში რომ ტელეფონზე ლაპარაკობს, თქვენი მეუღლე უნდა იყოს. მე შემიძლია ხმამაღალა გავიმეორო ის მოკლე ფრაზა, თქვენ რომ ასე აგაღელვათ და აგაწრიალათ.

— მერე ეგ პატიოსანი ადამიანის საქციელია? ეგ ხომ ავანტიურაა.

— გეთანხმებით. მაგრამ მეტ გამოსავალს ვერ ვხედავ, მე თქვენივე მეთოდით ვიბრძვი. არც პატიოსნებაზე ვდებ მაინცდამაინც თავს. მაგრამ თქვენ ვერც პატიოსნებით, ვერც კაცობით, ვერც მანიზმით, ვერც მოქალაქეობით ახლოსაც ვერ მიხვალთ იმ კაცთან, რომელიც ასე უსინდისოდ, კიწოსკვრით გაისტუმრეთ. თქვენ რომ მართალი კაცი იყოთ, აქედან პანღურით გამაგდებდით. თქვენ რომ ბინძურ საქმეში არ გქონდეთ ხელი გასვრილი, ერთ ვაი-უშველელს ასტეხდით, თავზე მილიციას დამაყენებდით. მე მგონი, ერთ რაშეში უკვე დარწმუნდით — როცა მტერი ასე ჯიქურ და პირდაპირ მოდის, იცის სად დაგარტყას. თქვენ კი მშვიდი ცხოვრება გინდათ, თქვენ ახლა ხელს არ გაძლევთ ჩხუბი და ალიაქოთი...

— კმარა, კმარა, რა გსურთ ჩემგან?

— ეს უკვე საქმიანი საუბარია! — ოთარი ისევ მშვიდად მიაწვა სავარძლის საზურგეს და სიგარეტს მოუკიდა. ახლა მის სახეს ისევ დაუბრუნდა პირვანდელი უდარდელი, მშვიდი და ოდნავ დამცინავი გამომეტყველება.

პროფესორი მაგიდას ჯიუტად დააჩერდა, აღარ უნდოდა ჭაპუკის დამცინავ თვალებს წაწყდომოდა, აღარ უნდოდა მისი აუდელვებელი და უდარდელი სახე დაენახა.

— ნიშიერ და პატიოსან კაცს უმუშევრად ვერ დაეტოვებთ! — დინჯად წამოიწყო ოთარმა, მერე თავი მაღლა ასწია და ბოლი ვერტიკალურად გაუშვა ჭერისაკენ.

— ასეთი საუბრის შემდეგ იაშვილის ჩვენთან მუშაობა შეუძლებელია. თანაც მე მის განცხადებას უკვე დავადე რეზოლუცია და რექტორს გადავეცი.

— მე თქვენი სავსებით მესმის, ბატონო პროფესორო, ისიც კარგად ვიცი, რომ განცხადება ამჟამად რექტორატშია, მაგრამ დღეს რექტორი ინსტიტუტში არ ყოფილა. თქვენ ხვალ დილით შეგიძლიათ დაასწროთ რექტორს და განცხადება უკან გამოიტანოთ.

— მე გარკვევით გითხარით, რომ ჩვენი ერთად მუშაობა აღარ შეიძლება.

— თქვენ მე არ მაცალეთ სთქმელის დამთავრება. მეც უყოყმანოდ ვიზიარებ თქვენს მოსაზრებას, მაგრამ რას იტყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით თამაზ იაშვილი აკადემიაში რომ ვადაგვეყვანა?

— აკადემიაში?! ეგ როგორ...

— სანამ თქვენთან მოვიდოდი, ყველაფერი წინასწარ მოვიფიქრე. ისეთ გეგმას გაგაცნობთ, კმაყოფილი დარჩებით. ეს გეგმა არამც თუ ჩრდილს მოგაყენებთ, პირიქით, კეთილი, მზრუნველი და გულსხმიერი კაცის სახელსაც დაგიმკვიდრებთ.

ოთარმა ნაფაზი დაარტყა და პროფესორს გამომცდელად შეხედა. ნიკო კაკაბაძემ თავი ასწია, ჭაბუკს თვალი გაუსწორა.

— თქვენ ხვალ კათედრაზე იტყვით, რომ გეცოდებათ ნიჭიერი ახალგაზრდა კაცი. იმ განცხადებას დახვევთ, ხოლო იაშვილს ვინმეში გაცვლით. ამით ორ კურდღელს დაიჭერთ. თქვენც განთავისუფლდებით იაშვილისაგან და ყურადღებიანი, გულთბილი კაცის სახელსაც მოიპოვებთ. თავის მხრივ, არც თამაზ იაშვილი დარჩება ულუკმაპუროდ. რას იტყვით, ბატონო პროფესორო, ხომ კარგად მომიფიქრებია?

პროფესორმა თავი დაღუნა და ისევ მაგიდას დააშტერდა.

— ვიცი რატომ ყოყმანობთ, — წამოიწყო ისევ ნიკარაძემ, — თავმოყვარეობა გაწუხებთ, რომ დათმობა მოგიწევთ თქვენს მიერ შერისხული ასისტენტის წინაშე. გარწმუნებენ, აქ ვეფერფერს ვხედავ საჭიმჭანოს. თქვენ შეგიძლიათ მშვიდად ბრძანდებოდეთ. მთელი ჩვენი დღევანდელი საუბარი მხოლოდ ჩვენს შორის დარჩება. პირიქით, მე მეტსაც მოვითხოვ, — თამაზ იაშვილმა არამც და არამც არ უნდა გაიგოს ჩვენი დღევანდელი შეხვედრის ამბავი, თორემ იგი თავს შეურაცხყოფილად იგრძნობს და ყველაფერი ჩაიშლება. მაშინ მე პირობას ვეღარ მოგცემთ, რომ ეს ამბავი არ გახმაურდება. მე მგონი, თქვენ ხელს გაძლევთ ჩემს მიერ შემოთავაზებული პირობები.

პროფესორი ისევ ჯიუტად ჩასჩერებოდა ერთ წერტილს.

— ნება მიბოძეთ, თქვენი დუმილი თანხმობის ნიშნად მივიჩნიო. კარგად ბრძანდებოდეთ.

ოთარ ნიკარაძე წამოდგა, სიგარეტის ნამწვავი საფერფლეზე დაადგა, ოთახი სულ სამი ნაბიჯით გაიარა და კარი გაიხურა.

ნიკო კაკაბაძეს ხმა არ ამოუღია, დაუპატიჟებელი სტუმრისათვის თვალი არ გაუყოლებია. ერთხანს იმავე პოზაში ჯრჩა, როგორც იჯდა. მაგიდას ჯიუტად დასჩერებოდა და თვალსაც არ ახამხამებდა. მერე მაგიდის უჯრიდან ვალიდოლი ამოიღო.

თავი მეოთხე

თამაზ იაშვილი ტახტზე იყო წამოწოლილი და თავისი ოთახის უსიამოვნოდ მაღალ ჭერს შესჩერებოდა. ახლა იგი თავისუფალი იყო. თითქოს უხაროდა კიდეც ინსტიტუტის მიტოვება. მას არ შეეძლო მრავალ ადამიანთან ურთიერთობა. ამისათვის თამაზს არც ენერგია ჰქონდა და არც სურვილი. უამრავ ადამიანთან საქმიანობა უამრავ ინდივიდუალურ ურთიერთობებს და დამოკიდებულებებს მოითხოვდა, უამრავი ფაქიზი ძაფის გაბმასა და ძალზე დანაწევრებულ ყურადღებას საჭიროებდა. ამისი თავი კი არ ჰქონდა თამაზ იაშვილს. მთელი მისი აზროვნება, ნიჭი და უნარი მხოლოდ ერთი საგნის ირგვლივ იყო თავმოყრილი. ეს საგანი მათემატიკა გახლდათ. ახლა იგი გულაღმა იწვა და ფიქრობდა.

„რა უნდა გავაკეთო აწი?“ — მხოლოდ ეს ფიქრი აწუალებდა და ხსნას ვერსად ხედავდა.

თამაზი სულ მალე, რაღაც ოთხ თვე-

გურამ ფანჯიკიძე
თვალი პატიოსანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ოცდარვა წლისა შესრულდებოდა. ოცდარვა წელი ხუმრობა როდია. უკვე ზეხუთე წელია, ინსტიტუტი დაამთავრა, მას კი ჯერ ხარისხიც არ დაუცავს, თვითონ ხარისხი მას არ აინტერესებდა, არ იტაცებდა და არც მისი ცხოვრების მიზნის წარმოადგენდა, მაგრამ ნერვიზზე შლიდა და გუნებას უშხამავდა ნათესავებისა და ნაცნობების მომაბეზრებელი შეკითხვები: „ხარისხი არ დაგიცავს? როდის აპირებ?“ ყველამ იცოდა მისი არაჩვეულებრივი ნიჭის ამბავი და გაოცებულნი ამიტომაც იჩიჩავდნენ მხრებს, როცა თამაზის ნერვიულ პასუხს მოისმენდნენ — არ დამიცავს და ალბათ საერთოდ არ დავიცავო.

თამაზი იწვა და ჭერს მისჩერებოდა. დროდადრო მხარს შეიცვლიდა, ხან თავდაღმაც დაწვებოდა და ოდესღაც წითლად შეღებილი იატაკის ფართო ფიცრებს ჯიუტად დაამტვრევდებოდა.

ახლა, როცა „ღარსად აღარ მუშაობდა, თავს საესებით თავისუფლად გრძნობდა და დროც თავზე საყარად ჰქონდა, საშინელი სურვილი შემოაწვა წარსულისთვის გადახედვა. საკუთარ პიროვნებაში გარკვეულიყო.

უნებურად გაეღიმა. მის საოცარ მეხსიერებას შეეძლო ელვის სისწრაფით, აბსოლუტური თანამიმდევრობით აღედგინა თითქმის ყოველი დღე, ოთხი წლის ასაკიდან მოყოლებული. რა უბედურად და უმწეოდ იგრძნო თავი. რა ღატაკი და არაფრისმთქმელი იყო მთელი მისი ბიოგრაფია. განა შეიძლება თამაზ იაშვილის საცოდავი წარსული ოდნავ მაინც მისულიყო მისი სათაყვანებელი ადამიანების აბელის, ჰაუსის, ან გალუას ბიოგრაფიებთან? განა ამის გაფიქრებაც კი მკრეხელობა არ იყო? იქნებ მას სახელი იზიდავდა, იქნებ განდდების მანია სჭირდა? არა, თამაზ იაშვილს არასოდეს არ იზიდავდა სახელი და პოპულარობა. მას დიდი ცხოვრება სწყუროდა, დიდი აღმოჩენებით, სიფაქიზითა და სისუფთავით სავსე დღეები. როგორ არ შეესაბამებოდა მისი ცხოვრება მის სურვილებს. იქნებ ნიჭი არ ჰყოფნიდა? იქნებ ნებისყოფა არ ჰქონდა? ამის ბრალი არ შეიძლებოდა, თამაზ იაშვილს ნიჭის საკმარისზე მეტი ჰქონდა და ნებისყოფაც, ოღონდ მეცნიერული ნებისყოფა. მას შეეძლო თვეების განმავლობაში დღედაღამე გაესწორებინა რომელიმე მათემატიკური პრობლემის გადასაჭრელად. სამაგიეროდ ბრძოლა არ შეეძლო, ბრძოლა, რაც ასე საჭირო ყოფილა ცხოვრებისათვის. პირველსავე წინააღმდეგობაზე ფარ-ხმალს ჰყრიდა, პირველსავე დაბრკოლებაზე უიმედობა იპყრობდა.

იქნებ ამიტომაც იყო მისი ბიოგრაფია ასეთი უბადრუკი, საიდანაც სულ რამდენიმე უმნიშვნელო მოვლენა თუ ამოიკრიფებოდა. მათ შორის შეიძლება გამოგვეყო ის უჩვეულო გრძნობა, რომაც თამაზ იაშვილმა ციფრებისადმი უსაზღვრო ლტოლვა იგრძნო, შემდეგ პირველი სიყვარული და გაქცევა საკუთარი ოჯახიდან.

თამაზ იაშვილი ხუთი წლისა იყო, როცა სამნიშნა ციფრებს ზეპირად ანგარიშობდა. მაშინ მან ციფრების წერაც კი არ იცოდა. ეს პირველად მამამ შენიშნა. გრიგოლ იაშვილი ახლადგარკვევნილ სახლში იჯდა და მუშებისათვის მისაცემ ფულს ანგარიშობდა. დაბალი, ჩასუქებული სახის კაცი ციფრებს ხმამაღლა უმატებდა ერთმანეთს, მუშების ნაანგარიშევს ეჭვის თვალით უყურებდა. თამაზი მაგიდასთან იდგა და მამას დაფიქრებული მისჩერებოდა. იგი მაგიდასაც კი ვერ სწვდებოდა. გამხდარმა, სუსტმა, სათვალიანმა ბიჭუნამ ციფრების წერა არ იცოდა, მაგრამ ამ გაუთავებელ ანგარიშსა და ყაყანში, რომელიც მის ოჯახში თითქმის მთელი თვის განმავლობაში ისმოდა, პირველად შენიშნა ნაცრისფერი ცის ფონზე ჩიტის გუნდებივით მოთამაშე თეთრი ჩხირები. პირველად დაინახა ეს ჩხირები ერთმანეთში როგორ ირეოდნენ, მსხვილდებოდნენ და მერე ისევ ჯგუფებად იყოფოდნენ. ბოლოს ისიც დაინახა, ამ ჯგუფში სულ რამდენი ჩხირი იყო და მამამისს უთხრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ იაშვილმა თვალები დაჭყიტა და შვილს მიაჩერდა. მუშებიც ირანაკლებ გაოცა მეექვსე წელში გადამდგარი ბავშვის ზუსტმა პასუხმა. მამას თითქოს ახლა გაახსენდა, რომ თამაზი ადრეც იჩენდა ანგარიშისკენ უჩვეულო ლტოლვას. ბავშვმა ძალიან ადრე ისწავლა თვლა და ათასეულებშიც იოლად ერკვეოდა. ვინ ასწავლა, ან როდის ისწავლა, არავინ იცოდა. ბავშვის ძალზე სუსტმა აღნაგობამ და შთამბეჭდავმა, ჭკვიანმა თვალებმა მშობლები შეაშინა. მას მერე თამაზს ყოველგვარი ანგარიში აუკრძალეს. ცდილობდნენ ბავშვი ისე ეაერთოთ, როგორც მის ასაკს შეეფერებოდა. თამაზი სათამაშოებს უხალისოდ უყურებდა, არც ტოლებში თამაში იზიდავდა. ხშირად მოზრდილივით იყო ჩაფიქრებული. დაძახებისას აუცილებლად შეკრთებოდა და ერთბაშად არ შეეძლო გამორკვეულიყო. ყველაზე უფრო ეს უკლავდა მშობლებს გულს. მეექვსე წელში გადამდგარმა ციფრების წერაც ისწავლა. ახლა ნაცრისფერი ცის ფონზე ჩხირები კი არა, ციფრების გუნდები წამოშლებოდნენ და გუნდ-გუნდად სადღაც მიისწრაფვოდნენ, საოცრად ლაღად მიჰქროდნენ.

გრიგოლ იაშვილი თავდაპირველად ამაყობდა კიდეც თავისი ბავშვის ნიჭით, მაგრამ რაც დრო გადიოდა, შეშფოთება უფრო და უფრო იპყრობდა. თამაზი სიმარტოვისკენ მიიღტოდა, ტოლებში უხალისობა და მოწყენილობა ეუფლებოდა. ახლა იგი უფრო ხშირად იყო ხილმე დაფიქრებული. უზარმაზარ ბინაში სადმე განცალკევებით ფანჯარასთან მიჯდებოდა და თავისი ასაკისათვის შეუფერებლად ჭკვიან თვალებს ცას გაუშტერებდა. დროდადრო სიხარულის გამომხატველი ბგერა აღმოხდებოდა, თვალები ნეტარებით გაუბრწყინდებოდა და სახეზე ბედნიერება აღბეჭდებოდა ხოლმე. ეს აღტყინება, ეს აფეთქება ახალი და უფრო რთული ამოცანის ამოხსნით იყო გამოწვეული. ამ დროს მშობლები ბავშვს შეშინებული მივარდებოდნენ. თამაზი ნელ-ნელა გამოერკვეოდა და მერე, როცა უკანასკნელი ციფრების გუნდიც თვალს მიეფარებოდა, თვალებში სიხარულის სხივი ჩაუკდებოდა და ისევ სევდა ისადგურებდა.

რა საშინელ ტანჯვას განიცდიდა, როცა მშობლები ამ დროს თავს შიშშეპარული სინანულით გაიქნევდნენ ხოლმე. მერე გრიგოლ იაშვილი, ვითომ სხვათაშორის, გამოეწყობოდა და შვილს ზოოპარკში ან ცირკში წასვლას შესთავაზებდა. თამაზი ცირკში უხალისოდ მიდიოდა. უფრო სწორად, წასვლა ჭირივით ეზარებოდა, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევის უნარი არა ჰქონდა. მთელი წარმოდგენის განმავლობაში ტუჩებმოკუმული იჯდა. კაცი აღტაცების ნიშანწყალსაც კი ვერ შეატყობდა. საჰაერო აკრობატების ყველა საოცარი ტრიუკის დროსაც კი, როცა მთელი ცირკი შიშისა და აღტაცებისაგან კიოდა, თამაზი წარბსაც არ შეიხრიდა. გრიგოლ იაშვილს გულს უკლავდა ვაჟიშვილის ასეთი უნიათობა, მაგრამ თავს მაინც მისი დიდი ნიჭით იმშვიდებდა, თუმცა ამ ნიჭითაც ირანაკლებ იყო შეშფოთებული.

ერთხელ პატარა თამაზი სავიოლინო კონცერტზე წაიყვანეს. მუსიკამ პირველი აკორდებიდანვე გაიტაცა. უნებურად თავისი სავარძლის საზურგეს მიეყრდნო და თვალები დახუჭა. ნაცრისფერი ცის ფონზე ციფრების გუნდები ძველებურად წამოიმალნენ, მაგრამ ახლა უფრო დიდი გუნდები, გაცილებით დიდი. თვითეულ გუნდში რამდენიმე ასეული ციფრი მაინც იყო. ისინი მუსიკის რიტმზე მონავარდობდნენ, ლაღად მოსრიალებდნენ, ლამაზ კამარას აკეთებდნენ. მერე რა საოცარი კანონზომიერებით მოფრინავდნენ, თითქოს ვიღაც იდუმალი ბაზიერის ხელით იყვნენ მოთვინიერებულნი.

გრიგოლ იაშვილი შვილს სახეზე აკვირდებოდა. დაძაბულ სახის კუნთებზე და ტუჩების უცნაურ, ნერვიულ მოძრა-

ობაზე ატყობდა, ბავშვის არსებაში რაღაც უჩვეულო მოვლენები ხდებოდა.

— თამაზ, თამაზ! — ჩასჩურჩულა მამამ და ხელი შვილის სუსტ მტევანს მოავლო. მიხვდა, ბავშვი სავარძლის სახელურზე მთელი ძალით იყო ჩაჭიდებული.

თამაზი გამოერკვა, გაახსენდა, სადაც იყო. ბედნიერებისაგან აღგზნებული გამომეტყველება სადღაც გაქრა. გულს უკლავდა ასეთი გამუდმებული თვალყურის დევნება და ყურადღება. ისეთი გრძნობა იპყრობდა, თითქოს რაღაც დანაშაულზე წაასწრესო და საოცარი სევდა ეუფლებოდა. ახლაც უსიამოდ გაეშტერა სცენის თვალი.

პირველი განყოფილების შემდეგ გრიგოლმა შვილი შინ წაიყვანა. ამ შემთხვევის გამო ოჯახში ბევრი ილაპარაკეს და ბოლოს გადაწყვიტეს, ბავშვი მუსიკალურ სასწავლებელში აღარ შეეყვანათ.

სკოლაში თავიდანვე მიიქცია ყურადღება სუსტმა, სათვალიანმა და ვულჩათხრობილმა ბიჭუნამ. ბავშვებმა პირველად ითვალისწუნეს კიდეც მუდამ ფიქრებში წასული და მოღუშული თანაკლასელი, მაგრამ როცა თამაზს იაშვილმა მათემატიკის არაჩვეულებრივი ნიჭი გამოამჟღავნა და სკოლაში მასზე პატარა ლეგენდა დაიბადა, მას მერე ყველა მოკრძალებით ექცეოდა. თამაზის კლასში ხშირად სხვა მასწავლებლებიც შემოდიოდნენ და ამ „არაჩვეულებრივად ნიჭიერ“ ბავშვს ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდნენ.

გრიგოლ იაშვილს დიდი ბედნიერებაც ისევე აშინებდა, როგორც დიდი უბედურება. იგი ერთ-ერთი დიდი ორგანიზაციის სამნეო ნაწილის გამგე იყო და ხელს საკმაოდ ითბობდა. მისი ოჯახი ნათესაობაში თვალსაჩინო და შეძლებულ ოჯახად ითვლებოდა. გრიგოლს კი ყოველთვის ეშინოდა თავისი უპირატესობა ვინმესთვის ეგრძნობინებინა. იგი არავის არ მტრობდა, არავისზე ცუდს არ ლაპარაკობდა, სიკეთის გარდა მისგან არავის არაფერი ახსოვდა, მაგრამ ეს მისი კეთილი და პატიოსანი ბუნებიდან კი არა, შიშიდან მოდინარეობდა. გრიგოლს ყველაფრისა ეშინოდა, ყველაფერს გვერდს უვლიდა, ცხოვრებაში ყველაზე შორეულ და საიმედო გზებს ირჩევდა.

გრიგოლ იაშვილი ურმწუნო კაცი იყო, მაგრამ აღარ ახსოვს, პირველი როდის გადაწყვრა პირველად. აღარც ის ახსოვს, ძილის წინ პირველად როდის შეჰღაღადა ღმერთს — ღმერთო, შენს კალთას ვენაცვალე, ჩემს მყუდრო ცხოვრებას ნუ დამინგრევო. იაშვილები კარგად ცხოვრობდნენ. ოჯახს ჯერ არავითარი უბედურება არ დასტყოფმოდა თავს. იყო დრო, როცა ხელმოკლეობა და გაჭირვება მათთვის არ ყოფილა უცხო ხილი. გრიგოლ იაშვილს ღმერთი მაშინ არ აგონდებოდა. ღმერთი მის არსებაში პირველად მაშინ გაჩნდა, როცა ხელი მოითბო, როცა სამე ეაწყო და ცხოვრებას გემო გაუგო. ახლა მას ყველაფერი აშინებდა. აშინებდა თავისი კეთილდღეობაც და უმცროსი ეაკაშვილის ნიჭიერებაც, აშინებდა დირექტორის სახეზე ალბეჭდილი უსიამოვნება და ყოველგვარი შეხლა-შემოხლა თანამშრომლებთან, აშინებდა ქუჩაში მომრავლებული ტრანსპორტიც და ზამთრის სუსხისაგან გაძარცვულ ქალაქში მოსასინე ქარიც. იგი ყველას უღიმოდა, ყველას თავაზიანად ექცეოდა. თუ რაიმეს გაკეთება არ შეეძლო, მთხოვნელს ათასნაირ ბოდიშს უხდიდა, ათასვგარ გასამართლებელ მიზეზს გამოჩხრეკავდა და მოიშველიებდა.

გრიგოლ იაშვილს ისიც აღარ ახსოვს, სიზმრებს პირველად როდის ჩუკვირდა და როდის გაუწია ანგარიში. თუმცა იგი ამაზე არასოდეს არ დაფიქრებულა. ვითომ მის ცხოვრებაში არ ყოფილიყოს პერიოდი, როცა სიზმრები სიცილადაც არ ჰყოფნედა. ახლა იგი ყოველ გამთენიისას სააბაზანოში გარბოდა, წყალს მოუშვებდა და თვალდახუჭული სიზმრებს ჰყვებოდა.

გრიგოლ იაშვილს ბევრი ფული ჰქონდა. თუმცა იმდენი არა, რამდენის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთებაც შეეძლო. აქაც შიში ამუხრუჭებდა. თუმცა მისი ცხოვრებისეული მოთხოვნილებები, სურვილები და სულიერი სამყარო მთლიანად იყო დაკმაყოფილებული, მისი მისწრაფებანი საკმაოდ მტკიცე ჩარჩოში იყო მოქცეული. შმშარა ბუნების გამო გრიგოლ იაშვილს არსებაში არასდროს არ აღძრულა ძალაუფლებისადმი ლტოლვა, მსგავსად იმ ადამიანებისა, კუჭის გაძღომის შემდეგ რომ მიიღტვიან სახელისა და დიდებისაკენ. გრიგოლ იაშვილს ორთავე აშინებდა — ძალაუფლებაც და სახელიც. მას ერჩივნა ჩრდილში მდგარიყო, არავის არ შეემჩნია, ოღონდ ოჯახში კეთილდღეობა და მყუდროება არ დარღვეულიყო, ოღონდ ამ ოთახს შორის გამოკეტილი სიმშვიდე არ გამქრალიყო. მისი მისწრაფებანი მხოლოდ ერთი ეტაპისაგან, ერთი საფეხურისაგან შედგებოდა და იგი ამ საფეხურზე მკვიდრად იდგა. გრიგოლ იაშვილი ვერასდროს ვერ გაბედავდა მეორე საფეხურზე ასულიყო. ეშინოდა, ის პირველი საფეხური არ დაეკარგა, რომლის ქვემოთ ყველაფერი განურჩევლობის მორევში ტრიალებდა. და სწორედ მაშინ, როცა თავისას მიაღწია, როცა ყველაფერი შეისრულა, რასაც ოცნებობდა, საიდანღაც უხილავმა შიშმა დაიბუდა მის არსებაში. შიში ჯერ პატარა იყო, შეუჩნეველი, შეუგრძნობელი, მაგრამ მერე ნელ-ნელა გაიზარდა და თავით ფეხებამდე მოიცვა გრიგოლ იაშვილის არსება. იგი თავისი ბედნიერების მწვერვალზე იყო და ცხოვრებისგან მეტს აღარაფერს მოელოდა. უფრო სწორად, მეტი აღარაფერი სურდა, რადგან მაშინ შეუჩნეველად ვეღარ მიდგებოდა ჩრდილში და მისი ოჯახური მყუდროება სამუდამოდ დაირღვეოდა. გრიგოლ იაშვილს ყველაფერი ჰქონდა, რაც მის შეზღუდულ, შიშისაგან მთლიკილ ბუნებას ოდესმე უოცნებია და იცოდა, ბედნიერება დიდხანს არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. ყოველდღე რაღაცას მოელოდა. დღეს იქნებოდა თუ ხვალ, კარზე მომდგარ უბედურებას ვეღარსად გაექცეოდა.

ერთ დღეს, ჩვეულებისამებრ, უსიამოო სიზმარი ნახა, ცოლი გაღვიძა და ყველაფერი დაწვრილებით უამბო. ორთავემ პირველარი გადაიწერა, მერე ჭერს მიაპყრეს თვალები და ერთხანს ასე იწვნენ. ბოლოს გრიგოლმა სიჩუმე დაარღვია და ცოლს უთხრა, სიოწში წადი, სანლოები აანთეო. სამსახურში მთელი დღე ცქუტავდა. ყველამ შენიშნა, გრიგოლი უხასიათოდ იყო. ეკითხებოდნენ, რა დაგემართოთ. ყველას გაზეპირებულ პასუხს აძლევდა — გულის რევმატიზმი მაწუხებსო. თან ეჩვენებოდა, ალბათ უკვე ყველამ იცის, ჩემს გულში რა ცეცხლი ტრიალებსო. სამსახურიდან დაბრუნდა თუ არა, ცოლს პირველად ის ჰკითხა, სანთლები თუ აანთეო. როცა თანხმობის ნიშნად ცოლმა თავი დაუქნია, ცოტა დამშვიდდა, ტანსაცმელი გამოიცვალა, ხელ-პირი დაიბანა და სუფრას მიუჯდა.

სადილობის შემდეგ სავარძელში მოკალათდა და ოთახებს თვალი მოავლო. ის დრო გაიხსენა, როცა ნაქირავებ ოთახში ცხოვრობდა. უკანა კედელი სანახევროდ მიწაში იყო და წყალი მოყოლავდა. რევმატიზმებიც მას შემდეგ აწუხებდა გრიგოლ იაშვილს. ისიც გიახსენა, პირველად პატარა ერთოთახიანი ბინა როგორ მიიღეს. შემდეგ ამ პატარა ოთახს სწრაფად მოჰყვა ეს ოთხოთახიანი ბინაც. მერე მდიდრული ავეჯი, ოქროილი და ათასგვარი წვრილმანი. მერე, როცა როიალზე ორი ძვირფასი ვაზაც მოათავსა, თავისი ამოცანების ყოველი პუნქტი შესრულებულად ჩათვალა. ახლა მას სიმშვიდე სწყუროდა. მყუდრო, შეუმჩნეველი ცხოვრება. ყოველგვარ წინააღმდეგობას გვერდს უვლიდა, ქუჩაში, მაღაზიასა თუ ტრანსპორტში ყოველგვარ უკანონობას თვალს არიდებდა, პირში არავის შეებმოდა. როცა ქუჩაში შეჯგუფულ ხალხს და აყალმაყალს

გურამ ფანჯიკიძე
თბილი პატიოსანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალს მოჰკრავდა, შორიდანვე მეორე მხარეს გადავიდოდა, საკმაოდ მოშორებით სხვათაშორის შეჩერდებოდა და ყურმოკრული ფრაზებით ცდილობდა გაღვიძებული ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას. უბედურების მოლოდინს შიში კი ძლიერდებოდა და ძლიერდებოდა. ერთხელ გრიგოლ იაშვილმა ვერც კი გაიგო, როგორ აღმოჩნდა სიონის წინ. შეშინებული თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, ნაცნობმა არავინ დამინახოსო. როცა ქუჩაში საეჭვოს ვერავის მოჰკრა თვალი, ეკლესიაში ფრთხილად შევიდა. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. ეკლესიის უზრამაზრამა სივრცემ შეაშინა, უმწეო არსებად აქცია. ირგვლივ ფრთხილად მიმოიხედა. მლოცველთა სახეებს დააკვირდა. ნაცნობი არავინ იყო, მხოლოდ ოთხი მოხუცი ქალი ლოტანიობდა. აკანკალებული ხელებით სათლები აანთო და პირჯვარი ისე მეუმჩნევლად დადაიწერა, კაცს რომ შორიდან შეგეხედა, გეგონებოდა, გულჯიბეზე ღილებს ივრავსო. მერე ნელ-ნელა უკან დაიხია, სწრაფად შეტრიალდა და გასასვლელს მიაშურა. საკუთარი ფეხის ხმა უსიამოდ ჩაესმა ყურში. ქუჩა ისე აათავა, თავი არ აუწევია. ბოლოს ლესელიძის ქუჩაზე გავიდა, ხალხს შეერია და თავისუფლად ამოისუნთქა.

„ვითომ დამინახა ვინმემ? ვის, უნდა დავენახე!“ — დაიმშვიდა თავი და შინისაკენ გასწია.

შვილთან ურთიერთობა არაფრით არ გამოუფიდიოდა. თამაზი უკვე მერვე კლასში იყო. ტანიც საკმაოდ აიყარა, მაგრამ ისევ სუსტი აღნაგობა ჰქონდა. სათვალე ძალიან უხდებოდა, თითქოს დედის მუცლიდან გამოჰყოლოდა. უსათვალოდ იგი ვერც წარმოედგინა ვერავის. შავი რქის სათვალე მის ისედაც ჭკვიან სახეს უფრო მეტ გონიერებას ჰმატებდა. მამასა და შვილს თითქმის არაფერი ჰქონდათ საერთო. თამაზის ნათელი გონება კარგად ხედავდა, რა წუმპეშიც ცხოვრობდა მთელი ოჯახი. მას ყველაზე უფრო მაინც დედა უყვარდა, წყნარი, მოსიყვარულე, მაგრამ იაიც შეშინებული და ბედის მორჩილი ქალი. დედა-ძმისტომაც უყვარდა, რომ არასდროს, ეჭვიანობას არ არიგებდა. იგი შვილს ძალიან ცოტა მხოლოდ გულში იხუტებდა და პირჯვარს სახავდა.

თამაზს ნერვებზე შლიდა მამის გაუთავებელი ჭკუის დარიგებანი. იგი შვილს სავარძელში ჩასვამდა, თვითონ კი ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვებოდა და იწყებოდა გაუთავებელი საუბარი, ბრძნული ცხოვრებისეული აზრების გადმოფრქვევა. გრიგოლი თვითდაჯერებაც და თვითრწმენაც როდი აკლდა. დროდადრო მოკლე ხელებს გაშლიდა, ოთახებს თვალს მოავლებდა და საბოლოოდ რატომღაც როიალისკენ გაიხედავდა. ყველაფერ ამას ერთ ჯაშში შეჭკრავდა, რასაც იგი ცხოვრებას უწოდებდა და დასძენდა, მხოლოდ ჩემი სიფრთხილისა და აზრიანი მოქმედების შედეგია, ასეთი ცხოვრება რომ შეექმენი.

თამაზს შეეძლო მამისთვის თვალებში ეცქირა და ამ დროს მათემატიკური ამოცანები ამოეხსნა. დროდადრო მამის სენტენციებსაც მიუგდებდა ხოლმე ყურს და სევდისაგან გული ეკუმშებოდა. რა შორს იდგნენ ისინი ერთმანეთისაგან. იცოდა, ვერასდროს ერთმანეთს ვერ გაუგებდნენ. იმ მამაშვილურ, რეფლექსურ სიყვარულს გარდა ვერასდროს საერთოს ვერ გამოსძებნიდნენ. ვერც მისი უფროსი ძმა გია გაუგებდა როდესმე. ეს ზომაზე მეტად მსუქანი, ლოყაწითელა ბიჭი ოჯახში სანიმუშოდ მიაჩნდათ და ამას გიაც იფერებდა. როცა გრიგოლ იაშვილი უმცროს შვილს ჩვეულებრივ აღმზრდელობით საუბარს უტარებდა, იგი კმაყოფილი დაიბჯენდა. ერთგვარი უპირატესობის განცდა, რასაც იგი ძმის წინაშე გრძნობდა, დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა და ამას არც მალავდა.

თამაზ იაშვილს მშობლიური სახლი არ უყვარდა, აქ მას თითქმის არასდროს არ ჰქონდა განმარტოებისა და ოცნების, ციფრებთან გასაუბრებისა და ალერსის საშუალება. როგორც კი მაგიდას მიუჯ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებოდა და ჩაფიქრდებოდა, ან დედის საკოდავი ხმა ჩაესმოდა, შვილო, რა მოგვიდგა, ან მამის გაუთავებელი დარიგებანი იწყებოდა, რომელიც საბოლოოდ ერთ ფორმულაში იკვანძებოდა — თუ გინდა მშვიდად იცხოვრო და სიცოცხლე არ გაიმწარო, ეცადე ხალხი არ გადაიკიდოო. არსებული ცხოვრების წესებს ნურც დაივიწყებ და ნურც მის შეცვლას მოინდომებო.

დაღამება უხაროდა. როგორც კი ლოგინში ჩაწვებოდა და გიაც ფშვინვას ამოუშვებდა, იგი ბალიშს კედელზე აყუდებდა, ზურგით მიეყრდნობოდა და ბედნიერი, მეოცნება თვალებით ცას გასცქეროდა. მერე შავი ცა ნელ-ნელა განაკრისფერდებოდა, ჰორიზონტს იქით ციფრების გუნდები წამოიშლებოდნენ და მთელი ოთახი თეთრი, ჩიტებივით მოფრთქიალე ციფრებით გაივსებოდა.

სწორედ ამ დროს მოუვლიდა ხოლმე საშინელი სურვილი, გვერდით მეგობარი ჰყოლოდა. თუნდაც მეგობარი ნუ იქნებოდა, ოღონდ კი მისთვის გაეგო, ოღონდ მის სულს ჩასწვდომოდა. მან კი მერე კლასს ისე მიაღწია, ერთი მეგობარი არ ჰყოლია, გული არავისთვის გადაუშლია.

ერთხელ, მესამე მეოთხედში, შუა გაკვეთილზე სკოლის დირექტორი შემოვიდა და მაღალ, თითქმის მთელ ჯგუფზე ერთი თავით მაღალი, ლამაზი ბიუი შემოიყვანა. ახალმა მოსწავლემ პირველი წუთებიდანვე მიიქცია ყველას ყურადღება.

— ბავშვებო, გაიცანით, ოთარ ნიკარაძე, იგი დღეიდან თქვენი თანაკლასელი იქნება.

ოთარმა ჯგუფს თვალი მოავლო და რატომღაც მზერა თამაზ იაშვილზე შეაჩერა. მერე იგი მასწავლებლის მითითებულ დგილზე დაჯდა. გაკვეთილის დამთავრების შემდეგ ყველანი აურზაურით წამოიშალნენ. ერთმანეთს ახტებოდნენ, მერხებზე დარბოდნენ. უნდოდათ ახალი თანაკლასელის ყურადღება მიექციათ. მხოლოდ თამაზი იჯდა თავის ადგილზე და წიგნს ჩასჩერებოდა. ოთარ ნიკარაძე წამოდგა და თამაზთან მივიდა.

— რა გვარი ხარ? — ჰკითხა პირდაპირ.

—იაშვილი, თამაზ იაშვილი.

თამაზმა პირველად იგრძნო უცნობის ყურადღებით გამოწვეული სიამოვნება. იმ დღიდან ისინი მეგობრები გახდნენ. ეს მეგობრობა არც მაშინ შეწყვეტილა, როცა ოთარი ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე შევიდა, თამაზი კი ფიზიკა-მათემატიკურზე.

ოთარ ნიკარაძესთან დამეგობრებამ იგი თითქოს გამოაფხიზლა, ცხოვრების ხალისი და ინტერესი დაუბრუნა. და თითქოს მაშინ შეამჩნია პირველად, რომ მის ჯგუფში გოგონები სწავლობდნენ. თამაზს იაშვილი გოგონებთან თითქმის არ ლაპარაკობდა. თავისი თავი ყოველთვის გარიყულად მიაჩნდა და ეგონა, რომ გოგონები ჩუმად დასცინოდნენ კიდეც. ერთხელ მასთან მედეა მივიდა, მედეა ზამბახიძე, და სთხოვა, ალგებრაში ამოცანა ერთად გამოვიყვანოთო. ეს იყო მეცხრე კლასში. თამაზს იაშვილმა გოგონას პირველად მაშინ გაუსწორა თვალი და ტანში უჩვეულო ერუანტელმა დაუარა, მის არსებაში აქამდე უცნობი სითბო ჩაიღვარა.

ისინი მარტო ისხდნენ პატარა ოთახში. მაგიდის ლამპა ოდნავ ანათებდა ჩაბნელებულ ოთახს. ნათურას მწვანედ შეღებილი თეფშისმაგვარი ქუდი ისე ჰქონდა გადაფარებული, რომ სინათლის ნაკადი მხოლოდ მაგიდაზე გაბნეულ რვეულებს ეცემოდა. მედეა გვერდით უჯდა, მარჯვენა მხარეს. თამაზი დროდადრო მისი მუხლის შეხებას გრძნობდა და აზროვნების ძაფი უწყდებოდა. ეშინოდა ქალიშვილისათვის პირდაპირ შეეხედა თვალებში. იგი ამოცანას ხსნიდა და თან მედეას დაჭინებულ მზერას გრძნობდა. რამდენჯერმე გაბედა და ახედა კიდეც. მის სახეს მკრთალად ანათებდა მაგიდიდან არეკლილი შუქი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომწვანო თვალები უცნაურად უბრწყინავდა. თითქმის ექვსი წელი იყო, რაც მედეასთან ერთად სწავლობდა და არ იცოდა, თუ იგი ასეთი ლამაზი იყო. გოგონა ჯგუფში ზნესაკუთრებული სიცელქითა და სითამამით გამოირჩეოდა. აქ კი რა წყნარი იყო, რა სუფთა და სათუთი. თამაზს უნდოდა ეს ბედნიერი წუთები საუკუნედ გადაქცეულიყო. უნდოდა ქალიშვილისთვის ეამბნა, შუაღამისას მისი საწოლი ოთახი როგორ ივსება ჩიტებივით მოფრთქიალე თეთრი ციფრებით. უნდოდა წლებით ნაგროვები, გულში ჩამარხული ფიქრები და განცდები ახლავე მოეყოლა. იქნებ მედეამ ყველაფერი გაუგოს? იქნებ ეს აღმოჩნდეს ერთადერთი ადამიანი, რომელსაც თავის სულსა და გულს გადაუშლის? როგორ უნდოდა ახლა ისინი შორს ყოფილიყვნენ, ძალიან შორს, მარტონი, სადაც მათთან ერთად მხოლოდ ციფრები იქნებოდა და სიწყნარე, დროდადრო როგორ სჭრიდა ყურს მეორე ოთახში მოლაპარაკე მამის ხმა და გაქსუებული ძმის კმაყოფილი ხარხარი. ნუთუ არ შეიძლებოდა, ერთი საათით მაინც ეგრძნო თავი სრულიად თავისუფლად, ნუთუ არ შეიძლებოდა, ერთი საათი მაინც შეუფერხებლად ეოცნება და ეს სანეტარო, ზღაპრული ბურანი არ გაფანტულიყო?

თამაზმა ამოცანა ამოხსნა. მედეამ გადაწერა დაიწყო. თამაზმა ოდნავ უკან დასწია თავისი სკამი, რომ მედეა თავისუფლად ყოფილიყო მაგიდასთან. მედეა დინჯად სწერდა. იგი გრძნობდა ვაჟის დაჟინებულ მზერას და ენის წვერს ეშმაკურად ათამაშებდა ბაგეზე.

თამაზს უნდოდა ქალიშვილის წინაშე მუხლზე დაცემულიყო, სიყვარული აეხსნა, სამუდამო ერთგულება შეეფიცა. გული გასკდომაზე ჰქონდა. ახლა იგი ვეღარც მედეას მიერ ლამაზად გამოყვანილ ციფრებს ხედავდა. ისინი თითქოს ამოძრავდნენ და ერთმანეთში აირიენენ.

მედეას ერთხელაც არ გაუხედავს თამაზისკენ, მაგრამ ქალური ალღოთი მიხვდა, ვაჟი რა დღეშიც იყო და თამაზს მოულოდნელად ჰკითხა.

— აქ რა სწერია?

თამაზი გამოერკვა, ციფრებიც ისევ თავის ადგილზე დასკუპულნენ უჯრედიანი რვეულის ფურცელზე.

შემდეგ ქალიშვილი მხოლოდ ქუჩამდე გააცილა და ისევ თავის ოთახს მიუბრუნდა. ერთი სული ჰქონდა, როდის დწვებოდნენ. მეორე ოთახიდან ისევ ესმოდა მამის ლაპარაკი და მაგნიტოფონის ხმა. მალე გია დაწვა. თვითონაც ლოგინს მიაშურა და თავი მოიმძინარა. ეშინოდა ძმა არ გამოლაპარაკებოდა.

გია უკვე ფშვინავდა, ჯანმრთელ და უდარდელ ყმაწვილს მშვიდად ეძინა. თამაზს კი მამის ნაბიჯების ჩუმი და გამაღიზიანებელი ხმა ოცნების საშუალებას არ აძლევდა. როგორც იქნა შეწყდა ყოველგვარი ხმაური და სახლში სიჩუმემ დაისადგურა. ეს იყო პირველი ღამე, როცა ნაცრისფერი ცის ჰორიზონტზე თეთრი ციფრების გუნდები აღარ წამოფრენილა. იგი მხოლოდ მედეას მომწვანო თვალებს ხედავდა, ასე საოცრად რომ ბრწყინავდა მკრთალ სინათლეზე. თამაზის მთელი სხეული, მთელი არსება რაღაც უჩვეულოდ ტკბილი, აქამდე სრულიად უცნობი გრძნობით გაიჟღინთა. მას მედეა უყვარდა. მხოლოდ მედეა და სხვა არავინ. თამაზ იაშვილს ვერც კი წარმოედგინა სხვა ქალაშვილის სიყვარული, როცა ქვეყანაზე მედეა არსებობდა.

„მაგრამ მას ვუყვარვარ?“

„იქნებ მას სხვა უყვარს?“

„ცოტაა ჩემზე კარგი ბიჭი?“

უნებურად დაესია მტანჯველი ფიქრები და ისევ იგრძნო ჩვეული უმწეობა.

„უნდა ვუთხრა, ხვალ დილითვე უნდა ვუთხრა“, — იმეორებდა განუწყვეტლივ და ერთი სული ჰქონდა, როდის გათენდებოდა. და მან, რაც თავი ახსოვს, პირველად ინატრა მალე გათენებულიყო, რადგან უკვე ეგულებოდა ადამიანი, რომელსაც მთელს თავის არსებას, გულს, გონებას, სიცოცხლესაც კი შესწირავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზს გამთენიისას ჩაეძინა, მაგრამ მალე წვიმის შხაპუნმა გამოაღვიძა. წვიმა სასიამოვნოდ უკაკუნებდა თუნუქის სახურავებს, ქვაფენილიდან გაზაფხულისათვის დამახასიათებელი სასიამოვნო სუნი ავარდნილიყო და ქუჩაში ნაკადულებად წამოსული წყლის ხმაური ისმოდა.

სიყვარული ვერც მეორე და ვერც მეათე დღეს გაუხსნია მედეა ზამბახიძეს. მედეამ თითქოს იგრძნო, ვაჟი რა დღეშიც იყო და განგებ აღარ ეკარებოდა. თამაზ იაშვილი სევდამ შეიპყრო. იმედი სამუდამოდ დაკარგა და კიდევ უფრო გულჩათხრობილი გახდა. მაგრამ ერთ დღეს მასთან მედეა მივიდა და უთხრა, გამაცილეო. ამ ერთმა სიტყვამ ისე გაახარა, შეეშინდა არ წაქცეულიყო. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ მედეა ოსტატურად ჩამორჩა მეგობრებს და შინისაკენ სულ სხვა გზით გაემართა თამაზთან ერთად. თამაზი ჩუმად მიდიოდა. ხმას არ იღებდა, არ იცოდა, საუბარი რითი დაეწყო. ელოდა, იქნებ მედეამ მკითხოს რამეო. მაშინ პასუხს მაინც მოახერხებდა და იქნებ საუბარიც აწყობილიყო. მედეა კი ჯიუტად დუმდა. მალე მედეას ქუჩაც გამოჩნდა. მის ეზომდე ოცი ნაბიჯიც კი აღარ რჩებოდა. თამაზს თავისი უმწეობა კიდევ უფრო თრგუნავდა და ენით აუწერელი მღელვარება იპყრობდა.

— მე მოვედი, კარგად იყავი! — გაიცინა მედეამ და ენის წვერი ეშმაკურად ათამაშა.

მედეა წავიდა.

კიდევ ერთი თეთრად გათენებული ღამე. კიდევ ერთი იმედის გაცრუება და შეგრძნება საკუთარი უმწეობისა. კიდევ ერთხელ დარწმუნება უსუსურობაში.

„არა, ხვალ ნამდვილად ყველაფერს ავუხსნი, ყველაფერს ვეტყვი!“ — გადაწყვიტა მტკიცედ და მართლაც მეორე დღეს, სხვების შეუმჩნევლად, მედეას წინ შუაზე გაკეკილი ფურცელი დაუდო, „გაკვეთილების შემდეგ რაღაც უნდა გითხრა“, ეწერა ფურცელზე.

მედეამ წერილი წაიკითხა, მერე ოთახად გაკეცა და ჩანთაში ჩაიდო.

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ თამაზი ისევ თავის ადგილზე დარჩა. ვითომ რაღაც ჰქონდა საწერი. ყველანი წავიდნენ.

„ნუთუ არ დამელოდება?“ — სტანჯავდა მოუთმენელი ფიქრი თამაზს.

მალე კარი ფრთხილად გაიღო და ოთახში მედეა შემოვიდა. მას ხელში ჩანთა ეჭირა და ფეხაკრეფით მოდიოდა.

თამაზ იაშვილმა იგრძნო, გული როგორ გაუჩერდა.

— გისმენ! — ჩაესმა უცებ მედეას ხმა და ოდნავ გამოერკვა. ხმის ამოღება მაინც ვერ გაბედა.

— გისმენ-მეთქი! — გაიმეორა მედეამ დინჯად და მერხზე ჩამოჯდა.

ახლა ისინი მარტონი იყვნენ, სულ მარტონი. თანაც მედეამ უკვე იცოდა, რომ თამაზს მისთვის სიყვარული უნდა აეხსნა. ამიტომაც მიატოვა ამხანაგები და მობრუნდა კიდეც. ახლა იგი ყველაფერს ეტყვის, გულს გადაუშლის, სამუდამო სიყვარულსა და ერთგულებას შეჰფიცავს, მის წინ მუხლებზე დაეცემა, ხელებს დაუკოცნის.

— სულ ეს იყო შენი სათქმელი? — ყურში ისევ ჩაესმა ქალიშვილის სანეტარო ხმა.

თამაზ იაშვილს აღარც კი ახსოვს როგორ დაიწყო, პირველად რა უთხრა. ახლაც, რომ მოკლა, ვერაფრით ვერ გაიხსენებს, პირველად რა თქვა. მხოლოდ ერთი ფრაზა ახსოვს, ერთადერთი ფრაზა, რომელსაც მექანიკურად იმეორებდა გაუდამებით.

— მე შენ მიყვარხარ, მედეა. მე შენ მიყვარხარ. საკუთარ თავზე უფრო მიყვარხარ. შენ ყველაზე ლამაზი ხარ ამ ქვეყანაზე.

თამაზ იაშვილი შემდგომ ბევრს ეცდილობდა, გაეხსენებინა. ამდენი რა ილაპარაკა, მაგრამ ამ სიტყვებს გარდა ვერაფერი ვერ აღადგინა. ბოლოს იგი ლა-

---

გურამ ფანჯიკიძე
თვალი პატიოსანი

პარაკს მორჩა და მედეას თვალებში ჩახედა. უნებურად შეკრთა. ქალიშვილის თვალებში მხოლოდ დაცინვა ამოიკითხა.

-- მე შენ მიყვარხარ, მედეა, ყველაფერზე უფრო მიყვარხარ ამ ქვეყანაზე!

-- მადლობის მეტი რა მეთქმის. კარგად ბრძანდებოდე! — მედეამ ენა ეშმაკურად აათამაშა, სწრაფად შეტრიალდა და წავიდა.

თამაზ იაშვილი განადგურებული, გაოგნებული მისჩერებოდა ნაცრისფერ კარებს, რომლის გაჯახუნების ხმა ტყვიასავით მოხვდა გულში. იგი დიდხანს იდგა. ძალიან დიდხანს, გაშეშებული და ხელებჩამოყრილი, მოდუნებული და თავზარდაცემული.

ეგონა, მთელი საუკუნე გავიდა. მერე ჩანთას დასწვდა და ოთახიდან წავიდა. ქუჩა გაიარა და ის იყო, მეორე მხარეს გადასვლას აპირებდა, რომ კუთხეში თავისი თანაკლასელი გოგონები შენიშნა. მედეა ზამბახივეკ მათ შორის იყო. თამაზ იაშვილის დანახვაზე გოგონებმა ერთხმად გადაიხარხარეს და გზა განაგრძეს.

თამაზი მიხვდა, მედეამ მათ ყველაფერი უამბო. მაგრამ ახლა ამას აღარაფერი მნიშვნელობა არა ჰქონდა. იგი შინ მივიდა, ხელ-პირი დაიბანა და ლოგინში ჩაწვა. საღამოს სიცხემ აუწია. მეგობრებიდან მხოლოდ ოთარ ნიკარაძე მოდიოდა ყოველ დღე. თამაზი ჩუმად იწვა, ხმას არ იღებდა. ან ჭერს მისჩერებოდა, ან თვალები ჰქონდა დახუჭული. ოთარი გრძნობდა, თამაზს ახლა არავის დანახვა არ სიამოვნებდა და ჩქარა მიდიოდა.

მხოლოდ ერთი კვირის თავზე წამოდგა ფეხზე. კლასში რომ შევიდა, ვიღაცამ იყვირა, სიძე მოვიდაო. თანაკლასელებმა გაიცინეს და მედეას შეხედეს. მედეა კი, ვითომც აქ არაფერიაო, იდგა და ენას ეშმაკურად ათამაშებდა. ოთარ ნიკარაძე გაცოფებული მივარდა ამ სიტყვების წამომძახებელს და ისეთი სილა გაუწნა, ხელი ეტკინა.

სიცილი ერთბაშად შეწყდა.

თამაზი უხმოდ გაბრუნდა. ოთარ ნიკარაძემ ხელი ჩანთას წამოაცალა და [illegible] გობარს გამოედევნა.

— შენ რატომ მოდიხარ? არაფერი გითხრან.

-- რა მოხდა მერე! — უდარდელად ეთხრა ოთარმა. უნდოდა მეგობრისათვის სევდა გაეფანტა.

ქუჩაში გავიდნენ. კარგა ხანს იარეს. მერე მტკვრისაკენ დაეშვნენ და სანაპიროზე ამოყვეს თავი. თამაზმა ჩანთა საბანაოროს რუხი ქვის მოაჯირზე დაიდო და მეგობარს თვალებში შეხედა.

— იცოდე, არ მიყვარს, როცა მექომაგებიან.

— კარგი, დღეიდან მეცოდინება! — გაიღიმა ოთარმა.

თამაზ იაშვილი მეორე დღეს სკოლაში არ მისულა, არც მესამე დღეს. მან საბუთები გამოიტანა და სხვა სკოლაში გადავიდა. იმ ქუჩაზე გავლაც კი ეზიზღებოდა, სადაც მისი ძველი სკოლა იყო. აღარც ოთარ ნიკარაძემ მოაკითხა. ყველამ დაიციწყა. ახალ სკოლაში ვულაღრენილი დადიოდა.

ერთხელ გაკვეთილზე დაადგინეს. საკლასო ოთახის კარი ფრთხილად შეაღო: მასწავლებელი დაფაზე რაღაცას წერდა. კარის პრიალზე მოიხედა, დარცხვენილი მოსწავლე დაინახა და ხელით ანიშნა, დაჯექი, ხელს ნუ მიშლიო.

თამაზ იაშვილი სწრაფად გაემართა თავისი მერხისაკენ და უცებ გაოცებისაგან კინადამ შეჰყვირა. მის მერხზე ოთარ ნიკარაძე იჯდა.

ოთარმა თვალი ჩაუკრა. თამაზმა ჩანთა მერხში შეაგდო და ხელი გაუწოდა. მერე თავისი სუსტი თითებით დიდხანს ჰქონდა ჩაბღუჯული მეგობრის ძლიერი ხელი. ეს იყო ენით გამოუთქმელი მადლობა, მადლობა ნამდვილი მეგობრობისა და ერთგულებისათვის, რომელმაც თამაზს რწმენა დაუბრუნა.

ახლა ერთადერთი ადამიანი, რომელსაც თამაზ იაშვილისა ესმოდა და სჯეროდა, ოთარი იყო. თამაზი გრძნობდა, რომ ოთარ ნიკარაძე მის ნიჭსა და პა-

ტოსნებას ნამდვილად აფასებდა, მის ბუნებასა და გულჩახვეულობას ოდნავადაც არ დასცინოდა, პირიქით, მოსწონდა კიდეც. სწორედ ეს აძლევდა ძალას და უბრუნებდა რწმენას. სწორედ ოთარ ნიკორაძეს შეაძლებინა მომავლისათვის თვალი გაესწორებინა.

ოჯახში კი ვერ იქნა და ვერ გამონახა საერთო ენა. ეს განსაკუთრებით მაშინ იგრძნო, როცა უმაღლესი დაამთავრა. იგი ვერ შეეგუა ოჯახში გამეფებულ რუტინას. მამამისის საქმოსნობაც ინერციულებდა და მისი სიმხდალეც, მისი შიშიც და შიშით გამოწვეული ღვთისმოსაობაც. თამაზ იაშვილს ერჩია მამამისი ან გამოკვეთილი საქმოსანი ყოფილიყო, ან მხოლოდ ნაჭუჭში შემალული მშიშარა. ეს ორი, ერთმანეთთან შეუთავსებელი და ერთმანეთში საზარლად არეული ნაკადი აპაზრზენ და გაუვალ წუმპეს ქმნიდა. მამამისი ხანდახან თაგვს აგონებდა, რომელიც ღამეში, ან მხოლოდ მაშინ გამოდის სარჩოს მოსაპოვებლად, როცა ირგვლივ არავინ ეგულება, მერე კი მთელი დღე თავის სოროშია მიმალული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრჯერ გადაწყვიტა მშობლებისათვის ყველაფერი ეთქვა, ბევრჯერ დააპირა გაქსუებული ძმისათვის პირში მიეხალა, თავით ფეხებამდე ჭაობში ხარ ჩაფლულიო, მაგრამ იცოდა, აქედან არაფერი გამოვიდოდა უსიამოვნებისა და ახალი გულისტკივილის მეტი. ბოლოს თითქოს იპოვა გამოსავალი, — სახლიდან წავიდა.

გრიგოლ იაშვილმა მაშინ უყიდა ეს ძველებური ბინა, უყიდა თავის ავეჯიანად და თამაზმა უსაზღვროდ ბედნიერად იგრძნო თავი. მან შეეძლო დილიდან საღამომდე, მთელი დღე, მთელი თვე მჯდარიყო და მხოლოდ მათემატიკით, მხოლოდ ოცნებით ყოფილიყო გართული.

„ნუთუ სულ ეს არის ჩემი ბიოგრაფია. ნუთუ სულ ეს არის, რაც ოცდაორა წლის მანძილზე გადამხდა, ან რისი შექმნაც მე შეეძელი?“ — თამაზ იაშვილი ჭერს შესჩერებოდა და ცდილობდა ამ კითხვაზე გაეცა პასუხი.

თავი მეხუთე

სუფრას ათი მამაკაცი უსხდა. მათ შორის ოთარ ნიკორაძე და თამაზ იაშვილი. თამაზი არც ერთ მათგანს არ იცნობდა, მაგრამ ოთარს ხათრი ვეღარ გაუტეხა და რესტორანში წამოჰყვა. თამაზ იაშვილს საერთოდ არ უყვარდა რესტორანში სიარული. მით უმეტეს უცნობ ადამიანებთან.

ყოველ მათგანს ეტყობოდა, დიდი ფულის პატრონი რომ იყო. თამაზი დაძაბული აკვირდებოდა მათ ჩასუქებულ სახეებს, დამსხვილებულ თითებსა და უზარმაზარ მუცლებს.

რამოდენა განსხვავება იყო მათ შორის სუფრაზე დასხდომამდე და სუფრაზე დასხდომის შემდეგ. თავიდან უზადოდ, მდიერულად და გემოვნებით ჩაცმულნი საკმაოდ ინტელიგენტურად გამოიყურებოდნენ. მისალმებისას თუ საუბარში, ხელის ჩამორთმევისას თუ სიგარეტის მიწოდებისას თავი მშვენივრად ეჭირათ და ვერც მანერებს დაუწუნებდით. ისინი მაშინ ისეთ გარემოში იყვნენ, სადაც ფულის გარდა კულტურა და სიტყვა-პასუხიც არანაკლებ ფასობს. მაგრამ სუფრას მიუსხდნენ თუ არა, თანაც თბილისის ყველაზე მოდურ და ყველაზე ძვირ რესტორანში, თავი საკუთარ სტიქიაში იგრძვნეს. აქ ფულს უზარმაზარი გასავალი ჰქონდა. ფული კი ყოველ მათგანს ჩეჩქვივით ჰქონდა. ამიტომაც თავის ნება-სურვილებს ყველაზე ფართო არხები დაუთმეს, მთელი თავისი სულიერი სამყარო მზეზე გამოტანილი ქვეშაგებივით გამოფინეს.

გურამ ფანჯიკიძე
თვალი პატიოსანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფრას ერთი უზარმაზარი, თავწვრილა კაცი თამადობდა. იგი, როგორც თამაზმა გაიგო, ლიმონათის ქარხნის დირექტორი ყოფილა.

თამადა ალავერდს ყოველთვის ოთარ ნიკარაძესთან გადადიოდა. ოთარი საკმაოდ ბრტყელ სადღეგრძელოებს ამბობდა. თამაზი ხან ოთარს აკვირდებოდა, ხან მის თანამეინახეებს. ოთარი ბევრს ხუმრობდა, მოხდენილად ლაპარაკობდა, ყველანი ხარხარებდნენ და ღვინოს ხვნეშით სვამდნენ.

თამაზი გრძნობდა, სუფრის არცერთი წევრი ოთარის მეგობარი არ იყო. ოთარ ნიკარაძეს მათი სახელებიც კი არ იცოდა ხეირიანად. უკვირდა, სოდან აღმოჩნდა იგი ამ წრეში, ან ამდენ ქათინაურს როგორ აფრქვევდა, ან ამდენ ტყუილს სოდან იგონებდა.

თამაზ იაშვილს მათი კმაყოფილი, უდარდელი ხითხითი უფრო აღიზიანებდა. ისინი არაფერს დაგიდევდნენ. თავი ამაყად, დაჯერებულად და საკმაოდ თავხედურად ეჭირათ. უკვე ნასწავლი და შესისხლხორცებული თავაზიანობა, სუფრის წესებისა და ქეიფის ხელოვნების ცოდნა რაღაც გამომწვევადაც კი მოქმედებდა. მათ საქციელში არ იყო მოკრძალება ან შიში. მათ ჯიბეში ფული ჰქონდათ, უამრავი ფული.

იყო დრო, როცა ფულის უპატიოსნო გზით მშოვნელები მოწიწებით შეგიტყვერდნენ. ეს დრო თამაზ იაშვილსაც კარგად ახსოვდა. ისინი იმითაც დიდად იყვნენ ბედნიერნი, თუ იკადრებდი, გვერდით მოისვამდი და ფულის დახარჯვის საშუალებას მისცემდი. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ისინი ახლა დამამცირებელი მფარველობითაც გეპყრობიან, როცა სუფრაზე მათ გვერდით მოხვდები. თუ ღმერთი გაგიწყრა და დანახარჯის გადახდაზე გაიქაჩე, ხელს ჯიბეშივე დაგიჭერენ და მზრუნველი, დაცინვაშერეული ხმით გეტყვიან — „მაცალე, ბიძიკო“. მერე ოფიციანტს თვალებს დაუქაჩავენ, თავისკენ მოიხმობენ. ამ დროს ოფიციანტი ღრეჯვით იტყვის, ფული უკვე გადახდილიაო. ატყდება ერთი ხორხოცი ყველაზე უშველებელი, ფული ვინ გადაიხდაო. ამ სიუპრაზის ავტორი ხმას არ იღებს, მაგრამ ხაზგასმული სიჩუმითა და პასიერობით გაგრძნობინებს, ფული ჩემი გადახდილიაო.

თამაზ იაშვილს არ უყვარდა რესტორანში სიარული. უფრო სწორად, არ უყვარდა, როცა ფულს სხვა იხდიდა, რადგან მასპინძლის საქციელში, ლაპარაკში თუ სადღეგრძელოებში ზედმეტ სითამამეს, უფროსობას და თავხედობასაც კი გრძნობდა. და მერე რატომ? იმიტომ რომ ფულს ის იხდიდა.

თამაზ იაშვილს არც მაშინ უყვარდა რესტორანში წასვლა, როცა თვითონ იყო მასპინძელი. მას იმდენი ფული არასდროს არ ჰქონია, გაუთვალისწინებელი კაცის შემომატებისა არ შეშინებოდეს.

არაფერი არ მიაჩნდა იმაზე უფრო დამამცირებლად, ვიდრე ახალ გაზაფხულზე ოფიციანტის მიერ მოტანილი, თითქმის მთელი სუფრის ფასად ღირებული ოთხი ყვითელი პამიდორის უკან გაბრუნება. თვით იმის თქმა, როცა მასპინძელი ხარ და ოფიციანტს ეუბნები პამიდორი არ გვინდაო, საშინლად შეურაცხმყოფელად მოქმედებდა და ოფლსაც კი ასხამდა.

ოთხი ყვითელი პამიდორი, საღღაც სათბურში პენიცილინით სიმწიფეაჩქარებული ოთხი ყვითელი პამიდორი, რომელიც პლასტმასისაგან გაკეთებულს უფრო ჰგავდა, მხოლოდ უბრალო, ჩვეულებრივი პამიდორი როდი გახლდათ. ყოველ შემთხვევაში. ამ პამიდორის სუფრაზე დატოვებით ან გაბრუნებით ოფიციანტს შეეძლო განესაზღვრა, რა ფულის პატრონები ისხდნენ სუფრაზე.

თამაზ იაშვილი რესტორანში შესვლას მხოლოდ მეგობრებთან ერთად თუ მოისურვებდა და ვინაიდან მისი ერთადერთი მეგობარი ოთარ ნიკარაძე იყო, ძალზე ხშირად მხოლოდ ისინი უსხდნენ ხოლმე სუფრას.

და აი, ახლა რესტორანშია, თანაც სრულიად უცნობ ადამიანებთან ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თად. ეს კიდევ არაფერი. იგი ამ ადამიანებში ვერ ხედავდა ვერცერთ სპატიცცმფლო, დასაფასებელ თვისებას — პატიოსნებას თუ ნიჭს, კეთილშობილებას თუ ვაჟკაცობას. თუმცა ახლა ვაჟკაცობას ზოგიერთები ფულის ხარჯვას ეძახიან. ამ ფილოსოფიით ისინი პირველი ვაჟკაცები იყვნენ, რადგან უზრუნველად ფლანგავდნენ ასევე უზრუნველად და უპატიოსნოდ ნაშოვნ ფულს.

ახლა ისინი ქალაქგარეთ იყვნენ. ცხენილ თეთრ დუქანში. მის ორგანყოფილებიან პატარა დარბაზში ორმოცდაათი კაცი მაინც ქეიფობდა. ორმოცდაათი წუვილი ჩასისხლიანებული თვალი ამღვრეული იცქირებოდა. ორმოცდაათი მეცელი ხორცით იყო ამოყორილი. ორმოცდაათი ღვინით აღზნებული, კონტროლდაკარგული ადამიანი ხმამაღლა ყაყანებდა, მღეროდა, ყვიროდა, ყოველად ბანალური და გულისამრევი ცრუპატრიოტობით, ცრუკეთილშობილებით აღსავსე სადღეგრძელოს ამბობდა. უზარმაზარი ეროვნული ენერგია ასე ფუჭად იფლანგებოდა მაგიდებთან.

ვერავინ მოგცემდა პირობას, რომ თავზე ვიღაც ბოთლს არ დაგაფშვნიდა. ვგვრდით სუფრაზე ვიღაცეები ბღაოდნენ. მერე რესტორნის ეზოში დაბორიალობდნენ და შარვლებს გზაში იკრავდნენ.

დარბაზში ინტელიგენტური გარეგნობის კაცი შემოვიდა და ოცდათხუთმეტოდე წლის ლამაზი ქალი შემოიყვანა. ეტყობოდა, მეუღლე იყო. კაცმა გაბოლილ დარბაზში თავისუფალ მაგიდას დაუწყო ძებნა. ქალი დაბნეულად და გაუბედავად დაჰყვებოდა. მთელმა რესტორანმა ხარბი, ვნებაალძრული თვალები უტიფრად მიაპყრო ქალის მოხდენილ ფეხებსა და ტანს. ქალი შეშინებული მიეკრა კაცს და რაღაც უთხრა. მერე ორთავენი სწრაფად გავიდნენ რესტორნიდან.

სიცილი, ბილწსიტყვაობა, სიმღერა, ჭიქების ჭახაჭუხი, თეფშებზე დანის მბრძანებლური კაკუნი და პათეტიური სადღეგრძელოები ერთმანეთში ირეოდა.

თამაზ იაშვილი ყველაზე მოდუო რესტორანში იჯდა. უფრო სწორად, რესტორანში, სადაც ყველაზე „კარგი პურის ჭამა“ შეიძლებოდა. სამაგიეროდ, უთოფო ყაჩაღები, როგორც მაშინ იმ რესტორნის გამგებელთ ეძახდნენ, გაუგონარი თავხედობით ღლეტდნენ ყველას. ამ რესტორანში პატიოსანი კაცი წელიწადში ერთხელ თუ შემობედავდა. აგერ მათი ოფიციანტი, წელში ცხრად მოკაკული, სირცხვილდაკარგული კაცი თვალებში შესცინცინებდათ, რომ მერე დანახარჯი უფრო უსირცხვილოდ ეანგარიშა. თამაზი თითქოს ხედავდა კიდეც, რა სიამაყით შეიტანდა ოჯახში ამ დაძცირებითა და უსინდისობით ნაშოვნ ფულს. მერედა ვინ იცის, რამდენი ჭიქა-ჭიქა შეგრთვებული სასმელი, სუფრაზე მიტოვებული და ხელახლა გაცხელებული მწვადი ტრიალებდა ამ სუფრებზე.

თამაზ იაშვილის გულში ცეცხლი თანდათან ღვივდებოდა. იგი დროდადრო ოთარს აკვირდებოდა. ოთარ ნიკარაძეს არაფერი არ აწუხებდა, სვამდა და ხუმრობდა, სადღეგრძელოებშიც ხშირ-ხშირად ურევდა „დიდ ქართველს“, „დიდ პატრიოტს“, „დიდ ვაჟკაცს“. თამაზი ცდილობდა გაერკვია, ოთარი ყოველივე ამას გულწრფელად ამბობდა თუ თანამეინახეებს შეპარულად დასცინოდა.

უცებ ორმა ოფიციანტმა ერთი ყუთი ღვინო მოიტანა.

— ომარ მელქაძეს მოართვეს მეზობელი მაგიდიდან.

მელქაძემ თავი დინჯად მოატრიალა ნაჩვენები მაგიდისაკენ. ისედაც ჩაწითლებული სახე კიდევ უფრო ჩაუწითლდა. მსუქანი კისერი მალე დაეფალა და თავი ისევ შემოაბრუნა. იმ სუფრაზე კი, ვითომდაც აქ არაფერიაო, ერთი კაცი სადღეგრძელოს ამბობდა. დანარჩენები

ხაზგასმული ყურადღებით უსმენდნენ, ვითომც აქამდე თვალი არ მოეყოლებინოთ იმ ოფიციანტებისათვის, ღვინო რომ მოიტანეს.

მელქაძე იმ ერთი, ძალზე ხანმოკლე გადახედვითაც მიხვდა, ღვინოს ვინ გამოუგზავნიდა.

თამაზ იაშვილმა ახლა შეიტყო საუბარში, რომ ლიმონათის ქარხნის დირექტორი მელქაძე ყოფილა და არა თავწვრილა გოლიათი. სუფრაზე მელქაძე თავდაჭერილად იქცეოდა. ცოტას და ხმადაბლა ლაპარაკობდა. სხვებივით ჰალსტუხიც არ ჩამოუხსნია და პიჯაკიც არ გადაუფენია სკამზე. მან ბოლომდე შეინარჩუნა კულტურული კაცის მანერები, თამაზი თითქოს ახლა მიხვდა, რომ ლიმონათის ქარხნის დირექტორს თავისთვის ერთხელაც არ მიუცია უფლება, თუნდაც გადაკრულად ეთქვა უხამსი რამ.

ახლა კი, როცა ერთი ყუთი ღვინო ფეხებთან დაუდგეს, ძალზე გაფიცხდა, თუმცა ცდილობდა არ შეემჩნია. ალბათ ეგონა, რომ მთელი ეს თავდაჭერილობა და მოსწრებული სიტყვა-პასუხი ფეხებთან მიდგმულმა ერთმა ყუთმა ღვინომ გააუბრალოვა და ძალზე ჩვეულებრივი გახადა.

— მოდი აქ! — იხმო მელქაძემ ოფიციანტი.

ოფიციანტმა იმავე წუთში მოირბინა, წელში ოდნავ მოიხარა და ბრძანებას დაელოდა.

— მიუტანე ოცი ბოთლი შამპანური თავის შოკოლადებით და თან უთხარი, ამისთანა მაიმუნობას თავი დაანებეთქო. — მელქაძე ახლა თანამეინახეებს მიუბრუნდა. — მაინც როდის შემოვიდნენ?

— ერთი საათია აქ არიან.

როგორც კი ოფიციანტმა შამპანური და შოკოლადები მიართვათ, ერთი მათგანი ფეხზე წამოდგა და მათკენ წამოვიდა.

— ეს რატომ მიქნინთ, ომარ ბატონო, — შორიდანვე უთხრა ლიმონათის ქარხნის დირექტორს, მერე დანარჩენებიც მიესალმა.

თავწვრილა თამადა ფეხზე წამოდგა და სტუმარს ჭიქა შეაგება.

— ნამდვილად ვერ დავლევ, ჩემო ბატონო, — იუარა მოსულმა, მაგრამ ჭიქა მაინც ჩამოართვა.

— აბა, ბიჭო, აბა, არ დაგაცდოს! დალიე და მეორედ ეგეთი რამე აღარ გამიბედო.

ახლად მოსული მოკრძალებით იქცეოდა. ლიმონათის ქარხნის დირექტორმა იგი არც კი წარუდგინა სუფრას. სახელიც არ უხსენებია მისი. თამაზ იაშვილი მიხვდა, იგი უფრო დაბალი რანგის საქმოსანი იყო. თუმცა, სრულიად ახალგაზრდა კაცს მუცელი უკვე გამოვარდნაზე ჰქონდა და ეტყობოდა, ბუასილიც აწუხებდა. ჭიქა სწრაფად დასცალა, მერე ლიმონათის ქარხნის დირექტორს მიუბრუნდა — ეს რა მიქნინთ, ომარ ბატონო, სუფრას გამოვშვიდობა და ისევ თავის მიგიდას დაუბრუნდა. არ დავიწყნია, რამდენიმე ნაბიჯი უკან გადაადგა და მხოლოდ მერე შებრუნებულიყო.

— ვინაა ეგ ბიჭი? საიდანღაც მეცნობა! — იკითხა ერთმა.

— ახლა წამოიწყო პატარა საქმე, კარგი ბიჭი ჩანს! — მიუგო მელქაძემ და თან ოფიციანტს ანიშნა, ეს ყუთი აქედან მომაშორეო.

მათ გვერდით ყოფნა აუტანელი ხდებოდა. მუდმივი ჯდომისაგან, ჭამა-სმისა და სიმსუქნისაგან მოახლოებული ინფარქტები უკვე იგრძნობოდა.

უცებ ერთი ტანმოკლე, ხშირთმიანი კაცი გაჩნეჩყლდა. მას მიშას ეძახდნენ.

— მოდი აქ! — დაუძახა ოფიციანტს.

— გისმენ, ბატონო!

— მეტი არაფერი გაქვთ უკეთესი? — ცოტა წაიფორხილა კიდეც, მაგრამ ოფიციანტს დროზე ჩაავლო თვრა ხალათში ხელი. ოფიციანტს ღიღი ასწყდა და საღღაც გაგორდა.

მიშა წელში გაიმართა. უნდოდა სიტყვებისათვის მეტი მნიშვნელობა მიეცა. მას თავისი ტანისათვის შეუფერებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი და მრგვალი თავი ჰქონდა. გამობერილი ლოყებზე შიგნით შებრუნებული ტუჩები ყულაბის ჭრილივით აჩნდა.

— რას მიბრძანებ, შენი ჭირიმე.

— ისეთი რამე მოიტანე, ჯერ რომ არავისთვის მიგიტანია.

— ისეთი რა უნდა მოგიტანო, შენი ჭირიმე.

— ისეთი?! — მიშამ გაღიმება სცადა და ყულაბის ჭრილი საკმაოდ გაფართოვდა. მერე სუფრას მედიდურად გადახედა.

— შენი ნეკი მოგვიტანე! — მიუბრუნდა უცაბედად ოფიციანტს.

— რა მოვიტანო? — იკითხა გაოცებულმა ოფიციანტმა, ეგონა, ყურმა მოატყუაო.

— შენი ნეკი მოგვიტანე, შემწვარი ნეკი. დიდ ტაფაზე შეწვი, ზუსტად შუაგულში დადევი და მოიტანე.

ოფიციანტს ეგონა ხუმრობსო და უშნოდ გაიღრიჭა, ვითომ ხუმრობა მოუწონა. სხვებმაც გაიცინეს.

— ოქვენ, ოქვენ გგონიათ ვხუმრობ? — გაბარაზდა მიშა და ამღვრეული თვალები რატომღაც თამაზ იაშვილს გაუშტერა. მერე ოფიციანტის თეთრ ხალათს ხელი უშვა და ჯიბიდან მთელი ბღუჯა ასმანეთიანები ამოიღო.

— მაშ, ოქვენ გგონიათ ვხუმრობ, არა? — მიშა ყვირილზე გადავიდა.

— მიშა, ფული შეინახე! — წამოვარდა ფეხზე წვრილთავა.

— არაფერს არ შე-ვი-ნახავ. შენ წადი, ნეკი მოიტანე, იცოდე კა-არგად შეწვი და მო-მო-იტანე! — მიშამ დაბოყინა. — ათი ათას მანეთს გაძლევ. ეეერთ ნეკში, მეტი რა გინდა.

— მიშა, სირცხვილია, ხალხი გვიყურებს! — წამოშალნენ ფეხზე სხვებიც, მაგრამ მისი გაჩერება უკვე აღარ შეიძლებოდა.

ამ ალიაქოთში მხოლოდ ლიმონათის ქარხნის დირექტორი იჯდა ჩუმად. წარბიც არ შეუხრია. მიშასკენ არც გაუხედავს, ოღონდ ჩანგალს აწვალებდა ნერვიულად.

— შენ კიდევ აქა ხარ? — გადმოყვლიპა თვალები მიშამ. — თხუთმეტ ათასს გაძლევ.

— მიშა, სირცხვილია, ხალხი გვიყურებს! — ახლა უკვე გულმოსულმა უთხრა წვრილთავამ, ხელისგულები თავზე სალტესავით შემოაკრა და ისე შემოაბრუნა, თითქოს დაბზრიალებას უპირებსო.

— ხა-ალხი ფეხებზე მკიდია. მმე ნეკი მინდა.

— მოუსვი აქედან! — დაუქაჩა ვიღაცამ თვალები ოფიციანტს.

ოფიციანტი სასწრაფოდ გაშორდა იქაურობას.

ოთარ ნიჟარაძეს გული დასწყდა, ოფიციანტი რომ წავიდა. იგი სულმოუთქმელი ინტერესით აკვირდებოდა მისსაც და ოფიციანტსაც. ოთარი მიხვდა, მიშა არ ხუმრობდა. ახლა იგი ისე იყო, თითქოს თავშეკავების ყოველი ნერვი ვიღაცის უხილავმა ხელმა გადაეჭრაო. ღვინისაგან დარეტიანებული მართლა გადაყრიდა ამდენ ფულს ერთი სულელური სურვილის დასაკმაყოფილებლად. მას მეტის ძალა არ ჰქონდა, მას მხოლოდ ყიდვა შეეძლო და ეს იყო მისი პატივმოყვარეობის ყველაზე ადვილად დასაკმაყოფილებელი საშუალება. მაგრამ ოთარ ნიჟარაძეს ახლა ოფიციანტი უფრო აინტერესებდა. მას ეჭვი არ ეპარებოდა მიშას სიტყვების სიმართლეში. ოთარს უნდოდა გამოეცნო, დასთანხმებოდა თუ არა ოფიციანტი ამ დელიკატურ წინადადებაზე.

როცა ოფიციანტი გააგდეს, ყველაფერმა ინტერესი დაკარგა. გაჭირვეულებულ მიშას ძლივს ჩაუტენეს ფული ჯიბეში და გარეთ გაიყვანეს.

ოთარმა ახლა შენიშნა, თამაზ იაშვილი იქ აღარ იყო. პირველად ეგონა, აღბათ გარეთ გავიდა და მალე შემობრუნდებაო, მაგრამ იაშვილი შემოსვლას აგვიანებდა. ოთარი მიხვდა, თამაზმა სუფრა მიატოვა. ფეხზე უცერემონიოდ წამოდგა და გარეთ გავიდა. არაკის გამომ-

---

გურამ ფანჯიკიძე
თვალი პატიოსანი

შვიდობებია, თუმცა გადაწყვეტილი ჰქონდა, უკან აღარ შებრუნებულიყო. პირველად რესტორნის ეზო დათვალიერა, თამაზი არსად ჩანდა. მერე ჯიშკარი ვაიღო და შოსეზე გავიდა.

შორიდანვე იცნო მეგობრის სუსტი, მხრებში ოდნავ მოხრილი ფიგურა.

— თამაზ! — დაუძახა ხმამაღლა.

პასუხს არ დალოდებია, ისე გამოედევნა.

თამაზი შეჩერდა. ოთარი მალე წამოეწია.

— თუ წასვლა გინდოდა, რატომ არ მითხარი?

— ისე იყავი გატაცებული, არ მინდოდა ჩემი გულისთვის გამოჰკლებოდი ამ შესანიშნავ კამპანიას.

— როგორ, განა შენ კმაყოფილი არა ხარ დღევანდელი საღამოთი?

— ბოლოს და ბოლოს მოიჭრა ნეკი? — შეუბრუნა კითხვა თამაზმა.

— სამწუხაროდ, ყველაფერი ჩაშალეს! — თქვა სინანულით ოთარმა. თამაზმა მეგობარს შეხედა. უნდოდა გაერკვია, იგი ჩვეულებისამებრ ხუმრობდა თუ მართალს ამბობდა. იაშვილი მალე დარწმუნდა, რომ ოთარი არ ხუმრობდა და გაოცებისაგან პირი დააღო.

— ვთქვათ ის კაცი დათანხმებულიყო ნეკის გაყიდვას. შენ, ოთარ ნიჟარაძე, მწერალი და მოაზროვნე ადამიანი, დანებებდი ვიღაც მათხოვარს, ფულით გალაღებულ უსინდისოს, ჩვენს თვალწინ, ადამიანების თვალწინ, ასეთი თავხედობა გამოვჩინა, დაეცინა ყველასთვის და ყველაფრისთვის?

— უდიდესი სიამოვნებით! — ოთარმა ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო.

— შენ მაგას სერიოზულად ამბობ?

— მთელი სერიოზულობით მოგახსენებ. მოსწიე! — ოთარმა სიგარეტის კოლოფი გაუწოდა.

გოოცებული თამაზი ერთხანს მეგობარს მისჩერებოდა, მერე უცებ შეტრიალდა და გზა განაგრძო. ოთარმა გაიცინა. სიგარეტი ჯიბეში ჩაიდო და მეგობარს წამოეწია. მალე მთავარ შოსეზე ჩამოვიდნენ და ტაქსიი მოლოდინში ელექტრონის ბოძს მიეყრდნენ.

— ვიცი, სიგარეტი ვინდა, მოსწიე! — ოთარმა ჯიბიდან სიგარეტი ისევ ამოიღო და მეგობარს გაუწოდა.

თამაზი აღარ გაჯიუტებულა, სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა.

— რა გაქვს საერთო ამ ხალხთან?

— ეე, ძმობილო, შენ გავიწყდება, რომ მე მათემატიკოსი კი არა, მწერალი ვარ.

— მით უმეტეს, აღიარე, რომ მან ყველა გაგვაბითურა, ფეხებზე დაგვიკიდა.

— პირიქით, ჩემო თამაზ, პირიქით. მან მხოლოდ თავის თავზე უფრო უარესი მათხოვარი იპოვა. აბა, რატომ შენ ვერ შემოგბედა, ნეკი მომყიდეო. შენ შეიძლება სადისტიც მიწოდო, მაგრამ მე მაინც უნდა ვაღიარო, ცნობისმოყვარეობა მკლავდა, ოფიციანტი დასთანხმდებოდა თუ არა ნეკის მოჭრას. ბოლოს და ბოლოს რა არის თითის მოჭრა, ისიც ნეკისა! ნაჯახის ერთი ენერგიული მოქნევა და მეტი არაფერი. სამაგიეროდ, იმავე წუთში შეეძლო ჯიბეში თხუთმეტი ათასი მანეთი ჩაედო. თხუთმეტი ათასი მანეთი, ჩემი ათი წლის ხელფასი. ის კი, ოჯახის ერთგული უფროსი, ერთი წუთიერი ტკივილის საფასურად ამოდენა თანხას ამაყად შეიტანდა ოჯახში. ბოლოს და ბოლოს რას ჰკარგავდა? ბევრი, ბევრი, მარცხენა ხელით შეიძლება ოქტავა ვეღარ აეღო როიალზე.

— კაცი ვერ გაიგებს როდის ხუმრობ და მართალს როდის ლაპარაკობ.

— მე სრულიადაც არ ვხუმრობ.

— აბა, გულახდილად მითხარი, დედას გაფიცებ, სერიოზულად მითხარი, — თამაზმა მეგობარს თვალებში ჩახედა, — ოფიციანტი რომ დათანხმებულიყო, შენ დაანებებდი თითის მოჭრას?

— მაშინ სხვანაირად გიპასუხებ. მე უბრალოდ მაინტერესებდა, სანამდე შეიძლება დაეცეს ადამიანი. ან საერთოდ აქვს კი ზღვარი ადამიანის სულიერ დაცემას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუთუ მხოლოდ ასეთი ექსპერიმენტების გულისთვის ტრიალებ ამ ხალხში?

— ჯერ ერთი, მე მაგათთან არ ვმეგობრობ. უფრო სწორად ისინი არ მეგობრობენ ჩემთან. მე არც თუ ისე ცნობილი ადამიანი ვარ, ჩემთან მეგობრობა რომ რამეს ჰპატებდეთ. მათ ფული აქვთ, ახლა სახელი სჭირდებათ, საზოგადოება. ტელევიზიის ლიტერატურულ-დრამატულ გადაცემათა განყოფილების რედაქტორი, თუნდაც უფროსი რედაქტორი, მათთვის დიდი არაფერი ბედნაა. მეორე მხრივ, ეს ადამიანები ძალიან საინტერესონი არიან, მათ მეტად თავისებური ფილოსოფია აქვთ. შენ, თამაზ იაშვილი, ყველას თვალში მაინც შესანიშნავი პიროვნება ხარ, ჯიბეში რომ კაპიკიც არ გიჭყაოდეს. შენ საზოგადოებაში, აწმყოში და შეიძლება მომავალშიც მაინც გექნება სახელი და დიდება მოპოვებული, შენს ცხოვრებაში რომ მანქანა ვერ იყიდო, ან ისე მოკვდე, ვალები ვერ გაისტუმრო. ამ ვაჟბატონებმა კი რა უნდა ქნან? ჯიბე ფულით თუ არა აქვთ სავსე, გახვრეტილი კაპიკია მაგათი ფასი. ასეთების კაცობის ღირებულება ზუსტად იმდენია, რამდენი მანეთიც უდევთ ჯიბეში. არც ერთი კაპიკით მეტი და არც ერთი კაპიკით ნაკლები. შენ გინდა რომ ამ ადამიანებმა შენი უპარატესობა აღიარონ და გუნდრუკი გიკმიონ? არა, ჩემო კარგო, ისინი თავისებურად იბრძვიან. შენ გებრძვიან, მე მებრძვიან. ყველას ებრძვიან, ვინც კი რამეს წარმოადგენს ამ ქვეყანაზე.

— მით უმეტეს! — დაიყვირა თამაზმა და თვალები უცნაურად წამოენთო.

— ეე, შენ არაფერი გესმის. თუმცა სჯობია ფილოსოფოსობას შეეშვათ. აგერ თავისუფალი ტაქსი მოდის.

მანქანამ სისწრაფე შორიდანვე შეანელა და ზუსტად მათთან დაამუხრუჭა.

— ბარნოვის ქუჩაზე გაგვიყვანე! — უდარდელად უთხრა ოთარმა და საზურგეზე ნებიერად გადაწვა.

— ბარნოვის ქუჩაზე რა გვინდა? — გაუკვირდა თამაზს.

— ნატასთან ავიდეთ.

— ბერე ასე გვიან? — თამაზმა საათს დახედა.

— რატომაა გვიან. ჯერ ათის ნახევარია. თხუთმეტ წუთში იქ ვიქნებით.

— ხელცარიელი მისვლა მაინც არ ივარგებს. სადმე ყვავილები იქნებ ვიყიდოთ.

— ასე სჯობია, ქალი თავიდანვე უნდა შეაგუო მომავალ ცხოვრებას.

●

ოთარ ნიკარაძე დარწმუნებული იყო, არასდროს არავინ არ შემიყვარდებაო. ნატა შარშან გაიცნო, აპრილში. ჯერ კიდევ გაცნობამდე, დაინახა თუ არა, მტკიცედ გადაწყვიტა — ეს იქნება ჩემი ცოლი, გაცნობიდან მესამე თუ მეოთხე დღეს უთხრა, გაშლილი თმები არ მომწონს, შენ ცხენის კუდივით გამოსკვნილი თმები უფრო მოგიხდებაო. მეორე დღეს ნატას თმა ცხენის კუდივით ჰქონდა გამოსკვნილი. ოთარ ნიკარაძემ სქმე უკვე მოგვარებულად ჩათვალა და ნატას უცერემონიოდ ჰკითხა, ხელი როდის მოვაწეროთო. ნატა გაბარაზდა და წავიდა.

— როცა დამშვიდდები, დამირეკე! — მიაძახა თავის თავში უსაზღვროდ დარწმუნებულმა ოთარმა.

გავიდა რამდენიმე თვე და ნატა ვერ დამშვიდდა. ოთარ ნიკარაძე ინტიმბარს არ იტეხდა, მაგრამ თანდათანობით ჯერ ეჭვი შეეპარა გულში, მერე შიში. როცა ნატას შემორიგების იმედი სულ დაკარგა, ეშმაკს მიაფურთხა და ქალიშვილს შინ მიაკითხა.

ნატამ კარი ცხვირწინ მიუჯახუნა.

ოთარ ნიკარაძე იოლად არაფერს დათმობდა. ქალიშვილს მეორე დღესვე მიაკითხა უნივერსიტეტში და გასასვლელში დაელოდა. ნატას შორიდანვე მოჰკრა თვალი. ერთხელ კიდევ საბოლოოდ გადაწყვიტა — ან ნატა, ან არაევინ...

გურამ ფანჯიკიძე
თვალი პატიოსანი

— რა გნებავთ? — ჰკითხა ნატამ.

მის ხმაში მშვენიერი თანაფარდობით იყო შეზავებული დაცინვა და წყენა. ეს ოთარმა უმალვე იგრძნო და გადაწყვიტა თავი ღირსეულად დაეჭირა.

— თქვენი კარგად ყოფნა.

— მხოლოდ ეს გინდოდათ გეთქვათ? მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

ნატა წავიდა. ოთარი გამოედევნა და ხელში ხელი ჩაავლო.

— ოთარ, ფრთხილად, ხალხი გვიყურებს.

— ბოლოს და ბოლოს გამომყვები ცოლად თუ არა?

— ცოლად ვერ გამოგყვებით. ისე კი თქვენს გემოვნებაში ეჭვი არასდროს არ მეპარებოდა. კარგად ბრძანდებოდეთ.

— ნატა!

— ბატონო! — შეჩერდა ნატა და ოთარს ეშმაკურად შეხედა.

— ბოლოს და ბოლოს, რა გინდა ჩემგან?

— ახ, მე რა მინდა შენგან? აქამდე პირიქით მეგონა.

— მე ჩემი უკვე გითხარი. ახლა შენი ჯერია.

— ჩემი? მაშინ ჯერ ერთ კითხვაზე გამეცი პასუხი, სად ბრძანდებოდი ამდენ ხანს?

— მინდოდა დავრწმუნებულიყავი, ნამდვილად მიყვარდი თუ არა.

— მერე, რა დაასკვენინ?

— აქ მოვედი, ესაა ჩემი დასკვნა.

— ქვეტექსტები ლიტერატურას უყვარს. სერიოზულ საკითხებზე კონკრეტულად და ნათლად სჯობია საუბარი.

— დავასკვენი, რომ მიყვარხართ და უთქვენოდ ცხოვრება არ შემიძლია. კიდევ უფრო დაწვრილებით ხომ არ მოგახსენოთ, ქალბატონო ნატა?

— არაა საჭირო. დღეისთვის ესეც კმარა. ამხანაგები მელოდებიან, კარგად ბრძანდებოდეთ.

ნატა წავიდა.

ოთარ ნიკარაძე ერთხანს იმავე ადგილზე დარჩა გაშეშებული. მერე გაბრაზებული შინ წავიდა და ლოგინზე მიეგდო. უცებ წვიმისაგან ჩამონგრეული ჭერი დაინახა, ახლა გაახსენდა, თი კეირა იყო სახლმმართველობაში დარეკვას აპირებდა. გადაწყვიტა ამ ბრაზიან გულზე დაერეკა და მთელი ჯავრი სახლმმართველზე ეყარა. მერე თავის თავზე გული მოუვიდა, რა დროს სახლმმართველიაო და კედლისკენ გადაბრუნდა. ასე იყო საღამომდე. არ განძრეულა, მხარიც არ შეუცვლია. მერე, თითქოს ბზიკმა უკბინაო, ფეხზე წამოიჭრა, ქუჩაში გავარდა, მანქანა დაიჭირა და თამაზს იაშვილს მიაკითხა. იგი წუთის შემდეგ ორთავენი სასტუმრო „თბილისის“ მყუდრო ბუფეტში ისხდნენ. ეს მათი საყვარელი ადგილი იყო.

ოთარმა ერთი ბოთლი კონიაკი მოითხოვა. მარტო თვითონ სვამდა და ლაპარაკობდა. თამაზმა განუცხადა, სმა არ შემიძლიაო. ოთარი აღარ ჩასაციებია. ერთი ბოთლი რომ დალია, მეორე მოითხოვა.

— მეტი არ გინდა, ოთარ, შენ ისედაც მთვრალი ხარ უკვე! — შეეხვეწა იაშვილი და თან მებუფეტეს ანიშნა, ბოთლი უკან წაიღეო.

— გრიშაჯან, აბა, არ გამაბრაზო! — დაქაჩა თვალები ოთარმა, ბოთლი ჩამოართვა და თვითონვე გახსნა.

— ერთი ჭიქა მაინც დალიე, — მიუბრუნდა თამაზს, — თორემ ხომ გამოგიცდია, რა ძნელია მთვრალი კაცის ბოდიალის მოსმენა.

ნატა ერთხელაც არ უხსენებია. თუმცა სულ ის ედგა თვალწინ და გულში ბოღმა უტრიალებდა.

— გინდა, ხვალ სვანეთში გადავფრინდეთ! ჯიხვებზე განადირებ. შენ ნადირობა რატომ არ გიყვარს? როგორც კი სეზონი გაიხსნება, კაკაბზე წაგიყვან. კაკაბზე არასდროს გინადირია? — ჰკითხა ოთარმა, მაგრამ პასუხს აღარ დაელოდა, ისე განაგრძო, — კაკაბზე ნადირობა ძალიან საინტერესოა. ჯერ გუნდი უნდა დაშალო. სანამ ერთად დაფრინავენ, ჭკვიანებიც არიან და მოხერხებულებიც. როგორც კი გუნდს დაშლი, მათი საქმე წასულია. მარტო დარჩენილ კაკაბზე შტერი ფრინველი არ მეგულე-

ბა. ოღონდ კაკაბზე ნადირობა ერთი რამის გამო არ მიყვარს. სადაც კაკაბი ბუდობს, იქ გიურზაც იცის. გიურზა გინახავს? ჩემი მაჯის სიმსხოა. — ოთარმა პერანგი გადაიწია და მეგობარს თავისი მსხვილი მკლავი დაანახა. მერე გრიშას მიუბრუნდა. — გრიშა, მოდი, ერთი ჭიქა დამილიე.

— არა, შენი ჭირიმე, გული მტკივა, არ შემიძლია.

— მოდი, დალიე-მეთქი.

გრიშა მივიდა და თავისი ჭიქა მიიტანა. ოთარმა დაუსხა .

გრიშამ გადაჰკრა. მერე ერთი ნაჯერი მჭაევ კიტრი დააყოლა.

— ეს ხვითო ვინ არის?

მოპირდაპირე მაგიდასთან ოქროსფერთმიანი, წვერმოშვებული ახალგაზრდა იჯდა. ოქროსფერი წვერი სახეზე ოთხკუთხედად ჰქონდა დაყენებული. იგი ეკედლს მიყუდებოდა და ეძინა. კაცს შორიდან ეგონებოდა, მამაკაცის პორტრეტი ოქროსფერ ჩარჩოშია ჩასმულიო.

— მგონი მხატვარია.

— ჰო, რას გეუბნებოდი? გიურზები იცის-მეთქი, — ოთარს უკვე დაავიწყდა მხატვრის არსებობა, — გიურზა რომ შეგხვდება, არ უნდა დაიბნე. შენ ოღონდ თოფი გაიშვირე, არაფერით არ დააცილებ. ის თვითონ გაუსწორდება ლულის. გრძნობს, რომ საფრთხე ლულის შავი ღრუდან მოელის. ის კი არ იცის, იქიდან რა გამოვა.

ოთარმა სიგარეტი მოქაჩა. უკვე ჩამქრალიყო. თამაზმა ცეცხლი მიაგება. ოთარმა მოუკიდა, გააბოლა, მერე თამაზს სავსე ჭიქა მიაწოდა.

— ეს ერთი ჭიქა მაინც დალიე.

— ოთარ, გეყოფა. წავიდეთ აქედან. შენ უკვე ძალიან მთვრალი ხარ.

— სწორი ხარ. მე თვითონ არ ვიცი, რა მემართება. როდის იყო, ექვსასი გრამი ვათრობდა.

თამაზ ია'ვილმა მეგობარი შინ მიაცილა. ოთარი საწოლზე დაეშვა და ჩაეძინა კიდეც. შუადამისას გამოეღვიძა. მიხვდა, ჩაცმულს ეძინა. სწრაფად გაიხადა და ლოგინში ჩაწვა. მეორე დილას თავი უქეიფოდ იგრძნო. ცივ წყალს კბილებიც შეუშვირა. სამსახურშიც უგულებოდ იყო, თუმცა ცდილობდა არ შეემჩნია. ბოდა ახრჩობდა. ქალიშვილებში იოლ წარმატებას მიჩვეული კაცნი ვეღარ ეტეოდა. ნატა რომ ადარ უყვარდა, ამაში ღრმად იყო დარწმუნებული. ამდენს თუ ფიქრობდა, მხოლოდ იმიტომ, რომ შეელახული თავმოყვარეობა აწუხებდა. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე იყო დარწმუნებული.

გავიდა კიდევ ერთი თვე. მაისი მიიწურა.

ერთხელ ოთარმა თავისი ჯგუფის მეგობარ ვაჟა ლაღიძეს მანქანა სთხოვა. თვითონაც არ ახსოვს, როგორ აღმოჩნდა ბარნოვის ქუჩაზე. რატომღაც მოუნდა. ნატას ფანჯრებისათვის თვალი შეევლო. უცებ შეკრთა. ნატა. მისი მშობლები და ჯგუფის ორი ამხანაგი ქალიშვილი ქუჩაში, სადარბაზო შესასვლელთან იდგნენ. ეტყობა სადღაც მიემგზავრებოდნენ, ჩემოდნებიც იქვე ელაგა. უკან დაბრუნება შეუძლებელი იყო. ნატას მამამ ხელი აუწია. ოთარმა მანქანა გააჩერა. არავის აზრად არ მოსვლია, შოფრისთვის შეეხედა. ნატამ პირდაპირ ჩემოდანს წამოავლო ხელი. მერე მშობლები გადაკოცნა და ქალიშვილებთან ერთად მანქანაში ჩაჯდა. მხოლოდ მაშინღა იცნო ოთარი.

— ოთარ, შენ! — გაეხარდა ნატას.

— რომ გითხრა, ოთარი არა ვარ-მეთქი, მაინც არ დამიჯერებ. — ნიკარაძე ნატას მეგობრებსაც მიესალმა და მანქანა დაძრა.

— წარმოგიდგენია, ტაქსის გამოძახება დაგვავიწყდა. თითქოს ჯიბრზე არცერთმა მანქანამ არ ჩამოიარა. შენ რომ არ გამოჩენილიყავი, ნამდვილად დაგვაგვიანდებოდა.

— სად მიბრძანდებით?

— მოსკოვში, სადიპლომო პრაქტიკაზე.

გურამ ფანჯიკიძე
თვალი კატიოსანი

— მოსკოვში? — ოთარს სიტყვა ყელში გაეჭედა.

— რამდენ ხანში მივალთ აეროდრომზე? — იკითხა ერთმა ქალიშვილმა.

— ნახევარ საათში. თვითმფრინავი როდის მიდის?

— თორმეტ საათზე.

— აბა, ჯერ თითქმის მთელი საათი გვქონია წინ. მარტო თქვენ მიდიხართ?

— არა, მოსკოვში სულ ხუთნი მივდიკართ. დანარჩენები ხარკოვში გაანაწილეს.

— გია და დათო ალბათ უკვე გველიან და ღელავენ! — თქვა ქერათმიანმა გოგონამ, რომელიც ოთარის უკან იჯდა.

„გია და დათო", — გაიმეორა გულში ოთარ ნიკარაძემ და იმავე წუთში გადაწყვიტა მოსკოვში გადაფრენილიყო. თანაც იმავე თვითმფრინავით.

მანქანა აეროდრომის შესასვლელთან გაჩერდა. ქალიშვილებს ბარგის გადმოღებაში შეეშველა. მანქანას იქით დავაყენებო, თქვა და წითელი „მოსკვიჩი" მანქანისათვის განკუთვნილ მოედანზე მიიყვანა. აეროდრომის დარბაზში შესვლისთანავე ნაცნობებს დაუწყო ძებნა. სალაროში, რასაკვირველია, ბილეთი აღარ იყო. ახლა ვინმე ნაცნობი უნდა მოენახა. სულერთია, ვინც იქნებოდა. ოღონდ კი ნაცნობი ყოფილიყო, იმასაც არ ჰქონდა მნიშვნელობა, შორეული ნაცნობი იქნებოდა თუ ახლობელი. მგზავრებს შორის რვა კაცი მაინც აღმოჩნდა ნაცნობი. ოთარმა აჩრეკანი მაინც ყველაზე ახალგაზრდაზე, ნუგზარ ჯაკანიშვილზე შეაჩერა და ჯიქურ გვერდზე გაიხმო.

— ნუგზარ, ბილეთი უნდა დამითმო.

— რა დაგემართა, უბედურება ხომ არაფერი შეგემთხვა? —შეშფოთდა ნუგზარი, როცა მისი ანთებული თვალები დაინახა.

— არც უმაგისობაა. მოკლედ მითხარი, ბილეთს მითმობ თუ არა?

— მაგას რა კითხვა უნდა, არ გრცხვენია? — ნუგზარმა ბილეთი გაუწოდა.

ოთარი ტელეფონს ეცა, ვაჟამ ... ...

— რა იყო, ოთარ? — ვაჟამ ხმაზე იცნო მეგობარი.

— აეროდრომიდან გირეკავ. მოულოდნელად მოსკოვში მომიწია წასვლამ. მანქანას აქვე ვტოვებ. გასაღები დისპეტჩერთან იქნება. ამოდი და წაიყვანე. მაგრამ ეს არაა მთავარი. სასწრაფოდ მიშოვე ორასი მანეთი და მოსკოვში გამომიგზავნე ცენტრალურ ტელეგრაფში, მოკითხვამდე. გასაგებია?

— რა იყო, ხომ არაფერი შეგემთხვა?

—ისეთი არაფერი. ორ დღეში ჩამოვალ და ყველაფერს გიამბობ.

ოთარმა ყურმილი დაკიდა და თავისუფლად ამოისუნთქა. მანქანის გასაღები დისპეტჩერს ჩაუბარა, ბილეთი რეგისტრატორს წარუდგინა, მერე ნატა მონახა. ნატა და მისი მეგობრები გარეთ იდგნენ, თვითმფრინავისაკენ გასასვლელ კარებში. ჩასხდომა კარგა ხნის გამოცხადებული იყო.

— წავიდეთ, ოთარ, კარგად იყავი. დიდი მადლობა გამოცილებისათვის! — ნატამ ხელი ჩამოართვა და გაუღიმა.

ოთარი ყველას თავაზიანად დაემშვიდობა .

თვითმფრინავი იქვე იდგა, ასი მეტრის მოშორებით. როცა ნატა და მისი მეგობრები თვითმფრინავში გაუჩინარდნენ, ოთარმაც ტრაპს მიაშურა. თვითმფრინავში შეუმჩნევლად შევიდა, ჯერ სალონი მოათვალიერა, ხომ არ დამინახავს. მერე თავის ადგილზე დაჯდა და სახეზე გაზეთი აიფარა.

როცა თვითმფრინავი მიწას მოსწყდა, არნახული შვება იგრძნო. გზაზე ყველაფერმა ისე ჩაიარა, როგორც ოთარს უნდოდა. არც ნატას, არც მის მეგობრებს არაფერი გაუგიათ. თვითმფრინავი მოსკოვში დაფრინდა თუ არა, ოთარი უმალვე წამოდგა და გასასვლელს მიაშურა. როგორც კი თვითმფრინავს ტრაპი მიადგეს, კიბე სასწრაფოდ ჩაირბინა, აეროდრომის შენობისაკენ გაიქცა და შესასვლელთან გაჩერდა.

ათი წუთის შემდეგ ნატა და მისი მეგობრებიც გამოჩნდნენ.

ოთარი სხვათა შორის მიეყრდნო სეტს და სიგარეტი აუღელვებლად გაბოლა.

— ოთარ, აქ საიდან გაჩნდი? — შორიდანვე იყვირა გაოცებულმა ნატამ და ოთარ ნიჟარაძეს მივარდა.

ოთარმა მხრები აიჩჩა.

— თქვენ შეგეშალათ. მე ოთარი არა ვარ. თქვენ ალბათ ოთარ ნიჟარაძეში აგერიეთ, არა? მე მისი ტყუპის ცალი ვარ.

— უკაცრავად! — დაიბნა ნატა, — მე არც კი ვიცოდი, ოთარს თუ ტყუპის ცალი ჰყავდა.

ქალიშვილს თვალში სიხარულის სხივი ჩაუვლდა და გული საშინლად დასწყდა. ის იყო წასვლას აპირებდა, რომ უცაბედ თვალში მოხვდა ოთარის რკინის ღილებიანი გერმანული პერანგი. ნატას ჯერ კიდევ თბილისში, მანქანაში უნდოდა ეკითხა, ეს პერანგი სად იყიდეთ და სიცილი აუვარდა.

— კი მაგრამ, მაინც როგორ ჩამოგვასწარი, შენ ხომ თბილისში დაგტოვეთ.

— მანქანით გამოგასწარით.

— გეყოფა ხუმრობა. თქვი, როგორ ჩამოფრინდი.

— ერთი სამხედრო მფრინავი მყავს ნაცნობი. იმას ვთხოვე და გადმომაფრინა. — სავსებით სერიოზულად თქვა ოთარმა. ძნელი იყო მისი სიტყვების სიმართლეში ეჭვი შეგეტანა.

— ოთარ, ეს მართლა შენა ხარ?

— იმდენს იზამ, რომ მალე მეც შემეპარება ეჭვი.

ნატა სიხარულს ვეღარ მალავდა. ოთარს თვალებში შესციცინებდა. დიდი ხანი იყო, ოთარს თავი ასე ბედნიერად არ უგრძვნია. საღამოს ორთავენი კაფეში ისხდნენ სასტუმრო „მოსკოვის" თავზე. ოთარმა ცოტა დალია და თვალები აუწითლდა. ნატა ჩუმად იჯდა, თუმცა მისი სახე, მისი გაბრწყინებული თვალები ყველაფერს ლაპარაკობდა.

— გიყვარვარ, ნატა?

— ნუთუ შენ როდესმე ეჭვი გეპარებოდა?

ოთარმა თავისი ღონიერი ხელის მტევანში მოიმწყვდია ნატას გრძელი, ნატიფი. თითები.

— ოღონდ ერთი რამე მინდა გთხოვო, ოთარ, ჩვენ ისეთ საუკუნეში ვცხოვრობთ, როცა სასიყვარულო ურთიერთობანი ძალზე მარტივი გახდა. მე კი გეხვეწები, გემუდარები, თუ ნამდვილად გიყვარვარ, ჩვენს ურთიერთობას ნუ გაუბრალოებ, ნუ გაამარტივებ და ნუ გაალარიბებ, კარგი?

ოთარმა გაიღიმა.

— ახლა გვიანია, წავიდეთ! — ნატა ფეხზე წამოდგა.

ოთარ ნიჟარაძე მაგიდას ხელებით დაეყრდნო და ჩვეულებისამებრ დინჯად წამოიმართა.

ნატა მოაჯირთან იდგა და ქალაქს დასცქეროდა.

ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივით აელვარებული შპილები სანთლებივით ენთო ბინდჩაწოლილი მოსკოვის თავზე.

●

ოთარმა ზარს ხელი დააჭირა და პერანგი შეიკრა.

— ვინ არის? — გაისმა ნატას ნაცნობი ხმა.

პასუხს არ დალოდებია, კარი ისე გააღო.

— ოჰო, საღამო მშვიდობისა, ბატონო ოთარ, თამაზიც აქ არის? გამარჯობა, თამაზ.

— გამარჯობა, ნატა. — თქვა მორცხვად თამაზმა.

— შემოდით, რაღას უდგეხართ.

ნატა სტუმრებს შეუძღვა.

ოთახებში ყველაფერი თავდაყირა იყო დაყენებული. კარადები გამოეწიათ, საწოლები გაეშალათ. ერთი კუთხე ჩემოდნებით იყო სავსე. პიანინოზე გაზეთები გადაეფარებინათ.

— რემონტის დაწყებას აპირებთ?

ბურაბ ფანჯიკიძე
თვალი პატიოსანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— დიახ, ბატონო ოთარ! ყვავილებისათვის გმადლობთ, აგერ ჩაწყვეთ ვაზაში, ფანჯარაზე.

— ყვავილებს ფული უნდა, ქალბატონო ნატა. თქვენები შინ არიან?

——— იქით ჩემს ძმას სძინავს. დედა და მამა ნიშნობაზე არიან ერთ ნათესავთან.

— ძალიან სასიამოვნოა!

ოთარმა პერანგი ისევ გაიხსნა და დივანზე ჩამოჯდა. თან გრძელი ფეხები ბოლომდე გაშალა.

— თამაზ, იმ სავარძელში ჩაჯექი. შენ კი ვაებატონო, წამოდექი. ეგ დივანი იქით ოთახში უნდა გავათრიოთ.

— ძალიან ადრე შედიხარ როლში!— ოთარმა სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა.

— ნებართვა მაინც გეთხოვათ. აბა სწრაფად წამოდექი.

ოთარი დინჯად, ზლაზვნით წამოდგა.

— მოიხედე აქეთ. თვალები გიდუჟუნებს, მგონი ნაყლაპიც უნდა იყო.

— ჯანმრთელად დავლიე ორი ჭიქა.

— მე მგონი, ერთხელ უკვე გავაფრთხილე, ჩემთან ნასვამი არ მოხვიდეო!

— აბა, წინიდან აწერე.

ოთარმა დივანი ისე აიტაცა ხელში, თითქოს ორი თხელი ფიცარი ყოფილიყოს. მერე მხარეს ნატას თამაზი წამოაწვა და დივანი მეორე ოთახში გაიტანეს. მერე ისევ იმ ოთახში დაბრუნდნენ. თამაზმა ახლაც სავარძელს მიაშურა. ოთარი კი ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა. ნატა კარადის დაცლას შეუდგა.

ნატა საკმაოდ მაღალი ქალიშვილი იყო, მაგრამ ოთარს მხოლოდ მხრებამდე სწვდებოდა. შარვალი და ლურჯზოლებიანი კოფთა ძალზე უხდებოდა. უკან, ლამაზ, მოქნილ მხრებზე ცხენის კუდივით გამოსაკვნილი თმა დასთამაშებდა. გულამოჭრილი კოფთა ისევდაც გრძელ კისერს კიდევ უფრო უგრძელებდა და მთელ ტანს რაღაც განუმეორებელ პლასტიკურობას ანიჭებდა.

ოთარ ნიკარაძეს კარგი ხანია უნდოდა ხელი მოეწერათ, მაგრამ ნატა ასპირანტურაში ჩაბარებას აპირებდა და ქორწინება ნოემბრის შუა რიცხვებისათვის გადადეს.

— იმედი გვაქვს რაიმეთი გაგვიმასპინძლდები. უთხრა ოთარმა და სიგარეტის ნამწვავი ფანჯრიდან მოისროლა.

— მაინც რას ისურვებდი?

— ხილს და ყავას.

— ხილი მაკლია. ყავა თაროზე დგას, წესქვილთან ერთად. უკვე მოხალულია. გადი და დაფქვი.

— გმადლობთ ნდობისა და ყურადღებისათვის.

— ჯერ მოიცადე. ბარემ ეს კარადაც გავათრიოთ.

— ჩვენ რომ არ მოვსულიყავით, რას აპირებდი? — ოთარი კარადასთან მივიდა და ისე მიაწვა, კინაღამ გადაბრუნა.

— ნელა, ფეხი არ მოსტეხო.

თამაზიც წამოდგა.

— თამაზ, შენ ნუ შეწუხდები.

— როგორ გეკადრებათ.

კარადა რის ვაი-ვაგლახით დასძრეს.

— ნელა, ჭიქს გაედო! — აყვირდა უცებ ნატა.

კარადა ჯერ გვერდზე გააჩოჩეს და მერე მეორე ოთახში გაიტანეს.

— შენ მაინც არ მიპასუხე, ჩვენ რომ არ მოვსულიყავით, რას აპირებდი?

— გამოჩნდებოდა, ბატონო, სხვა ვინმე. ნუ გადამაყოლებ ერთი კარადის გატანას.

ოთარი სამზარეულოში გავიდა და ყავა დაფქვა. ამ დროს ტელეფონმა დარეკა. ტელეფონი იატაკზე იდგა. ნატამ ყურმილი აიღო, ცალ ხელში შეკრული ფუთა ეჭირა.

— გივი, ერთ წუთს მაცალე! — ნატამ ყურმილი იატაკზე დადო, მერე ფუთა მეორე ოთახში გაიტანა, უკან შემობრუნდა და ტელეფონთან ჩაცუცქდა.

— გისმენ, გივი!

ოთარმა ელექტროწესქვილი გამორთო, სამზარეულოდან გამოვიდა და სმენად იქცა. ნატამ ყურმილს ხელი დააფარა და ოთარს მიუბრუნდა.

— მაინცდამაინც არა მგონია, სხვისი საუბრის მოსმენა მიღებული წესი იყოს.

ოთარმა ჩაახველა და ისევ სამზარეულოში გავიდა. ნატამ ყურმილს ხელი აუშვა.

— კარგი, გივი, მოვალ. არ მქონდა ახლა მაგის თავი, მაგრამ რა გაეწყობა.

ნატამ ყურმილი დაკიდა და ტელეფონი ფეხით მისწია კედლამდე.

ოთარმა ყავა მოხარშა.

— პატარა ჭიქები სად არის?

— ცხვირწინ გიდევს, თაროზე.

— ყავა მოვხარშე, ცამ ქუხილი დაიწყოს.

თამაზ იაშვილი დაფიქრებული იჯდა. ხან ნატას მისჩერებოდა, ხან ოთარს. მოსწონდა მათი ურთიერთობა. გრძნობდა, როგორ უყვარდათ ერთმანეთი. საშინელმა სურვილმა მოუარა, თვითონაც ჰყოლოდა ასეთი ერთგული მეგობარი, რომელიც ყველაფერს გაუგებდა. უცებ მედეა გაახსენდა, მედეა ზამბახიძე. გული შეეკუმშა. მის გახსენებაზე ყოველთვის ასე ემართებოდა. რა იყო ეს, სიყვარული თუ ჯერ კიდევ გადაუხარშავი შეურაცხყოფა? უნივერსიტეტში მედეა ვიღაც ცნობილ კალთბურთელ ბიჭს გადაეყარა. ვაჟმა თავის საწადელს მიაღწია და მედეა უსინდისოდ მიატოვა. როცა თამაზ იაშვილმა ეს ამბავი გაიგო, შინ ჩაიკეტა. ორი დღე სახლიდან არ გასულა. ოთახი პაპიროსის ბოლით დამძიმდა და გაიყვინთა. მაგიდაზე სიგარეტის ნამწვავების გორა დადგა. აზრადაც კი არ მოსვლია, ფანჯარა გამოეღო და ჰაერი გაეწმინდა. ისიც ვერ გაიხსენა, ამ ორი დღის განმავლობაში საჭმელი ჭამა თუ არა. ხან საწოლზე იწვა, ხან ბოლთასა სცემდა. მედეა ეცოდებოდა. უნდოდა მასთან მისულიყო, გაემხნევებინა, დაემშვიდებინა, თამაზ ხელი გადაესვა. ძველი შეურაცხყოფა აღარც ახსოვდა, სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა. რა იყო ეს? სიბრალული? იქნებ სიბრალულის საფარქვეშ შენიღბული სიყვარული?

ოოდენ დიდი იყო თამაზის გაოცება, როცა გიგო, რომ მედეას ეს ამბავი დიდად არაფრად აწუხებდა. ახლა მას არანაკლებ ცნობილ ბიჭთან ჰქონდა რომანი გაჩაღებული, თანაც ცოლშვილიანთან. მას მერე თამაზმა სამუდამოდ ამორიცხა გულდაგან მედეა ზამბახიძე. ახლა რატომ გაახსენდა? უნებურად ნატას შეადარა. რამოდენა უფსკრული იყო მათ შორის.

უცებ რატომღაც მოეჩვენა, რომ დღეა მედეას შეეჩხეტბოდა. შეეჩეხებოდა სრულიად შემთხვევით. თანაც დღეს, აუცილებლად დღეს, სადმე ქუჩაში.

თამაზმა თავი გააქნია, უნდოდა ფიქრებიდან გამორკვეულიყო. ახლაღა შენიშნა, ხელში ყავის პატარა ფინჯანი ეჭირა. მოსვა, ყავა უკვე გაცივებულიყო.

— მოგწონს? — ჰკითხა ოთარმა.

— შესანიშნავია.

— დიდი არაფერი! — გაიცინა ნატამ. იგი იქვე იჯდა, ჩემოდანზე, თამაზის მოპირდაპირე მხარეს.

— უკეთესი შენ გააკეთე.

— თამაზს კი ნამდვილად ვუხდი პოდიშს. ასეთ არეულობაში თავიც აღარ მახსოვს, — ნატამ შენიშნა, თამაზი უგუნებოდ იყო.

— როგორ გეკადრებათ!

— რაღაც მოწყენილი ხარ და ასე მგონია, ჩემი უყურადღებობის გამო მოიწყინე.

— არა, თქვენი ჭირიმე, ეგ არც გაიფიქროთ! — გაიღიმა თამაზმა.

— მოიწყენს, აბა რა იქნება, ინსტიტუტიდან მიაბრძანეს! — სხვათაშორის თქვა ოთარ ნიკარაძემ.

— რას მელაპარაკები !— შეიცხადა ნატამ. — მართალია?

— ჰო, მართალია, — ისევ გაიღიმა თამაზმა.

— რატომ, რისთვის?

— უბედურებაც ეგაა, ერთი ჰკითხე, რისთვის მიაბრძანეს.

— ჯერ ერთი, არავის მივუბრძანებიკარ, აკადემიაში! — წამოხტა ოთარი და ყავის ფინჯანი ფანჯრის რაფაზე დადგა. — მერე, მე ახლა ვიგებ ამას?

— დღეს ბევრჯერ დავაპირე თქმა,

გურამ ფანჯიკიძე
თბილი პატიოსანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ისე იყავი გატაცებული, ვგრძნობდი, ჩემთვის არ გეცალა.

— ზოგი ჭირი მარგებელიაო, მომილოცავს. შენთვის ნამდვილად აკადემია სჯობია. პედაგოგობა რა შენი საქმეა.

— ოთარი მართალია, ნამდვილად აკადემია გერჩივნოს, მეც მომილოცავს.

ნატა ფეხზე წამოდგა და ყავის ფინჯნები შეაგროვა.

— მაინც რანაირად გამოვიდა ეს საქმე? — ოთარ ნიჟარაძეს ისეთი გაოცებული სახე ჰქონდა, მის გულწრფელობაში კაცი ექვს ვერ შეიტანდა.

— ეტყობა, არ ყოფილა მთლად ცუდი კაცი. მეორე დღეს განცხადება დახია და ვიდაც უმცროს მეცნიერმუშაკზე გადამცვალა. თუმცა არც ესაა ჩემთვის ნაკლები შეურაცხყოფა.

— აფთიაქის სასწორზე ნუ დამიწყებ მოვლენების აწონას. მათემატიკის ინსტიტუტი შენთვის ზედგამოჭრილია. იმედია, იქ მაინც იქნები ჭკვიანად და შენებურად არ გაფხუკიანდები.

ნატამ ყავის ფინჯნები სამზარეულოში გაიტანა და უკან გამობრუნდა.

— ოთარ, პიანინოც გავიტანოთ და მეტს აღარ შეგაწუხებთ.

ოთარი და თამაზი პიანინოსთან მივიდნენ.

— ესეც იმ ოთახში გავიტანოთ? — იკითხა ოთარმა.

— ჰო, იმ ოთახში კარადის გვერდზე უნდა დავდგათ.

— აბა, ერთი, ორი და სამი! — დაიძახა ოთარმა და პიანინოს მიაწვა.

— ფრთხილად, ოთარ, ყური მოვკარი, ამ პიანინოს მზითევში მატანენ.

— ასე იოლად გიპირებენ გამოსტუმრებას? ვის უდევს ახლა სახლში ამოდენა დანადგარი.

პიანინო ერთ წუთში გაასრიალეს და კარადის გვერდით მიდგეს. მერე ყველანი უკან გამობრუნდნენ. დაკარიელებულ მოზრდილ ოთახში ერთადერთი სავარძელი იდგა. ნატა ოთახის შუაგულში შეჩერდა და კედლებს თვალი მოავლო.

— რემონტს ამ ოთახიდან ვიწყებთ. რა ფერად აჯობებს კედლების შეღებვა?

— მე მგონი ყვითლად! — დაუფიქრებლად წამოძახა ოთარმა.

— ვაი, შენ ჩემი თავო, მაშინ ხომ მე უნდა შევიღებო თმები მუქად!

ოთარმა ნატას ოქროსფერ თმებს შეავლო თვალი, მიხედა, რა შეედომაც მოუვიდა, მაგრამ არ დაბნეულა.

— როგორ, შენ კიდევ დიდხანს აპირებ ამ სახლში ცხოვრებას? ნოემბერი კარზეა მომდგარი.

მეორე ოთახში საათმა დარეკა.

— ოთარ, გადი, ნახე, რომელი საათია.

ოთარი გავიდა და იქით გაიხედა, სადაც საათი ეგულებოდა. საათი ჩამოეხსნათ. იგი იქვე, სკამის საზურგზე იყო მიყუდებული.

— თორმეტი დაიწყო! — შემობრუნდა ოთარი უკან.

— მერე შენ გინდა მეზობლებს მივანიჭო სიამოვნება და საკორაო მასალა გავუჩინო?

— ჭეშმარიტი ბრძანებაა. თამაზ, წავიდეთ. კარგად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო ნატა!

●

გაზაფხულის თბილი, წყნარი საღამო იდგა. ქუჩაში გამვლელები კანტიკუნტად ჩანდნენ. მეგობრები ჩუმად მიდიოდნენ, ერთმანეთის მხარდამხარ, თანაც შუა ქუჩაში. მიდიოდნენ და საკუთარი ფეხის ხმა მიჰყვებოდათ. ოთარ ნიჟარაძე ჩვეულებისამებრ დინჯად, ოდნავ მოშვებულად და უდარდელად მიაბიჯებდა. გრძელი ხელები ჯიბეებში ჰქონდა ჩაწყობილი. პირში გაჩრილ სიგარეტს ტუჩის ხან ერთ კიდეში მოიქცევდა, ხან მეორეში. პერანგი თითქმის ბოლომდე ჩაეხსნა. დროდადრო, როცა ქვას წაწყდებოდა, ფეხს მოწყვეტილად მოიქნევდა. პატარა ქვა ბზრიალით მისრიალებდა და ტროტუარის ბორდიურებს ეხეთქებოდა.

ასე იარეს კარგა ხანს. თამაზს სათქმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი არაფერი ჰქონდა. ოთარს კი ლაპარაკი ეზარებოდა.

თამაზი თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. რაღაც შინაგანი გრძნობა ჰკარნახობდა, მედეას შეხვდებიო. უკვე რამდენი ხანი იყო მედეა აღარ გახსენებია. რატომ გაახსენდა მაინცდამაინც დღეს? ან ეს რა იდუმალი ხმა ჩასჩურჩულებს, მედეას შეხვდებიო? კიდევაც რომ შეხვდეს, განა ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს? განა ეს შესაცვლის რამეს? მას ხომ მედეა აღარ უყვარს, იქნებ უყვარს და თავს იტყუებს? არა, ეს ყოველად შეუძლებელია. მედეა ზამბახივ მან სამუდამოდ დაიგიწყა, გულიდან ამოიგესა. მაგრამ მაინც რატომ ჩასძახის ეს უცნაური ხმა, მედეას აუცილებლად შეხვდებიო. ეთქვათ ღმერთ შეეხვდი. რა მოხდება მერე? განა ეს პირველი შეხვედრაა? განა რაიმეთი იქნება განსხვავებული სხვა შეხვედრებისაგან?

უცებ რაღაცის ჯახანი და ხმამაღალი სიცილის ხმა მოისმა. იქვე, სულ ოცდაათი ნაბიჯის მანძილზე ბიუვეტმა რკინის მრგვალი სანაგვე გადააბრუნეს. ოცი-ოცდაორი წლის ბიუვეტი იქნებოდნენ. სულ ოთხნი იყვნენ. ძალზე ხმამაღალ და უმიზეზო სიცილზე ეტყობოდათ, ნასვამები იყვნენ. სანაგვე განგებ გადააბრუნეს. მისი წამოყენება არცერთს არ მოსვლია აზრად.

თამაზ იაშვილი შეწუხდა. გადაწყვიტა მეგობრისთვის ეთქვა, აქედან გადაეუხვიოთო. არ უნდოდა ხათაბალას გადაჰყროდა. უცებ მოსახვევიდან ახალგაზრდა ქალი გამოვიდა. ბიუვეტში შემოჰკრეს, ერთმანეთს ხელი გადაჰხვიეს და ქალი შუაში მოიქცეს.

შეშინებული ქალი აქეთ-იქით უმწეოდ იცქირებოდა და დაყვირებასაც ვერ ბედავდა.

ახლა მათ შორის სულ ჩვიდმეტი-თვრამეტი ნაბიჯია თუ იქნებოდა. ოთარ ნიკარაძემ თვალები ეშმაკურად მოკუტა. მარჯვენა ხელი ჯიბიდან ამოიღო და პირში გაჩრილი სიგარეტისაკენ წაიღო. მერე სიგარეტი ორი თითით შორს მოისროლა და თამაზს მიუბრუნდა.

— გინდა, კლასი გიჩვენო.

ოთარი ჯიქურ მიეიდა ბიუვეტთან. მათ ქალს ირგვლივ ისევ ფერხული ჰქონდათ ჩაბმული და უშნოდ იჯღანებოდნენ. ოთარ ნიკარაძემ ერთ მათგანს მკლავში ჩაარტყა ხელი.

სიჩუმე ჩამოვარდა. ყველამ ხელები ჩაუშვა. შეშინებულმა ქალმა დრო იშოვა და გაიქცა.

— არც დედა გყავთ, არც ცოლი გყავთ, არც და! — დაიწყო ხმადაბლა ოთარმა.

— შენ ვინ გეკითხება! — კბილები გაღრჭიალა მის პირდაპირ მდგომმა თმაგადაპარსულმა ჭაბუკმა და საჩხუბრად მოემზადა.

ოთარი იმ წამსვე მიხვდა, რომ გვერდზე მდგომი თეთრსვიტერიანი, ჩაკუნთული ბიჭი უკვე დარტყმას უპირებდა. ერთი ნაბიჯი უკან სწრაფად გადადგა და მარცხენა ხელი მოწყვეტილად მოუქნია. ოთარ ნიკარაძე ცაცია იყო. თეთრ სვიტერიანი ბიჭი კედელს შეასკდა. ახლა პირდაპირ მდგომმა ბიჭმა მოუქნია ხელი. ოთარ ნიკარაძემ ცრუ მოძრაობა გააკეთა და წონასწორობიდან გამოსულ ბიჭს ჯერ მარჯვენა მუშტი დარტყა ყბაში, მერე თავისი ძლიერი მარცხენა. დარტყმათა შორის შუალედი მეხუთედი წამიც კი არ იქნებოდა. თმაგადაპარსული ბიჭი მუხლებზე დავარდა. დანარჩენმა ორმა პირი იბრუნა და გაიქცა. მათ თეთრ სვიტერიანიც მიჰყვა. თმაგადაპარსული ოთხზე იდგა და ფეხზე წამოდგომას ლამობდა. იგი ნოკდაუწმინ იყო. ოთარმა სიგარეტი ამოიღო, დინჯად მოუკიდა. თმაგადაპარსული როგორც იქნა წამოდგა და წავიდა. ხმაც არ ამოუღია. ოღონდ სხვებივით არ გაქცეულა. გაქცევის თავიც აღარ ჰქონდა.

თამაზი მეგობართან მივიდა და მოწონების ნიშნად მხარზე ხელი დაჰკრა.

გურამ ფანჯიკიძე
თბილისი კატიოსანი

— მაგრამ ეს მაინც არ არის გამოსავალი! — დაამატა თან.

— რა გამოსავალი? — გაოცდა ნიკარაძე.

— ეს ყველაფერი ამერიკულ ფილმებს ჰგავდა. ვთქვათ შენ მოკრივე არ ყოფილიყავი. ვთქვათ, ისინი ჩხუბში არ დაგეჯაბნა. მაშინ რა მოხდებოდა?

— შენ ისევ ფილოსოფოსობ? — ოთარი მხარზე დაეყრდნო მეგობარს.— თავბრუ მეხვევა. თითქოს ღონე სულ გამომეცალა.

— იმიტომ რომ ნასვამი ბრძანდები.

— ნასვამი სხვა დროსაც ვყოფილვარ. ხვალიდანვე ვარჯიში უნდა დავიწყო. რვა თვე იქნება მკლავი არ გამიქნევია.

ოთარმა ორი ნაბიჯი გადადგა და ისევ შეჩერდა. თამაზს მთელი ძალით დაეწვა. იაშვილი ძლივს უძლებდა ოთარის სიმძიმეს.

— ხელის ორმა მოქნევამ ასე როგორ დამოალა.

— აღბათ ნერვები გქონდა დაძაბული. სიგარეტი გადაგდე.

დაღლილობამ სწრაფად გაიარა, ოთარმა სხეულში ძველებური სილაღე და სიმსუბუქე იგრძნო.

უცებ მთელს უბანში სინათლე ჩაქრა. ირგვლივ სიბნელე გამეფდა. ოთარმა მაღლა აიხედა. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი.

— ხვალ წვიმა იქნება! — თქვა დინჯად და გზა განაგრძო.

თამაზი დაფიქრებული გაჰყვა უკან.

თავი მეექვსე

აუდიტორიისაკენ მიმავალ თამაზს პატარა ტანის დოცენტი წამოეწია.

— პატივცემულო თამაზ, გიორგაძე არ დაგავიწყდეთ, ბატონი ნიკოც ძალიანაა დაინტერესებული ამ ბავშვის ბედით.

იაშვილმა ხმისამოუღებლად გადმოხედა პატარა, სასაცილოდ მოცულცული კაცს. მხოლოდ სათვალე შეისწორა და გზა განაგრძო.

აუდიტორიასთან სტუდენტები იდგოდნენ. თამაზ იაშვილი გამოჩნდა თუ არა, სიხარეს ჩამოვარდა. თამაზმა აუდიტორიის კარი შეაღო. სტუდენტებს არ მისალმებია. დღეს აქ მხოლოდ ჩაჭრილი სტუდენტები ელოდებოდნენ. ეს იყო სასწავლო წლის უკანასკნელი დღე. დღევანდელი დღე თვით თამაზ იაშვილისთვისაც უკანასკნელი დღე იყო პოლიტექნიკური ინსტიტუტში. იგი ხვალიდან აკადემიაში, მათემატიკის ინსტიტუტში გადადიოდა.

თამაზი მაგიდასთან ჩამოჯდა და ჩაფიქრდა. მისი პედაგოგიური მოღვაწეობა მარცხით დამთავრდა. ეს თითქოს წინასწარ იცოდა კიდეც. სხვანაირ ბოლოს არც ელოდა. კათედრის გამგესთან ის ყოვლად გაუგებარი უკმაყოფილებაც რომ არ მოსცლოდა, დიდხანს მაინც ვერ გასძლებდა ინსტიტუტში. პედაგოგობა, სტუდენტებთან თუ ლექტორებთან ურთიერთობა მაინც ერთგვარ დიპლომატიაზეა აგებული, რაც იაშვილის ბუნებისათვის ძალზე შორეული ამბავი იყო.

დღევანდელი დღის გახსენებაზე ტანში უსიამოვნო ჟრუანტელი უვლიდა, გული უმძიმდებოდა. დღეს მხოლოდ ჩაჭრილი, თანაც უკვე ორ-ორჯერ ჩაჭრილი სტუდენტები ელოდებოდნენ. წინასწარ იცოდა, ამ ჩვიდმეტ სტუდენტს შორის არც ერთი არ იყო ისეთი, გაჯირვებული სამიანის დაწერა რომ არ შერცხვენოდა. თვითეულ მათგანზე სამი პროტექტორისაგან მაინც იყო გაფრთხილებული.

თამაზ იაშვილს თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის უკანასკნელ დღეს შეეძლო ყოველი მათგანისათვის სამიანი დაეწერა, სტუდენტების გულიც მოეგო და მათი ქომაგებისაც. ფაკულტეტების დეკანებისაც კი, რომლებსაც რატომღაც ცუდ მუშაობად ეთვლებათ ჩაჭრილი სტუდენტების თუნდაც უმნიშვნელო რაოდენობა. თამაზი ყველას რიგრიგო-

ბით დაუძახებდა, მესამედ აღებულ საგამოცდო ფურცელში დამაკმაყოფილებელ ნიშანს გაუფორმებდა. ეს იყო და ეს.

აუდიტორიის კარი ფრთხილად გაიღო და რომელიღაც სტუდენტმა თავი შემოყო. მერე ფრთხილად. გაუბედავად შემოაბიჯა და სანახევროდ გაღებულ კარებში გაიჩერა.

თამაზ იაშვილმა სტუდენტს გახედა.

— შეიძლება, პატივცემულო ლექტორო! — თითქმის ჩურჩულით თქვა მან.

თამაზს ხმა არ ამოუღია. მხოლოდ დაკვირვებით მისჩერებოდა ერთბაშად უშნოდ ტანაყრილ, გამხდარ, ქერა ბიჭს. სტუდენტმა პასუხი რომ ვერ მიიღო, დაიბნა. აღარ იცოდა, შემოსულიყო თუ უკან გაბრუნებულიყო. ბოლოს უკან გაბრუნება გადაწყვიტა და ნაბიჯი ფრთხილად გადადგა უკან.

— ყველანი ერთად შემოდით! — მიაძახა მოულოდნელად იაშვილმა.

კარები ისევ გაიღო. სტუდენტები აუდიტორიაში მოკრძალებით, ფეხაკრეფით შემოვიდნენ და უკანასკნელ მერხებს მიაშურეს. როგორ არ ჰგავდა დღევანდელი მოკრძალება მათ ჩვეულებრივ საქციელს.

თამაზმა მხოლოდ ერთხელ გადაავლო თვალი და უკვე იცოდა, ჩვიდმეტივე სტუდენტი აქ იყო. თოთხმეტი ვაჟი და სამი ქალიშვილი. იაშვილმა ბიერიგიბით შეაჩერა მზერა თვითეულ მათგანზე.

აუდიტორიაში საოცარი სიჩუმე გამეფდა. არავინ არ ინძრეოდა. ყველანი ახალგაზრდა ლექტორს მისჩერებოდნენ თვალებში. მხოლოდ ის სტუდენტი დაბრიდა თავს, რომელსაც თამაზი მიაჩერებოდოდა დაჟინებით. მის თვალში ისინი იყვნენ ადამიანები, რომლებმაც დაარგეს ყოველივე ადამიანური. პირველ რიგში თავმოყვარეობა. შრომის თუნდაც სრულიად უმნიშვნელო უნარი. ახლა მას ჩვიდმეტი ახალგაზრდა კაცისა და ქალიშვილის სიცარიელით, მუდარითა და შიშით სავსე თვალები მისჩერებოდა. თამაზ იაშვილს განსაკუთრებით იმ სამ ქალიშვილზე მოსდიოდა გული, უკანასკნელ მერხზე ერთად რომ იყვნენ საცოდავად ატუზული და მიყუჟულნი. ვაჟისათვის ასე თუ ისე ერთი მეასედი პროცენტი გამართლება მაინც თუ არსებობს სიზარმაცისა, ქალიშვილისათვის ეს წარმოუდგენელი ეჩვენებოდა. ბოლოს და ბოლოს, რა იყო საჭირო ერთი სამიანის მისაღებად? ნახევარი წლის განმავლობაში მხოლოდ ოთხი დღის მუშაობა.

თამაზ იაშვილი ნელ-ნელა იბოლმეებოდა. ბოლოს თვალი გიორგაძეს დაადგა. სტუდენტმა უტიფრად გაუშტერა თვალები და შეთქმულივით სახეზე ოდნავ შესამჩნევი ღიმილი გამოეხატა. მის მოკრძალებაში მაინც შეიმჩნეოდა უდარდელობა. არავითარ შიშს არა გრძნობდა. დარწმუნებული იყო თავისი პრატექტორების ძალაში.

— გამობრძანდით! — მიმართა თამაზმა გიორგაძეს.

სტუდენტი მხნედ წამოდგა, ვიღაცას თვალი ჩაუკრა და მაგიდისაკენ ღიმილით გაეძართა.

აუდიტორია ერთბაშად გამოცოცხლდა და განიმუხტა.

თამაზმა სტუდენტს ანიშნა. მარჯვენა მხარეს მომიჯექით.

გიორგაძე თავისუფლად ჩამოჯდა და ჯიბიდან საგამოცდო ფურცელი ამოიღო. მერე მატრიკული დადო მაგიდაზე.

თამაზმა საგამოცდო ფურცელს არც დახედა. გიორგაძეს გაწედილი ხელი ერთხანს პაერში დარჩა გაშეშებული, მერე საგამოცდო ფურცელი მატრიკულზე დადო.

— რვიული ან ფურცელი გაქვთ?

სტუდენტი დაიბნა, ამაკა არ ელოდა. გუნებაწამხდარი წამოდგა და რვიულის მოსატანად გაეძართა.

— არ გინდათ. დაფასთან მიდით.

სტუდენტის თვითდაჯერებული, მხიარული გამომეტყველება სადღაც გაქრა.

გურამ ფანჯიკიძე
თვალი პატიოსანი

— დაწერეთ რომელიმე წარმოებული.

გიორგაძე დაფასთან მივიდა, ცარცი ანგარიშმიუცემლად აიღო ხელში. ჯერ სუფთა დაფას შეხედა უმწეოდ, მერე აუდიტორიისაკენ შემობრუნდა.

თამაზ იაშვილი სტუდენტს არც უყურებდა, თავის უბის წიგნაკს ჩასჩერებოდა. დაფისკენ მაშინ შეტრიალდა, როცა გიორგაძის მუდარით აღსავსე თვალები ამხანაგებს შესჩერებოდა კარნახის მოლოდინში.

თამაზი ისევ აუდიტორიისაკენ შემობრუნდა. მოკარნახეც კი ვერავინ შენიშნა. როგორ უფუჭებდა გუნებას ეს თექვსმეტი წყვილი შიშითა და სიცარიელით სავსე თვალი.

იაშვილს ასეთი ჩვეულება ჰქონდა, თუ შეატყობდა, სტუდენტი ცოტა გონებაჩლუნგი იყო, იმავე წუთში სამიანს უწერდა. იცოდა, მისი გონების პატრონი უკეთესად მაინც ვერ ისწავლიდა. ნიშნასაც მხოლოდ მონდომებასა და წესიერებაში უმატებდა. მაგრამ ახლა, როცა მის წინ ისხდნენ ნიშით და უნარით აღსავსე, გაზარმაცებული, გაჭუჭებული, უთავმოყვარეო ჭაბუკები და ქალიშვილები — გულში საოცარ ტკივილს გრძნობდა.

ყოველი მათგანი უკვე მესამედ გამოდიოდა გამოცდაზე. ის დრო, პროტექტორებისა და ქომაგების ძებნას რომ მოანდომეს, სავსებით კმაროდა საგნის ხუთიანზე მოსამზადებლად.

თამაზმა თვალი ერთ მოხდენილ ქალიშვილზე შეაჩერა. ის ხშირად შეუმჩნევია დერეფანში თუ ეზოში ამხანაგებთან მოსაუბრე. წესიერი, ზრდილი, კულტურული ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა. მით უფრო უკვირდა, სად დაკარგა თავმოყვარეობა, რატომ ვერ მოთოკა თავი, რომ ოდნავ მაინც გამოეპუშავებინა სრულიად უმნიშვნელო შრომისმოყვარეობა. თუნდაც იმიტომ, რომ ისე არ დამცირებინა თავი, როგორც ამ სამი დღის წინ დაიმცირა. თამაზ იაშვილი მარტო იჯდა აუდიტორიაში. ქალიშვილი გალახული, წვიმაში გარეთ გაგდებული ძაღლივით წკმუტუტინთ შემოვიდა. დედის სიკვდილ[illegible]ლობა, გაპირვება და ათასგვარი მიზეზი მოიგონა, თან თვალებიდან ცრემლები გადმოყარა და მოწყალეებად ერთი სამიანი ითხოვა.

და მერე რატომ, რატომ დაიმცირა ასე თავი, რატომ გადათელა თავისი სიამაყე და ღირსება? იმიტომ რომ მათემატიკა ვერ დასძლია? იმიტომ რომ საგანი ვერ აითვისა? არა და ასგზის არა! მხოლოდ იმიტომ რომ სიზარმაცეს ვერ მოერია. **სულიერად** მოდუნებულმა და გაფუქსავატებულმა თავი ვერ დაიმორჩილა, ერთი კვირა მაინც ემეცადინა.

ქალიშვილმა თითქოს იგრძნო ახალგაზრდა ლექტორის წყრომით აღსავსე მზერა და თავი ჩაღუნა.

„თავმოყვარეობა როდი აწუხებს, თავი სირცხვილისაგან როდი ჩაღუნა, ჩემს რისხვას ერიდება და თავს მაცოდებს, — ფიქრობდა თამაზ იაშვილი, — მე რომ ახლა მაგას სამიანი დავუწერო, სიხარულით ცაში იფრენს, იმავე წუთში ალბათ კინოში გავარდება, ძმიმე ტვირთმოხსნილი პაემანზეც მხიარულად, ამაყად მიეა. მთელი ეს ტანჯვა-წამება ერთ წამში გადაავიწყდება, როდაც თავშესაქცევ მოსაგონარ ამბად გადაექცევა. ეს ერთხელაც არ შეაწუხებს სინდისი. თავმოყვარეობის რა ფასად დაუჯდა ერთი გაპირვებული, დამაღლებული სამიანი“.

— მე მგონი გარკვევით გითხარითცხრილის რომელიმე წარმოებული დამიწერეთ-მეთქი! — მიუბრუნდა გიორგაძეს თამაზი.

გიორგაძე ცარცს თითებით აწვალებდა და იწმაწნებოდა. აქამდე კიდევ სკვროდა, საქმე მოგვარებული მაქვსო. ახლა ეს იმედი საბოლოოდ დაკარგა და თვალებს უმწეოდ აცეცებდა.

— წარმოებული არ იცით. ეს უმაღლეს მათემატიკაში იგივეა, ციფრების წერა რომ არ იცოდეთ. იქნებ წრფეები გაქვთ ნასწავლი, იქნებ უსასრულოდ მცირე და დიდ სიდიდეებზე მეტყვით რამეს. იქნებ ზღვრები და ფუნქციები

იცით, ან სრულიად მარტივ ვექტორებზე მაინც იტყვით ორ სიტყვას?

გიორგაძეს სახეზე წითელი ლაქები დაეყარა.

— აი, რაც თქვენ იცით, თუნდაც სრულიად უმნიშვნელო, ის მაინც და წერეთ, რომ ამ სტუდენტების წინაშე მართალი ვიყო.

თამაზი ხედავდა, სტუდენტის არსებაში რა ცეცხლი ტრიალებდა. თვითონ რესტორანში იშვიათად დადიოდა, მაგრამ თითქმის ყოველთვის უნახავს გიორგაძე. შორიდან შეუნიშნავს, რა ამაყად, ყოჩივით უჭირავს ხოლმე თავი მეგობრებში. სითამამე და რწმენა ძალას მოაქვს. ეს ძალა კი ყოველთვის ჰქონდა ჯიბეში მამის წყალობით. მაღალ, საკმაოდ ლამაზ და მოდური მიხრა-მოხრის ყმაწვილს ქალიშვილებშიც დიდი წარმატება ჰქონდა. ისინი ალბათ ამართლებენ კიდეკე ნიჭიერი კაცის სიხარამაცეს. ამ საშინელ სიტყვას ისინი ალბათ უფრო რბილად, რომანტიულადაც გამოთქვამენ — დაუდევრობად ან დარდიმანდობად ნათლავენ. შეიძლება „დაუოკებელ ტემპერამენტსაც“ იშველებენ, ან ახალგაზრდულ „აცვენილ“ ბუნებას, რომელიც დამჰრუბის შემდეგ აუცილებლად დაღვინდება.

როგორ განსხვავდებოდა მაშინდელი გიორგაძე დღევანდელისაგან. იგი იდგა ყურებჩამოყრილი, უმწეო, განადგურებული, ქვედა ტუჩი დაბლა ჩამოვარდნოდა. იდგა და საცოდავი თვალებით შველას ითხოვდა.

თამაზ იაშვილმა უკვე მშვენივრად იცოდა, ამ ბიჭს რამდენი მფარველი ჰყავდა. მას უბიძგებდნენ, ხელს შეაშველებდნენ და ერა მარტო დიპლომს აღებინებდნენ, უფრო მაღლაც აიტაცებდნენ. ამასწინანდელი მაგალითი ჯერაც არ დავიწყნოდა. გიორგაძესაც იმ უგიცევით დასტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმოყვარეობის შელახვით გამოწვეული სულიერი ტკივილი, თუნდაც ძალიან მცირე, უმნიშვნელოდ მცირე, მაგრამ მაინც სულიერი ტკივილი. იგი ხომ თავის თავზე ექვსი თუ შვიდი წლით უფროსს ჯაბუკთან იმცირებდა ასე თავს. ისიც სუსტ, სათვალიან ახალგაზრდასთან, რომელსაც სხვა დროს ალბათ სალმის ღირსადაც არ ჩათვლიდა. იგი კი იდგა და თექვსმეტი ნაცნობი და უცნობი სტუდენტის წინ ერთი სამიანის გულისთვის თავს ასე იხურდავებდა. არა, თავმოყვარეობის შელახვით გამოწვეულ სულიერ ტკივილს მის ცარიელ, უმნიშვნელო გამომეტყველებაში თამაზი ვერ კითხულობდა.

— ახლა რომ ნიშანი დაგიწეროთ, დარწმუნებული ვარ, მეორე სემესტრში ხუსტად ასეთივე სურათი განმეორდება.

— ოღონდ ახლა დამიწერეთ ნიშანი, პირობას კიდევეთ ვისწავლი, პატიოსან სიტყვას კიდევეთ ვისწავლი. ოღონდ ახლა ნუ დამლუპავთ.

ბოლო ორმა სიტყვამ ყველაფერი გაფუჭა.

„ნუ დამლუპავთ“, — გაიმეორა გულში თამაზ იაშვილმა. მან კარგად იცოდა, მთელი ეს ფიცი, ეს დაპირება იყო თავდაცვის ინსტინქტი, ამ განსაცდელიდან გამოძრომის ინსტინქტი. ახალგაზრდა ლექტორმა შესანიშნავად იცოდა, რომ ფიცის უკან არ იდგა პატიოსანი, თავმოყვარე, თავის სიტყვის პატრონი კაცი.

— მე თქვენ ნიშანს ვერ დაგიწერთ! მოუსმინეთ!

— პატივცემულო ლექტორო, თქვენ რომ ახლა ორიანი დამიწეროთ, უეჭველად გამრიცხავენ. საბოლოოდ დავიღუპები. თქვენი ჭირიმეთ, ოღონდ ახლა დამიწერეთ ნიშანი, ოღონდ ახლა მაპატიეთ, ოღონდ ახლა ნუ დამლუპავთ...

თამაზ იაშვილმა აუდიტორიას მოავლო თვალი. იგი თითქოს მოტყდა, კინაღამ უთხრა, საგამოცდო მომეცი, ნიშანს ჩაგიწერო. ყველა სტუდენტს რიგრიგობით შეხედა. როგორ უნდოდა, რომელიმე მათგანის თვალში ზიზღი წაეკითხა გიორგაძის მიმართ, რომ [illegible] დერეფანში დარდიმანდობის შემდეგ აქ, აუდიტორიაში. სრულიად ახალგაზრდა ლექტორის წინაშე თავი ასე სამარცხვინოდ დაიხურდავა და დაიმცირა, თამაზ იაშვილი მზად იყო ყოველი მათგანისათვის ნიშანი დაეწერა, ოღონდ კი რომელიმე შეეძრწუნებინა მეგობრის სულმდაბლობას. თამაზ იაშვილი ბედნიერი იქნებოდა, იმ თექვსმეტი კაციდან ერთს რომ მაინც გაღვიძებოდა თავმოყვარეობა და აუდიტორია თავისი ნებით მიეტოვებინა. მაგრამ არა, ვერავის თვალებში ამის სურვილი ვერ წაიკითხა. პირიქით, ისინი ვიდრებითაც შემოსცქეროდნენ, შეიბრალე, ცოდვაა. სამიანი დაუწერეო. ისინი ახლა თავის თავზე ზრუნავდნენ, იცოდნენ, სულ მალე მათი რიგი დადგებოდა.

— უნამუსოებო, უთავმოყვაროებო! — იყვირა უცებ საშინელი ხმით, ფეხზე წამოვარდა და გიორგაძეს სილა გაუწნა.

აუდიტორია ერთბაშად შეკრთა და გაიყინა. გიორგაძემ ლოყაზე იტაცა ხელი.

— ეს როგორ გამიბედეთ! — ნახევრად ჩურჩულით, მაგრამ რისხვით წარმოსთქვა გიორგაძემ და სკამი დასარტყმელად აღმართა.

თამაზ იაშვილი გაქვავებული იდგა. იმიტომ კი არა, რომ სკამის დარტყმის შეეშინდა. გამოერკვა, მიხვდა, ნერვებმა უმტყუნა და წონასწორობა დაკარგა.

განაბული აუდიტორია ელოდა, რა მოხდებოდა. ამ მოულოდნელი ამბისაგან დაბნეულებმა ვერც კი მოიფიქრეს, გიორგაძეს მივარდნოდნენ და სკამი წართმიათ.

თამაზ იაშვილი იდგა და გიორგაძეს თვალებში მისჩერებოდა.

— სკამი ადგილზე დადგი! — არცთუ ძალიან ხმამაღლა, მაგრამ მტკიცედ თქვა მან.

გიორგაძემ სკამი ნელ-ნელა დაუშვა.

თამაზ იაშვილმა აუდიტორია დასტოვა.

ნიკო კაკაბაძეს პატარა თათბირი ჰქონდა კათედრაზე.

თამაზ იაშვილმა კარი შეაღო თუ არა უხერხულად შეჩერდა. არ ეგონა, თუ კათედრის გამგეს თათბირი ჰქონდა. ყველამ მას შეხედა.

— მობრძანდი! — თქვა ნიკო კაკაბაძემ და ასისტენტს ყურადღებით მიაჩერდა.

თამაზ იაშვილი ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა კათედრის გამგის მაგიდას. ყველამ შეატყო აღელვება. სახე მთლად გაჰფიორებოდა, ნერვიულობისაგან ნიკაპი ოდნავ, მაგრამ მაინც შესამჩნევად უკანკალებდა.

— რა გნებავთ, რაშია საქმე?

— მე მოვედი რომ შემდეგი მოგახსენოთ, ვერცერთ ჩაჭრილ სტუდენტს ვერ მივიღებ. ვისაც გნებავთ, იმას დაავალეთ გამოცდა და რა ნიშნებიც გნებავთ, ის დააწერინეთ. მადლობა ღმერთს, მე ხვალიდან თქვენი თანამშრომელი აღარ ვარ.

თამაზ იაშვილი უკან გაბრუნდა, კარი გაიჯახუნა და წავიდა. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა.

— მაღარიჩი ჩემზეა, იოლად გადავრჩით ამ დამთხვეულს! — გაიცინა ასეთ სიტუაციებში გამობრძმედილმა პროფესორმა და დაძაბული მდგომარეობა ხელად განიუტა.

თანხმობის ნიშნად ყველამ გაიცინა და თავისუფლად ამოისუნთქა.

— დავით, თუ ძმა ხარ წადი, შენ ჩაიბარე მაგის მაგივრად! — მიუბრუნდა კათედრის გამგე მსხალივით ბოლოში ჩასუქებულ ღაღაჯა ლექტორს.

— სიამოვნებით, ბატონო ნიკო! — ცოცხლად წამოხტა ასისტენტობაში ჩაბერებული მათემატიკოსი და პროფესორის ყურადღებით ნასიამოვნებმა კმაყოფილებით ჩაახველა.

თავი მეშვიდე

მირონ ალავიძეს სცენარის განხილვა ჰქონდა დანიშნული. განხილვის დაწყებამდე სამივე ტელევიზორი ჩაერთო და შუბლზე ხელშემოდებული ეკრანებს რიგრიგობით აკვირდებოდა. როგორც კი უფროსმა რედაქტორებმა და რედაქტორებმა თავისი ადგილები დაიჭირეს, ტელევიზორები თვითონვე გამორთო. უფროსი რედაქტორები გრძელ მაგიდას უსხდნენ, რედაქტორები კი კედლთან მიდგმულ სკამებზე და დივანზე იყვნენ ჩამომსხდარნი. ოთარ ნიჟარაძე, როგორც ყოველთვის, კუთხეში იჯდა კარადასა და ტელევიზორს შორის. აქედან კარგად ჩანდა ზოოპარკი. თათბირის დროს რატომღაც ყოველთვის ფარშევანგებს მისჩერებოდა. ყველამ იცოდა, ეს ოთარის ადგილი იყო და არავინ იქ არ ჯდებოდა. მირონ ალავიძემ თავდაპირველად რამდენჯერმე უთხრა ოთარს მაგიდასთან გადმოჯექი, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და საბოლოოდ ისიც შეეგუა უფროსი რედაქტორის ჯიუტობას. ისე კი, საერთოდ, ყველანი ერთხელ და სამუდამოდ ამორჩეულ ადგილებზე სხდებოდნენ. მირონ ალავიძეს გონებაში მტკიცედ ჰქონდა აღბეჭდილი თავისი ხელქვეითების განლაგება. ვინმეს რომ შემთხვევით ადგილი შეეცვალა, ვერ ისვენებდა, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ტრადიციის დარღვევა ძალზე აღიზიანებდა.

„უცებ სრულიად მოულოდნელად, ოთარს შეხედა.

— ამხანაგო ნიჟარაძე, წინ გადმობრძანდით.

— მე სახელი მაქვს, ბატონო მირონ! — თქვა ოთარმა დინჯად და ფეხი ფეხზე შემოიდო.

გურამ ფანჯიკიძე
თვალი პატიოსანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი დაიბნა, სიბრაზისაგან სახე აელწა.

— დიახ, წინ გადმობრძანდით, ამხანაგო...

— ოთარ! — შეაშველა ერთმა რედაქტორმა.

— დიახ, გთხოვთ წინ გადმობრძანდეთ, ამხანაგო ოთარ.

— ნუ სწუხდებით, მე აქაც კარგად ვგრძნობ თავს, ბატონო მირონ!

მთავარი რედაქტორის აფეთქებას აღარაფერი უკლდა, მაგრამ თავი მოთოკა, სათვალე გაიკეთა, კალმისტარი მოიმარჯვა და თანამშრომლებს გადახედა.

—მე მგონი, განსახილველი სცენარი ყველამ წაიკითხეთ, არა?

თანხმობის ნიშნად ზოგმა თავი დაუკრა, ზოგმაც ხმამაღლა თქვა, წაკითხეთო.

— მოგეწონათ, არა?

— კარგა ხანია ასეთი სცენარი არ გვქონია! — თქვა ერთმა წარბებამოქნილმა და შოკოლადისფერი ტონით სახეაბრიალებულმა ქალიშვილმა.

ოთარ ნიეარაძეს ამ ქალიშვილის დანახვისას სახეზე ყოველთვის დაცინება აღებეჭდებოდა ხოლმე. თუმცა მის უთავბოლო ლაპარაკზე არასდროს გული არ მოსდიოდა. საერთოდ, ოთარს იშვიათად თუ ნახავდა კაცი გაბრაზებულს, მით უმეტეს, წონასწორობიდან გამოსულს. ვინც არ იცოდა, რომ ოთარ ნიეარაძე ძველი მოკრივე იყო და თანაც საკმაოდ კარგი მოკრივეც, მას იგი მოუქნელი ჯაბუკი ეგონებოდა. ამ ქალიშვილს კი ოთარი, როგორც თვითონ ამბობდა, სულ სამი პუნქტის: თაქარიანობის, სიშტერისა და პრეტენზიულობის გამო დასცინოდა.

ოთარს შემჩნეული ჰქონდა, თათბირზე და ტელესცენარების განხილვის დროს ყველაზე მეტს მაინც უნიჭოები ლაპარაკობდნენ. ლაპარაკობდნენ მაღალფარდოვნად, ბრტყელ-ბრტყელად, ტემპერამენტიანად. შიგადაშიგ თვალებიც კი უბრწყინვდათ ხოლმე გულწრფელი აღტაცებისაგან. შედარებით ჭკვიანები კამათში იშვიათად ებმებოდნენ, ოთარი კი საერთოდ არ იღებდა ხმას. ფიქრობდა, ფიქრობდა ოთარ ნიეარაძე, ფიქრობდა, ფიქრობდა, ფიქრობდა, ფიქრობდა, ... ფიქრობდა, ... ფიქრობდა, ... ფიქრობდა, ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ბავშვები რომ მინდორში დაკრეფილ ყვავილებს შედებენ და თვითონ ზღვას მიაშურებენ საბანაოდ.

მირონ ალავიძე სცენარით აღტაცებული იყო. ამიტომაც განსაკუთრებით სიამოვნებდა, უფროსი რედაქტორის აზრი რომ მის აზრს ემთხვეოდა და კმაყოფილი ქალალდზე რაღაც უცნაურ ფიგურებს ხატავდა. მხოლოდ დაკვირვებულ თვალს შეეძლო გამოეცნო, რომ ეს ფიგურები ტელევიზორის ეკრანებს ჩამოჰგავდა.

— მთავარი ეგ კი არ არის, — შეაწყვეტინა უცებ სიტყვა უფროს რედაქტორს, — სცენარში მთავარი მაინც ბომბის, უფრო სწორად, ჭურვის ამბავია. ეგ მაინც ცალკეული პასაჟებია. გეთანხმებით, კარგი, უფრო მეტიც, ძალზე მაღალხატვრული, მაგრამ მაინც პასაჟებია. დადგმაში კი მთელი დაძაბულობა ჭურვმა უნდა შემოიტანოს. ესე იგი ყუმბარამ. აი, ბავშვებმა იპოვეს ჭურვი. ჯერ არ იციან, რომ ხელთ სიკვდილის მანქანა უპყრიათ. ისინი ყუმბარას რკინის ჩხირებს უჩხიკინებენ, ცეცხლის პირას სდებენ. ყოველ წუთში მოსალოდნელია აფეთქება. აი, სწორედ აქ უნდა დავძაბოთ მაყურებელი! — მთავარი რედაქტორი ფეხზე წამოიჭრა, სათვალე მოიხსნა და მაგიდაზე დაადო. თვალები აღტაცებისაგან უბრწყინავდა. — აქ უნდა შევქმნათ ისეთი სიტუაციები, რომ ტელემაყურებელი ეკრანის წინ შიშისაგან კანკალებდეს.

მთავარი რედაქტორი ისე იყო აღგზნებული, მგონი თვითონვე სჯეროდა, ჭურვი სადაცაა აფეთქდებაო. თანამშრომლებს თვალი მოაელო და მზერა უცებ ოთარ ნიკარაძეზე შეაჩერა. იგი ისევ მშვიდად იჯდა. მშვიდად და აუღელვებლად. მხოლოდ წეღანდელისაგან განსხვავებით, ახლა მარჯვენა ფეხი ჰქონდა მარცხენაზე შემოდებული. თითებშუა სიგარეტი მოუჩანდა.

„ოღონდ მოუკიდებდეს, მეტი არაფერი მინდა, ოღონდ მოუკიდებდეს; მაშინ ვანახებ სეირს!“ — ბოროტად გაიცინა გულში მთავარმა რედაქტორმა. ოთარს თვალი გაუშტერა.

ოთარი მოკიდებას არ აპირებდა. სიგარეტს ხელში აწვალებდა, ორი თითით დინჯად სრესავდა.

— ...დიახ, — სცადა გაწყვეტილი აზრის აღდგენა მთავარმა რედაქტორმა და ნიკარაძეს თვალი განგებ მოაცილა, იქნებ სიგარეტს მოუკიდოსო. — მთელი მღელვარება სწორედ ამ მომენტისთვის უნდა გადაეტანათ. ბოლოს, როცა მღელვარება მიაღწევს კულმინაციურ წერტილს, ბავშვები მშვიდობიანად დაშლიან ყუმბარას და მასში მინდვრის ყვავილების კონას მოათავსებენ. ფინალი მოულოდნელია და სიმბოლური — ბავშვებმა ყუმბარა საყვავილედ გადააკეთეს...

ამ უკანასკნელი სიტყვების წარმოთქმისას მირონ ალავიძე თავის ხელმარცხნივ მჯდომ უფროს რედაქტორს მისჩერებოდა. მერე ჯიქურ შებრუნდა და თვალები ოთარ ნიკარაძეს დაასო. არ გაუმართლდა, ოთარს სიგარეტი ისევ ხელში ეჭირა და თითებით სრისავდა. მერე ჯიბიდან კოლოფი ამოიღო და სიგარეტი ისევ შიგ მოათავსა.

იმედგაცრუებული მთავარი რედაქტორი ტყავის წითელ სავარძელში ჩაჯდა და სათვალე გაიკეთა. აღტკინება და ტემპერამენტი სადღაც გაუქრა. ახლა თითქმის მოღლილი, მოშვებულიც კი იჯდა და ოთარ ნიკარაძეს თვალს არ აცილებდა.

— თქვენ რას იტყვით, ამხანაგო ოთარ, მოგწონთ სცენარი?

ნიკარაძე ფეხზე ზანტად წამოდგა და ხელები მკერდზე გადაიკვარდინა.

—სწორი გითხრათ, ბატონო მირონ, ასეთი სიამოვნება დიდი ხანია აღარ მიმღია! — დაიწყო პათეტიურად ოთარმა.

მირონ ალავიძე გულკეთილი კაცი იყო და ხელად მოაკლო უფროსი რედაქტორის სიტყვებია. სათვალე მოიხსნა, თვალები ცხვირსახოცით ამოიწმინ-

და, საკარძელს მოხერხებულად მიეყრდნო, ფეხები მაგიდის ქვეშ გაჭიმა და ოთარ ნიკარაძეს კმაყოფილი იერით მიაჩერდა. ახლა მზად იყო ამ ჯიუტი ყმაწვილისათვის ყველაფერი ეპატიებინა, სიგარეტის მოწევის ნებაც კი დაერთო.

— თქვენ სრული სიმართლე ბრძანეთ, ბატონო მირონ. სცენარის ავტორმა ნამდვილად შესძლო კინემატოგრაფიული ხერხებით და მახვილგონიერული სიმბოლოლოგიით დაძაბულობისა და დინამიურობისათვის მიეღწია. როცა ამ სცენარს კეთილულობდი, და მას მერე უფრო, რაც თქვენ მოგისმენეთ, ერთი აზრი დამებადა. იქნებ ეს აზრი თქვენც მოგეჩვენოთ საყურადღებოდ.

„რა მშვენიერი და ნიჭიერი ყმაწვილია, ასეთი უცნაური რომ არ იყოს“,— შექებთან ნასიამოვნებმა მთავარმა რედაქტორმა ახლა უცნაურობა უწოდა იმას, რასაც სხვა დროს, თავხედობას და ხულიგნობას დაარქმევდა. თანაც მოინდომა უფროსი რედაქტორისათვის ეგრძნობინებინა, მთელი ყურადღებით გისმენო, ამ ყურადღების გამოსახატავად მაგიდისაკენ გადმოიხარა და მარცხენა ხელს ნიკაპი დაეყრდნო.

— სცენარში ნაჩვენებია მშვიდობიანმოყვარე ბავშვების სახეები. კარგადაა გახსნილი მათი მისწრაფებანი, მათი ნაზი სული. მაგრამ მსოფლიოში განა ცოტაა ისეთი ბავშვი, რომელსაც მილიტარისტული სულისკვეთებით ზრდიან! ხომ არ აჯობებდა ამ სცენარისათვის დაგვერქმია პირველი სერია. თუნდაც პირველი ნაწილი, ამას ბნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ კი მოგვეწვია სცენარისტი და შეგვიკეთა მეორე სერია ან მეორე ნაწილი. თუ პირველ სერიაში, თუ ნაწილში ბავშვებმა იპოვეს ყუმბარა და მისგან გაიკეთეს საყვავილე, მეორე სერიასა თუ ნაწილში პირიქით, მილიტარისტული სულისკვეთებით აღზრდილი ბავშვები პოულობენ საყვავილეს და მისგან ყუმბარას ამზადებენ...

მირონ ალავიძე დაძაბული უსმენდა უფროს რედაქტორს, მისი წინადადება ჭკუაში დაუჯდა. ცალი თვალი მოიხუჭა, ერთ ადგილ და მომავალი სცენარის რამდენიმე ეპიზოდი უკვე ცისფერ ეკრანზეც წარმოიდგინა, მაგრამ ამ დროს ვიღაცის ფხუკუნი მოესმა, მერე ვიღაცამ ჩუმად გაიცინა. ბოლოს თავშეკავებული სიცილი ხარხარში გადაიზარდა.

მთავარი რედაქტორი გამოერკვა. თანამშრომლებს გადახედა. ისინი თავშეკავებასაც კი ალარ ცდილობდნენ, ისე ხარხარებდნენ.

— რა ამბავია! — დაჰკრა უცებ მაგიდას მუშტი მთავარმა რედაქტორმა და ფეხზე წამოიჭრა.

სიცილი ისე უეცრად შეწყდა, როგორც ჩიტების უზრამზარი გუნდი შეწყვეტს ხოლმე ჟივჟივს მოულოდნელი ტაშის შემოკვრაზე.

— რა ამბავია! — იყვირა ისევ ალავიძემ და სათვალე მაგიდაზე დახეთქა. ოთარ ნიკარაძე ისევ ფეხზე იდგა და ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ბაიბურში არ იყო, მის ირგვლივ რა ხდებოდა.

— შენ ალარ მოიშლი ცოგნობას და მაიმუნობას? — კანკალი აუვარდა მთავარ რედაქტორს.

— მაგ სიტყვებს რატომ მკადრებთ, ბატონო მირონ!

— იმიტომ, რომ ჩვენ აქ საქმისათვის დაგვსვეს, სამასხარაოდ კი არა. თუ მუშაობა არ გინდა, მიბრძანდი, არავინ გამოგეკიდება. არ მიბრძანდები?! თუ კაცი ვყოფილვარ, ძალად მიგაბრძანებ!

მირონ ალავიძემ ხელი სათვალეს წაავლო. ცალი შუშა ნამსხვრევებად იყო ქცეული, გულმოსულმა სათვალე ისევ მაგიდაზე დაახეთქა და გარეთ გავარდა.

●

ოთარ ნიკარაძე თავის ოთახში იჯდა და ასანთის კოლოფს ათამაშებდა. იცოდა, მირონ ალავიძე ტელევიზიის უფროსთან იყო წასული საჩივლელად და მალე გამოძახებდნენ. გრძელი ფეხები მაგიდის ქვეშ ჰქონდა გაჭიმული, თვითონ კი, ჩვეულებისამებრ, საზურგეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიყრდნობოდა და სკამს უკანა ორ ფეხზე აქანავებდა.

ოთარი ასანთის კოლოფს ათამაშებდა და თან მზია ახობაძეს მისჩერებოდა. მზია, როგორც ყოველთვის, რაღაცას წერდა, თან სიგარეტს აბოლებდა. ოთარმა არ იცოდა, ეს გოგო ებრალებოდა თუ ეზიზღებოდა. ზიზღი მას **არ** შეეძლო, მაგრამ მზიას ყოველთვის მხოლოდ დაძცინვად უყურებდა.

მზია ახობაძე თბილისელ ქალიშვილებში ერთ-ერთი პირველთაგანნ იყო, რომელმაც საზოგადოებაში აშკარად გაბედა პაპიროსის მოწევა.

ამის გახსენებაზე ოთარ ნიკარაძეს ტუჩის მარცხენა მხარეს ოდნავ შესამჩნევი ირონიული ღიმილი გამოესახა და ასანთის კოლოფი ძალიან ააგდო. მას კარგად ახსოვს, რა სახით ეწეოდნენ სიგარეტს მზია და მისი მეცირეიცხოვანი მომდევრები. ეს სიგარეტი ხომ მათთვის თანამედროვეობის, ევროპელობის, ცივილიზაციის, კულტურისა და ინტელექტუალობის სიმბოლო იყო. უფრო მეტიც, თავისუფლების სიმბოლოც და რაღაც აზიური დოგმისადმი პროტესტის გამოხატულებაც. მაგრამ ძალზე უდღეური აღმოჩნდა მათი ინტელექტუალური უპირატესობა. პაპიროსის მწეველ ქალიშვილთა არმია საქმაოდ გაიზარდა და ბოლოს, როცა პედაგოგიურ ინსტიტუტში მოწყობილმა, სოფლიდან ჩამოსულმა ლოყაწითელა, ფეხშიშველა სიარულით ტერფებდაფართობულმა ქალიშვილებმაც სიგარეტი გაიჩარეს პირში, მაშინ ყველაფერს ფასი დაეკარგა. დარჩნენ მხოლოდ ნიკოტინით აქთობული ქალიშვილები, რომელთა ქალურ ბუნებაში სინაზის კიდევ ერთი სხვი ჩაკვდა ასე სულელურად.

ტელეფონმა დარეკა.

ყურმილი ოთარმა აიღო.

— ნიკარაძეს სთხოვეთ!

ოთარმა იცნო უფროსის მდივანი გოგონას ხმა. უთქმელადაც მიხვდა, რასაც ეტყოდა და ფეხზე წამოდგა.

— მოვდივარ. მე გახლავართ ნიკარაძე.

უფროსის მოსაცდელში სამი კაცი იდგა. ოთარს რატომღაც მოეჩვენა, მუსიკოსები იქნებიანო. მოსაცდელში თავისუფალი სკამი აღარ იყო და რიგის მოლოდინში კედელს მიეყრდნო.

— შებრძანდით, თქვენ გელოდებათ.

— უთხრა მდივანმა გოგონამ.

ოთარმა დანარჩენებს გადახედა, თითქოს ამბობდა, რა ჩემი ბრალიაო და, კაბინეტის კარი შეაღო.

არჩილ გავაშელი ტელეფონზე ლაპარაკობდა. მან ოთარს ხელით ანიშნა, მოდი, აქ დაჯექიო.

ოთარი მაგიდასთან მივიდა, სკამი ფრთხილად გამოსწია და ჩამოჯდა. თან ცდილობდა, არჩილის ლაპარაკისთვის ყური არ მიეგდო.

იმ ნაწყვეტ-ნაწყვეტი წინადადებითაც, რაც მაინც ჩაესმოდა ყურში, მიხვდა, არჩილს რაღაცას უკითხავდნენ. არჩილ გავაშელი დაძაბული ისმენდა და დროდადრო მხოლოდ ორ სიტყვას ამბობდა: „დიახ“, „კარგია“.

ოთარ ნიკარაძე გავაშელს დიდ პატივს სცემდა, განათლებულ და გემოვნებიან კაცად მიაჩნდა. ოთარს მოსწონდა მისი ვაჟკაცური და უბრალო ბუნება. ისიც მშვენივრად იცოდა, არჩილი მის ნიჭს თანაუგრძნობდა, მისი შემოქმედებისა სჯეროდა. არჩილ გავაშელის წყალობით იყო, რომ ოთარი ჯერ კიდევ არ გაეგდოთ სამსახურიდან. მხოლოდ ერთი რამის გამო არიდებდა თავს უფროსს, მასთან ურთიერთობას გაურბოდა. თუ თვითონ არ დაუძახებდა, არასდროს არ მიაკითხავდა, მასთან საუბარს ერიდებოდა. ქუჩაში ან დერეფანში მხოლოდ მიესალმებოდა ხოლმე და მერე სწრაფად გაგრძელებდა გზას. არჩილ გავაშელს ძალიან ლამაზი, ახალგაზრდა ცოლი ჰყავდა. მისი სილამაზე ბევრ სალაპარაკოს აძლევდა ხალხს. ალბათ იმიტომაც, რომ ბოლო დრო

ტელევიზიაში საგრძნობლად იმატა ცნობილი თბილისელი ლამაზი ბიჭების რიცხვმა.

ოთარ ნიკარაძე ჯორიკანა ხალხს ვერ იტანდა და გული უცნაურად სტკიოდა, როცა მანანა გავაშელს გაჰკენწლავდნენ ხოლმე. ყოველთვის ცუდ ხასიათზე დგებოდა, როცა ვაჟკაცური კაცის ცოლის ოჯს გიგონებდა. არ უნდოდა მანანა გავაშელის ცუდქალობა დაეჯერებინა, მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, თვითონ დარწმუნდა, რომ ხალხის ლაპარაკს ჰქონდა კიდეც საფუძველი. ერთხელ ტელევიზიიდ ვიღაც უცხოელ სტუმრებს ბანკეტი გაუმართა რესტორან „თბილისში". ოთარ ნიკარაძემ თავისი უფროსის ცოლი მაშინ პირველად ნახა და გული უცნაურად შეუტოკდა; მანანამ შორიდანვე ხარბად მიაპყრო ცხელი თვალები.

— ვინ არის ეს ბიჭი? — სხვათაშორის ჰკითხა ქმარს.

— ოთარ ნიკარაძე, ჩვენი ლიტერატურულ-დრამატულ გადაცემათა უფროსი რედაქტორი.

არჩილმა ნიკარაძე იხმო და ცოლს წარუდგინა. მანანა გავაშელმა ქვემოდან ახედა წარმოსადეგ ჭაბუკს და ხელი გაუწოდა. ერთხანს მრავალმნიშვნელოვნად შეაყოვნა ბიჭდებით დახუნძული ნატიფი თითები ვაჟკაცის ძლიერი ხელის მტევანში. ოთარმა თვალებში ჩახედა და მიხვდა, თავს ვეღარ იმორჩილებდა. ხელი ფიცხლად უშვა. შეშფოთებულმა არჩილს შეხედა, ხომ არაფერი შენიშნაო. არჩილი ვიღაცასთან საუბრით იყო გართული, მაკენ არც კი იყურებოდა.

— აქამდე რატომ არ მინახიხართ? — ღიმილით ჰკითხა მანანამ.

— დიდი ხანი არ არის, რაც ტელევიზიაში ვმუშაობ. — იცრუა ოთარმა.

— იმედი მაქვს, აწი ხშირად განახავთ, სუფრაზე ჩვენს მახლობლად დაჯექით.

— გმადლობთ! — ოთარ ნიკარაძემ მოხდენილად დაუკრა თავი, მერე ბოდიში მოიხადა და ამხანაგებთან გადაინაცვლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც სუფრას მიუსხდნენ, [illegible]რი არ აჩქარებულა. კარგად დაკვირდა, მანანა გავაშელი სუფრის რომელ თავში აპირებდა დაჯდომას და თვითონ მეორე მხარეს მიაშურა. მთელი საღამოს მანძილზე ვრძნობდა, მანანა გავაშელი როგორ უთვალთვალებდა. ცდილობდა იქით არ გაეხედა. ერთხელ მაინც გაექცა თვალი. მანანამ გრძელი თითები ოდნავ ათამაშა მისალმების ნიშნად.

ოთარი ღელავდა, ეგონა ყველამ შეამჩნია მისდამი მანანა გავაშელის ყურადღება. ისიც კი გადაწყვიტა, ბანკეტი მიეტოვებინა, მაგრამ გასაელელი კარი სუფრის მეორე მხარეს იყო და თეელი დარბაზის გავლა მოუწევდა. ამით კიდევ უფრო მიიქცევდა ხალხის ყურადღებას. სუფრა მისი სტიქია იყო. ახლა კი დამბოღმილი, ნირწამხდარი იჯდა, თეფშს ჩასჩერებოდა და ჩანგალს აწვალებდა.

ტელევიზიის თანამშრომლების საღღეგრძელოები დალიეს. ახალგაზრდები ფეხზე წამოიშალნენ. ოთარი ზანტად წამოდგა, ჭიქა ხელში აიღო და დაიჩრდა. არ უნდოდა თამადისაკენ გაეხედა, რომლის გვერდით მანანა გავაშელი ეგულებოდა. მაინც გაექცა თვალი, მაინც გაიხედა და პირდაპირ მანანას შეხედა. ქალი თითქოს ელოდა ამ გამოხედვას. ჭიქა დღეგრძელობის ნიშნად მაღლა ასწია და ოთარს თვალი ჩაუკრა.

— შენ რა გიშავს, — იქიდნურად უთხრა ნიკარაძეს ზოპირდაპირე მხარეს მჯდომმა ახალგაზრდა მხატვარმა, — მთავარი რედაქტორობა უკვე განაღდებული გაქვს.

ოთარი მიხვდა, მხატვარი რასაც გულისხმობდა და გამწარებულმა ღვინო სახეში შეასხა.

სუფრაზე წამიერი დუმილი ჩამოვარდა. მერე ბიჭები გამოერკვნენ და, ვითომაც აქ არაფერიაო, სმედერა წამოიწყეს. მხატვარმა სახე ცხვირსახოცით შეიმშრალა.

— ჩემზე იყოს! — თქვა მუქარით და სკამზე დაჯდა.

ვერავინ ვერ გაიგო რა მოხდა, რაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაწყენდა ოთარ ნიკარაძე. მხოლოდ მანანა გავაშელი მიხვდა გუმანით ვაჟის განრისხების მიზეზს და მოეწონა კიდეც მისი სიფიცხე.

მას შემდეგ არჩილ გავაშელმა ორჯერ მიიპატიჟა შინ ოთარი. ნიკარაძემ ორივეჯერ ოსტატურად აარიდა თავი არჩილთან სტუმრობას. საკუთარ თავს კი გაუოუტყდა, რომ უხილავი ძალა ეზიდებოდა მათთან მისასვლელად.

არჩილი ტელეფონზე საუბარს მორჩა, ყურმილი ბერკეტზე დადო და სიცილი აუტყდა.

— მაშ, მილტარისტულად აღზრდილი ბავშვები პირიქით, საყვავილეს პოულობენ და მისკენ ჭურვს ამზადებენ. არა?! ჩემი მტერი ჩავარდა თქვენს ხელში.

არჩილი აღარ იცინოდა, მაგრამ სახეზე ღიმილი მაინც დასთამაშებდა.

— რას შვები, ბიჭო, რატომ ამწარებ ამ საცოდავ კაცს!

ოთარი მიხვდა, სახიფათო არაფერი ელოდა და პასუხად ზრდილობიანად გაიღიმა.

— რა ვქნა, რა ჩემი ბრალია. აღარ მომეშვა და მეც ჩემი აზრი ვუთხარი.

— შენ მართალი ხარ, — არჩილ გავაშელის სახეზე ღიმილი საქმიანმა გამომეტყველებამ შესცვალა. — ცანა მე არ ვიცი, განა მე არ მესმის, რომ ლიტერატურულ-დრამატულ გადაცემათა რედაქცია მირონ ალავიძის საქმე არ არის? ბევრს ვფიქრობ და ვერაფერი გადამიწყვეტია. კაცმა ფრონტზე იომა. მას მერე ვინ მოთვლის, სად არ მუშაობდა. საქმიანი და კეთილსინდისიერი კაცია. რვა საათის მაგივრად თორმეტ საათს მუშაობს, წელებზე ფეხს იდგამს. მაგრამ შენ ჩემზე უკეთ იცი, ამ საქმეში მარტო მონდომება როდი კმარა. მე რომ მირონ ალავიძეს ვუთხრა, ტელევიზია, ისიც ლიტერატურულ-დრამატულ გადაცემათა რედაქცია შენი საქმე არ არის-მეთქი, შეიძლება გული გაუსკდეს. შეიძლება კი არა, ნამდვილად გაუსკდება. საშემოდგომოდ ალბათ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რედაქციის მთავარი რედაქტორის ადგილი განთავისუფლდება. იქ ნამდვილ კაცად გამოდგება. შემოდგომამდე კიდევ უნდა მოითმინო, სხვა გამოსავალი არც შენ გაქვს და არც მე.

არჩილი წამოდგა, მაცივრიდან ბორჯომი გამოიღო. მერე იქვე, გვერდით მიდგმულ პატარა მაგიდაზე ორი ჭიქა აიღო, ერთი ოთარს დაუდგა, მეორეში თავისთვის დაიხსნა.

— ჰო, მართლა, — წამოიწყო მან და ბოთლი ისევ მაცივარში შედგა, — მირონ ალავიძეს ნამდვილად გადავიყვანთ მრეწველობის რედაქციაში. შენ არ იქნები თანახმა, რომ მის ადგილზე დაგნიშნოთ?

ოთარ ნიკარაძე შეცბა. ამას არ მოელოდა. ცდილობდა გამოეცნო, ეს მანანა გავაშელის წყალობა იყო თუ თვითონ არჩილის ნებასურვილი.

— არა, ბატონო არჩილ! — თქვა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ოთარმა. — ნუობისათვის დიდ მადლობას მოგახსენებთ, მაგრამ მთავარი რედაქტორობა ჩემი საქმე არ არის. მე თანამდებობა არ მაინტერესებს... პირიქით, ისიც კი მირჩევნია, უბრალო რედაქტორად რომ გადამიყვანდეთ რომელიმე უფრო იოლ რედაქციაში. მაშინ თავისუფალი დრო გაცილებით მეტი მექნება.

— შენ მართალი ხარ, — თქვა არჩილ გავაშელმა და სავარძელში მოხერხებულად ჩაჯდა, — შენ უნდა წერო, ბევრი უნდა წერო. მე წავიკითხე შენი უკანასკნელი მოთხრობები. გულწრფელად გეტყვი, ნამდვილად მოგეწონა. შენ ნიშიერი კაცი ხარ და ხელის შეწყობა გჭირდება. მე შევეცდები ამ ზაფხულს ერთი თვე შემოქმედებით მივლინებაში გაგიშვა. ოღონდ ივ კაცს ნუღარ გამაწყრეს. სადაც ამდენი გაგიძლია, ეს ერთი თვე კიდევ გაუძელი, მერე ან მაგას გადავიყვან სადმე, ან შენ.

ოთარი ფეხზე წამოდგა. უფროსთან საუბარი დამთავრებულად ჩათვალა. ჭი-

გუნგა ფანჯიკიძე
თბილი კატიოსანი

ქა პატარა მაგიდაზე დადგა და წასვლა დააბირა.

— ჰო, მართლა, ამ საღამოს გცალია?

— ჰკითხა მოულოდნელად გავაშელმა.

— თქვენ თუკი მიბრძანებთ! — მიუგო ოთარმა და უმალვე ინანა, ვაითუ ისევ შინ მიმიპატიჟოსო.

— მანქანის ტარება იცი, არა?

— საკმაოდ კარგად.

— მაშინ ხუთი საათისათვის დაბლა დამელოდე. უნგრელი სტუმრები მყავს. არაგვის ხეობაში მინდა გავასეირნო.

— ბატონი ბრძანდებით.

●

ოთარ ნიკარაძე ვერ წარმოიდგენდა. ყველაფერი თუ ასე სწრაფად და იოლად მოხდებოდა.

ისინი უკვე თბილისში ბრუნდებოდნენ. ღამის პირველი საათი იყო დაწყებული. გვერდით ისევ არჩილი უჯდა. უკან უნგრელი სტუმარი ქალი, თარჯიმანი და მანანა გავაშელი. ზუსტად ისევე, როგორც თბილისიდან წასვლის წინ.

ოთარი ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო, ვერ მიმხვდარიყო, ის ყველაფერი, რაც მოხდა, სწყინდა თუ უხაროდა. არჩილისაკენ გამოხედვას ერიდებოდა. თავს დამნაშავედ გრძნობდა. მანქანა მთელი სისწრაფით მოჰყავდა. უნდოდა მალე განთავისუფლებულიყო, მარტოდმარტო დარჩენილიყო და ისე აეწონ-დაეწონა ყველაფერი.

მანანა გავაშელს სილამაზის გარდა მიხრა-მოხრასა და გამომეტყველებაში ჰქონდა რაღაც დიდებული, ამაყი, რითაც ყველაზე თამამ მამაკაცსაც კი მოთოკავდა. იგი ოცდათვრამეტი წლისა იქნებოდა. სახეზე, განსაკუთრებით თვალებთან და ყელზე უკვე დასტყობოდა ასაკი. თვალების გასწვრივ, საფეთქლებისკენ ძნელად შესამჩნევი ნოკუბები მიუყვებოდა. ყელზე კი პატარა ღაბაბი ამობურცულიყო და ხორცს ძველებური სიმკვრივე ოდნავ დაეკარგა. ეს ყველაფერი ისე უმნიშვნელო იყო, კაცი თუ ახლოდან და თანაც დაინებით არ დააკვირდებოდა, ვერაფერს შეამჩნევდა. საღამოთი, ელექტრონის ფერზე მისი სახე ისეთივე გადატკეცილი და უზადო ჩანდა, როგორც ოცი წლის ქალიშვილისა. მოქნილი წელისა და შეკრული სხეულის შენარჩუნება ჩოგბურთისა და ცურვის წყალობა იყო, რასაც იგი დიდი გულმოდგინებით მისდევდა. მანანა გავაშელის მთელი სილამაზე მაინც სველი თვალები, სქელი ტუჩები და საღი, თეთრი კბილები იყო. როცა გაიცინებდა, თითქოს ერთბაშად ოცი წელი აკლდებოდა.

ოთარს იმ წვეულების შემდეგ მანანას სახე უცნაურად ჩაებეჭდა გულში. ხშირად, როცა ნატასთან იყო, თვალს დახუჭავდა თუ არა, იმავე წუთში გავაშელის ენგბიანი და სველი თვალები წარმოუდგებოდა. ერთხანს ეჭვიც კი შეეპარა, იქნებ ნატა აღარ მიყვარსო. ნატასადმი ჰას არასოდეს არ უგრძვნია ასეთი ლტოლვა. მანანა გავაშელი სულ სხვანაირად უყვარდა. იგი საბოლოოდ მაინც გამოუტეხა საკუთარ თავს, რომ მანანა უყვარდა. რადაც საშინელი ძალა იზიდავდა მისი მხურვალე სხეულისაკენ.

ოთარ ნიკარაძეს უსიამო გრძნობა იპყრობდა, როცა თავს ვეღარ იმორჩილებდა. მას უყვარდა, როცა ყველა ნერვი ემორჩილებოდა და ან ნერვების საკართავი ღილაკები ეხლოდან მისი თითის დაჭერას ელოდა. მან მთელი თავისი ნებისყოფა დაძაბა, რომ სამუდამოდ დაეკიწყებინა მანანა გავაშელი. საწადელს თითქოს მიაღწია კიდეც. მაგრამ ამ საღამოს, როგორც კი ჭაბუკის ძლიერმა ჭკლავებმა ეგრძნო ქალის მოქნილი, უზადო სხეული, დარწმუნდა, რომ მთელი მისი ცდა მხოლოდ თავის მოტყუება იყო. ძველმა, მიძინებულმა გრძნობამ ერთბაშად იფეთქა და ოთარ ნიკარაძის ენერგიით, ტემპერამენტით სავსე სხეულს ერთიანად დაეუფლა. დღეს, ისევე როგორც იმ წვეულების დროს, ოთარმა სითამამეც დაკარგა და გამბედაობაც. მისი სილაღე, იუმორი და თავხედობამდე მისული სითამამე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადღაც გაქრა. მანანა გავაშელს გამოხედვაში თუ მიხრა-მოხრაში, სასიამოვნო, ალერსით გაყოფნილ, შემპარავ ხმაში და ოდნავ დამცინავ, რიღაცის იმედისმომცემ ღიმილში მართლაც ჰქონდა დამთრგუნავი ძალა.

ოთარ ნიკარაძემ მანანას თვალებში შეატყო მისი დანახვით გამოწვეული სიხარული. მანქანაში, უკან, ჯერ უნგრელი სტუმარი შეუშვა, მერე თარჯიმანი, ბოლოს თვითონ შეიდა. ახლა იგი გვერდიდან კარგად ხედავდა ოთარის პროფილს. მის წინ, ოთარის გვერდით არჩილი იჯდა. დანარჩენები მეორე მანქანაში იყვნენ.

ოთარს მუქი ნაცრისფერი, იდაყვებამდე დაკაპიწებული სამხრეებიანი ხალათი ეცვა. ხალათის ბოლო სამი ღილი გახსნილი ჰქონდა და მკერვიგი, გრუჯული ჭკერდი მოეჩანდა. დროდადრო სარკეში თვალს გააპარებდა მანანასაკენ. მანანა თან საუბრობდა, თან ოთარს მისჩერებოდა დაჟინებით. მათი თვალები სარკეში რამდენჯერმე წაწყდნენ კიდეც ერთმანეთს, რასაც მანანას მომზიზელელი ღიმილი მოჰყვა. ოთარ ნიკარაძე კი, ვითომც ბაიბურში არ იყო, სარკეს თვალს მოაცილებდა ხოლმე და უნებურად სისწრაფეს უმატებდა, რასაც ყოველთვის მოსდევდა არჩილ გავაშელის მშვიდი ხმა, „ნელა, ოთარ, არსად არ გვეჩქარებაო“.

მანანა ხარბად მისჩერებოდა ჭაბუკის ღია წაბლისფერ თმას, მძლავრ, მაღალ კისერს. მერე უნებურად ქუჩას აკვირდებოდა. ოთარ ნიკარაძის ფონზე რა საცდადად გამოიყურებოდა მისი ჩასქელებული, ჩაწითლებული კისერი და აპრიალებული მელოტი თავი.

ოთარმა ჯერ უცნოელები მიიყვანა სასტუმროში, მერე მანქანა პირდაპირ არჩილ გავაშელის საღარბაზოსთან მიაყენა.

— მანქანა სად დავაყენო? — ჰკითხა არჩილს.

— მერე შენ ფეხით წახვალ? — არჩილი საკმაოდ მთვრალი იყო და თვალები ეხუჭებოდა. — მანქანა წაიყვანე, შენთან დააყენე სადმე. ხვალ ლ[illegible]ლით კი პირდაპირ ტელევიზიაში მიიყვანე. ამასობაში ჩამოვა ჩემი შოფერიც, აბა, რა ჯანდაბას იზამს.

— სჯობია, მანქანა აქვე, თქვენს ეზოში დავაყენო. მე ფეხით მინდა გავლა. თანაც არც ისე შორს ვცხოვრობ აქედან.

მანანა მანქანიდან გადმოვიდა. კარგად იყავითო, ოდნავ გასაგონად, ცივად თქვა მან და სადარბაზო შესასვლელში მიიმალა. ყველაფერი უკვე ნათქვამი იყო. მანანა გავაშელი, თბილისს ერთ-ერთი ულამაზესი ქალი 15 ივლისს ბათუმში, სასტუმრო „ინტურისტის“ ვესტიბიულში დაელოდებოდა დღის 12 საათზე.

ოთარმა მანქანა ეზოში დააყენა, გასაღები არჩილს მისცა და თავაზიანად, დამნაშავესავით დაემშვიდობა. როგორც იქნა, მარტო დარჩა, თავისუფლად ამოისუნთქა და სიგარეტს მოუკიდა. ქუჩა გადაჭრა, გზას ნელა, დინჯი ნაბიჯებით გაუყვა. არსად არ ეჩქარებოდა. სიარულის დროს კი უფრო კარგად ფიქრობდა. უნდოდა გარკვეულიყო, რა მოხდა, როგორ მოხდა.

არჩილ გავაშელმა ანანურს ქვემოთ, არაგვის პირას შეარჩია პატარა მინდორი. ციხის ნანგრევებთან კოკონნი დაანთეს და სუფრაც იქვე გაშალეს.

ოთარ ნიკარაძე ღვინოს არ სვამდა. სულ სამი თუ ოთხი პატარა ჭიქა დალია. მერე გავიდა დერო. კოკონნი მიფერფლა. ცაზე მილულული მთვარის პრიალა ზოლი გამოჩნდა. ანანურიდან ძლივს აღწევდა ისედაც მცირერიცხოვანი ნათურების მბეჟუტავი შუქი. იქვე, ბუჩქებში არაგვის ტოტი მიიკლაკნებოდა, იგი მკრთალ სინათლეზე ოდნავ შესამჩნევად ალიცლიცებულ ზურგს ისე მიარწევდა, თითქოს ბუჩქებშუა გველეშაპი მიიპარებაო.

უნგრელებს ღვინო მალე მოეკიდათ. დროდადრო ოთარს სთხოვდნენ, მანქა-

ნის შუქი ჩაერთო და ცეკვავდნენ. მერე არჩილმა და დანარჩენმა მასპინძლებმა მრავალფამიერი იმღერეს.

— შესანიშნავია, — ერთხმად იძახდნენ უნგრელები.

— ახლა თქვენ იმღერეთ! — სთხოვა არჩილ გაეშელმა.

უნგრელებმა რაღაც მარშისმაგვარი სიმღერა წამოიწყეს ერთ ხმაში. არჩილი და მეორე მანქანის პატრონი, სტუმრების ოფიციალური მასპინძელი, ამაოდ ცდილობდნენ მეორე და მესამე ხმები შეეშველებინათ.

ოთარ ნიჟარაძე ფხიზელი იყო და ძალზე სასაცილო ეჩვენებოდა ღვინისგან შეხურებული ადამიანების ამაღლებული, გაჭიანურებული სადღეგრძელობები.

უცებ მანანამ ტრანზისტორული მაგნიტოფონი ჩართო. ამ საერთო ღრიანცელში გაისმა სასიამოვნო, წყნარი მელოდია.

— ვიცეკვოთ. — მიუბრუნდა იგი ოთარს.

— ამ წუთში ავანთებ მანქანის ფარებს.

— განა ეს აუცილებელია?—ხმადაბლა ჩაიცინა მანანამ და ვაკეს ხელები მხრებზე დაეწყო.

ოთარ ნიჟარაძემ ჯერ მარცხენა ხელი მოაკიდა ფრთხილად წელზე, მერე მარჯვენა და გაოცდა. ხელში ქალიშვილის მოქნილი წელი შერჩა.

მანანა საკმაოდ შემთვრალიყო. თვალები სანახევროდ დახუჭული ჰქონდა და მელოდიას ხმადაბლა აყოლებდა ხმას. იგი მთელი არსებით იყო ჩაფლული ცეკვაში. ისინი ოდნავ ირწეოდნენ, სინამდვილეში მხოლოდ ერთ ადგილზე ცეკვავდნენ. უცებ მანანამ თავი გადაქნია და ვაკეს თვალებში შეხედა. სავსე მკერდი საოცრად გამოეკვეთა. ოთარს თვალი მოსტაცა მიმქრალი ცეცხლის შუქზე მოკაფიე ამობურცულმა, ქალწულის ხელშეუხებელი მკერდივით მკვრივმა გულმა. ისიც იგრძნო, მის მკერდს სიფრიფანა ქსოვილიდა აშორებდა.

— შენ მოკრივე ხარ, არა? — ჰკითხა უეცრად მანანამ.

— უფრო სწორად, ვიყავი ერთ დროს. თქვენ საიდან იცით?

— მე ყველაფერი ვიცი.

მანანა გავაშელმა მარჯვენა ხელი მხრიდან ნელა ჩამოაცურა და ოთარის მოღიღილ მკერდზე გაასრიალა. გრძელ, ბეჭდებიან თითებს ისე ათამაშებდა, თითქოს ჭაბუკს კუნთებს უმოწმებსნო. ოთარს ცხელმა ნაკადმა დაუარა ძარღვებში. ქალი თითებს ნაზად უსვამდა ძლიერ მკერდზე, ძალზე ნაზად, თითქოს ხელს არც კი აკარებსო. ოთარმა არჩილისაკენ გაიხედა. არჩილ გავაშელი რომელიღაც უნგრელთან ერთად ვახტანგურად სვამდა ღვინოს. ოთარმა მარცხენა ხელი შეუმჩნევლად ასწია მაღლა და მანანას თითებს სწვდა უბეში. უნდოდა მოეშორებინა ქალის მოქნილი თითები, საიდანაც მის სხეულში იმპულსებად გადადიოდა უხილავი, თბილი ნაკადი, ენით აუწერელ სიამოვნებას რომ ანიჭებდა.

მანანა უეცრად გაჩერდა. ოთარ ნიჟარაძემ ინერციით გააკეთა კიდევ ერთი ჰა.

— 15 ივლისს ბათუმში ჩამოხვალ. მე „ინტურისტში“ ვიქნები. დღის ოთრმეტ საათზე ვესტიბიულში დამელოდები, გასაგებია?

მანანა გავაშელი პასუხს აღარ დაელოდა. ოთარს ხელი უშვა და თანამეინახეებს შეუერთდა.

— რატომ მიგვატოვეთ, ქალბატონო მანანა! — დაიტვრეული რუსულით წამოიწყო ჭაღარა უნგრელმა. — თუ ბატონი თამაღა ნებას დამრთავს, მე ვსვამ ჩვენს სუფრის ფერიის, ჩვენი ქალღმერთის სადღეგრძელოს.

— ეს სადღეგრძელო ხომ? უკვე დავლიეთ? — გაიცინა არჩილმა.

— არა ეშავს რა. კიდევ დავლიოთ. აბა, მამაკაცებო, ფეხზე. უფრო სწორად, მუხლებზე დაჩოქილი ვსვამ ქალბატონ მანანას სადღეგრძელოს. აფსუს, რომ მუხლებში ძალა აღარა მაქვს, თორემ თქვენთან ერთად ვიცეკვებდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩარდაშს. ნამდვილ ჩარდაშს, მეგობრებო!

ყველანი იცინოდნენ და ამ ზზიარულ, ასეიამოვნო უნგრელს შესცქეროდნენ.

მხოლოდ ოთარ ნიკარაძე არ იცინოდა. იგი სუფრასთან აღარ მისულა. მანქანის ფრთაზე დაყრდნობილი საკუთარ თავს ებრძოდა.

ცეცხლი ხელახლა გაანთო. ოთარმა მანანას შეხედა. ვნებიანი სახე ცეცხლის შუქზე საოცრად უბრწყინავდა. უბრწყინავდა ნარინჯისფრად! არა — სპილოს ძვლისფრად. არა, არც ეს შედარება იყო ზუსტი. მანანა მისკენ აღარც კი იხედებოდა. თითქოს დაავიწყდა კიდეც ოთარ ნიკარაძის არსებობა. იგი ლაპარაკობდა, მხიარულად იცინოდა.

ოთარი ვერც კი მიხვდა, ფალიაშვილის ქუჩაზე როგორ აღმოჩნდა. მარცხენა ხელი ჯიბიდან ამოიღო და სახეზე ჩამოისვა.

„მაშ, 15 ივლისს ბათუმში, სასტუმრო „ინტურისტის“ წყნარ, მყუდრო ნომერში“.

ოთარი თავს ებრძოდა, მკერდზე ისევ გრძნობდა მანანას გრძელი, ნატეფი თითების ნაზ შეხებას და იმედი არა ჰქონდა, რომ ნებისყოფა არ უღალატებდა. მაშინ რაღა განსხვავება იქნებოდა მასა და იმ ბიჭებს შორის, მხოლოდ თავისი სილამაზის ხარჯზე რომ ცხოვრობენ? ეს ხომ ღალატი იყო, ღალატი მამაკაცის მიმართ, ღალატი მამაკაცთა შორის არსებული ურთიერთპატივისცემის მიმართ. თანაც ღალატი ნაცნობი, უაღრესად კეთილი და ვაჟკაცი კაცის მიმართ, რომელიც ასეთ პატივსა სცემდა ოთარ ნიკარაძის პიროვნებასა და ნიჭს.

15 ივლისს, ბათუმში, სასტუმრო „ინტურისტის“ ვესტიბიულში! ხვადაგობამდე სულ ერთი ნახევრი იყო გადასადგომელი და ოთარ ნიკარაძე თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ამ ნახევრისაგან თავს ვერ შეიკავებდა.

უცებ მანქანის ხმა მოესმა. ფიქრში წასული ვერც კი მიხვდა საშინელი სუსწრაფით მომავალი მანქანა როდის გვერდზე მოჩნდა. მანქანის მუხრუჭებისა და საბურავების ღრჭიალის ადამიანის უცნაური შეკივლება გადაება. ოთარმა ადამიანის სხეულს მოჰკრა თვალი, რომელმაც მთელი სამი მეტრი იფრინა, მერე რკინის ბოძს შეასკდა და ძირს უძირავად დავარდა.

მანქანამ რატომღაც წინ გზის გაგრძელება ვეღარ გაბედა. სასწრაფოდ უკან შებრუნდა. შემობრუნებისას ხეს მიეჯახა, მარჯვენა უკანა ნათურა მთლიანად ჩაემტვრა. ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია. მანქანამ ერთი დაიღმუვლა და ადგილიდანვე საშინელი სისწრაფით დაიძრა.

ოთარ ნიკარაძემ კარგად მოასწრო ნომრის დამახსოვრება. ისიც შეამჩნია, მანქანაში ოთხნი ისხდნენ. ოთხივე კაცები. როდესაც მანქანა თვალს მიეფარა, ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო და ნომერი ჩაიწერა. მერე ფრთხილად მივიდა გულღმა გაშოტილ სხეულთან. კაცს სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. სახე სისხლით ჰქონდა მოსვრილი, თვალები ღია დარჩენოდა. ალბათ იმავე წამში გათავდა, როცა ის საშინელი ყვირილი აღმოხდა.

●

გამომძიებელმა ჯიბიდან პასპორტი ამოიღო დაღუბულს.

— ელდარ ალექსიძე, — წაიკითხა მან ხმამაღლა, — ჯორჯიაშვილის სამი.

„ჯორჯიაშვილის სამი“, — გაიმეორა გულში ოთარმა.

გვამი გულღმა ეგდო. თავთან სისხლის გუბე იდგა. ეტყობოდა ბოძს თავით შეასკდა. სახე გვერდზე მოექცა. ჩაცმულობასა და გამომეტყველებაზე მუშას ჰგავდა. ორმოც წელზე მეტს ვერ მისცემდი. მსხვილი, დაკოჟრილი თითები ჰქონდა. ნაჯაფარი ხელები არაბუნებრივად დიდი მოეჩანდა გამხდარ ტანთან და მკლავებთან შედარებით. ქუჩა

ბუბა ფანჯიკიძე
თვალი კატიოსანი

უკვე ხალხით იყო სავსე. გიმა-გამოღმა თითქმის ყველა ფანჯარა განთადა. უმრავლესობა ფანჯრებიდან იცქირებოდა, ახლოს მოსვლას ვერ ბედავდნენ. შეშუხებულები ერთმანეთს გასძახოდნენ და გვამს თვალს არიდებდნენ.

ოპერატიული მუშაკები ჩუმად და აუღელვებლად მუშაობდნენ. ფოტოსურათებს იღებდნენ. მანქანის დამუხრუჭების მანძილს ზომავდნენ, რაღაცას ინიშნავდნენ. ჩამტვრეული ნათურის შუბიც გულდასმით აკრიფეს. ექიმიც იქვე იდგა. მან უკვე გაეკეთა თავისი საქმე, სიკვდილი დადასტურა. გვამს დაწვრილებით ალბათ მერე შეამოწმებდა.

ოთარი გვამს დიდხანს დასჩერებოდა. თავისი საქციელი თვითონვე უკვირდა. საერთოდ, მიცვალებულის დანახვა არ შეეძლო. პანაშვიდებზე და ქუჩაში მკვდარს ყოველთვის თავს არიდებდა. ახლა კი სისხლში ამოსვრილი ახალგაზრდა კაცის გვამს ცივად და სავსებით მშვიდად უცქერდა.

— ვინმე იცნობს დაღუპულს? — ხმამაღლა იკითხა გამომძიებელმა და შეჯგუფებულ ხალხს თვალი მოავლო. მას კაპიტნის ჩინი ჰქონდა.

ხმა არავის ამოუღია.

— მაშ, არავინ არ იცნობთ? — ისევ იკითხა გამომძიებელმა.

ერთმანეთს გადახედეს, მაგრამ დუმილი კვლავ არავის დაურღვევია.

— ვინ დაინახა როგორ დაეჯახა მანქანა?

ისევ დუმილი. ზოგმა მხრებიც კი აიჩეჩა.

— დავიჯერო არავის არაფერი დაგინახავთ? — ძალიან ხმამაღლა გაიმეორა კაპიტანმა. ეს შეკითხვა ფანჯარაში გადმომდგარი ხალხის გასაგონადაც იყო გამიზნული.

—აბა, საიდან უნდა დაგვენახა! — ხელები გაშალა ერთმა ღამის პიჟამოში გამოწყობილმა მსუქანმა კაცმა.

— ყველას მაგივრად თქვენ რატომ მპასუხობთ? — ცოტა გულმოსულმა უთხრა კაპიტანმა და ხელში მანქანიდან ჩამსხვრეული ნათურის ნატეხი აიღო.

— აბა, ამ შუადამისას ვინ რას დაინახავდა! — ჩაცინება სცადა ერთმა დაბალმა, უსიამოვნო შესახედაობის კაცმა.

ოთარ ნიჟარაძემ რატომდაც მაშინვე მიაქცია ყურადღება მის დაბალ შუბლსა და გადაბმულ შავ წარბებს.

— მე იმას ვეკითხები, ვინც რაიმე დაინახა. თქვენი კომენტარები არ მჭირდება! — მკვახედ მიუგო კაპიტანმა.

უსიამოვნო სახის კაცს არაფერი უთქვამს, გვერდზე მიდგა. ოთარი არ ჩქარობდა. ისევ გვერდზე იდგა და საუბარში არ ერეოდა. თვითონ სჯეროდა, რომ მართლაც არავის არაფერი დაუნახავს. იმ დროს ხომ არც ერთი ფანჯრიდან არ მოჩანდა სინათლე. ყველას ეძინა. ქუჩაშიც კაცაშვილი არ ჭაჭანებდა.

ხალხმა ნელ-ნელა იწყო დაშლა. ფანჯრებშიც ნელ-ნელა გაუჩინარდნენ ნამძინარევი სახეები. სინათლეები ჩაქრა და უზარმაზარი შენობები ისევ ჩაშავდა. მხოლოდ აქა-იქ კიდევ ენთო სინათლე და ორიოდე ცნობისმოყვარე ადამიანი კიდევ იცქირებოდა ჯიუტად.

ოთარ ნიჟარაძე გაოცებული იყო. როგორ შეეძლოთ ადამიანებს სინათლეები გამოერთთო და ლოგინებში შეწოლილიყვნენ, როცა იქვე რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით ეგდო დაღუპული ახალგაზრდა კაცის გვამი.

კაპიტანი ახლა იმ ორიოდე კაცს აკვირდებოდა, რომლებიც ჯერ კიდევ არ წასულიყვნენ.

— მე დავინახე ყველაფერი და საკმაოდ კარგადაც დავინახე! — თქვა უცებ ოთარმა.

ყველამ მას შეხედა. ყველანი გამოცოცხლდნენ. კაპიტანი პირდაპირ ოთართან მივიდა. ორი ოპერატიული მუშაკიც გვერდში ამოუდგა.

ოთარ ნიჟარაძემ ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო.

— აი, მანქანის ნომერი. მანქანაში ოთხნი ისხდნენ, საშინელი სისწრაფით მიაქროლებდნენ. როდესაც მუხრუჭების ღრჭიალი და დაჯახების ხმა გავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონე, ეს უბედური უკვე ჰაერში იყო. დაჯახების შემდეგ ისინი რატომღაც უკან გაბრუნდნენ. შემობრუნების დროს უკანა მარჯვენა ნათურით იმ ხეს დაეჯახნენ. ნათურა მთლიანად ჩაიმსხვრა. სრულიადაც არ მეეჭვება, რომ საჭესთან მთვრალი კაცი იჯდა და, საერთოდ, ყველანი მთვრალები იყვნენ.

— საიდან ასკვნით, რომ ნასვამები იყვნენ? — ჰკითხა კაპიტანმა, სიგარეტის კოლოფს ხარბად დახედა და მერე ოპერატიულ მუშაკს მიაწოდა.

— ნასვამები კი არა, მთვრალები იყვნენ? — ეს ამას ხაზს ვუსვამ და გთხოვთ ასეც ჩაწეროთ. ანალოგიური დასკვნის გამოტანა არც თქვენ გაგიჭირდებათ. ხედავთ, რა პატარა მანძილია დამუხრუჭების წერტილიდან დაჯახების წერტილამდე? თანაც დაეჯახა შუა ქუჩაში, ეს ხომ მოულოდნელად გამოვარდნილი მგზავრი არ ყოფილა!

— რა ფერის მანქანა იყო?

— მუქი ნაცრისფერი „ვოლგა“.

— მძღოლს სახეზე თუ შეხედეთ?

— შევხედე, სიბნელეში სახე კარგად ვერ დავიმახსოვრე. მაგრამ რომ ვნახო, მე მგონი, ვიცნობ.

— დარწმუნებული ხართ, რომ ნომერი სწორია?

— სავსებით. მე უკვე გითხარით მანქანის ნომერი, მარკა, ფერი. გარდა ამისა, თქვენ უკვე იცით, რომ მანქანას ჩამსხვრეული აქვს უკანა მარჯვენა ნათურა. მისი ნამსხვრევებიც ხელთა გაქვთ. ისიც გითხარით, რომ მანქანაში ოთხი კაცი იჯდა. და შეიძლება მძღოლიც ვიცნო სახეზე. ეს დაახლოებით იგივეა, ნარდში რომ ერთი ქვა გქონდეთ გამოსასვლელი და დუშაში მოგიგიდეთ. ახლა ყველაფერი ერთი საათის საქმეა.

— გმადლობთ, ამ საქმეში თქვენს მითითებებს არ ვსაჭიროებთ. — კაპიტანმა გადაწერილი ნომერი შეამოწმა და სიგარეტის კოლოფი ოთარს დაუბრუნა. ოთარმა, სანამ კოლოფს ჯიბეში ჩაიდებდა, ერთი ღერი სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა.

— კიდევ ერთი კითხვა, თქვენი ვინაობა და სამუშაო ადგილი.

ოთარ ნიკარაძემ პასუხად პირადობის მოწმობა ამოიღო და კაპიტანს გაუწოდა. კაპიტანმა მოწმობა გაშალა, სურათს დახედა, მერე ოთარს შეხედა და წიგნაკი ოპერატიულ მუშაკს მისცა. ოპერატიულმა მუშაკმა რაც საჭირო იყო ყველაფერი გადაწერა და მოწმობა ისევ ოთარს დაუბრუნა.

— ახლა ამ ჩანაწერზე მოგვიწერეთ ხელი.

ოთარმა ჩანაწერი სწრაფად გადაიკითხა და ხელი მოაწერა.

— ხვალ ალბათ გამოგიძახებთ.

— ბატონი ბრძანდებით! — ოთარმა თავი დაუქნია და პირადობის მოწმობა ჯიბეში ჩაიდო.

კაპიტანი და მისი თანაშემწე მანქანაში ჩასხდნენ. ჭათ უკან მოტოციკლეტით მიჰყვნენ ოპერატიული მუშაკები. ექიმს და რამდენიმე მილიციელს გვამი უკვე სასწრაფო დახმარების მანქანაში დაესვენებინათ.

ოთარ ნიკარაძე სწრაფად გაშორდა იქაურობას.

„ჯორჯიაშვილის სამი“, — რატომღაც ისევ გაიმეორა გულში და საშინელმა სურვილმა მოუარა ჯორჯიაშვილის ქუჩაზე წასულიყო: ამ დროს ტაქსმა ჩამოიარა. ოთარმა ხელი აუწია. შოფერმა მუყაოს წარწერაზე ანიშნა, სავუშაო დრო დამიმთავრდა და გარაჟში მივდივარო.

ოთარს მანქანის ნომერი კარგად ახსოვდა, მაგრამ სიგარეტის კოლოფს მაინც დახედა, კრძო მანქანის ნომერი იყო. „ისინი ალბათ არ იცნობდნენ ერთმანეთს, ვინ იცის, იქნებ ქუჩაში წასჯახებიან კიდეც ერთმანეთს და ბოდიშიც მოუხდიათ. იქნებ სტადიონზეც მჯდარან გვერდიგვერდ და უსაუბრიათ კიდეც. ან იქნებ ტრამვაიში, ან

გურამ ფანჯიკიძე
თვალი კატიოსანი

კინოთეატრის სალაროებთან ჩაუხედავთ ერთმანეთისთვის თვალებში. მაშინ არც ერთს აზრად არ მოსვლია, რომ გაიელოდა დღეები და ერთი ჩვენელი გახდებოდა, მეორე კი მისი მსხვერპლი".

ჯორჯიაშვილის ქუჩაზე იოლად მონახა სანი ნომერი. პატარა, მყუდრო ეზოში ორსართულიანი სახლი იდგა. ქვედა სართული თითქმის ქუჩის პირისპირ იყო. სწორედ მის კარებზე ეწერა „ე. ალექსიძე". ოთარმა წარწერა წაიკითხა თუ არა, ისევ ქუჩაში გამოვიდა. ფანჯრები ქუჩის მხარეს იყო მოქცეული. ერთი ფანჯრიდან მკრთალი შუქი გამოდიოდა. ოთარი ფანჯარასთან ფრთხილად მივიდა. ახალგაზრდა ქალი მაგიდასთან იჯდა და რაღაცას ქსოვდა. მაგიდის ნათურა ოთახს ოდნავ ანათებდა. ნათურას თავზე ლიფონის ქუდი ჰქონდა გადახურული და სინთეზიატკაზე ნახევარწრედ იყო გაშლილი. მაგიდაზე ორი თეფში იდგა. ზემოდან თეთრი ტილო ჰქონდა გადაფარებული. დიდი მიხვედრა არ უნდოდა, ქალი ქმარს ელოდებოდა. ქალი ხის უბრალო სკამზე იჯდა. შიშველი ფეხები პატარა სამფეხა სკამზე ჰქონდა შემოდებული. ფანჯრის მახლობლად ხის ფართო საწოლზე ორ ბავშვს ეძინა. ოთახვე გოგონა იყო. უფროსი ხუთი წლისა თუ იქნებოდა, უმცროსი ორი წლით პატარა.

ქუჩაში უცებ მანქანამ გაიარა. ქალმა ქსოვა შეწყვიტა, ფეხები ქოშებში წადგა და სმენად იქცა. მანქანამ გაუჩერებლად ჩაიქროლა. ქალმა ისევ განაგრძო ქსოვა. ამ პატარა, მყუდროებითა და სიმშვიდით სავსე ოჯახში ჯერ არავინ იცოდა, მათ თავზე რამოდენა უბედურება დატრიალდა.

ოთარი ფრთხილად, მაგრამ სწრაფად მოშორდა ფანჯარას და ქუჩაში თავქვე დაეშვა. უჩვეულოდ სწრაფად მიდიოდა. ძალი გაეფრთხა, მაგრამ დაღლილობას გრძნობდა და შინ მიეჩქარებოდა. ჯიბრზე მანქანაც არსად ჩანდა. ცდილობდა, ყველაფერი დაეეიწყებინა, რაც დღეს გადახდა. უნდოდა ფიქრი მანანაზე გადაეტანა, მკერდზე ეგრძნო ქალის ნაზი, მოქნილი თითები. ნუთუ დღეს მოხდა ეს ყველაფერი! ნუთუ სულ რამდენიმე საათში. უფრო ზუსტად რაღაც რვა საათის მანძილზე განიცადა ამდენი რამ? ეგონა, ითელი წელიწადი გავიდაო.

როგორც იქნა, თავის ქუჩაზე გადაუხვია. ლოგინის გახსენებაზე ტანში ქრუანტელმა დაუარა. ახლა ერთი ფეხმაგი გაშლა ყველაფერს ერჩია, უფრო სწორად, უნდოდა მალე დასძინებოდა, იქნებ სისხლში ამოსვრილი მუშის გვამი როგორმე დაეეიწყებინა.

სადარბაზო შესასვლელამდე ხუთი ნაბიჯიღა რჩებოდა. უცებ რეეოლვერმა იტეტა და ოთარის წინ, ორი მეტრის მოშორებით კედლიდან ცემენტი ჩამოინგრა.

ოთარ ნიკარაძე ადგილზე გაქვავდა. შეშინდა, წინ ფეხი ვეღარ წადგა. სროლის შემდეგ საოცარი სიჩუმე ჩამოწვა. მხოლოდ საკუთარი გულისცემა ესმოდა. ყურებიც უცნაურად უწიოდა. მერე თითქოს ნაბიჯების ხმა ჩაესმა. ეს ხმა სულ მალე მიწყდა. ოთარი მიხედა, მოპირდაპირე შენობის სადარბაზოდან ისროლეს. ის სადარბაზო პარალელური ქუჩის მხარესაც გადიოდა.

„გამოვედევნო?" — გაიფიქრა უნებურად, მაგრამ უმალვე გადაიფიქრა, თუკი ეს წინასწარ მომზადებული თავდასხმა იყო და რაიმე კავშირი ჰქონდა დღევანდელ შემთხვევასთან, ასე ბრმად გამოდევნება სისულელე იქნებოდა.

სროლის ხმაზე არავის გამოუხედავს. ეს ოთარს ესიამოვნა კიდეც. ორი ნაბიჯი გადადგა და იმ ადგილს დახედა. სადაც ტყვია მოხვდა. დაახლოებით ადამიანის მუხლის სიმაღლეზე ცემენტი მრგვალად იყო ჩამონგრეული.

„რას ნიშნავს ეს? იქნებ გამაფრთხილეს დღეანდელი შემთხვევის გამო? თორემ როდის იყო მოსაკლავად გამეტებულ კაცს ასე დაბლა ესროდნენ და თანაც ორი მეტრით აცილებდნენ? ალბათ არ იციან, რომ მანქანის ნომერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე მივეცი გამომძიებელს! მაგრამ თუ ეს სროლა რაიმე კაუბრშია დღეანდელ ამბავთან, ამით ხომ კიდევ ერთი დამატებითი კვალი დატოვეს?“

ოთარ ნიჟარაძეს რატომღაც ის უსიამოვნო სახის კაცი გაახსენდა, კაპიტანს რომ შეეპასუხა.

ოთარმა ერთხანს კიდევ უყურა ნატყვიარ ადგილს, მერე ტყვიას დაუწყო ძებნა, ბოლოს მიხვდა, ხეებში მალული ლამპიონების შუქზე არეკლილი ტყვიის ძებნა უიმედო საქმე იყო და კიბეს აუყვა.

„თუ კი დამნაშავე ასე იოლად ტოვებს კვალს, იგი ან შტერია, ან რაღაცის უსაზღვრო იმედი აქვს“, — დაასკვნა ოთარმა.

თავი მერვე

თამაზ იაშვილმა ვერც კი შენიშნა, გვერდით რომის ამოუდგა დაბალი, ჭსუქანი, ღაღადაჟა კაცი. ვერც ის გაიხსენა, ამ კაცს საიდან იცნობდა. თუმცა მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ სადღაც ენახა, საიდანღაც ახსოვდა. ბოლოს მისი მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკიდან დაასკვნა, რომ მათემატიკოსი იყო. თამაზი უცნობის ლაპარაკს ყურს ნაწყვეტ-ნაწყვეტ უგდებდა, თან სახეზე აკვირდებოდა. კაცს სქელი, ფეროვანი ტუჩები სასაცილოდ უცამცუნებდა. სიტყვის დასასრულს ბგერებს შიშინით გამოჰყოფდა.

თამაზს სურვილმა მოუარა, უცნობისათვის ეთქვა, ცბა უფრო ფართოდ გახსენი, ენით კბილებს ნუ აწვებიო.

— სამწუხაროა, ძალიან სამწუხაროა! — დაასკვნა ბოლოს ლოყაწითელამ და სინანულის ნიშნად თავი გაიქნია.

თამაზ იაშვილს ყურში მოხვდა უკანასკნელი სიტყვები და გაახსენდა, რომ ღაღადაჟამ ეს ფრაზა თითქმის მეექვსედ თუ მეშვიდედ გაიმეორა. არც ერთხელ ანგარიში არ გაუწევია, უცნობი რატომ იმეორებდა ამ სიტყვებს ასეთი დაჟინებით.

— რა არის სამწუხარო? — ჰკითხა მოულოდნელად.

ლოყაწითელა დაიბნა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და გაოფლილი შუბლი მოიწმინდა.

— დიახ, სამწუხაროა თქვენი ამბავი. ნამდვილად ვერ მოგექცათ კარგად ბატონი ნიკო კაკაბაძე.

— ახ, მაგაზე ამბობდით? — გაიღიმა თამაზს. ახლაღა მიხვდა, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ეს უცნობი თუ ნაცნობი კოლეგა თანაგრძნობას უცხადებდა. — რა მოხდა, უარესებიც ხდება ხოლმე.

— კი, როგორ არ ხდება, მაგრამ... თქვენ ძალზე ნიჭიერი მათემატიკოსი ბრძანდებით. ახალგაზრდა კაცი ხართ. წინ დიდი მომავალი გაქვთ... — ღაღადაჟა ერთბაშად შეჩერდა, ირგვლივ მიმოიხედა. მერე ფეხისწვერებზე შედგა, ტუჩები ყურთან მიუტანა და საიდუმლოებით გაჟღენთილი ტონით უთხრა. ბატონ ილიას სურს თქვენთან საუბარიო.

— ვის? — ვერ მიხვდა თამაზი.

— ბატონ ილიას, პროფესორ ილია დიდიძეს!

— ახ, ბატონ ილიას! — მიხვდა თამაზი.

— დიახ, ბატონ ილიას. იგი თქვენ დიდ პატივს გცემთ. თქვენი ნიჭისა სჯერა. ძალიან ეწყინა, ის სამწუხარო ამბავი რომ გაიგო.

„ვითომ?“ — გუნებაში გაიცინა თამაზმა. მაგრამ ხმა არ ამოუღია.

— თუ თქვენი სურვილიც იქნება, ის ახლა უნივერსიტეტის მათემატიკის კაბინეტშია. ზუსტად ახლა თავისუფალია. ორსაათიანი ფანჯარა აქვს.

— ასე პირდაპირ მივადგე? — თამაზ

გურამ ფანჯიკიძე
თვალი პატიოსანი

იაშვილმა თავი ასწია და „ზარია ვოსტოკას“ ფირნინში დაინახა. ძალიან გაოცდა. აქ ხომ ჯერ კიდევ ათი წუთის წინ იყო, ვერც კი გაიგო, როდის გაჩერდნენ ერთ ადგილზე.

„ნუთუ ასე გავერთე საუბრით?“ — თამაზმა უცნობი დაკვირვებით შეათვალიერა. მაგრამ მაინც ვერ გაიხსენა, სად ენახა.

„ალბათ არსად არ მინახავს, — დაასკვნა ბოლოს, — თორემ ამ კაცის დაკვიწყებას, გულითაც რომ მომენდომებინა, ვერ შეეძლებდი“.

— თქვენ რატომ მიადგებით. მას თვითონ სურს თქვენთან საუბარი. რასაკვირველია, თუკი პატივს დასდებთ. ბატონმა ილიამ პირადად მე დამავალა თქვენი მონახვა.

— კი ბატონო, სიამოვნებით. თუკი მას ჩემი ნახვა სურს, მე ყოველ წუთს მზად ვარ.

— ბატონი ილია თქვენს ნიჭს ძალიან აფასებს. რაკი თქვენ თანახმა ბრძანდებით, დროს ნუღარ დაკარგავთ. ჰირდაპირ უნივერსიტეტში წავიდეთ.

●

მათემატიკის ლაბორატორიაში ორნი იყვნენ, პროფესორი ილია დიდიძე და თამაზ იაშვილი. თამაზი გრძელ მერხზე იჯდა. პროფესორი კი მის პირდაპირ, სკამზე. პროფესორს ფეხი ფეხზე შეეოვდო და ჭაბუკს მზრუნველი ღიმილით მისჩერებოდა. დიდიძე იჯდა, მაგრამ იოლი შესამჩნევი იყო მისი უპროპორციო ტანი, მოკლე ფეხები და ხელები.

თამაზ იაშვილი პროფესორს ხან სახეში შესჩერებოდა, ხან მსუქან, კოტიტა თითებზე აკვირდებოდა. ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, რატომ მოისურვა ბატონმა პროფესორმა მასთან საუბარი. ილია დიდიძეს შორიდან იცნობდა. ორმოცდაათი წლის პროფესორი თავისი გამოკვლევებით მაინცდამაინც ვერ დაიტრაბახებდა, მაგრამ იგი უნარიან და საქმიან კაცად ითვლებოდა თავის წრეში. ილია დიდიძეს არავითარი ხელმძღვანელი თანამდებობა არ ეჭირა. ამას იგი ყოველთვის ხაზგასმულად დაცინვით აღნიშნავდა, თითქოს აბრობდა, ღმერთო, სად არის შენი სამართალიო.

თან ყოველი ფეხის ნაბიჯზე ისეთ განწყობილებას ქმნიდა, თითქოს უახლოეს ხანში რაღაცას ელოდა. ეს რაღაც, რასაკვირველია, კათედრა იყო. მას საოცარი უნარი შესწევდა, საუბარში ოსტატურად შეეპარებინა რაიმე ქვეტექსტიანი ფრაზა. ამ ფრაზაში მომავალი კათედრისა და მისი მომავალი შტატის ბუნდოვანი აბზები იყო ჩაქსოვილი .ამას ილია დიდიძე ისე ოსტატურად აკეთებდა, ისე საქმიანად და, ამავე დროს, ისე სხვათაშორის დაუკავშირებდა რაიმე მოვლენას, ვითომ ეს ყველაფერი სიტყვამ მოიტანაო. მისი გადაკრული ფრაზები რაღაც დაპირებისმაგვარ ნიუანსებსაც შეიცავდა. თანამოსაუბრეს გულში პატარა იმედის ნაპერწკალს გაუღვიძებდა. მერე ოსტატურად სულ სხვა თემაზე გადავიდოდა. ილია დიდიძემ კარგად იცოდა, ასეთი მრავალმნიშვნელოვანი ფრაზები ვისთვის უნდა ეთქვა. შემდეგ ამ ხმის ქალაქში გავრცელება უკვე იმათი საქმე იყო. არავინ იცოდა, ეს კათედრა სად იქნებოდა, უნივერსიტეტში თუ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, აკადემიაში, გამოთვლით ცენტრში თუ რაიმე სხვა დაწესებულებაში. მაგრამ ხალხში უკვე აზრი მწიფდებოდა და ჰთავარი ეს იყო. ილია დიდიძემ კარგად იცოდა, ხალხში ხმის გაშვება და ნიადაგის მომზადება რასაც ნიშნავდა. ისიც შესანიშნავად იცოდა, რომ მისი კოლეგები ამ აზრს ახლავე უნდა გასცნობოდნენ. რასაკვირველია, ჯერ ყურადაც კი არ იღებდნენ, მერე გაიცინებდნენ, მაგრამ თანდათან შეეჩვევოდნენ და ბოლოს შეეგუებოდნენ კიდეც. და მაშინ, როცა თანამდებობა გამოჩნდებოდა, ამ თანამდებობაზე მისი წამოყენება მოუწმიფებელი, გონებასთან შეუგუებელი აღარ იქნებოდა. ხალხი შინაგანად, ქვეშეცნიულად თუ ფსიქოლოგიურად მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინც უნდა ყოფილიყო ამ აზრის არსებობას შეჩვეული.

— ყმაწვილო, მართალია, მე თქვენთან არასოდეს არ მქონია პირადი კონტაქტები, მაგრამ მერწმუნეთ, ყოველთვის მხედველობის არეში მყავდით! — დინჯად დაიწყო პროფესორმა. მას ძლიერ უყვარდა მაღალფარდოვანი ლაპარაკი. სიტყვებს ბეჯითად გამოსთქვამდა, მახვილს ან პირველ მარცვალზე აკეთებდა, ან უკანასკნელზე. ყოველი სამი-ოთხი სიტყვის შემდეგ ტუჩებს მაგრად კუმავდა და მერე ისეთ ხმას გამოსცემდა, თითქოს აღფუფებული ფისის ზედაპირზე ბუშტუკი გასკდაო.

თამაზ იაშვილმა არ იცოდა, ამ ყურადღებისათვის მადლობა უნდა გადაეხადა თუ მხოლოდ ღიმილით გამოეხატა თავისი კმაყოფილება.

— ასპირანტურა დაამთავრეთ, არა?

— ჰკითხა მოულოდნელად დიდიძემ.

— დიახ, ორი წლის წინ.

— მერე, ხარისხი ჯერაც არ დაგიცავთ? — გულწრფელად გაიოცა პროფესორმაც.

— არ დამიცავს და ალბათ კიდევ დიდხანს ვერ დავიცავ.

— კი მაგრამ, ნება მომეცით ჩემი განცვიფრება გამოვხატო! თქვენისთანა ნიჭიერი კაცი, ბუნებისაგან უხვად დაჯილდოებული ტალანტი წლების განმავლობაში უბრალო ასისტენტი უნდა იყვეს! ეს ყოვლად წარმოუდგენელია, ყოვლად შეუწყნარებელია! თუმცა მე ხომ ყველაფერი ვიცი. ვინ შეგიქმნიდა პირობებს სერიოზული მეცნიერული მუშაობისათვის, ვინ გიბიძგებდა და ვინ მოგცემდა დაწინაურების საშუალებას. ეს ხომ ბუნებრივია. არავის არ უნდა, კათედრაზე ჭკვიანი კაცი ჰყავდეს. კაცმა კათედრა ხელში ჩაიგდო და თავისი გაინაღდა. რას ერჩი, ახლა მშვიდი, ტკბილი ცხოვრება უნდა. ჭკვიან, პერსპექტიულ კაცს, როგორც გველს, ისე იშორებენ. ხვალინდელი დღისთვის ზრუნავენ. ხომ შეიძლება ხვალ ადგილში შეეცალო. მით უმეტეს, თუ შენ უფრო ჭკვიანი და გამჭრიახი მეცნიერი ხარ. მე სულ სხვნაირად ავაწყობ საქმეს... — ილია დიდიძემ ჩვეული ოსტატობით გაუშვა მრავალმნიშვნელოვანი ფრაზა, თვალები ჭერს მიაპყრო და დაფიქრდა. თითქოს მოსაუბრეს სამუალება მისცა, მისი ბოლო ფრაზის ქვეტექსტს ჩასწვდომოდა. „ეე სულ სხვანაირად ავაწყობ საქმესო“,— ისე თვითდაჯერებულად ეღერღა, თითქოს კათედრა ეს-ეს არის ჩაბარეს და ახლა მხოლოდ შტატის შექმნაზე იყო მიმდგარი საქმე.

— მე მხოლოდ ახალგაზრდებს ავიყვან კათედრაზე! — პროფესორმა დიდიძემ უცად საკმაოდ აშკარად გამოხატა თავისი ზრახვები. — ჭომავალი ახალგაზრდობისაა. ჩვენ არ გვჭირდება სკლეროტიკი, დიაბეტით დაუძლურებული პროფესორები. ჩვენ შემოქმედებითი ძიებით აღსავსე ახალგაზრდები გვინდა, ენერგიული და ნიჭიერი ახალგაზრდები.

ილია დიდიძე ფეხზე წამოდგა და ბოლთის ცემას მოჰყვა.

— მაშ თქვენ გაიძულეს კათედრა დაგეტოვებინათ. უფრო სწორად, გამოგაგდეს. ეს სიტყვა ნუ გეწყინებათ. მოდით, მოვლენებს ნუ შევალამაზებთ. ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ. დიახ, გამოგაგდეს. გამოგაგდეს იმიტომ, რომ პერსპექტიული მეცნიერი ხართ, იმიტომ, რომ თქვენ სხვა, გონებაჩალუნგი მათემატიკოსივით არ შეგიძლიათ ყველაფერზე თავი უქნიოთ პროფესორ კაკაბაძეს. არა, ამ საქმეს ჩვენ ასე არ დავტოვებთ.

„ვინ ჩვენ“? — გაიფიქრა თამაზ იაშვილმა.

დრო გადიოდა. საუბარი გრძელდებოდა. თამაზმა კი ვერ იქნა და ვერ დაადგინა, ილია დიდიძემ რატომ მოისურვა მასთან საუბარი.

— სადისერტაციო თემა შერჩეული გაქვთ?

ბუბა ფანჯიკიძე
თვალი პატიოსანი

—არა მაქვს. ჯერ არც კი მიფიქრია დისერტაციის დაცვაზე.

— ოო, ეგ არ ვარგა, ასე ვერ იბრძოლებ, ძმობილო! — პროფესორი ერთ ადგილზე გაქვავდა, თავი სინანულით გააქნია, ისევ სკამზე ჩამოჯდა და მერხს მკლავით დაეყრდნო. საუბრისათვის მეტი ინტიმი, შინაურული ხასიათი რომ მიეცა, მხოლობით რიცხვზე გადავიდა.

— ჯერ შენ მთლად ბავშვი ხარ, გამოუცდელი. კაცი ბრძოლას რომ დაამპირებს, ჯერ უნდა შეიარაღდეს. შიშველი ხელებით ბრძოლა ძეხორციელს არ მოუგია. ჩვენი იარაღი დისერტაციაა. უფრო მეტიც — იგი ჩვენი პოზიციაც არის, შენ კი შიშველი ხელებით ბრძოლას როგორ აპირებ? ბაღლინჯოსავით მიგასრისავენ კედელზე. შენ რომ დისერტაცია დაცული გქონდა, განა ასე ოოლად, ხელის ერთი მოსმით გამოგაგდებდა ნიკო კაკაბაძე?

ილია დიდიძემ უკანასკნელი წინადადებები განსაკუთრებით ბეჯითად წარმოთქვა და ბუშტუკებმა მთლად დაფარა ადუღებული ფისის ზედაპირი.

— მე არავისთან ბრძოლას არ ვაპირებ! — გაღიმება სცადა თამაზ იაშვილმა.

— რა გულ-უბრ-ყვი-ლო ყოფილხარ, ყმაწვილო! — გადაიხარხარა პროფესორმა, ჭერე ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და თვალები ამოიწმინდა. — მე ყველაფერი ვიცი, რაც თქვენსა და პროფესორ ნიკო კაკაბაძეს შორის მოხდა. ისიც ვიცი, რომ თვითონ არც კი იკადრა თქვენთან ლაპარაკი, პროფესორ დავით თავზიშვილს აფიქვენინა თავისი სათქმელი. ბატონ დავითზე გული ნუ დაგწყდებათ. იგი პატიოსანი, მაგრამ მშიშარა კაცია. ისიც ვიცი, განცხადება როგორ დაწერეთ. ნიკო კაკაბაძე ჭკვიანი კაცია. მას თქვენი ნიჭისა სჯერა და წინდახედულებასაც იჩენს, ხომ შეიძლება მომავალში კიდეე შეხედეთ ერთმანეთს. ამიტომაც ვითომ შეგიბრალათ და კი არ გაგაგდოთ, აკადემიაში ვიღაც უმცროს მეცნიერმუშაკზე გადაგცვალათ. განა ავიდ-ჩამოსვლები შეურაცხყოფა მოგაყენათ? განა თქვენ ჭადრაკის ფიგურა ხართ, რომ სადაც მოეპრიანება, იქ გადაგაგდოთ? — ილია დიდიძემ ისევ გააკეთა პატარა პაუზა, ახალგაზრდა მათემატიკოსს ისევ მისცა საშუალება ამ ვერაგობათა ლაბირინთში კარგად გარკვეულიყო. მერე მერხიდან ხელი აიღო, სკამის საზურგეს მიეყრდნო. ფეხი ფეხზე შემოიდო და ისევ მხოლობით რიცხვზე გადავიდა — როგორც ალბათ უკვე დარწმუნდი, მე ყველაფერი ვიცი. ბრძოლას არ ვაპირებო, განმიცხადე წეღან. შენ სიმართლე თქვი. იცი თუ არა, ყმაწვილო, რომ სიმართლის თქმა უკვე ბრძოლაა? ამ ბრძოლაში კი ვინ დამარცხდა? შენ. რატომ? იმიტომ რომ ჭიბოზეი არ გაგაჩნია, ძალა არა გაქვს. შენი ნიჭი არავის აინტერესებს. იგი ჯერ ახალადმოყრილ კვირტსა ჰგავს. ამ კვირტს ძირშივე ამოიღებენ, გაფურჩქვნას არ აცლიან. განა ამის ცოტა მაგალითი გაქვს თვალწინ? თქვენ უკვე მტერი შეიძინეთ, თანაც, გულახდილად გეტყვით, საკმაოდ ძლიერი, გამოცდილი და ვერაგი მტერი. — ილია დიდიძე ისევ თქვენობითზე გადავიდა, უნდოდა ნათქვამისათვის მეტი სერიოზულობა მიეცა. — მან ბოლომდე ვითომ მაინც არ გაგწირათ. აკადემიაში გადაგაგდოთ. როგორ გგონიათ, ნიკო კაკაბაძე იქ კი მოგცემთ საშუალებას, ფეხი მოიკიდოთ, თქვენს გზას ეწოოთ და მოღონიერდეთ? არა, ძმობილო! თქვენ თუ ასე ფიქრობთ, ვერაფერს ვერ მიაღწევთ ცხოვრებაში.

ილია ფეხზე წამოდგა და ისევ ბოლთის ცემას მოჰყვა.

„ასე დაწვრილებით საიდან იცის ჩემი ამბები?“ — გაოცებას ვერ მალავდა თამაზი. თან მის უპრობორციო, მაგრამ ენერგიითა და მოუსვენრობით სავსე სხეულს აკვირდებოდა.

პროფესორის უსიამოვნო სახე კმაყოფილებით იყო სავსე. იგი თავისი საუბრით, თავისი ცხოვრებისეული დაკვირვების ზუსტ, მათემატიკურ ფორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მულებში მოქცევით, ენით აუწერელ სიამოვნებას გრძნობდა და ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ახალგაზრდა კოლეგაზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა.

— მაშ, შენ ახლა არაფერზე არ მუშაობ? არავითარი პრობლემისათვის არ მოგიკიდია ხელი? — შეეცალა საუბარის თემა პროფესორმა და მხოლობით რიცხვზე გადავიდა.

— როგორ არა. მე ჩაკეტილი მრავალწახნაგების ცალსახა განსაზღვრების პრობლემებზე ვმუშაობ.

— ჩაკეტილი მრავალწახნაგების? — გაოცება ველარ დფარა პროფესორმა, მერხთან მივიდა და იაშვილს თვალებში ჩახედა.

— დიახ.

— მერე შედეგები გაქვთ რაიმე საინტერესო?

— ჯერჯერობით არაფერი.

— იცით, რას გეტყვით, ძმობილო! შეეშვით ამ ცალსახა განსაზღვრების პრობლემებს! ის რომ ამოსახსნელი ყოფილიყო, ოვითონ კოში ამოხსნდა მეცხრამეტე საუკუნეში. მე, როგორც შვილს და როგორც კოლეგას, ერთ რამეს გირჩევთ. აიღე იოლი თემა, აიღე რაიმე ადამიანური პრობლემა, რომელსაც შენისთანა ნიჭიერი კაცი ერთ წელიწადში მოუგზრახს კისერს. მე ვიბრძოლებ, რომ ერთწლიანი შვებულება მოგაცენ, მოსკოვში გაგგზავნონ. თვით პროზიდენტთან შეველ. დიახ, პრეზიდენტთან შეველ და ამ საქმეს აუცილებლად მოვაგვარებ. გაძლევ პატიოსან სიტყვას. მე ნიჭიერი ახალგაზრდები მიყვარს და ყველაფერს ვიღონებ, რომ მათ გზა გავუკაფო. ნიჭიერი კაცის აბუჩად აგდებას და გასრესას არავის დაგა-ნე-ბებ! — პროფესორმა ბოლო სიტყვა ხაზგასმულად დამარცვლა და ყოველ მარცვალზე მერხს რიტმულად დაჭკრა ხელი. მერე ისევ შეტრიალდა, სამი ნაბიჯი გადადგა, უცად მკვირცხლად შემობრუნდა და თამაზ იაშვილს ჯიქურ ჰკითხა.

— ახლა რას აპირებ?

— რას უნდა ვაპირებდე?! — დაიბნა თამაზი.

— როგორ, გინდათ ეგ თქვენი გათელვა, აბუჩად აგდება სრულიად უმტკივნეულოდ, ხახვივით შეარჩინთ თქვენს პატივცემულ პროფესორს?

თამაზმა თვალი გაუსწორა ილია დიდიძის აღგზნებულ თვალებს, თითქოს გონება გაუნათდა, ყველაფერს მიხვდა, ყველაფერი დღესავით ნათელი გახდა. თავის თავზე გული მოუვიდა, როდემდე უნდა ვიყო ასეთი გულუბრყვილოო. განა სასაცილო არ იყო იმის გაფიქრებაც კი, რომ ილია დიდიძეს ნიჭიერი ახალგაზრდის ბედი აწუხებდა? განა დასაჯერებელი იყო, რომ მან მართლაც იცოდა რაზე ახალგაზრდა კოლეგის ნიშსა და პიროვნებაზე? თამაზ იაშვილის სახელი და გვარი პირველად ალბათ მაშინ გაიგონა, როცა ის უსიამოვნება შემთხვა კათედრის გამგესთან. ან ასე დაწვრილებით საიდან იცოდა ყველაფერი? ალბათ ერთ-ერთმა იმათგანმა ჩაუკაკლა, დილიდან საღამომდე რომ თვალებში შესცინინებენ პროფესორ კაკაბაძეს.

თამაზი აქამდე აფეთქდებოდა, მაგრამ მის სიბრაზეს საშინელი ცნობისმოყვარეობა ამუსრუტუნებდა. უნდოდა ბოლომდე მოესმინა მისი რჩევა-დარიგებანი, უნდოდა ბოლომდე გარკვეულიყო მის ბნელ ზრახვებში, უნდოდა ბოლომდე დაენახა, პროფესორი ილია დიდიძე როგორ ცდილობდა ჩაწინდულ ახალგაზრდაში ზიზღი და შურისძიების გრძნობა ჩაენერგა, მერე კი თავისი მიზნებისათვის გამოეყენებინა.

— აბა მე რა უნდა ვქნა, მე რა შემიძლია. — თქვა თამაზმა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ. როგორც იქნა მღელვარება დასძლია და პროფესორს საქმაოდ მშვიდად შესცქეროდა.

— ჩვენ შეგვიძლია, ყმაწვილო, ჩვენ შეგვიძლია. ოღონდ შენი დახმარებაცაა საჭირო. ჩვენ უსამართლოს არაფერსა

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ა ბ ა ბ ა ნ ი ძ ე
თ ვ ა ლ ი ნ ა ბ ი ლ ი ს ა ნ ი

ეროვნული

გთხოვთ. შენ, ნიჭიერი და დიდი, უფრო ტეტიც, ბრწყინვალე მომავლის მქონე მეცნიერი კათედრიდან გამოგაგდეს, გაგთელეს, გაგსრისეს, საარსებო გზები მოგიჭრეს, თავმოყვარეობა შეგიგინეს. მერე ვითომ შეგიცოდეს და ვიღაცაში გაგაცვალეს. მერედა რისთვის? მხოლოდ იმისთვის, რომ სიმართლე თქვი. ესე იგი სიმართლის გაღლისთვის, სიმართლის თქმის გულისთვის გაგწიეს. შენ ამას ყველაფერს დაწერ. დაწერ ორ ცალად. ერთს რექტორის სახელზე შეიტან ყოფილ ინსტიტუტში, მეორეს პრეზიდენტის სახელზე გაგზავნი აკადემიაში. ყველაფერი დაწვრილებით უნდა დაწერო. იცოდე, დუმილი დანაშაული იქნება შენის მხრივ.

— კი მაგრამ, მაინც რა უნდა დავწერო?

— რა და ის, რაც შენ მოგიწყვეს. მაგრამ მარტო ეს როდი კმარა. ზუსტად აღწერე, რაც კათედრაზე ხდება. არავითარი ტყუილი, მხოლოდ სინამდვილე. შენ ასეთ ამბებში ცოტა გამოუცდელი კაცი ხარ და შეიძლება ყველაფერი კარგად არ იცი, არ შეგიმჩნევია. ამაზე არ იდარდო, ჩვენ მოგეხმარებით, ჩვენ დაგწერინებთ. ეგ ვაგბატონი საშემოდგომოდან, არჩევნებზე, წევრ-კორესპონდენტობას უმიზნებს. ვერ მივართმევთ. აკადემიკოსობა კი არა, კათედრიდანაც ავუკრავთ გუდა-ნაბადს. შენ არ შეგეშინდეს. მარტო როდი იქნები. ან იქნებ გვონია, ამ ბრძოლაში მარტო შენი წერილის იმედი გვაქვს. იცოდე, შენ აუცილებლად უნდა დაბრუნდე მაგ კათედრაზე. ხალხს პასუხი უნდა აგებინო შენი აბუჩად აგდებისათვის, გათელვისათვის, გასრესისათვის.

„აბუჩად აგდებისათვის, გათელვისათვის, გასრესისათვის", უკვე მერამდენედ იმეორებს ამ სიტყვებს. თანაც [illegible] გამაღიზიანებელი, დამცინავი კილოთი, რომ უფრო გამაგიჟოს, ბოლმით ამავსოს".

ახლა კი უმტყუნა ნერვებმა ახალგაზრდა მათემატიკოსს.

— მე თქვენ ვინ გგონივართ! — ხმადაღლა, მაგრამ კბილებში გასცრა იაშვილმა.

— რა ბრძანეთ? — ვერ გაიგო აზარტში შესულმა პროფესორმა.

— მე თქვენ ვინ გგონივართ!— აეწია ხმას იაშვილმა და აკანკალებული ფეხზე წამოდგა.

ილია დიდიძეს ხმა ჩაუვარდა, მსუქანი, ქანგისფერი სახე ერთბაშად გაუნაცრისფრდა. მერე ნელ-ნელა უკან, პატარა მაგიდისაკენ დაიხია, სადაც მისი წიგნებით გამოტენილი ახალთახალი ყავისფერი პორთფელი იდო.

ჩანთის სახელურს ხელი მოავლო, თამაზ იაშვილის აკანკალებული ყბისათვის თვალი არ მოუშორებია. მერე უეცრად შეტრიალდა და გასასვლელს მიაშურა.

— მე თქვენ ვინ გგონივართ! — მთელი ძალით იყვირა შეურაცხყოფილმა ჭაბუკმა და სიმშრისაგან ორთავე მუშტი მთელი ძალით დაჰკრა მერხს.

ილია დიდიძემ ამ დროს კარი სანახევროდ გამოაღო და თამაზს მიუბრუნდა.

— ვინ მგონიხარ და გიჟი, გადარეული. მისი მამა ვაცხონე, რომ დროზე გამოგაპარნურა.

თამაზი გაშეშებული იდგა. კარის ჯახუნი ისე ჩაესმა, თითქოს ტვინში კეტი ჩაარტყესო. უნებურად თვალები დახუჭა, ისევ მერხზე დაეშვა და თავი მკლავებში ჩარგო.

თავი მეცხრე

აკადემია თავიდანვე მოეწონა თამაზ იაშვილს. მათემატიკის ინსტიტუტის კორპუსი დიდი და ნათელი შენობა იყო. უზარმაზარ მზიან ოთახებში, მყუდრო ბიბლიოთეკებსა და ლაბორატორიებში სიჩუმე და საქმიანი ატმოსფერო სუფევდა. დერეფანსა თუ ოთახებში რატომღაც ყველანი ფეხაკრეფით დადი-

ოდნენ და ერთმანეთის ღიმილით ესალმებოდნენ. ლაპარაკითაც ჩუმად ლაპარაკობდნენ, თითქმის ჩურჩულებდნენ. თითქოს ეშინოდათ, ძველებურ, მძიმე შენობაში გამოფებული სიმშვიდე და მყუდროება არ დაერღვიათ. სქელი, ძველებური აგურით ნაგები კედლები, მძიმე, მიჩუქურთმებული, მუქი ყავისფერი კარები, სქელი, გამოყვანილი ხის მოაჯირები და უბადლო ოსტატობით დაგებული მუხის პარკეტი რაღაც ღიდებული ზეგადალნის ახდენდა ადამიანებზე და ერთგვარ მოკრძალებას ენერგავდა გულში.

მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი, მოხუცი, თმაგათეთრებული აკადემიკოსი დავით ბოცვაძე ბუნებით მშვიდი კაცი იყო. მთელი გონება, ტვინის ყველა უჯრედი ალბათ მათემატიკით ჰქონდა გაყიდნინილი. ძალიან უყვარდა ნიჭიერი ახალგაზრდები და თამაზ იაშვილს დიდი ხალისით შეხვდა. ახალ თანამშრომელს ერთ მყუდრო ოთახში მიუჩინა ადგილი. მყუდრო ოთახი პატარა ბალს გადასცქეროდა. ოთახში თამაზთან ერთად ლაბორატორიის უფროსი ალექსანდრე კობიძე იჯდა. ლაბორატორიის უფროსს მას მხოლოდ თავაზიანობის გულისთვის ეძახდნენ. სინამდვილეში მხოლოდ უბრალო მეთვალყურე იყო და მეტი არაფერი.

თამაზ იაშვილზე თავიდანვე უცნაური შთაბეჭდილება მოახდინა ალექსანდრემ. პირველი, რამაც თამაზი გააოცა, იყო ის, რომ ალექსანდრემ მისალმებაზე არ უპასუხა. შემდგომ ალექსანდრემ სხვა რამითაც მიიპყრო იაშვილის ყურადღება — კობიძე ხანდახან თავისთვის ლაპარაკობდა, გაუგებრად ბუტბუტებდა და ყბა უკანკალებდა. უბრალო გაზმაურებაზე ან კარის მოულოდნელ გაჯახუნებაზე კრთებოდა და აქეთ-იქით ნერვიულად იცქირებოდა.

თამაზმა მალე აუღო ალღი ალექსანდრეს. დილით, როცა ოთახში შევიდოდა, გამარჯობას მაინც ამბობდა. ამბობდა ისე, სხვათა შორის. კარგად იცოდა, ალექსანდრე მაინც არ გამოეპასუხებოდა სალამზე. ის მაინც ყოველ დილით, კარს შეადებდა თუ არა, ხმადაბლა იტუტუნებდა ყოდა, დილამშვიდობისაო. თამაზ იაშვილს, უბრალოდ, არ შეეძლო ოთახში შესულიყო და იქ მყოფი ადამიანისათვის სალამი არ ეთქვა. შემდეგ მაგიდას მიუჯდებოდა და მუშაობას იწყებდა. როგორ განსხვავებებდა აქაური მყუდრო გარემო ინსტიტუტის აურზაურისაგან. თავს წმინდა მათემატიკურ სამყაროში გრძნობდა.

მეორე თუ მესამე დღეს ინსტიტუტის დირექტორმა დაიბარა. მოხუცი აკადემიკოსის თეორი თავი სასაცილოდ მოჩანდა მაგიდის ორთავე მხარეს ახორციელებულ წიგნებსა და ფურცლებს შორის.

— ყმაწვილო, ლაბორანტი გამიხდა ავად და გაანგარიშებაში მომეხმარე. — თქვა ისე, რომ ქალალდებიდან თავი არ აუღია, თან ხელი იქით გაიშვირა, სადაც არითმომეტრი ეგულებოდა.

თამაზ იაშვილმა არითმომეტრს შეხედა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა. აკადემიკოსი ისევ ფურცლებს ჩასჩერებოდა და რაღაცას ანგარიშობდა. თამაზი მის სახეს აკვირდებოდა. დავით ბოცვაძე შეუხედავი კაცი იყო, თუმცა თეორი თმა და სათვალე დარბაისლურ იერს აძლევდა. აკადემიკოსს ძალზე ჭკვიანური, მეტყველი თვალები ჰქონდა. როცა დავით ბოცვაძე თვალს გაუსწორებდა, თამაზს ეგონა, რომ იგი თვალის კაკლებიდან კი არა, უფრო შორიდან, საოცარი სიღრმიდან იცქირერებოდა, სწორედ ეს თვალები აძლევდა ელფერს მთელ მის სახესა და სხეულს, როგორც მხატვრის მიერ მიგნებული ორი უმთავრესი, დამახასიათებელი შტრიხი.

— მე მგონი უკვე გითხარიო, არითმომეტრი მოიმარჯვეთ-მეთქი! — თავი ასწია დავით ბოცვაძემ და თამაზს სათვალეს ზემოდან შეხედა.

თამაზმა არითმომეტრი წინ დაიდგა.

— აბა 725-ჯერ 327! — თქვა აკადემიკოსმა და პასუხის მოლოდინში ისევ სათვალეს ზემოდან შეხედა ახალგაზრდა მათემატიკოსს.

— 237.075. — იმავე წამს შეაგება თამაზ იაშვილმა, არითმომეტრისათვის ხელი არ უხლია.

დავით ბოცკაძემ უნდობლად შეხედა იაშვილს, ცოტა ხნის დუმილის შემდეგ არითმომეტრი თვითონ დაიდგა წინ და იანგარიშა. როცა იგივე პასუხი მიიღო, სათვალე მოიხსნა, თამაზს დაუშტერდა. აკადემიკოსმა ბევრი კლასიკური ხერხი იცოდა სწრაფი გამრავლებისა, მაგრამ სამნიშნა ციფრების ასეთი ელვისებური გამრავლება მხოლოდ მათემატიკური ხერხებითა და ციფრთა საოცარი კანონზომიერებებით შეუძლებლად მიაჩნდა.

— თქვენ შეგიძლიათ ოთხნიშნა ციფრებიც ასეევე სწრაფად გადაამრავლოთ?

— ეგ ხომ ძალიან ადვილია.

— კადევ რა შეგიძლიათ იანგარიშოთ? — მოხუცი აკადემიკოსი ადგილზე ვეღარ ისვენებდა. საოცარმა მღელვარებამ შეიპყრო. ამდენი წლების მანძილზე პირველად ხედავდა კაცს, რომელსაც ასეთი სწრაფი ანგარიში შეეძლო.

— რაღაც-რაღაცეები შემიძლია, აბა, რომელი გითხრათ! — მორცხვად გაიღიმა თამაზმა.

— მაინც, მაინც!

— შემიძლია რამდენიმე წამში ორნიშნა რიცხვი ავიყვანო კვადრატში და შემდეგ მივიღო მისი მეათე ხარისხი.

— რას მელაპარაკებით. ეს შეუძლებელია! — აკადემიკოსი ყურმილს დასწვდა, პირველი ციფრი აკრიფა კიდეც, მაგრამ მერე გადაიფიქრა, ყურმილი ისევ ბერკეტზე დადო. შემდეგ წინ გაშლილი ფურცლები პორტფელში ჩადო და უჯრაში რაღაცას დაუწყო ძებნა. თან გამუდმებით ბუტბუტებდა:

— შეუძლებელია, ნამდვილად შეუძლებელია.

ბოლოს მან რაღაც წიგნი იპოვა, სასწრაფოდ გადაფურცლა, რომელიღაც გვერდზე გაჩერდა და თამაზს იაშვილს ისევ სათვალის ზემოდან შეაჭვიტა ყურადღებით.

— თქვენ შეგიძლიათ ამოიღოთ კუბური ფესვი ექვსნიშნა ან რვანიშნა ციფრიდან?

— შემიძლია.

აკადემიკოსი ჭაბუკს ერთხანს კიდევ მისჩერებოდა დაჟინებით, მერე წიგნში ჩაიხედა და ციფრი დაასახელა.

— მაშინ ამომიღეთ კუბური ფესვი 3.796.416-დან.

თამაზმა ციფრი გაიმეორა, თავი დახარა და თვალი რაღაცას გუშტერა. აკადემიკოსმა საათს დახედა. წამზომმა მხოლოდ ოცწამიანი მონაკვეთი გაიარა და თამაზმა თავი ასწია.

— ეს ორმოცდათექვსმეტი.

— ყოჩაღ, სწორია.

— ეს ხომ არც ისე ძნელია.

— მაშინ მე მოგცემ უფრო რთულ ამოცანას, — აკადემიკოსი ისევ წიგნს ჩაეჩერდა, — მომინახეთ რიცხვი, რომლის კვადრატულ და კუბურ ფესვებს შორის სხვაობა იქნება თვრამეტი. ყმაწვილო, ეს უკვე მესამე ხარისხის განტოლებაა.

— შევეცდები ამოვხსნა!

თამაზმა თავი ისევ დახარა და ისევ ერთ ადგილს ჩაშტერდა. აკადემიკოსმა წამმზომს დახედა. მერე სათვალის ზემოდან ახალგაზრდა მათემატიკოსის დაძაბულ სახეს ყურადღებით დააკვირდა. იგი გრძნობდა, რომ თამაზ იაშვილის არსებაში რაღაც რთული აპარატი მუშაობდა. ახალგაზრდა მათემატიკოსს ისეთი გამოხედვა ჰქონდა, თითქოს რაღაც დიდი სიხარულისა და მღელვარების გამომჟღავნებისაგან თავს იკავებსო. თვალები, ერთ ადგილზე დაშტერებული თვალები კი გაპფართოებოდა და უცნაურად უბრწყინავდა.

თამაზმა თავი ასწია და მშვიდად თქვა:

— 729.

აკადემიკოსმა საათს დახედა. მხოლოდ ორი წუთი და ოცდათხუთმეტი წამი იყო გასული.

— წარმოუდგენელია! — დავით ბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვაძე ფეხზე წამოიჭრა, გაიარ-გამოიარა. მერე ისევ დაჯდა.

— ხომ არ დაიღალეთ!

— არა.

— მაშინ კიდევ ერთ ამოცანას მოგცემთ.

— სიამოვნებით.

აკადემიკოსმა წიგნი გადაშალა და მაგალითი მოძებნა.

— გამოიცანი სამი რიცხვი, რომელთა ჯამია 43, ხოლო მათი კუბების ჯამი 17.299.

პასუხი ორმოც წამში იყო მზად.

— შვიდი, თორმეტი და ოცდახუთი. ეს ხომ გაცილებით უფრო ადვილია.

— გასაგებია, ყველაფერი გასაგებია. თავისუფალი ბრძანდებით.

აკადემიკოსი ფეხზე წამოიჭრა და აფუსფუსდა. შავი ნაბდის ქუდი დაიხურა, მერე ხელჯოხი მონახა, დიდი შავი ტყავის პორტფელი დაკიტა, იღლიაში ამოიჩარა და სადღაც წავიდა.

მეორე დღეს აკადემიკოსმა ისევ იხმო თამაზ იაშვილი.

— მე თქვენზე უკვე ველაპარაკე პრეზიდენტს. მალე იგი თვითონ გამოგიძახებთ და გაგესაუბრებათ. თქვენ ძალიან ნიჭიერი ყმაწვილი ყოფილხართ. მე განთავისუფლებთ ყოველგვარი გარეშე და სამსახურებრივი დავალებებისაგან. თქვენ უნდა იმუშაოთ, არცერთი წუთი არ უნდა დაკარგოთ. ცოლ-შვილი გყავთ?

— არა...

— ძალიან კარგი! — აღარ აცალა სიტყვის დამთავრება, ისე განაგრძო მოხუცმა მეცნიერმა. — ხვალვე დაწვრილებით მომახსენეთ რაზე მუშაობთ, რა გეჭირდებათ, რაში დაგეხმაროთ. იქნებ გაგზავნა გინდათ სადმე, იქნებ მივლინებაში გსურთ წასვლა. თუმცა რაღა ხვალ, ბარემ დღესვე მითხარით, რა პრობლემა გაღელვებთ!

— მე ჩაკეტილი მრავალწახნაგების ცალსახა განსაზღვრის პრობლემაზე ვმუშაობ.

— ცალსახა განსაზღვრის? — დაფიქრდა აკადემიკოსი. — რთული თემა აგერჩევიხარ. გაქვთ რამე რეალური შედეგი? რა მიმართულებით ცდილობთ ამ პრობლემის გადაჭრას? ხვალვე ყველაფერი გამაცანით. ასე სუსტად რატომ გამოიყურებით, ხომ არ ავადმყოფობთ?

— არა, საკმაოდ ჯანმრთელი უნდა ვიყო! — გაიღიმა თამაზ იაშვილმა.

— ძალიან კარგი. თქვენ რკინისებური ჯანმრთელობა გჭირდებათ. ბინა გაქვთ?

— მაქვს! — ისევ გაიღიმა თამაზმა.

— ნესტიანი ხომ არ არის?

— არა, საკმაოდ კარგი ბინაა, თუმცა ძალზე ძველებური ყაიდისაა.

— ეგ არაფერი. მთავარია ჯანმრთელი ბინა იყოს. ახლა წაბრძანდით. არა, დაიცადეთ, თქვენ რომელ ოთახში ზიხართ?

— ბიბლიოთეკის გვერდით, პატარა ოთახში, ალექსანდრე კობიძესთან ერთად.

— ალექსანდრე კობიძესთან? — აკადემიკოსი დაფიქრდა. — ოთახი ნამდვილად ვერ შეგვირჩევია თქვენთვის კარგი. არა უშავს რა, მალე გადაგიყვანთ უკეთეს ოთახში, ანდა სულაც კობიძეს გადავიყვანთ სადმე და თქვენ მარტო იქნებით.

— ეგ ძალზე უხერხული იქნება, ბატონო დავით! — შეწუხდა თამაზი.

— უხერხული? ჰო, თქვენ მართალი ბრძანდებით. მაშინ იქნებ სხვა რამე ვიღონოთ. ახლა კი წადით. თუ რამე დაგჭირდებათ, ნუ მომერიდებით. ჩემი კარი ყოველთვის ღია იქნება თქვენთვის.

თამაზ იაშვილი აღელვებული დაბრუნდა თავის ოთახში, აღელვებული და გახარებული. ახალგაზრდა მათემატიკოსი აკადემიკოსის დაპირებებმა როდი აღაფრთოვანა, იგი მოხუცი მეცნიერის სიხარულმა, მღელვარებამ და ყურად-

გურამ ფანჯიკიძე
თბილი პატიოსანი

ღებამ მოხიბლა. ბოლოს და ბოლოს იპოვა ის, რასაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ეძებდა ცხოვრებაში. იპოვა სითბო, ყურადღება, სიწრფელე. იმ დღიდან მოყოლებული თამაზი შინიდან აკადემიაში მიდიოდა, აკადემიიდან შინ. თითქოს ამ ქვეყანაზე მეტი აღარაფერი არსებობდა, თითქოს ამ გზაზე მეტს ვეღარაფერს ამჩნევდა და ხედავდა. ხანდახან ოთარ ნიკარაძე თუ აკითხავდა. ეს იყო და ეს. მხოლოდ მაშინღა აგონდებოდა, რომ ქალაქში არსებობდა კინო, თეატრი, რესტორანი, სტადიონი. ოთარი თვალნათლივ ხედავდა თავისი მეცნიერი მეგობრის აღტაცებას და ცდილობდა მისთვის ხელი არ შეეშალა. თამაზი სრულიად განცალკევებით, თავისთვის მუშაობდა. არავითარ სხვა დავალებას მას არ აძლევდნენ. ახალგაზრდა მეცნიერი თავიდან ბოლომდე ჩაეფლო წმინდა მათემატიკურ სამყაროში. ეს იყო თამაზ იაშვილის ცხოვრების უბედნიერესი დღეები.

ერთ დღეს მათემატიკის ინსტიტუტის ოთახებსა და ბიბლიოთეკაში გამეფებული მყუდროება თოფის გასროლამ დაარღვია, ისროლეს ორჯერ. თანაც მეორე გასროლა ისე სწრაფად მიაყოლეს პირველს, კაცს ეგონებოდა, მხოლოდ ერთხელ ისროლეს გახანგრძლივებულადო.

დილით თამაზ იაშვილი ჩვეულებისამებრ ხმადაბლა მიესალმა ალექსანდრე კობიძეს და მაგიდას მიუჯდა. ალექსანდრეს არ უპასუხია, იგი რაღაც დავთარს ჩასჩერებოდა და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა. თამაზი გაანგარიშებაში ჩაეფლო, ოთახი მტრედისფერი ციფრებით აივსო და საერთოდ დაავიწყდა ალექსანდრე კობიძის არსებობა. უცებ სროლა გაისმა. სროლა და ალექსანდრეს შეკივლება ერთი იყო. ოთახიდან ციფრები გასროლისთანავე შეშინებული ჩიტებივით გადაიკარგნენ. თამაზმა თავი ასწია და იატაკზე გაშხლართული ალექსანდრე დაინახა.

დასასრული იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს

ბევრი დაბერდა და მუზეუმად
ქცეული კრძალვით შესცქერის ახალს...
შენ კი ზეიმობ,
ისევ ზეიმობ
და ისევ ისე ამაყად დგახარ.

არ დაგიხუჭავს არასდროს თვალი,
შენს ლამაზ მიწას მზე ვერ ჩაუქრეს,
გწვავდნენ, გბუგავდნენ და სისხლით მთვრალნი —
მაინც ეტრფოდნენ შენს სიჩაუქეს.

შენ კი სიმღერა და ლექსი გსურდა,
ვეფხის ტოლი და ვეფხის ბადალი
ცდილობდი ყველგან,
ცდილობდი მუდამ
შეგექმნა ნაღდი —
არცრის სადარი.
და ჰქმნიდი,
ჰქმნიდი რად უნდა მოწმე —
შენს წარსულს,
აწმყოს,
ხვალ გამარჯვებას...
ეს გაუმარჯოს ოქტომბრის დროშას
და სამეგობროდ გაწვდილ მარჯვენას.
გათენდა... უკვე ორმოცდაათი
წელია რაც კი ქვეყნად გათენდა...
ლაღად ფრიალებს,
ლაღად გაშლილა,
ღღეს დროშა შენი — რწმენა ქართველთა...

●

იმხიარულა...
იბობოქრა...
დაენთო თეთრად...
ქუჩებს,
პროსპექტებს
სიხარულის ხმებად მოედო,
დაგვამახსოვრა თავი და მერე —
ქალაქის კედლებს მიესვენა
დამდნარი მხრებით,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წევს იგი ახლა ფერმიხდილი...
და ლოლუები —
თეთრი სანთლები —
ეღვენთებიან სხეულს ზამთრისას,
და უკანასკნელ თოვლის გუნდებს
გზა-გზა ჰფანტავენ
ბავშვები,
როგორც ყვავილებს,
და მსუბუქი სევდით
მიაცილებენ ქალაქიდან
გაქცეულ ზამთარს...
ჰაერში კი,
ვით საკმეველი,
მოახლოებულ გაზაფხულის
ტრიალებს სუნი.

●

როგორ მაქეზებს,
როგორ მეძახის
შენი ასაკი... მუხლზემოთ კაბა...
კალთაში გიზის შენი ეშმაკი,
ეალერსები და თვალებს ნაბავ.

და მოლოდინით აღსავსე წამებს
ეკუთვნი ახლა სულით და ხორცით
და გელანდება, რომ ურცხვი მთვარე
შენს ლამაზ თვალებს კოცნის და კოცნის.

ო, სულ სხვა მოვა დიდი ხნის მერე...
დღეს კი სხვაგვარი ხმები გეძახის, —
შენს ციცქნა ეშმაკს ნუ დაუჯერებ,
გულუბრყვილოა შენი ეშმაკი.

გამოგაღვიძებს სულ სხვა ნაპირზე —
დაგიპატრონებს სხვა ხმა და ფერი,
დაგენანება ეს სიფაქიზე
და აგევსება თვალები ცრემლით...

დიდების გზაზე

წელთა სიმრავლე...
ციხე-ტაძრები...
რუსთველის სიტყვა...
  მზე თამარის,
  წვა და გაძლება...
წარსულის სევდა...
  სიხარული
  და
  აღტაცება.
ქართლი, კახეთი,
  სამეგრელო,
გურია,
  რაჭა,
ტანზე აგისხამს, საქართველოვ,
  წვრილთვალა ჯაჭვად
და ასე მიხვალ
  დიდების გზაზე...

1941 წელი

ასჯერ ვახსენე,
ასჯერ დავთვალე,
ვინც წავიდა და ველარ დაბრუნდა,
და ოცდაათი წელი გავიდა...
ვინც დამავიწყდა —
მათი ხსოვნა კვლავ მითვალთვალებს
ცივი სანგრიდან
და წარსულის ჭუჭრუტანიდან.

ს ქ ვ ი ა

დიდი წვიმების შემდეგ იწყება
ნაკადულების დიდი მარცა.
და ჩემი სოფლის დიდგული სქვიას
ნაქურდალივით, ტყეში მალულად,
სადღაც წისქვილში
  ყურმოკრული
ამბავი მიაქვს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამის გახსენება

სხვენზე დევს მამის თოხი და წალდი,
მოხუცი დედა საკერავს კერავს,
მუხის ღადარზე შიშხინებს მწვადი,
მამა არ უზის მშობლიურ კერას.
ფიქრობს დედა
და ფიქრებს ჰგავს კვამლი,
ეზოში ფოთლებს ქარები ჰგვიან,
არ უყივლიათ მეორედ მამლებს,
მამა კი უფრო მოსულა გვიან.
გზას ფეხაკრეფით მიჰყვება ღამე,
წელს მდევარივით მიჰყვება წელი
და ზოგჯერ დედას სიკვდილი მამის
ავიწყდება და... დილამდე ელის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენით ვიხილე

როს მაგონდებით, განვლილ წლების
ტკბილო დღეებო,
და ისევ მესმის მყუდრო სოფლის
ხეთა შრიალი,
ბავშვობის შემდეგ ასე კარგი
და საოცნებო
მე არ მინახავს ვარსკვლავების
ცაში ციალი.

აქ დედის ზღაპრებს შთაგონებით
ვისმენდი ხშირად,
ყურს მივუპყრობდი შაშვის ჭახჭახს
პირმომცინარე,
წარმომედგინა მაშინ თავი
უძლეველ გმირად,
როცა ხის ნავი მიაპობდა
გაშლილ მდინარეს.

და ჩემი სოფლის მოკაშკაშე
ნათელი მთვარე
მთელი არსებით, წმინდა გულით
კვლავ მეყვარება;
შენთან მოვედი და მიმიღე,
მშობელო მხარევ,
შენით ვიხილე ეს ქვეყანა —
მზის ელვარება.

ვაღიმებული ვნახე სახე
ჭაღაროსნების,
თავგამოდებით გულნაცარა
გალობს გუგული;
კოლმეურნეთა ოდებიდან
მუდამ მომესმის
ჩვენი დროების სიმღერების
ძლავრი გუგუნი.

ნოდარ ხვედელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთავი

გაღვიძებიათ ფერებს დალექილს,
ეცისფრებიან თვალებს იებად,
ასე თბილისის აღმოსავლეთით
უმშვენიერეს ბარელიეფად
იწვნეს ქალაქი, თითქოს მთვარიდან
იღვრება ოქრო და ცინცხალს ისვრის
და ეს მანძილი ნარიყალიდან
არის გაფრენა ვახტანგის ისრის.
ეს ის სუნთქვაა — ვიდრე ფიცამდე
ამაღლებული და გაბოლილი,
როგორც წარსულის ხსოვნის სიცხადე,
ჩვენს მომავალში გადმოსროლილი.
კვლავ დგას არიში მხნე და ბერდედა,
ჟანგს და სიბერეს სულაც არ ჩივის
და მის ყოფაში ცნობიერდება
ის ამირანი და ის არჩილი.
ცეცხლს ხალიბურად აგიზგიზებენ,
ცეცხლით გვიმზერენ მათი თვალები,
ჩნდება სივრციდან კედლის ფრიზები
და გადამქრალი კათედრალები.
უბრუნდებიან უმძიმეს დგამებს, —
ხედავს ქალაქი სულნაკვნესარი,
როგორ გადიმცრო ათასი ღამე,
ათასმეერთეც დადგა დღესავით.
ის ხომ შენია და სიმუნჯიდან
შენვე აღვიძებ მთვლემარ ვულკანებს,
ხშირად დახედე იაღლუჯიდან
და დაუბრუნდი ქალაქს უკანვე.

●

შენ ისეთი მენავე ხარ,
ნიჩაბი არ გისველდება.
ალაზანზე გულნამეხარს
ზედ არაგვზე გითენდება,
თითქოს ხოხბის ფრთაზე ზიხარ,
ოცნება არ გინელდება.
მთაწმინდაზეც მოგაკითხა,
თავთით გიზის მზე ბერდედა.
შენ ისეთი მჩხიბავი ხარ,
ლექსი არ დაგიბერდება.

●

ნარიყალას კედლის ფერი,
თბილისიდან გადის გეში,
არც ანძები, არც აფრები,
მხოლოდ ნისლის თეთრი ფრთები,
გემზე ჩემი ბავშვობა ზის,
ხელთ უჭირავს ტოტი ვაზის
და დამდგარი ნათლის სვეტად
თითქოს უფლის თვალსაც სწუნობს,
მიდის, ყრმობა ამის მეტად,
ნეტა ვიღამ დამიბრუნოს,
ან ვარსკვლავებს გაურიოს,
აპყვეს მტკვარს და
დაპყვეს რიონს,
დილის ლაჟვარდების ფერი,
თბილისიდან გადის გემი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კამო შარმაზიანი

აკრძალული რიტუალი

ნამდვილი ამბავი

უჩვეულოდ ლამაზი იყო ომისშემდგომი პირველი გაზაფხული. ბუნებამ თითქოს ერთდროულად გადაიყარა მხრებიდან ომი და ზამთარი, და შვებით ამოისუნთქა.

ლაღად მოედნებოდა მტკვარი, ეხეთქებოდა კლდეს იქ, სადაც ახლა ვახტანგ გორგასალის დიდებული ძეგლია აღმართული.

სწორედ ამ ადგილას, მეტეხის მპირდაპირე მხარეს, ერთი წაფერფლილი მეჩიენი იდგა. ამ დღეს აქ უამრავ ხალხს მოეყარა თავი: მაპმადიანები შუასაუკუნოვან რიტუალს „შაპსეი-ვაპსეის“ აღნიშნავდნენ. თავმოყრილთა შორის ყველა ჯურის კაცს შეეხვდებოდით: ცნობიმოყვარეობას თეიისტებიც კი მოეყვანა.

მოეხედავდ რიტუალის სამგლოვიარო ხასიათისა, ხალხში მაინც მხიარულება სუფევდა. ისმოდა თარისა და ქამანჩის ხმა; პატარა ხიდის ყურესთან მოხუცი ჩოფურა აშეღი ხრინწიანი ხმით „ლილ-მეჯნუნის“ სიყვარულის მწუხარე ამბავს ამღერებდა გაცეკვთილ თარზე; უსინათლო ვაჟანა რიხიანად გასძახოდა სიმღერას ქერჩში დაღუპულ მეთმრეზზე; დერვიშის ძონძებში გამოხვეული მოხუცი დამჭკნარ ხელს მრეკლისაკენ აშვერდა და მოწყალებას ითხოვდა.

ყველას ერთი სურვილი ამოძრავებდა: როგორმე შესულიყო მეჩიენში, ეცქერა ამ იშვიათი სანახაობისათვის, მაგრამ მოლამ ორი ზორბა, საშინელი გარეგნობის კაცი დააყენა კარში, მკაცრად გაიფრთხილა, მეჩიენში მხოლოდ მუსლიმანები — ალაპის ერთგულნი შემოუშვითო.

ამ ამბავმა მე და ჩემს მეგობარს, ნოდარს უფრო მეტად აღგვიძა რიტუალზე დასწრების სურვილი: მეჩიენში შეპარვის გეგმის შედგენას შეეუფდემთ. ბევრი ვიფიქრეთ, მრავალი ვარიანტი წამოვაყენეთ, მაგრამ სიმეფლი არც ერთი არ გამოდგა. ამასობაში კი მრეკლმა სამლოცველოში დაიწყო შესვლა.

— ნუთუ გარეთ უნდა დავრჩეთ? — სინანულით თქვა ნოდარმა და ყურადღება მეჩიენის კარებისაკენ გადაიტანა.

უცებ, თითქოს ძილიდან გამოიერკვა, სიხარულით შეხტა, მტაცა მაჯაში ხელი და ვახტანგ გორგასალის ქუჩისაკენ გამიტაცა.

— ვნახე გამოსავალი! ჩქარა, ვაზგენ, სბირთან! — და ორივე სირბილით გაეყვეთო ქუჩას.

ჩვენი აზერბაიჯანელი მეგობარი, სბირი, იქვე ახლოს ცხოვრობდა. ნოდარმა გზადაგზა გამაცანო მეჩიენში შეპარვის გეგმა. ეს გეგმა იოლი მეჩვენა, ოღონდ სბირის დაუხმარებლად ძნელი იყო მისი განხორციელება.

სბირის სახლთან შევჩერდით:

— სბირ, ჰეი, სბირ!

აივანზე სბირის მაღალი, ახოვანი ფიგურა გამოჩნდა. ჩვენს დანახვაზე სახე გაუბრწყინდა:

— მოვდივარ, ბიჭებო, ახლავე მოვდივარ!

რამდენიმე წამის შემდეგ იგი ჩვენთან იყო.

— სალამ ალეიქუმ, ძმებოჯან! როგორ ხართ? რაზე შეწუხებულხართ?

— სბირ, შენი ჯირიმე, არ გეწყინოს! თუ არ ვცდები, შენ მორწმენე არა ხარ და ჩვენს განზრახვას შეურაცხყოფად არ მიიღებ. თუ ძმა ხარ, დაგვეხმარე მეჩიენში შესვლაში, — თხოვა ნოდარმა.

სბირმა შუბლი შეიკრა, ორივეს გამომცდელად შემოგვეზედა.

— რა მოხდა, სბირ? ხომ არ გეწყინა? — ვკითხე.

— ეშმაკსაც წაუღია მაგათი თავი! წავიდეთ, ბიჭებო!

მაოსას მიერ დაყენებული მცველები დიდი მონდომებით ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, მაგრამ ერთ გულუბრყვილობას კი იჩენდნენ: ერთსა და იმავე შეკითხვას იძლეოდნენ. სწორედ ამან მოაფიქრებინა ნოდარს მეჩიენში შეპარვის გეგმა.

სბირმა გაარღვია ხალხის ჯგრო, მიუახლოვდა მეჩიენის შესასვლელს, იქვე შორიახლოს დადგა და ყური ეკვიტა; რამდენიმე წუთში დაიზეპირა კითხვა-პასუხის არც თე ისე რთული შინაარსი. შემდეგ დაბრუნდა ჩვენთან, გაგვიყვანა განზე და სახელდახელოდ ჩაგვიტარა აზერბაიჯანული ენის გაკვეთილი. როცა „გამოცდები“ ბრწყინვალედ ჩავაბარეთ, ამა, მოდიოთ: ჩვენ წინ გაგვიშვა, თვითონ უკან გამოგვყვა.

ვერ ვიტყვი, მაშინ რა შეგრძნება ჰქონდათ ნოდარს და სანბრს, მე კი მეგონა, თითქოს ეშფოტზე ავდივარ და საცაა თავს წამაჭრიანმეთქი.

ნოდარი მოუახლოვდა კარს და... ორ მცველშუა მოექცა. სახედასიებულმა, ცალთვალა კაცმა ბანჯგვლიანი ხელით შეაჩერა იგი, თავიდან ქუსლებამდე შეათვალიერა და ჩახლეჩილი ხმით ჰკითხა:

— შეჩერდი, მუსლიმანი ხარ?

ნოდარი ოდნავ შეკრთა, მაგრამ მალე მოიკრიფა გონება და შეურაცხყოფილი ამპარტავნის იერი მიიღო:

— დიახ, მუსლიმანი ვარ!

— რა გქვია?

— ანზორი.

— ვისი შვილი ხარ?

— ისა-მაჰმედისა.

— ალაპი გწამს?

— იდიოტს მისმა სახელმა!

— შედი...

ნოდარი დინჯად დაეშვა კიბეებზე.

ახლა ჩემი რიგი დადგა. ზოგჯერ სიზმარში ადამიანს ფეხები რომ არ ემორჩილება, სწორედ ისე დამემართა. ძლივს მივაღწიე კარამდე.

— მუსლიმანი ხარ?

— დიახ.

— რა გქვია?

— ქემალი.

— ვისი შვილი ხარ?

— აბდულ-რაშიდისა.

— ალაპი გწამს?

— დიდება მის სახელს!

— გიიარე...

მეორე მცველს რაღაცის დამატება უნდოდა, მაგრამ სანბრი მიუხვდა: ხელი მკრა და, ვითომ აღშფოთებულმა, მომაძახა:

— რას გამოშტერდი? ჩვენც გაგვატარე...

ინერციით შევვარდი და... ნოდართან ალმოვჩნდი; ნახვევრადბნელ ტალანში ჭოსტანასული პირველი გადავიწერეთ ღიმილით და სანბრს დაველოდეთ. მალე ისიც შემოგვიერთდა. მერე სამეფენი დღესასწაულთან დაკავშირებით მეჩეთში საგანგებოდ მოწყობილ სანაიეში შევედით.

გამხდარმა, შავგვრემანმა მეჩაიემ ორ-ორი ნატეხი შაქარი დაგვიდო წინ, თლილ ჭიქებში უზარმაზარი სამოვრიდან მუქი, ქართული ჩაი დაგვისხა და თავაზიანად მოგვაწოდა. უბრალოდ ნაშუვნი ორი ნატეხი შაქარი იმ დროს კარგი შედეგათი იყო. გეშრიელად მივირთვეთ ირიმატული ჩაი. შემდეგ სამლოცველო დარბაზში შევედით. ახლა კი გულდამშვიდებით შეიძლებოდა „ცისკრის“ ყურება, გართობა.

მაგრამ, თუმცა ნე იტყვიი, გართობა კი არა, ხიფათი მოგველოდა! ვანა მოლამ კარებში ტყუილად დააყენა მცველები? შემოსულება ხომ ყველანი მორწმუნენი იყვნენ და, ბუნებრივია, ყველას უშუალო მონაწილეობა უნდა მიეღო რიტუალში.

უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდით. მეჩეთის დატოვება დავაპირეთ, მაგრამ რიტუალზე დასწრების ძნელად მოპოვებული უფლების ასე იოლად დათმობა გაგვიძნელდა და გადაწყვეტეთ, რადაც უნდა დაგვკდომოდა, დაკრჩენილიყავით და სხვების მიბაძვით შეგვეკრულებინა ცერემონიალის წესები.

* * *

დარბაზში ბევი იდგა. მამაკაცებს იატაკზე გაფენილ ნოხებზე მოერთხათ ფეხი; ქალები კი მათთვის განკუთვნილ ქანდარაზე წამოსკუპებულიყვნენ და ცნობისმოყვარეობით იცქირებოდნენ დაბლა. როგორც იქნა ჩვენც მოვნახეთ ადგილი და გაოფლიანებულ მუსლიმანებში ჩავეჭედეთ, შუაში სანბრი ჩავსვით.

ყველა დარბაზის ერთ-ერთი კუთხისაკენ იყურებოდა, სადაც ქეელაძეელი, ლამაზად მოვარაყებული სავარძელი იდგა. სავარძელში ძეირფას ტანსაცმელში გამოწყობილი, გამხდარი, წვერცანცარა ზეიხი — ლეთისმეტყველი ჩაფლულიყო. დავაკვირდით მოხუცს და ვიცანით: „ეს ხომ მეყვავილე მირზა-მურსალია! „შეითანბაზართან“ საყვავილე რომ ჰქონდა?!“ მე და ნოდარი კარგად ვიცნობდით მას, მაგრამ რას წარმოვიდგენდით, გვირგვინების შეკვრის გარდა, კიდევ სხვა ნიჭი თუ გააჩნდა. ზეიხის მარკვნივ, დაბალ სკამზე თეთრწვერა მოლა იჯდა, ხოლო მარცხნივ: ყველაზე ეუცილებელი საგანი — უზარმაზარი, შესაწორისოვის ჩასაწყობად განკუთვნილი კიდობანი იდგა.

რიტუალი დაიწყო.

შეიხმა გაყვითლებული ყურანი გადაშალა, ხელი მიიდო ყბაზე და რაღაცა წაიმღერა.

სანბრმა ჩუმად გადაგვითარგმნა: „და როცა ჰუსეინი მალულად გავიდა მეკადან, ჯაშუშებმა გასცეს იგი. ხალიფამ თის ამალას ალაჰ შემოარტყა და ამ უთანასწორო ბრძოლაში წმინდა ჰუსეინიც დაეცა მტრის მახვილთან განგმირული „შაჰსეი-ვაჰსეი!“

მე და ნოდარს წამით დაგვავიწყდა ჩვენი მოვალეობა, გაოცებულები შევცქეროდით, მაგრამ სანბრმა დროზე გვკრა მჯიღი ფერდებში და ჩაგვჩურჩულა:

— რას გამოშტერდით? თქვენც დაიძახეთ!

უმალვე შეეფეთნოდით საერთო გოდებას: „შაჰსეი-ვაჰსეი!“

სანბრი სიცილს ძლივს იკავებდა ჩვენს უხეირო ყვირილსა და ხელების ქნევაზე.

„მოკლეს ჰუსეინი, მოკლეს ალის ძე, ვიცეთ თავში ხელები! დაე, წმინდა მუჰამედმა ისმინოს გოდება და ჩვენ ეროვნულ ცოდვანი ჩვენნი!“ — განაგრძობდა ზეიხი.

მწუხარე ამბავმა მრეველ გული აუჩუყა და ყველამ ქვითინი მორთო. ჩვენც ამოვიღეთ ჯიბი-

ნან ცხვირსახოცები, მივიფარეთ თავლებზე და „ავქვითინდით“...

ეს ცერემონიალი რომ დამთავრდა, შეიხმა ყველგ გადაშალა ყურანი და გულამოსკვნით მიმართა მლოცველებს:

— „დაფიქრაროთ სისხლი, დაფიქროთ ცრემლი, ოჰმა მწუხარენით დაატანჯოთ სული, ალაჰი მსხვერპლს ითხოვს! მაშ შევასრულოთ სურვილი მისი!“.

უცეტ მეორე ოთახიდან განრისხებული, წელზეით გაშიშვლებული მამაკაცები გამოვიდნენ. ხელში ჯაჭვის ფუნჯებიანი ჯოხები ეკავთ.

შეიხი კი განაკრძობდა: „ეეესწრაფოთ ზეციასკენ, ვეძიოთ ალაჰის მფარველობა. ვინც თავს შესწორავს, სამოთხეში მოხვდება. იქ სულ ფაჩოვანს შესჭამს და ტკბილ შარბათს დალევს, თავს შემოეკვლიანან ჰურიები — საიქიოს მზეკუნანაებები!“

ყველა რელიგია რეაქციულია, მაგრამ ისლამის ეს საშინელი რიტუალი თავისი ასკეტიზმით ბევრ რელიგიურ ადათ-ჩვეულებს აჭარბებს.

დაიწყო თვითგვემა: ჯაჭვოსნები ბეტებში ეშმოწყლოდ იცემდნენ რკინის ძმიმე ფუნჯებს, თან საზარლად გიიძახოდნენ: „შაჰსეი-ეაჰსეი! ჰასან-ვარ! ჰუსეინ-ვარ!“

უსაქმოდ არც დანარჩენები ისხდნენ: მამაკაცებს გულ-ჭიერი მოეღოდათ და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, გულში იცემდნენ ხელს. ქალები კი სახეს იხოკნენ, სისხლს იღენდნენ და გულშემზარავად კიოდნენ.

ბეტი გზა არ იყო: ჩვენნ შევიხსენით პერანგის ღილები და ისე დავიწყეთ გულში ცემა, რომ არაფერი ვეტკენოდა. სწორედ ამ ცერემონიალის შესრულებამ გაგვაკვ.

ჩვენს პირდაპირ ერთი ჭოტისთვალება, გამხდარი კაცი იჯდა, რომელიც რიტუალის დაწყებისთანავე ეკვის თვალით გვიყურებდა. მორიგი ცერემონიალი რომ დამთავრდა და ბეტებჩასისხლიანებული მლოცველები ბარბაცით გავიდნენ დარბაზიდან, წამით სიჩუმე ჩამოვარდა. უცეტ ღუმილი ოაზარეშა ყვირილმა დაარღვია. მივიხედეთ და თქვენს მტერს, რაც ჩვენ ვეხილეთ: ჭოტისთვალება კაცს სახე ალეწოდა, კბილები საშინლად დაეკრიჭა და ჩვენსაკენ იშვერდა ხელს:

— ხალხო! მეჩეთში გიაურები შემოსულან! შეხეთ, როგორ დაგვცინან, წაბილწეს ალაჰის წმინდა ტაძარი!

ხალხი აჩოჩქოლდა. შეიხმა ყურანი გვერდზე გადადო და ფეხზე წამოდგა. ერთხანს დავიგენინ, შემდეგ სამივე ერთად წამოვვარდით ზეზე.

— ბიჭებო, არ დაიბნეთ! — გვითხრა საბირმა და ქართველმა, სომეხმა და აზერბაიჯანელმა მხარი-მხარს მივადეთ, მოკრიგესავით დავიჭირეთ ხელები.

ის-ის იყო განრისხებულმა ბრბომ გასთქერად გამოიწია, რომ შეიხის ოთახიანი ხმაც გაისმა:

— შეჩერდით, მართლმორწმუნენო! ალაჰის სახელით, შეჩერდით! ეგ გიაურები თვით წმინდა ადგილზე მოგზავნილნი არიან. იმდენად ძლერია მისი მცნება, რომ ყველა სარწმუნოების სათაყვანო გამხდარა. ხელი არ ახლოთ, მათ წმინდა მუჰამედი მფარველობს!

ბრბომ უკან დაიხია, რისხვა შენელდა. ღვთიმოშიშები მოწიწებით დაგვედგნენენ, ხოლო ნინწამხდარმა ჯაშუშმა ზიზღით შემოგვხედა და ძმიმედ დაეშვა იატაკზე. ჩვენ კი ისევ კოჭებშეკრული ვიდექით, დაბნეული ვაკეცებდით თვალებს. სამაგიეროდ, შეიხი არ დაიბნა: ჩვენნ უმწეო მდგომარეობა მან ისლამის პრესტიჟის ასამაღლებლად გამოიყენა.

როგორც იქნა, რიტუალი დასასრულს მიუახლოდდა. შეიხმა უკანასკნელი სურება წაიკითხა ყურანიდან, მოეწოდა მლოცველებს, არაფერი დაიშურთო ალაჰისათვის, უკანასკნელი კაპიკიც კი შესწირეთო. შემდეგ მოგრეული შესაწირავი: დიდძალი ფული, ძვირფასი სამკაულები, ნოხები, აბრეშუმის თავშლები და კიდევ სხვა საგნები, ჩაეწყვეს კიდობანში — ოთხმა მკლავოსნერმა კაცმა ალიგს გიიტანა დარბაზიდან. შეიხი, მოლა და მუეძინი კვალდაკვალ გაჰყვნენ ნადავლს. მლოცველებმა გაყინული მზერა გააყოლეს მიმავალთ.

ამასობაში ჩვენ უკეე გასასვლელთან ვიყავით. საბირმა შეგვაჩერა, უკან დაბრუნდა და სწორედ იმ დროს, ღვთის მსახურნი მეზობელ ოთახში რომ გადიოდნენ, ხმამაღლა წამოიძახა:

— ჰოო, ბრიყვნენო! რამ გამოგაშტერთო? ვერ ხედავთ, გაგძარცვეს, გაგატყავეს და ახლა არხეინად მიდიან ნადავლის გასაყოფად.

შემდეგ დაბრუნდა ჩვენთან და სამივე ელვის სისწრაფით გამოვვარდით მეჩეთიდან.

* * *

მას შემდეგ კარგა ხანმა განვლო.

ერთხელ მე, ნოდარმა და საბირმა გადაწყვიტეთ, შევსულიყავით მირზა-მურსალის საყვავილეში და თუნდაც ვგვინ, მაინც მადლობა გადავგეხადა გადარჩენისათვის.

— აა, სალამ ალეიქუმ, მეჩეთის ყმირებო !— ეშმაკური ღიმილით მოგვეგება მირზა-მურსალი, — მობრძანდით, მობრძანდით!

ხელი ჩამოვართვით მოხუცს, საბირმა აზერბაიჯანულად გადაუხადა მადლობა.

— არა, ასე არ ივარგებს, — გვითხრა მირზა მურსალმა, — მოდით, საკეთე სიტყვით კი არა, საქმით გადავუხადოთ ერთმანეთს...

— რა გინდა, ძია მირზა? — ჯკოთხა ნოდარმა.

— ერთი მოხუცი, ბეჩავი კაცი ვარ, — დაიწყო მირზამ, — რაც შემძლეია და როგორც

ალმო შარმაზანი
აპრძალული რიტუალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემიძლია ვეხმარები ვაჭირვებულებს. მე კი არავინ მეხმარება! თქვენი მადლობა ის იქნება, კეთილობით მოხეიდეთ ჩემთან, ვირის ფორნით კოწანისადან შავი მიწა მოზიდოთ, ქოთნებში გაანაწილოთ და ოთახის ყველაზენი ჩარგოთ. ჰა, რას იტყოდით ბიჭებო..

— რა გიყვნეთა, მირზა. ძველი ვაჭარი ხარ და ყველაფერს ანგარებით ზომავ. ნუ გეშინია, არ დავრჩებით ვალში. რას იტყვით, ბიჭებო, მოვიდეთ, დავეხმაროთ? — გვკითხა ნოდარმა.

მართალი გითხრათ მირზა-მურსალის ნათავაზეი სამშაო, არც თუ ისე ურიგოდ მოგვეჩვენა, მოუხდავად იმისა, რომ კაპიკს არ მოგვცემდა.

უყოყმანოდ დავთანხმდით.

მოვიდოდა ყვავილების სეზონი და თითქმის ყოველ კეირას მირზა-მურსალის საყვავილეში ვიყავით. ვირს შევაბამდით პატარა, მწვანე ფორანში და მხიარული თოხარაკით მიეგმართებოდით კოწანისისაკენ. შუადღისას კი მოტანილი მიწას ვანაწილებდით თიხის ქოთნებში და ერგავდით ოთახის ყვავილებს. მირზა-მურსალი კი დაკვეთილ ვეირგვენებს წნავდა, დამტკრეული ქართულით რელიგიურ ზღაპრებს გვიამბობდა და წასვლის წინ, თითქმის ყოველთვის, ერთსა და იმავე ამბავს გვახსენებდა:

— ხომ გახსოვთ, ბიჭებო, როგორ გადაგარჩინეთ? რჯულის მადლა, თავგებიენი გაგსრესდნენ, მე რომ არ ყოფილიყავი.

ცოტა არ იყოს, მოგვბეზრდა მოხუცის ხშირი ყვედრება. მართალია, სამუშაო მძიმე არ იყო, პირიქით, ეერთობოდით კიდეც, მაგრამ ეტყობოდა, ვერასოდეს აუვიდოდით თის ვალს. საჭირო იყო მსგავსი სიკეთის ჩადენა, რომ ბარიბარში ვყოფილიყავით. ბედად ამის საშუალება მალე მოგვეცა.

მეტეხის ძირას ახალი ხიდის მშენებლობა დაიწყო. ძველი მეჩეთის დანგრევას შეუდგნენ.

ის-ის იყო კოწანისიდან მიწა ჩამოვიტანეთ და ქოთნებში დავიწყეთ ჩაყრა, რომ საყვავილეში ბავშვის წრიანი მოგვეესმა:

— ძია მირზა, ძია მირზა! მალე, მალე მეჩეთს ანგრევენ...

მირზა-მურსალი გაფითრდა, გაოგნებულმა ხელიდან გაუშვა ნახევრად დაწნული ვეირგვენი და გიეივით გარეთ გავრდა. ჩვენც უკან გამოვედეენეთ.

მეჩეთის წინ ხალხს მოეყარა თავი. მუშების სამქმისათვის მოეკიდათ ხელი. წერაქვებშემართული ორი ახალგაზრდა მეჩეთის კარებისაკენ მიეძართებოდა.

მირზა-მურსალი შურდულივით შეეკრდა მეჩეთში, ავარდა მინარეთზე და აყვირდა:

— აქეთ, ხალხნო, აქეთ! გვიშველეთ, გიაურები ალაპის ტაძარს ანგრევენ!..

შშენებლობის ხელმძღვანელმა ორი ახალგაზრდა მუშა აგზავნა ზეკით, ბერიკაცი როგორღა ძირს ჩამოიყვანეთ, მტკვარში არ გადავარდესო, ჩვენ კი, ძია გიორგის, ნაცნობ მეთეეზეს, ოთხმელიც იქვე ცხოვრობდა და ახლა, ნაგზ ზედამბრე, შეიხს უყურებდა, ნავი ეთხოვეთ.

ძია გიგო, მე და ნოდარი ჩავჯექეთ ნავში და მეჩეთის ძირას მივეცურეთ, საბირი ხიდზე დარჩა.

ეცემ მირზა-მურსალი შეტოკავა, ალბათ ფეხის ხმა შემოესმა კიბეზე. შემდეგ ხელები აიქნია, რაღაც გაუგებარი სიტყვები წამოძახა. წამიც და მინარეთზე ახალგაზრდა მშენებლები გამოჩნდნენ. ერთს ხელი უნდა წაეგლო შეიხისათვის, მაგრამ შეიხმა ბინარეთის მოაჯირს დაადაბჯა და მტკვარში გადმოეშვა — ჩვენს წინ მოადინა ტყაპანი.

ტალღამ ნავი შეარყია. წყლის ზედაპირზე მირზა-მურსალი ფართხალებდა.

მტკვრის ცივმა წყალმა თავზეხელაღებული შეიხი მალე მოიყვანა გონს.

— მიშველეთ, ბიჭებო, მიშველეთ! — სასოწარკვეთილი ხმით წამოძახა და ხელები გამოგვიწოდა.

— გიშველეთო? იმიტომ უნდა გიშველოთ, რომ ისეე ვირივით გვამუშაო? არ გამოვა!... — მიაძახა ნოდარმა.

მირზა-მურსალმა კიდეე ერთხელ ჩაყლაპა მტკვრის მღვრიე წყალი და ლუღლუღით შეგვეკედრა:

— არა, შვილებო, არა! არასოდეს აღარ შეგაწუხებთ! ახლა ბარიბარში ვიქნებით!

— ეს სხვა საქმეა, — თქვა ნოდარმა, — აბა, ვაჩვენე, ნიჩბებს მოუსვი! — მომაძახა.

ნავი მირზა-მურსალთან მივაცურეთ. წყალწყლეტული უმალ ჩაებღაუჭა ნავის კიდეს, საცოდავად შემოგვხედა და კანკალი აუვარდა, კბილები აუკაწკაწდა.

— ასწიეთ, ბიჭებო! — განკვრეტლება ვასცა ძია გიგომ. შეიხს სველი ხალათის საყელოში მაგრად ჩაეჭიდეთ ხელი. შიშისგან დამძიმებული მირზა-მურსალი რის ვაი-ვაკვახით ამოვაცოცეთ და შუა ნავში ტომარასავით დავადეთ. სული რომ მოითქვა და თავი სამშვიდობოს იგრძნო, სველი წვერი გაიწურა და ჩახლეჩილი ხმით წამოძახა:

— ვა, რა სულელი ვყოფილვარ! ალაპი თვითონ არ ზრუნავს თავის ტაძარზე, ზვედან არხეინად იქვირეს, მე რაღას ვეჩრებოდი სხვის საქმეში?! — შემდეგ ალერსისად შეხედა ნარიყალას, მეტეხს... და სინანულით გაკვნა თავი:

— ვაპ, რა ბუნებას ვეთხოვებოდი, რა სილაშაზეს. მადლობა ალაპს, გადავრჩი...

ძია გიგომ ცერად გახედა ზეიხს და მსუბუქი ირონიით უთხრა:

— შე სულელო, მადლობა მტკვრის წყალს გადაუხადე, რომ ასე სწრაფად მოგიყვანა გონს. იგი ალაპზე ჯერინაა — მსხვერპლი არ უყვარს! მის ზეირთვაში მხოლოდ სიეოცხლეა: მეორნა, ეანარი, ლოქი... მოუსვი ნიჩბები, მოუსვი — წინ, ბიჭებო! — მე და ნოდარმა ნაპირისაკენ ავიღეთ ვეწი. ნაპრისთან საბირი ვეეღოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმანები

ალექსანდრ პუშკინი

პ ო ლ ტ ა ვ ა

მესამე სიმღერა

ვერავითარი სევდა და დარდი
ვერ შეაჩერებს გეტმანის ლტოლვას.
ის ისევ ძველი ბილიკით დადის,
გადასახდელი აწუხებს ბრძოლა.
ისევ ჩურჩულებს კარლოსთან იგი,
ჯერ მისი რწმენა არ დანგრეულა,
ხალხში კი თავი მოაქვს სნეულად
და სასიკვდილო სარეცლის ირგვლივ
იკრებს მკურნალებს, ოხრავს და კვნესის,
რათა არიოს კვალი და გეზი.
ათასმა შფოთმა, ვნებამ თუ სენმა,
სევდის ჭიამ თუ სიბერის მტვერმა,
დაუბეჩავა ხორცი და სისხლი
და აღსასრულის კართან დგას ისიც;
ბოლოს ლოგინად ისიც ჩავარდა,
სძლიეს ცოდვებმა და იარებმა,
განმარტოება სურს მღვდელმთავართან,
თხოვს აღსარებას და ზიარებას.
სურს აღასრულოს მან ყველა წესი,
რომ ღმერთს სპეტაკი ჩაბარდეს ხელში,
რომ საიდუმლო და წმინდა ზეთით
გაიმსუბუქოს სული და ბედი.

დრო კი მიქროდა. მოსკოვი თრთოლვით
და მოუთმენლად იფშვნეტდა ხელებს
და ძველთა მტერთა საფლავებს შორის
შევდს ჰპირდებოდა დიდებულ ქელეხს.
მაგრამ კარლოსის ზარბაზნის ბოლი
მალოროსიის მოედო ველებს.

●

აჰა, აღსრულდა! მაზეპა წამსვე
ფეხზე წამოდგა ჯანღონით სავსე,
გუშინდელ ბეწავს და მიხრწნილ ბებერს
სადღა სცალია დღეს სასიკვდილოდ,
ჯერ მტრების სისხლმა უნდა იდინოს!
ვერაგი მტერი ჰყოლია მეფეს.
კვლავ ძველებურად ამხნევებს მხედრებს,
კვლავ სიამაყით უბრწყინავს თვალი
კისკასებს მისი მშიერი ხმალი,
ძღიერი მტერი ჰყოლია პეტრეს.
ვერც სიმარდეში ჯობნის ვერავინ,
დესნასკენ მიქრის მისი მერანი.
იმ კარდინალს ჰგავს, რომის ტიარას
რომ მოურჩინა სულის იარა,
სიბერის კუზიც რომ მოაცილა,
კვლავ რომ აქცია ჯანსაღ ყმაწვილად.

უკრაინას კი ცეცხლი ედება,
უკრაინაში შფოთი გრძელდება:
„მან უღალატა, კარლოსის ფერხთით
დადო მორჩილი ხმალი და კვერთხი“.
ერთმანეთს ცდიან, ზვერავენ ფრთხილად

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 10, 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სისხლიანი თენდება დილა
სახალხო ომის.
ძნელია დღესაც,
აღწერო მეფის რისხვა და წყრომა,
ტაძარი წყვეულის მაზეპას ხროვას,
ჯალათი ნაჯახს წინასწარ ლესავს.
რადაც ბობოქრობს და უფრო მკაცრად
სხვა გეტმანს ითხოვს, მაზეპას ნაცვლად;
და ენისეის ნაპირებიდან
ისკრას სახლობა პეტრესთან მოჰყავთ,
ცრემლსა ღვრის პეტრე, ბოდიშობს,
ოხრავს
და რასაც ადრე დაპირებია
დასჯილთ ათმაგად უსრულებს ახლა,
ისევ დიდების კვარცხლბეკზე აჰყავს
უკვე მოხუცი პალეიც, ვისაც
მაზეპას მტრობა უფრთხობდა ძილსაც.
გადასახლების ავიწყებს წყვდიადს,
საქმეს ავალებს ძნელსა და დიადს
და მასაც, რაკი მეფე ენდობა,
უკრაინისკენ მიჰყავს მხედრობა.
მძვინვარებს ჯანყი, დამაქცევარი,
ძვირდება ხმალი და სატევარი.
დაიწყე! მიდი! აქ ვართ! მზადა ვართ!
ჯალათის ხელში ნაჯახი წვეთავს:
თავს კვეთენ ჩეჩელს და მასთან ერთად
ზაპოროჟელთა გულად ატამანს.
შენც, მოტრფიალევ ხმლისა და სისხლის,
გვირგვინის ნაცვლად ჩაფხუტს რომ იდგამ,
ტყუილად წვალობ, ვეღარც ის გიხსნის,
ვერ იბოდინებ ამქვეყნად დიდხანს.

და დასძრა მეფემ თავისი ჯარი,
გაზშირდა დოლი და გულთა ძგერა,
პოლტავის ველზე პირისპირ მდგარი
ორი ბანაკი ერთმანეთს ზვერავს:
ადრე მრავალგზის უკუქცეულმა
მბრძოლმა, მკაცრმა და ღირსეულმა,
ისევ მიაპყრო მეტოქეს თვალი,
დასაქცევ სისხლით წინასწარ მთვრალი.
მტერს უთავლთავლებს კარლოსიც მკაცრად
და გულს უმძიმებს ბოღმა და სევდა,
როდესაც ნარველ ლტოლვილთა ნაცვლად
რუსთა დიდებულ მხედრობას ხედავს.
დამჯერი, მშვიდი, მოქნილი, სწრაფი —
ველზე გაწვრთნილი პოლკები დგანან
და აზიდულა საავდრად წარბი,
გარინდებულა მრისხანე ძალა.
კარლოსმა ბრძოლა დილისთვის ბრძანა.
ღრმა ძილით ძინავს შვედების ბანაკს,
მხოლოდ ერთ კარაჯს ვერ იპყრობს ძილი,
ჩურჩული ისმის კარვიდან ფრთხილი.

„არა, ავჩქარდით, ახლა მეც მჯერა,
რომ ვერ გავზომეთ რადაცა კარგად,
რაც ჩვენ გვინდოდა, ეს იმას არ ჰგავს,
ვერ ვისეირებთ, ორლიკო, ვერა.
რაღა თქმა უნდა, შევცდი ძალიან,
მაგრამ რას იზამ? ჩემი ბრალია
და რაც მომივა, მართლაც ახია,
ამიყოლია ბებერი ბალღმა,
ასე არაა? ის ხომ ბალღია?
ადრეც ვამბობდი და ვიტყვი ახლაც:
ერთი გულადი, მარჯვე ბიჭია,
და ნიჭიც აქვს, ისიც ნიჭია,
რომ ერთი-ორი მოიგო ბრძოლა,
რომ მტერს მოჰგვარო შიში და ძრწოლა,
რუს ჯარისაკაცზე მარდად და ფრთხილად
თავზე უეცრად დაატყდე ჭირად,
დაიჭრა კიდეც და სხვებიც დასჭრა,
მოსისხლეს სტუმრად ეწვიო ვახშმად
და გაეხუმრო ყუმბარის ღრიალს;
ხვალინდელ დღეს კი გაგითხვა ჰქვია,
თავს ნუ იწუხებს, ხმალს ნუღარ ლესავს,
ბდღვნად არ ეყოფა თვითმპყრობელ ვეშაპს.
მას სურს პოლკივით წარმართოს ბედიც,
ანდა ხმალივით წელზე შეიბას,
ბრმა, ჯიუტი, სულსწრაფი, ცეტი,
ყოყოჩიცაა და თავქეიფაც.
მტერს აღღო უნდა აუღო დროზე.
უნდა არჩევდე ძველსა და ახალს;
რქა არ შერჩება მოჩხუბარ მოზვერს,
მოიტეხს კიდეც, თვითონაც ნახავ.
ქვეყნად არ არის ახლა სხვა ძალა,
მტვრად რომ არ იქცეს პეტრეს ხელებში
და მეც მრცხვენია, რომ სიბერეში
ასე ავყევი ამ მაწანწალას,
რომ დამაბრმავა მისმა გბირობამ
და ერთგულების მივეც პირობა,
ქალიშვილივით...“

ო რ ლ ი კ ი

ნუ ავჩქარდებით,
ხვალ გამოჩნდება გზა უკეთესად.
თუ გვენდომება, მე ვარ თავდები,
რომ კვლავ აღვადგენთ კავშირს პეტრესთან.

ჩვენგან ძლეული, გონება თუ აქვს,
შერიგებაზე ვერ იტყვის უარს.

მ ა ზ ე პ ა

ღმერთიც ვერ შესძლებს ჩვენს შერიგებას:
ქვიშაზე ციხე არ აიგება.
ბედს სურდა ასე და ასეც მოხდა,
დიდი ხანია გულს მიწვავს ბოღმა,
დიდი ხანია... ერთხელ აზოვთან
მეფის კარავში ვდრეობდით დიდხანს,
აღარაფერი აღარ გვახსოვდა,
დუდდა თასებიც, სისხლიც და სიტყვაც.
უღმერთოდ სვამდა მეფის ამალა,
ღვინო კი თასებს ისევ ავსებდა,
რაღაც ვუთხარი მეფეს თამამად,
პირი დაადეს ახალგაზრდებმა.
გაცევცხლდა მეფე, დაადგო თასი
და ჩემს ულვაშზე იყარა ბრაზი,
მუქარით მტაცა ულვაშზე ხელი,
ჩამაყლაპვინა ცრემლები ცხელი,
მომთოოკვინა რისხვაც და ელდაც,
მაგრამ მაშინვე მივეცი ჩემს თავს
შურისძიების ურყევი ფიცი,
შურისძიების კოცონზე ვიწვი,
მის აღსრულებას ვნატრობ და ვუცდი,
თან დავატარებ, ვით დედა მუცლით
ჩვილს დაატარებს. აჰა, აღსრულდა,
ხვალ გაირკვევა, უფალს რაც სურდა,
მაგრამ ისედაც, ჩემი ცხოვრება,
პეტრეს ბოლომდე ემახსოვრება.
გაჩენილი ვარ მე პეტრეს ჭირად,
მე მის გვირგვინში ამოვეე ეკლად
და ისიც დასთმობს ყველაფერს ქვეყნად,
ოღონდ მაზეა, ისე ვით წინათ,
ულვაშით ჰკავდეს დაბმული ასლაც.
დილა გაარკვევს ყველაფერს, ვნახავთ,
დიდების სხივი ვისკენ მიეურავს,
ჯერ იმედს ნურც ჩვენ გადავიწურავთ.

გაჩნდა თუ არა სინათლის ზოლი,
ყველა ქვემეხი ერთხმად აყვედა
და მეწამული მტვერი და ბოლი
ცისკენ დაიძრა მზის შესახვედრად.
ამჭიდროვებენ პოლკები რიგებს,
მსროლელთა რაზმი საფრდება იქვე,
მოფრინავს ჭურვი, სისინებს ტყვია,
მინდორზე უკვე გვამები ყრია.
ცეცხლი ედება სანგრებს და თხრილებს
და გამარჯვების საყვარელ შვილებს
ბასრი ხიშტებით სიკვდილი მოაქვთ,
ღრიალებს ბუკი, შეტევის დროა,
დაუქანცავი, ამტანი, მყარი,
აჰა, დაიძრა ქვეითი ჯარიც,
ზურგი რომ მისცეს კავალერიას,
ყველგან ცეცხლია, ყველგან მტვერია,
მაგრამ ცხადია, რომ ბრძოლის ბედი
ჩვენსკენ იხრება, იხრჩობა შვედი,
ირევა, ილტვის და ითელება,
ამოისუნთქეს ცოტა ჩვენებმაც.
როზენს სიბრაზის ცეცხლი ედება
და შლიპენბახი უკვე გვნებდება.
აჰა, გაქცევაც იკადრა შვედმა,
წყალობის თვალი მოგვაპყრო ღმერთმა.
„გვფარვიდეს ღმერთი“,—ბრძანა პეტრემაც
და გამოვიდა კარვიდან სწრაფად.
ცხენი მოართვეს მეფეს მხედრებმა,
მუხლზე იცემდა მერანი ფაფარს.
ერთ რამედა ღირს ხელმწიფის ხილვა,
მისი მრისხანე თვალების ბრწყინვა,
მისი მიმოხვრა და წარბთა შეყრა, —
ღვთის რისხვასა ჰგავს ჩამოსულს ქვეყნად.
მორჩილად უცდის ერთგული ცხენი,
ათრთოლებს ომის სურნელი ცხელი,
იბრუნებს კისერს და აღვირს ღეჭავს.
აჰა, მივიდა, შეეხო, შეჯდა,
მიქრის, დაჭრილთა აცოფებს კვნესა,
ეამაყება მხედარი ცხენსაც.

უკვე ახლოა შუადღის ხვატი,
მიწას ალმური ცასცახით ასდის,
ვით მიწის მუშა, ისვენებს ჯარი,
ჩადგა საომარ მუსიკის ქარი,
აღარ ყეფს მშიერ ზარბაზნის ხახა,
დაცხრა, დამშვიდდა გრიგალის ტალღა,
სისხლის მდინარე დატბორდა, დაშრა
და მღელვარების დასაოკებლად
უცებ რუსულმა იჭექა ვაშამ, —
პეტრეს შეასწრეს თვალი პოლკებმა.

●

და აი, პეტრეც პოლკების გასწვრივ
მიქრის, დიადი, შემძლე და მკაცრი,
ლაჩართა რისხვა, გმირთა შემქები;
და მოჰკვებიან უკან ლეკვები
პეტრეს ბუნაგში გამოზრდილები,
ჭირსა და ლხინში გამოწვრთნილები,
ამხანაგები, ძმები, შვილები,
გული რომ მისცათ პეტრემ ლომური,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკლავი რომ მისცათ მხნე და შემტევი,
აგერ ბრიუსი, აგერ ბოური,
რეპინიცა და შერემეტევიც.

ჩამწკრივებულან პოლკები ლურჯად,
მისჩერებიან განსაცდელს ურჩად.
ატატებული მოჰყავთ კარლოსი,
ომის სასწორზე სულის დამდები
გარემოცული მთავარსარდლებით
და ჩაძირული ტანჯვის ხარში;
დაუფეხთა ჭრილობას იგი,
თვალებს უაზროდ აცეცებს ირგვლივ,
თითქოს დასაყრდენს დაეძებს წერტილს,
ნანატრი ბრძოლის აღელვებს ბედი.
ჯარი კი ისევ მის ნიშანს ელის
და გაიშვირა კარლოსმაც ხელი.

მაშინ რუსებმაც იშიშვლეს ხმალი,
ამოანთხია ქვემეხმა ალი
და ატყდა ომი, პოლტავის ომი!
გააფთრებული ლომს ეცა ლომი,
გადათელილი ცოცხალი კედლით
ხორცი და ძვალი დაზვინდა მხედრის,
რიგს ენაცვლება ახალი რიგი,
თუჯის ბირთვები დასტიან ირგვლივ,
სკდებიან, ბლეჯენ, ანგრევენ, თხრიან,
გვამებზე ისევ გვამები ყრია,
ბრჭყვიალების ხიშტი, მახვილი, შუბი,
ღმუის ქვემეხი, იპოვა შუბლი,
გუდუნებს დოლი, იხევა მკერდი
შვედის და რუსის, რუსის და შვედის,
ოხვრა, თქარუნი, ჭიხვინი, კვნესა,
ჭირის დღე ადგას კაცსაც და ცხენსაც,
კბილდაკრეჭილი და ფერმიხდილი
ოთხივე მხრიდან მოდის სიკვდილი.

ხოლო სარდლები ფსიზლად და მშვიდად
უთვალთვალებენ ომის მსვლელობას,
წინასწარ სჭვრეტენ მარცხსა და ხიფათს,
რადგან ესაა მათი ხელობა.
მაგრამ ის ვინ დგას ხელმწიფის გვერდით?
უძლური ჟინით ვის ეწვის მკერდი?
ვისი ჭაღარის შუქი დგას ირგვლივ?
ორ კაზაკს ფრთხილად უჭირავს იგი
და გამოცდილი მეომრის მზერა
ბრძოლის ველს ორბის სიხარბით ზვერავს.
მისი ოცნება აღარ ახდება,
ცხენს ძვალებურად ვერ მოახტება
გმირი პალეი ლანდად ქცეულა,
გადასახლებამ დაასნეულა
და უკვე მისულს სამარის კართან
ბოდმა და ბრაზი, ვით ღამის კალთა,
რად აფარია სახეზე ნეტავ?
იქნება იგი მაზეპას ხედავს?
იქნება ომის ცეცხლსა და კვამლში
მოსისხლე იცნო და სწორედ მაშინ
უსუსურობამ და უძლურებამ
მთლად მოუშხამა მოხუცს გუნება.

მაზეპა იდგა ჩაფიქრებული,
უთვალთვალებდა ბრძოლის ველს იგი,
თანამზრახველთა მთელი კრებული
და ახლობლები ეხვია ირგვლივ.
უცებ ისროლეს და სროლის ხმაზე
შემოტრიალდა მაზეპა წამსვე:
მუშკეტის ლულა ისევ ბოლავდა
ვოინარევსკის უტყუარ ხელში
და ორ ნაბიჯზე ვიღაც გორავდა
საკუთარ სისხლში, ოფლსა და მტვერში,
ხოლო მომაკვდავ კაზაკის ცხენი
ველზე მიქრდა დაფეთებული,
კაზაკს კი ხმლისთვის ჩაევლო ხელი
და სიძულვილით გაფითრებული
მაზეპასაკენ იწევდა ისევ,
ზიზღი ეხატა მომაკვდავს პირზე.
მიუახლოვდა მაზეპა ნელა,
მაგრამ უცნობი კაზაკის სახე

უკვე ქრებოდა და მისი ენაც
ძლივსღა ამბობდა მარიას სახელს.

უკვე ახლოა, ახლოა წუთი
გამარჯვებისა! გავდუნეთ შვედი!
ო, დიდო წუთო! ეს წუთი უდრის
მთელ საუკუნეს! ბიჭებო, ერთიც!
და აპა, გარის მტერი, ძლეული,
ფეხდაფეხ მისდევს, რისხვად ქცეული,
ჩვენი ძალდრობა, გაცოფდნენ ხმლები,
აღარ ეტევა მინდორზე მკვდრები.
ზეიმობს პეტრე, მხნე და ამაყი,
გაბრწყინებია დიდებით სახე.
თასებში უკვე ბორგავს არაყი,
უკვე ნიმღერაც გაისმა მჭახე.
თავის კარავში ღებულობს იგი
საკუთარსა თუ შეპყრობილ სარდლებს,
ტყვეებს წყალობის აფარებს კალთებს
და ადღეგრძელებს თავმობმულ ჭიქით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მთავარი არ ჩანს სტუმარი,
ჩვენი მრისხანე მასწავლებელი.
სად ოლტვის ახლა ბედის მძებნელი?
ახლა სად უდგეს ქვის სასთუმალი?
ანდა მაზეა სადღაა ნეტავ?
მისი ძაღლები დღეს საით ყეფენ?
რატომ ვერ ვხედავთ ცულის ქვემ გეტმანს?
სტუმრებში რატომ ვერ ვხედავთ მეფეს?

სტეპში მიქრიან ახლა ისინი,
ფეხდადგეფ მისდევეთ ტურის სიცილი.
დაიკავშირათ წყეულმა ბედმა,
დღეს ერთი გზა აქეს კარლოსს და გეტმანს.
საფრთხე და ბოდვა ამხნევებს კარლოსს,
ცხენს მიაჭენებს, მიფრინავს, ჩქარობს,
დავიწყებია ბრილობაც, მძიმე,
თავჩაქინდრული მიჰყვება იმედს.
ასდევნებია ამალაც ძრწოლვით,
რუსებისაგან ძლეულს და ლტოლვილს.

კარლოსის გვერდით მიქრის გეტმანიც,
თან თვალი ფხიზლად უჭირავს გზაზე.
აგე, ხუტორი.. მაგრამ ნეტავი,
რამ შეაშინა მაზეპა ასე?
რად აარჩარა მაზეპამ ცხენი?
რად აუქცია უსიტყვოდ გვერდი?
მიტოვებული და სევდის მგვრელი
ეს ღობე-ყორე, კარი და სვეტი,
იქნება რამე ამბავს გახსენებს?
თქვი, რა გაწუხებს და არ გასვენებს?
ბედნიერების და მყუდროების
და შეგინებულ უმანკოების
იცანი განა ძველი სავანე,
შენ რომ მოსპე და დაასამარე?
ადრე, ოდესღაც, დიდი ხნის წინათ
შენც ხომ მრავალჯერ მჯდარხარ აქ ლხინად
და გიყნოსია სუფრის ვარდები,
გულვამთბარს ღვინით და ყურადღებით.
ბაღიც ხომ გახსოვს? წყაროს ჟღურტულიც?
და მოგოგმანე ნაზი ციცარიც?
შენ ის ციცარი ღამით, ქურდულად,
რომ გაიპაცეს... გახსოვს! იცანი!

ღამის ჩრდილებში ჩაფლულა სტეპი,
ცახცახებს დნეპრის ცისფერი ზოლი
და დნეპრის პირას, ქარაფებს შორის
თვალს ატყუებენ რუსეთის მტრები.
ძილს მისცემია გულმშვიდათ გმირი,
პოლტავის აღარც ახსოვს ზარალი,
მაგრამ სულ სხვაა მაზეპას ჭირი,
განუკურნელი და შემზარავი.
არ მოეკიდა არაფრით რული,
ვერ გაიყენა მწუხარე სული
და აი, დაფრთხა ღუმილი ღამის:
ვიღაც ეძახის! ჩათვლემილს წამით
კვლავ დაუბრუნდა სიფხიზლე წასსვე:
წამოდგომია ვიღაცა თავზე,
ხელს უქნევს თანაც... და შეკრთა უცვე,
ვით ეშმაფოტზე, ცულის ქვეშ, კუნძზე.
მის წინ დგას იგი, ჩამოხეული,
თვალანთებული, ლანდად ქცეული,
თმაგაწეწილი ტრაშალის ქარით,
განათებული ტანჯვით და მთვარით...
„თუ სიზმარია?.. მარია... შენა?“

მ ა რ ი ა

ჩუმად, ძვირფასო!... ისევაც ვდევარ...
მხოლოდ ასლახან დასუფეს თვალი
ჩემმა მშობლებმა... საწყალი ქალი...

მ ა ზ ე პ ა

ოს, უბედურო! ღმერთო! მარია!
ეს რა მოგსვლია, რა ამბავია?

მ ა რ ი ა

ყური დამიგდე: რა მოიგონეს!
უკეთეს ამბავს სად გაიგონებ?
ეშმაკის ფეხი! ბოროტი! ავი!
ვითომ მამაჩემს მოპკეფთეს თავი,
მაჩვენა კიდეც, მაგრამ ღმერთმანი,
მგლის თავი იყო, მგლისა!... ნეტავი,
რა უნდა ჩემგან, რატომ მაწვალებს?
ალბათ, იმიტომ, რომ ვანაცვალე
შენს თავს ყველანი... რომ არ გავიქეცი
დღეს შენთან ერთად... რატომ მამიწეს?
რა უნდა ჩემგან? —

მ ა ზ ე პ ა ჩუმად

ეგლიჯვებოდა ხორცი და ძვალი,
მაგრამ უაზრო ფიქრებმა უმალ
კვლავ გაიტაცეს საბრალო ქალი:
„თუმცა მეც ვასლები ზეიმზე დედას,
ის ველიც მახსოვს, ბრბოცა და გვამიც...
შენ კი არ ჩანდი... რას დავძრწი ნეტავ,
რა მინდა მარტოს მინდორში, ღამით?
შინ წამიყვანე, ჩქარა! წამოდი!
რა სულელი ვარ! ღმერთო, რა მომდის,
სხვას მივამსგავსე, მოხუცო, ბნელში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გინდა ჩემგან, შენ რაღას მერჩი,
განიშვი მეთქი, გამიშვი ხელი,
არ მომწონს შენი თვალები ბნელი
და დამცინავი... სხვა იყო იგი...
მახინჯიცა ხარ, ხოლო მის ირგვლივ
შუქი ეფინა... ხოლო მის ხმაში
სიმები თრთოდა, თბილი და ნაზი.
თოვლზე თეთრია ულვაში მისი,
შენს ულვაშზე კი შემხმარა სისხლი".

აჭყიოლებული სიგიჟის შხამით,
ჯეირანივით მკვირცხლი და მარდი,
გიიქცა იგი და მისი ლანდი
უცებ ჩაყლაპა წყვდიადმა ღამის.

მოწყდა, დაიძრა წყვდიადის ზვავი,
ცაზე პირველი სხივი იცინის,
კაზაკთა ცეცხლმაც წამოყო თავი,
ხორბალს ხარშავენ ცეცხლზე ისინი.
იშორებს ძილის საბანს ბუნება,
ჩრდილებს აფრთხობენ ცეცხლის ენები,
ხოლო დრაბანტებს დასარწყლულებლად
ჩაუყვანიათ დნეპრში ცხენები.
გამოეღვიძა კარლოსს: „ერიჰა!
გათენებულა. მაზეპა, ჩქარა!
რა დროს ძილია, ქვეყნის მტერი გვყავს!"
მაგრამ მაზეპას არ ძინავს, არა.
სევდით გამძღარა, მტანჯველი სევდა
უსუთავს სუნთქვას, ცხენს უხმოდ კაზმავს
და მიქრის ლტოლვილ მეფესთან ერთად,
და უბრჭყვიალებს თვალები მკაცრად,
მშობლიურ ქვეყნის საზღვარს რომ ხედავს.

ასი წელია მას შემდეგ, — წლებმა
ქვეშ მიიყოლეს, ბოსტეს, დამარხეს
თავგანწირული ფიქრიც და ენებაც,
ის სითამამეც და სიამაყეც.
გარდასულია თაობა მათი
და წაშლილია კვალიც და ლანდიც,
სულის ნამცეციც და სისხლის წვეთიც...
ყვავლანი მიწამ დათრგუნა ბოლოს.
პოლტავის გმირო, შენ შესძელ მხოლოდ
დიადი ძეგლის აღმართვა შენთვის.
იქ, სადაც ფრთიან წისქვილთა რიგი
მინდვრებს ჯვბირად არტყია ირგვლივ
და კამეჩების ზოზინა ტბორი
ბალახობს გმირთა საფლავებს შორის, —
საბრალო ნანგრევს იხილავთ მხოლოდ,
დახავსებული კიბე და ორმო
კარლოსის გამქრალ დიდებას კაყვება...
მაგრამ ამაოდ დაუწყვეთ ძებნას
მაზეპას საფლავს, მისი სახელი,
ბევრი ტანჯვის და ცეცხლის მნახველი,
აღარც კი ახსოვთ. მხოლოდ ტაძარი
ყოველ წელიწადს, ზარით, ზანზარით,
დასწყევლის ხოლმე და შეაჩვენებს.
სამაგიეროდ ბავშვიც გაჩვენებთ
ორი ტანჯულის მწუხარე საფლავს,
სათუთად მოვლილს, ხოლო მათ ამბავს
დიკანკის ძველი მუხნარი ჰყვება,
მისი შრიალი ქვეყანას სწვდება.
მაგრამ მარია სად გაქრა, ნეტავ?
რა დააწია, საბრალოს, ელდამ?
თქმულებებს პირი შეუკრავთ თითქოს,
ხმას არ იღებენ და ვიღას ვკითხოთ?
მისი წამება და მისი ბედი
წყვდიადითაა მოცული ჩვენთვის.
და როცა სოფლად, მინდვრად თუ გზებზე,
ბრმა მეფანდურე, წვითა და დაგვით,
ამღერებს ხოლმე გეტმანის ლეშსებს,
ის მარიასაც ახსენებს გაკვრით.

თარგმნა **ოთარ ჭილაძემ.**

ფერიდლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დერმიშხან ცინცაძე

ოქტომბრის რევოლუცია და ბოლშევიკური პრესა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საქართველოში

(1917-1921 წწ.).

1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) რუსეთის პროლეტარიატმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით გაარღვია მსოფლიო იმპერიალისტური ჯაჭვი ყველაზე სუსტ რგოლში, დაამხო ბურჟუაზიის ბატონობა და დამყარა ახალი, მუშურ-გლეხური ხელისუფლება — პროლეტარიატის დიქტატურა. კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა, კაპიტალიზმის ჩაცვენისა და სოციალიზმის გამარჯვების ერა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულისამდგმელი და ორგანიზატორი იყო ბოლშევიკების გმირი პარტია, მისი მებრძოლი შტაბი ცენტრალური კომიტეტი ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობამ, რომელიც 1917 წლის 25-26 ოქტომბერს (7-8 ნოემბერს) მიმდინარეობდა, შექმნა მუშურ-გლეხური მთავრობა — სახალხო კომისართა საბჭო — ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით.

საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობამ გამოაცხადა ხალხთა შორის მშვიდობისა და სოლიდარობის ინტერნაციონალური პოლიტიკა, რუსეთის ყოფილ იმპერიაში შემავალი ყველა ხალხის თანასწორობა და სუვერენობა, მიიღო დეკრეტი ზავისა და მიწის შესახებ. ყრილობის მმართველი — „მუშებს, ჯარისკაცებსა და გლეხებს“ ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლება „რუსეთში მოსახლე ყველა ერისათვის უზრუნველყოფს თვითგამორკვევის ნამდვილ უფლებას“.

1917 წლის 2 (15) ნოემბერს სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაცია“, რომელშიც გამოცხადებული იყო „რუსეთის ხალხთა ახალი ცხოვრების ძირითადი საწყისები“.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების სული და ბული იყო ცარიზმის წინააღმდეგ ისტორიული ბრძოლების მედროშე — რუსი ხალხი. მასთან ერთად ამ რევოლუციის გამარჯვებისათვის იბრძოდნენ და სისხლს ღვრიდნენ ამერიკეკავასიისა და რუსეთის ყოფილ იმპერიაში შემავალი ყველა ღარაჩენი ხალხები. მაგრამ საქართველოსა და ამერიკეკავასიაში შეიქმნა ისეთი ისტორიული პირობები, რომ ამ მხარის ხალხებს ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მოუხდათ ხანგრძლივი, შეუპოვარი და მძიმე ბრძოლები საბჭოთა ხელისუფლებისათვის, კონტრრევოლუციური ნაციონალური პარტიების — ქართველი მენშევიკების, აზერბაიჯანელი მუსავათელებისა და სომეხ დაშნაკთა წინააღმდეგ. ძალით მოსწყვიტეს საბჭოთა რუსეთს ამერიკეკავასია, ალადგინეს და კიდევ უფრო სისხლიან ფორმებში დაამკვიდრეს იმპერიალისტური „დემოკრატიული“ რეჟიმი.

ი. ბ. სტალინი, რომელიც ამ დროს ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი იყო, აფასებდა რა ამერიკეკავასიაში შექმნილ მდგომარეობას, წერდა: „ოქტომბრის რევოლუციამ მკვეთრად შეიცვალა მდგომარეობა. მან ერთი დაკვრით გადაატრიალა ყველა ურთიერთობა და დააყენა მშრომელი კლასების ხელში ძალაუფლების გადასვლის საკითხი. ლოზუნგმა „მთელი ძალაუფლება მუშებსა და გლეხებს!“ მეხივით დაიქუქა ჩვენს ქვეყანაში და ფეხზე დააყენა ჩაგრული მასები“.[1]

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 57.

1917 წლის 2 (15) ნოემბრის ბაქოს საბჭოს მიიღო გადაწყვეტილება ხელში აეღო ძალაფლება და აერჩია ახალი ადმილსრულებელი კომიტეტი სტ. შაუმიანის მეთაურობით.

საქართველოს მშრომელი მასები უდიდესი სიხარულით შეხვდნენ ცნობას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესახებ. თბილისში, ბათუმში, სოხუმსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში მუშათა კრებებს გამოაქმნდათ რეზოლუციები, რომლებითაც მიესალმებოდნენ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების პატოსურადში.

26-27 ოქტომბერს თბილისში მიმდინარეობდა კავკასიის სამხედრო ორგანიზაციების სოციალ-დემოკრატ ბოლშევიკთა კონფერენცია, რომელმაც ერთსულოვნად დაუჭირა მხარი საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას. რევოლუციის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინისადმი გაგზავნილ მისალმებაში კონფერენციის დელეგატები გამოთქვამდნენ თავიანთ აღფოთოვანებას და წერდნენ: „კავკასიის ბრძოლი და ფრონტის სოციალ-დემოკრატ ბოლშევიკების სამხედრო ორგანიზაციების კონფერენცია მიესალმება პეტროგრადის რევოლუციურ პროლეტარიატს და არმიის. ამ უდიდეს მომენტში, როდესაც წყდება რევოლუციის ბედ-იღბალი, კონფერენცია კავკასიის არმიის რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიის ყველა წევრის სახელით ფიცს სდებს, რომ ან მოიპოვებს გამარჯვებას რევოლუციურ პეტროგრადთან ერთად, ან დაიღუპება პროლეტარული რევოლუციისათვის ბრძოლაში... კონფერენცია თავის მხრივაღ სალამს უძღვნის პროლეტარული რევოლუციის უნიჭიერეს ბელადს რუსეთში, მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისათვის უანერგიულეს მებრძოლ ამხანაგ ლენინს".[1]

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ უდიდესი გავლენა მოახდინა სოფელზეც. საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები ზაგისა და მიწის შესახებ, „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაცია", რომლებიც გლეხებში ვრცელდებოდა, აღვიძებდა რევოლუციურ მოძრაობის სოფლად, ძალიერებდა ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

ოქტომბრის რევოლუციამ ისე, როგორც საერთაშორისო ასპარეზზე, საქართველოშიც კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ მშრომელთა ინტერესებს იცავს მხოლოდ ბოლშევიკური პარტია, რომელიც პროლეტარიატის სისხლი სისხლთან, ენა ენაზეკის მშრომელთა ფართო ფენების ინტერესებისათვის.

ბოლშევიკური გავლენის ზრდასთან ერთად ამიერკავკასიაში კონტრრევოლუციური ძალების კონსოლიდაციაც ხდებოდა.

1917 წლის 11 ნოემბერს თბილისში შექმნილი კონტრრევოლუციური „სახოგადოებრივი უშიშროების კომიტეტის" სახელით მოწვეული იქნა თათბირი საბჭოების, პოლიტიკური პარტიებისა და პროფკავშირების წარმომადგენელთა მონაწილეობით. თათბირში მონაწილეობდნენ: კავკასიაში რეაქციული მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გენერალი პრკეევსკი, ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო აგენტები კავკასიის არმიის შტაბთან, ამერიკის კონსული თბილისში ვ. სმიტი. რსდპ (ბ) სამხრეო კომიტეტმა, რომელიც ყველა დაკეთდებარებულ ბირველად ორგანიზაციასთან ერთად საბჭოებს სრულიად რუსეთის მეორე ყრილობისა და მის მიერ არჩეული სახალხო კომისართა საბჭოს მხარეზე იდგა, უარი განაცხადა თათბირში მონაწილეობაზე, რომელსაც კონტრრევოლუციური ელემენტები ესწრებოდნენ.

კონტრრევოლუციური პარტიების თათბირმა, რომელიც მეჩიერო კავშირში იყო საერთაშორისო იმპერიალისტურ ძალებთან და მათი კარნახით მოქმედებდა, მიიღო გადაწყვეტილება, ნაცვლად ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტისა, შეექმნა „დამოუკიდებელი" სამხედრო ხელისუფლება. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე 12-14 ნოემბრის ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის კომისარიატი მენშეკიკ ევგენი გეგეჭკორის მეთაურობით.

რათა მოეწყო კონტრრევოლუციური ძალების ვიერთანაბებული ლაშქრობა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, ამიერკავკასიის კომისარიატმა შეთანხმება დადო ყუბან-დონისა და თერგის კაზაკთა კონტრრევოლუციის სამხრეთ-აღმოსავლეთ კავშირთან, სამხედრო კავშირი შეკრა გენერლებთან: კორნილოვთან, კალედინთან და კარაულოვთან. რევოლუციურ მასებთან ბრძოლის გასაძლიერებლად ჩამოყალიბებულ იქნა საქართველოს ბურჟუაზიულ-მემამულეური ეროვნული საბჭო მენშევიკების მეთაურობით. ამავე დროს დაიწყო აგრეთვე ქართული „ეროვნული" ნაწილებისა და მებრეველთა რაზმების, ეგრეთწოდებული „სახალხო გვარდიის" შედგენა.

„მთავრობა" შეუდგა იმ სამხედრო ნაწილების თანდათანობით განიარაღებას, რომლებიც ბოლშევიკების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ.

მაგრ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა ძალებმა გაიღაშქრეს ბოლშევიკური პრესის წინააღმდეგაც.

საქართველოს ბოლშევიკური პრესა თავისი არსებობის მანძილზე ყოველთვის მტკიცედ იდგა ლენინურ პოზიციებზე. იგი წარმოადგენდა ბასრ იარაღს მასების დასარაზმავად მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. იყო არა ძარტო აგიტატორი, არამედ მტკიცე და თანმიმდევრუ-

[1] აკაკი სურგულაძე, ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში, თბ., 1954, გვ. 296-297.

ლი ორგანიზატორი ბოლშევიკური პარტიის წინაშე დასმული ამოცანების გადაჭრისათვის ბრძოლაში. იგი იყო ხალხის ფართო ფენებამდე სიმპათიელის მიმტანი, ამიტომაც — ყველაზე პოპულარული.

ქართულ რევოლუციურ პრესას დიდი რევოლუციური ტრადიციები აქვს. მას ჯერ კიდევ ადრე, მტკიცე რევოლუციური საფუძველი ჩაუყარა ლენინურმა „ისკრამ", რომლის ერთადერთ და თანმიმდევრულ თანამებრძოლს წარმოადგენდა ქართული გაზეთი „ბრძოლა".

შემდეგ ხანებში საქართველოს ბოლშევიკური პრესა ინრდებოდა და მტკიცდებოდა ლენინური „პრავდას" სახელოვან რევოლუციურ ტრადიციებზე.

განსაკუთრებით დიდი იყო ბოლშევიკური გაზეთის მნიშვნელობა ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში. რევოლუციური აღმავლობისა და შემდგომ სამოქალაქო ომის წლებში ამიერკავკასიის და საქართველოს ბოლშევიკები ყოველთვის დიდ ყურადღებას უმიმღნენენ გაზეთს, როგორც ავიტაციისა და მოსახლეობის ფართო ფენების დარაზმვის საუკეთესო საშუალებას.

პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის წარმატებით განვითარებისათვის საჭირო იყო ბეჭდვითი ორგანოს შექმნა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა მასებთან უშუალო კავშირის დამყარებას. ასეთი ორგანოს შექმნა დაკავშირებული იყო დიდნელ ეეპთან. არ იყო საკმაოდ გამოცდილი კადრები, არ ჰქონდათ საკრო სახსრები. მაგრამ მიუხედავად ამისა, 1917 წლის 11 მარტს თბილისში თბილისელი ბოლშევიკების ხელმძღვანელობით გამოვიდა გაზეთის „კავკაზსკი რაბოჩნი" პირველი ნომერი.

„კავკაზსკი რაბოჩნი" ყოველდღე გამოდიოდა ფ. ახახიანის, ს. შაუმიანის, ბ. ჯაფარიძის, მ. ცხაკაიას, ს. ქავთარაძის აქტიური მონაწილეობით. სისტემატიურად ბეჭდავდა ვ. ი. ლენინის სტატიებს, მოსსენებებსა და სიტყვებს. მან თავიდანვე სწორი პოზიცია დაიკავა რევოლუციის ყველა ძირითად საკითხში, ულმობლად ამხელდგა ქართველ მენშევიკებს, რომლებსაც შესაძლებლად მიიჩნდათ ძალაფლების გადაცემა ბურჟუაზიის ხელში და რომლებსაც ფრიდრიხი მთავრობის მხარდაჭერით წამოაყენეს ლოზუნგი.[1] ხოლო შემდეგ კი მთლიანად მიეყიდნენ საერთაშორისო იმპერიალიზმს, იქნენ მის ლაქიებად და იწყეს ბრძოლა ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

„კავკაზსკი რაბოჩნის" მეფრო კავშირი ჰქონდა დამყარებული ლენინურ გაზეთ „პრავდასთან", მტკიცედ იცავდა მას ქართველი მენშევიკების თავდასხმისაგან, აქვეყნებდა ცნობებს მისი მუშაობისა და გაერცელების შესახებ, აგროკეთდა მისთვის სახსრებს, ხელს უწყობდა გაზეთის ფართოდ გავრცელებას საქართველოში.

„კავკაზსკი რაბოჩნიმ" სწრაფად მოიპოვა პოპულარობა მუშებსა და ჯარისკაცებში. ისინი გაზეთის რედაქციას უგზავნიდნენ მისალმებებს, წერილებსა და კორესპონდენციებს, მატერიალურად ეხმარებოდნენ, ამ დახმარების მეოხებით გაზეთის მატერიალური ბაზა მტკიცედებოდა. უფრო გვიან განხორციელდა ახალი ბოლშევიკური გაზეთების გამოცემა. ქართულ ენაზე გამოდიოდა გაზეთი „ბრძოლა", სომხურ ენაზე — „ბანვორი კრიე" („შუშის ბრძოლა"). „კავკაზსკი რაბოჩნიმ" თავის გარშემო შემოიკრიბა მეთხვეულებს — მუშებს, ჯარისკაცებისა და ლეგეხების ფართო ატბეი და დიდი როლი შეასრულა საქართველოსა და ამიერკავკასიაში ბოლშევიკური ორგანიზაციების აღდგენა-განმტკიცებაში. თუმცა ზოგჯერ თავის ფურცლებზე ადგილს უთმობდა ოპორტუნისტული ელემენტების სტატიებს, მიუხედავად ამისა, „კავკაზსკი რაბოჩნი" დიდროლს ასრულებდა მასების თვითშეგნების განვითარებაში, ბოლშევიკური ლოზუნგების გარშემო მათ დარაზმვაში. იგი ერთი პირველთაგანი გამოეხმაურა ოტტობრის სოციალისტურ რევოლუციას და ბოლომდე იბრძოდა ბოლშევიზმის ყოველდმძლე იდეების გამარჯვებისათვის.

ანტანსპუთთა კოალიციამ, ქართველი მენშევიკების მეთაურობით, კარნი აიღო იქითკენ, რომ მოეხდინა ბოლშევიკების იზოლაცია მასებისაგან, იარაღით ხელში ჩაეწნო რევოლუციური მოძრაობა. 1917 წლის 29 ნოემბრის მენშევიკური „სახალო გვარდიის" და ეროვნული ნაწილების ნაკრებმა რაზმმა ხელში ჩაიგდო თბილისის არსენალი და იქ შენახული დიდძალი იარაღი; მიმართეს რა პროვოკაციას, თითქოს შეიარაღებულ ფანეულის ამბოხდება ამიერკავკასიის კომისარიატის დასაბობად, თბილისში გამოცხადებულ იქნა სამხედრო წესები.

დეკემბრის დამლეგს მოაწყეს თავდასხმა ბოლშევიკური გაზეთების: „კავკაზსკი რაბოჩნის", „ბრძოლისა" და „ბანვორი კრიეს" რედაქციებსა და სტამბებზე. ნელ-ნელა დიწეს ყველაზე შეგნებული, ბოლშევიკურად განწყობილი სამხედრო ნაწილების განიარაღება.

მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, ბოლშევიკური პარტია მამაცურად იბრძოდა მოსახლეობაში მოპოვებული გავლენის განმტკიცებისათვის.

ქ. თბილისში კავკასიის არმიის II სამხედრო ყრილობის წინ (რომელიც მიმდინარეობდა 10—23 დეკემბერს) გაზეთმა „კავკაზსკი რაბოჩნიმ" დაბეჭდა კავკასიის სამხედრო კომიტეტის მი-

დ ა ვ ი თ ბ ე ზ ა ნ ი ნ ი ნ ა ძ ე
ოქტომბრის რევოლუციისა და ბოლშევიკური პარტიის საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საქართველოში

---

1. საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1957, გვ. 379.

მართვა ჯარისკაცებისადმი, რომელშიც ნათქვამი იყო:

„10 დეკემბერს გაიხსნება კავკასიის ფრონტის არმიის II ყრილობა. არმიის ამ ყრილობაზე თქვენ უნდა გადაეჭიროთ როგორც პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის, ისე პროფესიულ-ჯარისკაცური მნიშვნელოვანი საკითხები... ამიტომ თქვენ, ამხანაგო ჯარისკაცებო, ყრილობაზე უნდა აირჩიოთ დელეგატები გარკვეული განაწესით, რათა მათ ისევ არ გიღალატონ, როგორც გადალატობდნენ ესენები და მეზნეკეებები რევოლუციის რვა თვის განმავლობაში... მიეცით მათ განაწესები:

1. დაიკავონ მთელი რუსეთისათვის ერთიანი საბჭოთა ხელისუფლება. დაუყოვნებლივ განაჩორეკიელონ კავკასიაში სახალხო კომისართა საბჭოს ყველა კანონი, დეკრეტები, დადგენილებანი და განკარგულებანი.

2. შეუერთდნენ მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს და

3. შექმნან საბჭოთა ხელისუფლება კავკასიაში, დაშალონ თვითნებური ამერკავკასიის კომისარიატი.

ხოლო ენინდან ყველა ამ დებულებას იცავენ ბოლშევიკები, აირჩიეს არმიის II ყრილობაზე ბოლშევიკები, მხოლოდ მაშინ იქნებიან თქვენ, ამხანაგო ჯარისკაცებო, დამშვიდებული თქვენი ბედისა, რევოლუციისა და რუსეთისათვის“.[1]

ბოლშევიკური პრესის ნათელმა და ლოგიკურმა ბრძოლამ, კომეფსისტური პარტიის ნაცადი ჯარისკაცების ს. გ. შაუმიანისა და სხვათა მგზნებარე გამოსვლებმა ყრილობაზე გარკვეული წარმატებები მოიტანა ბოლშევიკებს.

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელმაც ოფიციალურად მიიჩნია ამერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების შექმნა. მან ხმების უმრავლესობით სცნო სახალხო კომისართა საბჭო და მის მიერ გამოცემული ყველა დეკრეტი — ზავზე, მიწაზე, მუშათა კონტროლზე და სხვ.

კავკასიის არმიის სამხარეო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ბოლშევიკი გ. ნ. ყორღანოვი, რომლის მეთაურობითაც სამხარეო საბჭო შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა მენშევიკებისა და ესერების წინააღმდეგ. მოუწოდებდა არმიას, დაეწყო ორგანიზებული ბრძოლა კონტრრევოლუციასთან კავკასიაში.

არმიის სამხარეო საბჭოს საქმიანობას დიდ ადგილს უთმობდა გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი“, აშუქებდა მის საქმიანობას და ბეჭდავდა მის მიერ გამოცემულ მოწოდებებს და მითითებებს.

გაზეთში დაბეჭდა კავკასიის არმიის სამხეკრო საბჭოს მიმართვა რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიმართ, რომელშიც ნათქვამი იყო:

„კავკასიის არმიის სამხეკრო კომიტეტი ზუსტად იცავს ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციას საბჭოთა ხელისუფლებისა და მუშაობს ზავისა და მუშათა კონტროლის დეკრეტების ცხოვრებაში შესასვლელ, თავს აცხადებს უმაღლეს ძალაუფლებად სამხეკრო მმართველობის სფეროში და გთხოვთ ეცადეთ განკარგულება ეგზავნოთ კავკასიის არმიის სამხარეო საბჭოს, როგორც არმიის სრულუფლებიან ორგანოს“.[2]

კავკასიაში შექმნილი მდგომარეობით დიდად იყო დაინტერესებული ვ. ი. ლენინი, რომელიც უდიდეს ყურადღებას უთმობდა კავკასიის ამბებს.

კავკასიაში მდგომარეობის საკითხი საგანგებოდ განხილა რსფსრ სახალხოსაბჭოს 1917 წლის 16 დეკემბრის სხდომამ. სახკომსაბჭომ კავკასიის დროებით საგანგებო კომისრად დანიშნა ბაკოს საბჭოს თავმჯდომარე ს. გ. შაუმიანი. იგი ჩამოვიდა თბილისში და 1918 წლის 22 იანვრიდან შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას.

ამ დროისათვის კავკასიის ბოლშევიკური პრესის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო გაზეთი „კავკაზსკი ვესტნიკ სოვეტა ნაროდნის კომისაროვ“, რომლის პირველი ნომერიც 1918 წლის 31 იანვარს გამოვიდა.

